

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

დამხმარე სახელმძღვანელო

I

2008

ავტორები:

**ნათია ჯანაშია  
ნათელა იმედაძე  
სოფიო გორგოძე**

საკონსულტაციო საბჭო: **ნათელა იმედაძე, სიმონ ჯანაშია**

რედაქტორები:

**ნათია ნაცვლიშვილი  
სოფიო გორგოძე**

ილუსტრაცია, დიზაინი: **გიორგი გამეზარდაშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თამარ გოდერძიშვილი**

პროექტის კოორდინატორი: **ეთერ გველესიანი**

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

ISBN 978-9941-0-0674-6

ISBN 978-9941-0-0675-3

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, მასწავლებლებს, მასწავლებლობის მსურველებსა და ყველას, ვინც სწავლისა და სწავლების საკითხებითაა დაინტერესებული, წარუდგინო წინამდებარე სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო სამ ნაწილად გამოიცემა და შემდეგ თემებს მოიცავს: განვითარებისა და სწავლის თეორიები, სწავლება და შეფასება, სასწავლო და პროფესიული გარემო.

წიგნის შექმნის იდეა დაიბადა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე მუშაობისას, მასწავლებლებთან საუბრისა და ახრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში შესულია ზოგიერთი ისეთი თემა, რომელიც, გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენს მოქმედი მასწავლებლებისათვის. საქმე ისაა, რომ ის სასწავლო პროგრამები, რომლის მიხედვითაც მზადდებოდა მასწავლებელი, არ მოიცავდა სწავლისა და სწავლების ყველა იმ თეორიას, სწავლებისა და შეფასების იმ მეთოდებს, რომელიც მასწავლებელს ახალი სტანდარტის მიხედვით მოეთხოვება. შესაბამისად, საჭირო გახდა ამ მასალის თავმოყრა და მასწავლებლებისთვის მათი მეტ-ნაკლებად კომპაქტური სახით მიწოდება.

სახელმძღვანელო მასწავლებელს დაეხმარება, გააცნობიეროს მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოემზადოს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი დახმარებით მასწავლებლებს შეუძლიათ გაიუმჯობესონ პედაგოგიური პრაქტიკა და შექმნან უკეთესი სასწავლო გარემო, რაც, საბოლოოდ, მოსწავლეთა შედეგებზე აისახება.

განათლების იმ თეორიებში, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული, მასწავლებლები აღმოაჩენენ თავიანთი ყოველდღიური პრაქტიკის ელემენტებს. ზოგჯერ ისინი, შესაძლოა, არც დაეთანხმონ მოცემულ თეორიებს. ჩვენ ვეცადეთ, თავი შეგვეკავებინა შეფასებებისაგან, რათა მასწავლებლებმა თავად განსაჯონ ამა თუ იმ თეორიის მნიშვნელობა და ის, თუ რამდენად უნდა განსაზღვრავდეს იგი მათ პედაგოგიურ საქმიანობას.

ხშირად მომისმენია, რომ ყველა მასწავლებელს სწავლების საკუთარი თეორია გააჩნია. ამ თეორიებს მასწავლებლები უკვე არსებულ თეორიებზე დაყრდნობით, მათ საკუთარ პრაქტიკაში გამოცდით და მასზე რეფლექსიით აყალიბებენ.

ამ სახელმძღვანელოში მოცემული მასალის უმეტესი ნაწილი, ქართულ ენაზე ან ძალიან მწირი სახით, ან საერთოდ არ არსებობდა. შესაძლებელი იყო მსგავსი შინაარსის სახელმძღვანელოს პირდაპირ თარგმნა, თუმცა ჩავთვალეთ, რომ ეს არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ხშირ შემთხვევაში, თარგმნისას, ძალიან ხელოვნური მაგალითების მოყვანა მოგვიხდებოდა. ამიტომ ვეცადეთ, შეგვეკრიბა ავტორთა ჯგუფი, რომელიც მაქსიმალურად შეეცდებოდა ქართულ რეალობას მორგებული, საქართველოს მასწავლებლებისათვის მისაღები სახელმძღვანელოს შექმნას.

იმედს ვიტოვებთ, რომ სახელმძღვანელოს შემდეგი რედაქციების შევსება და გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მკითხველის შენიშვნებისა და კონსტრუქციული წინადადებების გათვალისწინებით. მანამდე კი, თუ ეს სახელმძღვანელო მასწავლებლებს სასწავლო პრაქტიკის დახვეწაში, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მომზადებასა და, ზოგადად, ეფექტურ სწავლებაში დაეხმარება, ჩვენს მიზანს მიღწეულად მივიჩნევთ.

პატივისცემით,

სოფიო გორგოძე  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის  
დირექტორი

## ფიზიკური განვითარება

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას მოიცავს ბავშვის ფიზიკური განვითარება;

რას ნიშნავს მოტორული განვითარება;

რა თავისებურებებით ხასიათდება ბავშვის ზრდა და მოტორული განვითარება სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში;

რა ცვლილებებს განიცდის ტვინი და ნერვული სისტემა ბავშვის ზრდასთან ერთად;

რა ცვლილებებით ხასიათდება მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება მოზარდობის ასაკში;

რას ნიშნავს პუბერტაციის/სიმწიფის ხანა და რითი განსხვავდება იგი მოზარდობის ასაკისგან.

## ბავშვის ზრდა

*ადრეული ბავშვობა (1-6)* - ადრეული ბავშვობის წლებში ბავშვი წელიწადში საშუალოდ 6.4 სანტიმეტრით იზრდება სიმაღლეში და 2.5–3 კილოგრამს იმატებს წონაში. გოგონები ოდნავ უფრო დაბლები და ნაკლები წონის არიან, ვიდრე ბიჭები. ეს განსხვავება გარდამავალ ასაკამდე გრძელდება. სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტანი თანდათან უფრო გრძელდება, ხდება და ნელ-ნელა იკვეთება სხეულის ფორმები. ამ ასაკის ბავშვის თავი მისი ტანისთვის ჯერ კიდევ დიდია. თუმცა, სკოლაში შესვლისას, ბავშვების უმრავლესობისთვის ტანი და თავი ერთმანეთის პროპორციული ხდება. გოგონებს უფრო მეტი ცხიმოვანი ქსოვილი აქვთ, ბიჭებში კი კუნთური ქსოვილი ჭარბობს.

ბავშვები გასხვავებული სისწრაფით იზრდებიან. ამ განსხვავების მიზეზი ძირითადად გენეტიკური ფაქტორებია, თუმცა, გარკვეულწილად, გარემომაც შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს. ადამიანის სიმაღლეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს: ეთნიკური წარმომავლობა და კვება. რატომ არის ზოგიერთი ბავშვი უჩვეულოდ დაბალი? ამის მიზეზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ფაქტორები (გენეტიკა ან დედის ორსულობისდროინდელი პრობლემები), ფიზიკური პრობლემა, რომელიც ჩვილობისას იჩენს თავს, ან ემოციური პრობლემა. იმ ბავშვებს, რომელთა ზრდის პრობლემებიც თანდაყოლილია, ხშირად ჰორმონებით მკურნალობენ. რაც შეეხება ფიზიკურ პრობლემას, ცუდმა კვებამ და ქრონიკულმა ინფექციებმა შეიძლება შეაფერხოს ბავშვის ზრდა. კარგი კვება და შესაფერისი სამედიცინო მკურნალობა ფიზიკურ პრობლემებთან გამკლავების ეფექტური გზებია. შეფერხებულია იმ ბავშვების ფიზიკური ზრდა, რომლებიც სიყვარულს და ყურადღებას არიან მოკლებულნი, მძიმე სტრესის ქვეშ იმყოფებიან და ჰორმონალურ დარღვევებს განიცდიან.

*შუა და გვიანი ბავშვობა (6-11)* - ამ ასაკის ბავშვებში წონისა და სიმაღლის მატება თანდათანობით ხდება. ეს პერიოდი სიმწვიდით და სტაბილურობით გამოირჩევა. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი წელიწადში, საშუალოდ, 5–7.5 სანტიმეტრით იზრდება სიმაღლეში. 11 წლის ასაკში გოგონა, საშუალოდ, 150 სანტიმეტრი და ბიჭი კი, საშუალოდ, 145 სანტიმეტრია სიმაღლეში. ბავშვების ფეხები გრძელდება და მათი სხეული უფრო გამხდარი და ტანადი ხდება. კუნთური მასა და ძალა თანდათან იზრდება და ცხიმოვანი ქსოვილი კი იკლებს. ბავშვების კუნთური ტონუსი თანდათანობით უმჯობესდება. კუნთური ძალის გაზრდა ძირითადად გენეტიკური ფაქტორების საფუძველზე და ვარჯიშის შედეგად ხდება. რადგან ბიჭებს უფრო დიდი რაოდენობით აქვთ კუნთური უჯრედები, ისინი გოგონებზე უფრო ძლიერები არიან.

## მოტორული განვითარება

მოტორიკა გულისხმობს მოძრაობას განვითარებისა და სწავლის კონტექსტში.

*მსხვილი მოტორული უნარები* - სკოლამდელი ასაკის ბავშვს თანდათან უვითარდება დიდი/დიდრონი კუნთების კონტროლის უნარი. სამი წლის ასაკის ბავშვს უკვე შეუძლია ხტუნვა, სირბილი, აძვრომა და ორი ხელით დაკიდება. ის სიამოვნებით აჩვენებს გარშემო მყოფებს, რომ შეუძლია სირბილი და მადლა ახტომა. სამი წლის ბავშვისთვის ასეთი ფიზიკური აქტიურობა დიდი სიამაყის და მიღწევის შეგრძნებას იწვევს. ოთხი წლის ბავშვებსაც მოსწონთ ზემოთ აღწერილი ფიზიკური მოქმედებების შესრულება, მაგრამ ისინი უფრო გაბედულნი არიან, ვიდრე სამი წლის ბავშვები. ამასთანავე, მათ უფრო მეტი ძალა, გამძლეობა და კოორდინაციის უნარი გააჩნიათ. ხუთი წლის ბავშვები კიდევ უფრო გაბედულნი ხდებიან. მათ თავისუფლად შეუძლიათ ერთ ფეხზე დადგომა და ხტუნვით სიარული. ექვსი წლის ბავშვები ძალიან სწრაფად დარბიან და უყვართ სხვა ბავშვებთან ან უფროსებთან სირბილში შეჯიბრება.

სკოლამდელი ბავშვები ძალიან აქტიურები არიან. სამი წლის ბავშვის აქტიურობის დონე ყველა სხვა ასაკის აქტიურობის დონეზე მაღალია. ამ ასაკის ბავშვი მოუსვენრად ტრიალებს ტელევიზორის ყურების დროს; ცქმუტავს, როცა მაგიდასთან ზის და საჭმელს მიირთმევს; ძილშიც ხშირად ტრიალებს. ამიტომაც, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ყოველდღე სჭირდებათ ფიზიკური ვარჯიში.

შუა და გვიან ბავშვობაში, ბავშვის მსხვილი მოტორული განვითარება უფრო თანდათანობით და კოორდინირებულად ხდება. უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებს შეუძლიათ ისწავლონ ძალიან ბევრი ფიზიკური მოქმედების შესრულება. მაგალითად, სირბილი, სახტუნაოზე ხტუნვა, ცურვა, ველოსიპედის ტარება და ციგურებით სრიალი.

ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი უნარი, გააკონტროლოს საკუთარი სხეული. მას თანდათანობით უფრო დიდხინით შეუძლია ერთ ადგილზე ჯდომა და ყურადღების კონცენტრაცია. თუმცა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ არ არიან ფიზიკურად ბოლომდე მომწიფებულნი და მათ ისევ სჭირდებათ ფიზიკური აქტიურობა. ამ ასაკის ბავშვი ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომით უფრო იღლება, ვიდრე სირბილით, ხტუნვით ან ველოსიპედის ტარებით. ამიტომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ხშირად უნდა იყვნენ ჩართულნი აქტიურ და არა პასიურ საქმიანობებში. ჩვეულებრივ, ბიჭები გოგონებზე უკეთ ასრულებენ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მსხვილ მოტორულ უნარებს მოითხოვს.

*ნატიფი (წვრილი) მოტორული უნარები* - ბავშვების ნატიფი (წვრილი) მოტორული უნარები მნიშვნელოვნად ვითარდება ადრეული ბავშვობის პერიოდში. სამი წლის ასაკიდან მათ უკვე შეუძლიათ ძალიან პატარა საგნების ცერა და საჩვენებელი თითებით ადგება, თუმცა მათი ეს მოქმედება ჯერ კიდევ ცოტა არ იყოს, მოუქნელ ხასიათს ატარებს. სამი წლის ბავშვს შეუძლია კუბიკებით საოცრად დიდი კოშკი ააშენოს; ხელით ან ფუნჯით სადებავი ქაღალდზე წაუსვას და საგნებს ერთი ხელით მისწვდეს. ოთხი წლის ბავშვების ნატიფი (წვრილი) მოტორული კოორდინაცია უფრო დახვეწილი და ზუსტი ხდება. ამ ასაკის ბავშვს შეუძლია სხვადასხვა ფორმის (მაგალითად, წრე, სამკუთხედი) მარტივი ფიგურების დახატვა, სადებავებით ხატვა და კოშკებისა და სხვა ნაგებობების აშენება. ხუთი წლის ბავშვს შეუძლია ღილების და ელვა-შესაკრავის შეკვრა; დანის, ჩანგლის და კოვზის კარგად გამოყენება და ხანდახან ფეხსაცმლის თასმის შეკვრაც კი.

შუა და გვიან ბავშვობაში, ბავშვები ხელეებს უფრო მარჯვედ იყენებენ სამუშაო იარაღად. ექვსი წლის ბავშვს შეუძლია ჩაქუნის ხმარება, დაწებება, თასმების შეკვრა და სხვა. შვიდი წლის ასაკში ბავშვის ხელეები უფრო სტაბილური ხდება. რვა-ათი წლის ბავშვები ხელეებს დამოუკიდებლად უფრო თავისუფლად და მეტი სიზუსტით იყენებენ. ბავშვები თანდათან სწავლობენ გადაბმით წერას. ასოების სიდიდე ნელ-ნელა იკლებს და მათი ნაწერი უფრო გათანაბრებული ხდება. ათი-თორმეტი წლის ასაკში ბავშვები თითქმის ისეთივე წარმატებით იყენებენ ხელეებს, როგორც მოზრდილი ადამიანები. ჩვეულებრივ, გოგონები ბიჭებს უკეთ ასრულებენ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ნატიფ (წვრილ) მოტორულ უნარებს მოითხოვს.

## ტვინი

ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტვინის და ნერვული სისტემის განვითარება.

*ტვინის ზომა და ზრდა* ტვინი ყველაზე სწრაფად ჩვილობის ასაკში იზრდება და ზრდას ადრეული ბავშვობის ასაკშიც აგრძელებს, თუმცა უფრო შენელებული ტემპით. სამი წლის ბავშვის ტვინი ზომით მოზრდილი ადამიანის ტვინის სამ მეოთხედს უდრის. ხუთი წლის ბავშვის ტვინი კი მოზრდილი ადამიანის ტვინის ცხრა მეათედის ტოლია. ტვინი და თავი სხეულის ყველა სხვა ნაწილზე უფრო სწრაფად იზრდება. თავის ზედა ნაწილები, თვალეები და ტვინი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თავის ქვედა ნაწილები, როგორც არის ყბა.

*ცვლილებები ტვინის სტრუქტურებში* - ბავშვის ტვინი მნიშვნელოვან ანატომიურ ცვლილებებს განიცდის 3-დან 15 წლამდე. ბავშვობის გარკვეულ პერიოდებში ტვინი მოკლე დროში ძალიან სწრაფად იზ-



რდება. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ტვინის ზოგიერთი ნაწილი ერთი წლის განმავლობაში შეიძლება ორჯერ გაიზარდოს და შემდეგ კი ისევ დაპატარავდეს, როცა უსარგებლო უჯრედებისგან გაიწმინდება და ხელახლა მოახდენს რეორგანიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ტვინის მთლიანი მოცულობა მნიშვნელოვნად არ იზრდება 3-დან 15 წლამდე. თუმცა, ამავე დროს, ტვინის სხვადასხვა ნაწილში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს.

მეცნიერებმა, ასევე, დადგინეს, რომ 3-დან 6 წლამდე ყველაზე სწრაფად ტვინის წინა (ფრონტალური) ნაწილი იზრდება. ტვინის ამ ნაწილს ადამიანები მოქმედებების დაგეგმვის, ახალი დავალებების ორგანიზაციების და ყურადღების კონცენტრაციის დროს იყენებენ. 6 წლიდან გარდამავალ ასაკამდე კი ყველაზე სწრაფად ტვინის ის ნაწილები იზრდება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენის და სივრცითი მიმართებების განვითარებაში.



გაცილებით ნაკლებია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება და ვითარდება ტვინი მოზარდობის ასაკში. თუმცა მეცნიერებმა უკვე იციან, რომ მოზარდის ტვინი განსხვავდება ბავშვის და მოზარდული ადამიანის ტვინისაგან და რომ მოზარდის ტვინი ჯერ კიდევ აგრძელებს ზრდას. აგრეთვე, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს მოზარდის ტვინის იმ ნაწილში, რომელიც ემოციურ რეგულაციასა და დახვეწილ/მაღალი დონის კოგნიტურ პროცესებთან არის დაკავშირებული. მოზარდობის ასაკში ტვინის ის ნაწილი, რომელიც რისკიან, იმპულსურ მოქმედებას აკონტროლებს, ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ტვინის განვითარების ამ თავისებურებამ შეიძლება ახსნას, თუ რატომ სჩადიან მოზარდები განუსჯელ და სარისკო საქციელს საკმაოდ ხშირად.

*ტვინი და კოგნიტური განვითარება* - ტვინის თანდათანობით მომწიფება, რომელიც თან ერთვის ბავშვების მზარდ შესაძლებლობას, შეიმეცნონ და გამოსცადონ სამყარო, ხელს უწყობს მათი კოგნიტური უნარების განვითარებას. მაგალითად, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ბავშვი კითხვას სწავლობს. ბავშვის თვალებიდან ინფორმაცია ჯერ მის ტვინს გადაეცემა. შემდეგ იგი ტვინის ბევრ სისტემას გაივლის, რომლებიც შავ და თეთრ ფორმებს ასოების, სიტყვების და ასოციაციების შიფრებად გადათარგმნის (გადაამუშავებს).

ამ პროცესის შედეგი ბავშვის ტუჩებით და ენით გამოხატულ სიგნალებში აისახება (ბავშვი ხმამაღლა წარმოთქვამს დანახულ ინფორმაციას).

ტვინი ორგანიზებულია ნერვულ წრედებად, რომლებიც ნეირონებს შეიცავს. ნეირონებს ბევრი განსხვავებული ფუნქცია აკისრია. მაგალითად, ერთ-ერთი ნერვული წრედის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ყურადღება და სამუშაო მეხსიერება (სამუშაო მეხსიერება მოკლევადიან მეხსიერებას ჰგავს; იგი წარმოადგენს იმ ინფორმაციის დროებით შენახვის და მართვის სისტემას, რომელიც საჭიროა რთული კოგნიტური დავალებების შესასრულებლად, მაგალითად, სწავლის, აზროვნებისა და გაგებისთვის).

### **სიმწიფის ხანა და მოზარდობის ასაკი**

*სიმწიფის/პუბერტაციის ხანა (11-16)* - მოზარდობის ასაკი ხასიათდება მკვეთრი ცვლილებებით ფიზიკურ განვითარებაში. სიმწიფის ხანა და მოზარდობის ასაკი განსხვავებული ცნებებია. ადამიანთა უმრავლესობა სიმწიფის ხანის დასრულების შემდეგ მოზარდობის ასაკში კიდევ დიდხანს დაჰყოფს. თუმცა მომწიფება მოზარდობის ასაკის დაწყების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია. სიმწიფის ხანა განისაზღვრება, როგორც სწრაფი ფიზიკური მომწიფების პერიოდი, რომელიც მოიცავს ჰორმონალურ და სხეულის ცვლილებებს. სიმწიფის ხანაში მომხდარი ცვლილებები ადამიანის ორგანიზმს რეპროდუქციის უნარს აძლევს. მომწიფება, ძირითადად, ადრეული მოზარდობის ასაკში ხდება.

სიმწიფის განმსაზღვრელი ფაქტორებია კვება, ჯანმრთელობა, გენეტიკა და სხეულის მასა. თუმცა სიმწიფე მხოლოდ გარემოს შემთხ-

ვევითობას არ წარმოადგენს; გენეტიკური ფაქტორებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ადამიანში ჩადებულია ძირითადი გენეტიკური პროგრამა, რომლის საფუძველიანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. სიმწიფის ასაკში მიმდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა სქესობრივი მომწიფება.

*ჰორმონალური ცვლილებები* - სიმწიფის ხანა ხასიათდება ჰორმონების მოზღვავებით. ჰორმონები არის ძლიერი ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ენდოკრინული ჯირკვლების მიერ გამოიყოფა და მთელ სხეულს სისხლის საშუალებით გადაეცემა. ჰორმონების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად იზრდება მოზარდობის ასაკში. ტესტესტერონი არის ჰორმონი, რომელიც ბიჭებში ასოცირდება სასქესო ორგანოების განვითარებასთან, სიმაღლეში ზრდასთან და ხმის შეცვლასთან (დაბოხებასთან). ესტრადიოლი არის ჰორმონი, რომელიც გოგონებში ასოცირდება მკერდის, საშვილოსნოს და ჩონჩხის განვითარებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჰორმონი, ტესტესტერონი და ესტრადიოლი, როგორც გოგონების, აგრეთვე ბიჭების ჰორმონალური შემადგენლობის ნაწილია. თუმცა ტესტესტერონი დომინირებს ბიჭების, ხოლო ესტრადიოლი კი გოგონების მომწიფებაში.

ჰორმონები არამხოლოდ ფიზიკურ ცვლილებებს იწვევს, არამედ მოზარდის ფსიქოლოგიურ განვითარებასაც უწყობს ხელს. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიჭებს, რომლებსაც უფრო მაღალი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარ კომპეტენტურობაზე (უნარიანობაზე), ტესტესტერონის უფრო მაღალი კონცენტრაცია ჰქონდათ. სხვა კვლევამ აჩვენა, რომ გოგონები, რომლებშიც ესტრადიოლის რაოდენობა უფრო დიდი იყო, უფრო მეტ გაბრაზებას და აგრესიას ავლენდნენ. თუმცა მოზარდთა განვითარება მარტო ჰორმონალურ ეფექტებზე როდია დამოკიდებული. კვლევებმა გვიჩვენა, რომ სოციალური ფაქტორები უფრო კარგად ხსნის მოზარდი გოგონების დეპრესიას და გაბრაზებას, ვიდრე ჰორმონალური ფაქტორები. მეტიც, მოქმედებას და განწყობას შეუძლია გააგვინა მოახდინოს ჰორმონებზე. სტრესს, კვებას, ვარჯიშს, დაძაბულობას და დეპრესიას შეუძლია გაააქტიუროს ან ჩაახშოს ჰორმონალური სისტემის სხვადასხვა ასპექტი.

*სიმაღლე და წონა* - ორგანიზმის სწრაფი ზრდა გოგონებში, დაახლოებით, ორი წლით ადრე იწყება, ვიდრე ბიჭებში. გოგონები სწრაფად ზრდას, საშუალოდ, 9 წლის ასაკში, ხოლო ბიჭები - 11 წლის ასაკში იწყებენ. მომწიფების პროცესი ყველაზე სწრაფად გოგონებისთვის 11 წლის ასაკში და ბიჭებისთვის 13 წლის ასაკში მიმდინარეობს. ამ პერიოდის განმავლობაში გოგონები სიმაღლეში, დაახლოებით, წელიწადში 8-9 სანტიმეტრით, ხოლო ბიჭები კი 10 სანტიმეტრით იზრდებიან. მოზარდობის ხანის დასაწყისში გოგონების სიმაღლე, ჩვეულებრივ, უტოლდება ან აღემატება ბიჭების სიმაღლეს. თუმცა, დაახლოებით, 14 წლის ასაკში ბიჭების სიმაღლე უკვე უტოლდება და, ხშირ შემთხ-

ვევაში, უფრო მეტია გოგონების სიმადლეზე.

მოზარდობის ხანაში წონაში მატება ისეთივე თავისებურებებით ხასიათდება, როგორც სიმადლეში მატება. გოგონებიც და ბიჭებიც ყველაზე სწრაფად სიმწიფის ასაკის დაწყებისთანავე იწყებენ წონაში მატებას. ადრეულ სიმწიფის ასაკში გოგონების წონა, ჩვეულებრივ, აღემატება ბიჭებისას, მაგრამ, დაახლოებით, 14 წლის ასაკში ბიჭები უკვე გოგონებზე მეტს იწონიან.

*ინდივიდუალური განსხვავებები სიმწიფის ასაკში* - ბიჭების ნაწილისთვის სიმწიფის ხანა შეიძლება 10 წლის ასაკში დაიწყოს და 13 წლის ასაკში დამთავრდეს. ხოლო ბიჭების უმრავლესობისთვის სიმწიფის ხანა 13 წლიდან 17 წლამდე გრძელდება. გოგონებში ყველაზე ადრე 9 წლის ასაკში და ყველაზე გვიან - 15 წლის ასაკში შეიძლება დაიწყოს.

სიმწიფის ასაკში მიმდინარე მკვეთრ ფიზიკურ ცვლილებებს ფსიქოლოგიური ასპექტიც ახლავს თან: მოზარდები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ სხეულს. სიმწიფის ხანაში, ზოგადად, გოგონები უფრო ნაკლებად კმაყოფილნი არიან თავიანთი გარეგნობით და უფრო ნეგატიურად აღიქვამენ საკუთარ სხეულს, ვიდრე ბიჭები.

## კოგნიტური განვითარების თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ნიშნავს კოგნიტური განვითარება;

პიაჟეს თეორიის თანახმად, რა სტადიებს მოიცავს მოსწავლეთა კოგნიტური განვითარება და რა თავისებურებებით ხასიათდება მათი კოგნიტური აზროვნება თითოეულ სტადიაზე;

რატომ არის მნიშვნელოვანი იმის ცოდნა, თუ კოგნიტური განვითარების რა სტადიაზე იმყოფება მოსწავლე;

როგორ უნდა გამოიყენოთ პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია საკლასო ოთახში;

სწავლების რა სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოთ კოგნიტური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ მოსწავლეებთან მუშაობის დროს.

\*\*\*\*\*

სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა. კოგნიტური განვითარება გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას.

განიხილეთ შემდეგი მაგალითები:

1. წარმოიდგინეთ, რომ ორი ერთნაირი ზომის ჭიქა გაქვთ და ორივე წყლით არის სავსე. შემდეგ მეორე ჭიქიდან გადაასხით წყალი მესამე, უფრო ვიწრო და მაღალ ჭიქაში. რომელში უფრო მეტი წყალი ასხია, პირველ თუ მესამე ჭიქაში?

2. ქვემოთ ხედავთ ათი ხის მძივის მარცვალს. მათგან რვა ყავისფერია და ორი წითელი. რომელი უფრო მეტია, ყავისფერი მძივის მარცვლები თუ ხის მძივის მარცვლები?

3. თუ ყველა ბავშვი ადამიანია,  
და ყველა ადამიანი ცოცხალი არსებაა,  
შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ბავშვი ცოცხალი არსებაა?

4. თუ ყველა ბავშვი ბურთია,  
და ყველა ბურთი ნამცხვარია,  
შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ბავშვი ნამცხვარია?

პირველი ორი მაგალითი ალბათ სასაცილოდ ადვილი მოგეჩვენათ; რა თქმა უნდა, ორივე ჭიქაში ერთი და იგივე რაოდენობის წყალი ასხია და, რა თქმა უნდა, ხის მძივის მარცვლები უფრო მეტია, ვიდრე ყავისფერი მძივის მარცვლები. მესამე მაგალითი ალბათ ოდნავ უფრო ძნელი მოგეჩვენათ, მაგრამ მაინც სწრაფად დაასკენით, რომ ყველა ბავშვი ცოცხალი არსებაა. მეოთხე პრობლემა ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელია: იგი იმავე ლოგიკურ ხაზს მიყვება, რასაც მესამე მაგალითი, მაგრამ მისი დასკვნა – ყველა ბავშვი ნამცხვარია – ეწი-

ნააღმდეგება სინამდვილეს. წინა საუკუნის 20-იან წლებში, შეგდმა ბიოლოგმა ჟან პიაჟემ მსგავს პრობლემებზე ბავშვთა პასუხების შესწავლა დაიწყო. მაგალითად, მან აღმოაჩინა, რომ პატარა, 4-5 წლის ბავშვები ასკენიდნენ, რომ მესამე ჭიქაში უფრო მეტი წყალი ასხია, ვიდრე პირველში. ხოლო მოზრდილი, 7-8 წლის ბავშვები აღნიშნავდნენ, რომ წყლის რაოდენობა ორივე ჭიქაში, რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა. ასევე, მან აღმოაჩინა, რომ 4-5 წლის ბავშვები უფრო ხშირად ასკენიდნენ, რომ ყავისფერი ბურთულები უფრო მეტია, მაშინ როცა ამ კითხვას 7 წლის ბავშვები თითქმის ყოველთვის სწორად პასუხობდნენ. პიაჟეს დასკვნით, 10 წლის ბავშვები უფრო მარტივად ხსნიან იმ ლოგიკურ პრობლემებს, რომლებიც რეალურ ფენომენებს ეხება (მაგალითად, ცოცხალი არსებების კატეგორიები და ქვეკატეგორიები), ვიდრე მათ, რომლებიც ჰიპოთეზურ და არარეალურ იდეებს შეიცავენ (მაგალითად, ნამცხვარი-ბავშვები). მხოლოდ, დაახლოებით, 11 წლის ზევით მოზარდებს შეუძლიათ, ეფექტურად გაუმკლავდნენ მსგავსი სახის პრობლემებს. ამგვარი კითხვებისა და დავალებების საშუალებით, პიაჟემ ბევრი რამ აღმოაჩინა იმის შესახებ, თუ როგორ აზროვნებენ ბავშვები და როგორ შეიცნობენ ისინი სამყაროს.

### კონკრეტული პროცესები

რა პროცესებს იყენებენ ბავშვები, როცა ისინი აგებენ ცოდნას სამყაროს შესახებ? პიაჟეს მიაჩნდა, რომ ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი პროცესები: სქემები, ასიმილაცია, აკომოდაცია და ექვილიბრიუმი.

იხ. გვ. 107

*სქემები* - პიაჟეს მიაჩნდა, რომ ყველაფერი, რასაც ბავშვები სწავლობენ და აკეთებენ, ორგანიზებულია სქემების სახით. სქემა მიუთითებს იმ მსგავსი მოქმედებების და ფიქრების ერთობლიობას, რომლებსაც ბავშვები სისტემატურად იყენებენ, როცა ისინი აგებენ ცოდნას სამყაროს შესახებ. ბავშვები იყენებენ სქემებს იმისათვის, რომ შეიცნონ სამყარო და შესაბამისად იმოქმედონ. როგორც ჩვენი ზემოთნახსენები მაგალითები გვიჩვენებს, სქემები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ასაკისაა ბავშვი. თავდაპირველად სქემები დაკავშირებულია, ძირითადად, ფიზიკურ მოქმედებებთან ან ქცევებთან, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი აბსტრაქტულ ხასიათს იძენენ. მაგალითად, ჩვილ ბავშვს წიგნი რომ მისცეთ, იგი ალბათ მას შეეხება და პირში ჩაიდებს; შეეცდება, გახიოს იგი; ანდა იატაკზე, ან მაგიდაზე დააბრახუნოს. პიაჟესთვის თითოეული ეს მოქმედება სქემას წარმოადგენს: ჩვილი ბავშვისთვის ეს მოქმედებები წიგნის შესახებ ცოდნის

შეძენის გზებია. 7–8 წლის ბავშვები, წიგნთან დაკავშირებით, განსხვავებულ სქემას გამოიყენებენ. პირში ჩადებისა და იატაკზე დაბრახუნების ნაცვლად, ისინი ალბათ უფრო დაბეჭდილ ინფორმაციას მიაქცევენ ყურადღებას და შეეცდებიან, ტექსტის წაკითხვის საშუალებით შეიძინონ ცოდნა წიგნის შესახებ.

დროთა განმავლობაში, ბავშვთა სქემები მოდიფიცირდება (იცვლება) მათი გამოცდილების შესაბამისად. აგრეთვე, ხდება სქემების ერთმანეთთან ინტეგრაცია. მაგალითად, ბავშვები იწყებენ იერარქიული ურთიერთობების გარკვევას და გათვალისწინებას. ისინი სწავლობენ, რომ პუდელები და კოკერ–სპანიელები ორივენი ძაღლებია, ხოლო კატები და ძაღლები კი - ცხოველები და ა.შ. ბავშვთა ცოდნა და აზროვნების პროცესები უფროდაუფრო ორგანიზებული ხდება, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, რომ უფრო პროგრესულად, რთულად და ლოგიკურად იაზროვნონ.

*ასიმილაცია და აკომოდაცია* - მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ბავშვთა სქემები იცვლება, ის პროცესები, რომელთა საშუალებითაც ბავშვები ვითარდებიან, უცვლელი რჩება. პიაჟეს მიანდა, რომ სწავლა და კოგნიტური განვითარება ორი ურთიერშემავსები პროცესის, ასიმილაციისა და აკომოდაციის შედეგია. როდესაც ჩვენ ახალ გამოცდილებას ვიძენთ, ჩვენი არსებული სქემები შეიძლება არაადეკვატური გახდეს: მათ აღარ შეუძლიათ ჩვენი ახალი გამოცდილების ასხნა და ჩვენი ექვილიბრიუმი ირღვევა. იმისათვის რომ ხელახლა შევქმნათ სქემა, ადაპტაცია გვჭირდება. ადაპტაცია არის სქემების შეცვლა გარემოს საპასუხოდ, ასიმილაციისა და აკომოდაციის საშუალებით. **ასიმილაცია** ნიშნავს ახალი საგნის ან მოვლენის არსებული სქემის საშუალებით აღქმის და გაგების პროცესს: ბავშვები ახალ ინფორმაციას თავიანთ არსებულ სქემაში ჩართავენ. მაგალითად, თუ ჩვილ ბავშვს მივცემთ ახალ სათამაშო დათვის, იგი შეეცდება სათამაშო პირში ჩაიდოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვი შეეცდება გამოიყენოს მისი არსებული „საგნების პირში ჩადების“ სქემა იმისათვის, რომ შეისწავლოს ახალი საგანი, სათამაშო დათვი. მსგავსად, 2 წლის ბავშვი, რომელმაც მოტოციკლეტი ნახა და მას „მანქანა“ უწოდა, ასიმილირებას უკეთებს მოტოციკლეტს საკუთარ, უკვე არსებულ მანქანების სქემაში. მეათე კლასელ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სწავლის სქემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის (მაგალითად, ახალი ინგლისური სიტყვების) ბარათებზე გადატანას და შემდეგ მის დახეპირებას. იგი შეიძლება შეეცადოს, ეს არსებული სქემა გამოიყენოს უფრო რთული ცნებების (მაგალითად, ეკონომიკის) შესასწავლად.



ხანდახან ბავშვის არსებული სქემები (ანუ ქმედებები და აზროვნების გზები) სრულყოფილად არ ერგება გარემოს, ახალ საგნებს და მოვლენებს. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ან ცვლის უკვე არსებულ სქემას, ან ქმნის ახალს, ახალი გამოცდილების საპასუხოდ.

**აკომოდაცია** წარმოადგენს იმ ცვლილებებს, რომელიც ბავშვის არსებულ აზროვნებაში ახალი სტიმულების ან მოვლენების შედეგად ხდება. მაგალითად, ჩვილ ბავშვს შეიძლება უფრო ფართოდ მოუწიოს პირის გაღება იმისათვის, რომ სათამაშო დათვის თათი პირში ჩაიდოს, ანუ სათამაშო დათვის აკომოდაცია მოახდინოს. შესაძლებელია, რომ ბავშვს სათამაშო დათვის ბეწვის პირში ჩადება არ ესიამოვნოს და, შესაბამისად, შეცვალოს მისი არსებული „საგნების პირში ჩადების“ სქემა. მომავალში იგი ზოგიერთ სათამაშოს ჩაიდებს პირში, ზოგიერთს კი (მაგალითად, რბილ სათამაშოებს) - არა. 2 წლის ბავშვი, რომელმაც მოტოციკლეტს მანქანა უწოდა, მალე გაიგებს, რომ მოტოციკლეტი მანქანა არ არის და, შესაბამისად, გამორიცხავს მოტოციკლეტს მანქანების კატეგორიიდან, ანუ მოახდენს კონკრეტული სქემის აკომოდაციას. მეათე კლასელი მოსწავლე, რომელიც მხოლოდ დახეპირებით სწავლობს, შეიძლება მიხვდეს, რომ სწავლის სხვა სტრატეგიები (მაგალითად, რთული ცნებების და იდეების განხილვა მეგობართან) უფრო ეფექტურია ეკონომიკის შესასწავლად.

ასიმილაცია და აკომოდაცია, ჩვეულებრივ, ერთდროულად ხდება, როცა ბავშვები იძენენ ცოდნას სამყაროს შესახებ. ბავშვები ყოველ ახალ მოვლენას მათი არსებული ცოდნის კონტექსტში ხსნიან (ასიმილაცია), მაგრამ, ამავდროულად, შეიძლება შეცვალონ ცოდნა ახალი მოვლენის საპასუხოდ (აკომოდაცია). აკომოდაცია იშვიათად ხდება ასიმილაციის გარეშე: ბავშვებს შეუძლიათ აკომოდაცია გაუკეთონ ახალ მოვლენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ უკვე შეუძლიათ ამ ახალი მოვლენების თავის არსებულ ცოდნასთან და შეხედულებებთან დაკავშირება.

*ექვილიბრიუმი* - პიაჟე თვლიდა, რომ ბავშვები ხშირად ექვილიბრიუმში არიან: ხსნიან ახალ მოვლენებს და რეაგირებენ მათზე არსებული ცოდნის, არსებული სქემების გამოყენებით. მაგრამ ეს ექვილიბრიუმი განუსაზღვრელად არ გრძელდება. როცა ბავშვები იზრდებიან, ისინი ხანდახან წააწყდებიან ისეთ სიტუაციებს, რომელთა ახსნა არსებული ცოდნის საფუძველზე არ შეუძლიათ. ასეთი სიტუაციები ქმნიან დისექვილიბრიუმს: გონებრივ დისკომფორტს, ანუ დისბალანსს ბავშვების არსებულ ცოდნასა და ახალ მოვლენებს შორის. ბავშვები ბუნებრივად ცდილობენ, შეამცირონ ეს დისბალანსი. თავიანთი, არსებული სქემების შეცვლით, ინტეგრირებით, ან ახალი სქემების შენაცვლებით, ბავშვებს საბოლოოდ შეუძლიათ, ახსნან, გაიგონ და გაუმკლავდნენ

ისეთ მოვლენებს, რომლებიც ადრე გაუგებარი იყო მათთვის. ექვილიბრიუმიდან დისექვილიბრიუმში და მერე უკანვე ექვილიბრიუმში გადასვლის პროცესს *ექვილიბრაცია* ეწოდება. პიაჟეს მიაჩნდა, რომ სწავლა დამოკიდებულია ექვილიბრაციაზე. როცა ექვილიბრიუმი ირღვევა, ბავშვებს ზრდის და განვითარების შესაძლებლობა ეძლევათ. ისინი იწყებენ ხარისხობრივად უფრო რთული და დახვეწილი აზროვნების პროცესების გამოყენებას და გადადიან განვითარების ასალ, უფრო მაღალ დონეზე.

ილუსტრაციის მიზნით, დავუბრუნდეთ ზემოთნახსენებ მძივის მარცვლების მაგალითს. წარმოიდგინეთ, რომ 5 წლის გიორგის ვაჩვენეთ ათი ხის მძივის მარცვალი (რვა ყავისფერი და ორი წითელი) და ვკითხეთ: „რომელი უფრო მეტია, ყავისფერი მძივის მარცვლები თუ ხის მძივის მარცვლები?“ გიორგი დარწმუნებული გვაპასუხობს, რომ ყავისფერი მძივის მარცვლები უფრო მეტია: იგი ექვილიბრიუმშია. როგორც ჩანს, გიორგის უჭირს იმის მოაზრება, რომ ყავისფერი მძივის მარცვლები ერთდროულად ორ კატეგორიას ეკუთვნის (ყავისფერს და ხის) და ამიტომაც იგი ყავისფერი მძივის მარცვლების რაოდენობას დარჩენილ მძივის მარცვლების რაოდენობასთან ადარებს. ჩვენ ვთხოვთ გიორგის, დაითვალოს ყავისფერი მძივის მარცვლები (დაითვალა 8) და შემდეგ დაითვალოს ხის მარცვლები (დაითვალა 10). „ესე იგი, გიორგი, შენ გაქვს რვა ყავისფერი მძივის მარცვალი და ათი ხის მძივის მარცვალი. რომელი უფრო მეტია, ყავისფერი მძივის მარცვლები თუ ხის მძივის მარცვლები?“ თუ გიორგი დაინახავს შეუსაბამობას მის მსჯელობაში, რომ რვა ათზე მეტი ვერ იქნება, იგი დისექვილიბრიუმს განიცდის. შემდეგ იგი ცვლილებებს შეიტანს თავის აზროვნებაში, რათა აკომოდაცია გაუკეთოს ასლად შექმნილ ინფორმაციას, რომ ზოგიერთი მძივის მარცვალი ერთდროულად ხისაც არის და ყავისფერიც და ამიტომ ორივე კატეგორიაში უნდა განიხილოს.



## პიაჟეს კოგნიტური განვითარების სტადიები

პიაჟე ბავშვთა კოგნიტურ განვითარებას ოთხ სტადიად ყოფდა: სენსორმოტორული, პრეოპერაციული, კონკრეტულოპერაციული და ფორმალუროპერაციული. თითოეული სტადია ხასიათდება აზროვნების განსხვავებული მოდელით. რადგან ყოველი სტადია ემყარება წინა სტადიების მიღწევებს, ყველა ბავშვი ერთი და იმავე თანმიმდევრობით გაივლის განვითარების სტადიებს. ასაკობრივი ზღვრები საშუალო რიცხვებს წარმოადგენს; ზოგიერთი ბავშვი შედარებით ადრე მიაღწევს შემდეგ სტადიას, ზოგიც კი შედარებით გვიან. ხანდახან ბავშვები გარდამავალ სტადიაში იმყოფებიან და, შესაბამისად, ორი მომიჯნავე სტადიის თავისებურებებს ავლენენ.

### *სენსორმოტორული სტადია (დაბადებიდან 2 წლამდე)*

სენსორმოტორულ სტადიაში ბავშვები სამყაროს შესახებ ცოდნას თავიანთი შეგრძნებების (როგორც არის სმენა და მხედველობა) და ფიზიკური მოქმედებების (როგორც არის ხელის გაწვდენა და შეხება) გამოყენებით აგებენ. ამ სტადიის დასაწყისში ბავშვები ავლენენ თანდაყოლილ ქცევებს, ანუ რეფლექსებს, როცა სამყაროსთან ადაპტაციას (მორგებას) ცდილობენ. შეეხეთ ახალშობილის ტუნებს და ბავშვი წოვას დაიწყებს; დადეთ თქვენი თითი ახალშობილის ხელისგულზე და ბავშვი მას მოეჭიდება. ეს და მსგავსი ქცევები თანდაყოლოლია და ჩვილი ბავშვის პირველი სქემების განვითარების საფუძველს ქმნის.

ჩვილი ბავშვები მალე სწავლობენ, რომ რეფლექსების გამოყენება შეიძლება უფრო საინტერესო და წინასწარგანზრახული მოქმედებების შესასრულებლად. თავდაპირველად სწავლის პროცესი, ძირითადად, შემთხვევით ხასიათს ატარებს, მაგრამ ბავშვები მალევე იწყებენ მიზანმიმართული ექპერიმენტების ჩატარებას, რათა უკეთ შეიცნონ სამყარო. ატარებენ რა მიზანმიმართულ ცდებს და უშვებენ შეცდომებს, ბავშვები იწყებენ მნიშვნელოვანი კოგნიტური შესაძლებლობების გამოვლენას. ისინი პირველად იწყებენ აზროვნებას და საგნებისა და მოვლენების გონებაში წარმოსახვას. ეს მნიშველოვანი პროგრესია ბავშვის აზროვნებაში: მას შეუძლია მოიფიქროს, აწონ-დაწონოს და დაგეგმოს მოქმედება. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ 2 წლის სალომე სამზარეულოში თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ამზადებს სადილს დედა. სალომემ იცის, თუ სად დეეს პატარა სკამი, რომელზედაც შეიძლება დადგეს. სალომე დედას სთხოვს, მოიტანოს პატარა სკამი, რათა მან უფრო კარგად დაინახოს, თუ რას აკეთებს დედა და სასუნავსაც უფრო ადვილად მიწვდეს. ის, რომ სალომემ შეძლო ამ პრობლემის გადაწყვეტა, შემთხვევითი არ არის. იგი დაფიქრდა

პრობლემაზე, მოიფიქრა მისი შესაძლო გადაჭრის გზა (პატარა სკამი), გონებაში წარმოიდგინა და გამოსცადა თავისი გადაწყვეტილება და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცადა მის პრაქტიკაში განხორციელებას.

ამ სტადიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა საგანთა მუდმივობის ცნების გაგება. ბავშვები სწავლობენ, რომ საგნები და მოვლენები არსებობს მაშინაც კი, როცა მათ ვერ ხედავ. მაგალითად, თუ 6 თვის ირაკლის სათამაშო კლოუნს ყუთში ჩავდებთ ისე, რომ იგი მას ვეღარ ხედავდეს, ირაკლი კლოუნს აღარ დაუწყებს ძებნას. მას არ შეუძლია კლოუნზე ფიქრი, როცა ვერ ხედავს. დაახლოებით 1 წლიდან, ბავშვებმა უკვე იციან, რომ საგნები არსებობენ მაშინაც კი, თუ ისინი შენი მხედველობის არეში არ არიან. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი აზროვნების უფრო მაღალ დონეზე გადავიდნენ.


როცა ბავშვებს კარგად ესმით საგანთა მუდმივობის ცნება, მათ შეუძლიათ სიმბოლური აზროვნება დაიწყონ. სიმბოლური აზროვნება წარმოადგენს ბავშვების უნარს, გონებაში წარმოსახონ და სიმბოლოების საშუალებით იფიქრონ საგნებზე და მოვლენებზე. ბავშვებს, რომლებსაც სიმბოლური აზროვნების უნარი აქვთ, შეუძლიათ წარმოიდგინონ და გონებაში გამოსცადონ საგნები და მოქმედებები: მათ შეუძლიათ, წინასწარ აღიქვან, თუ რა მოხდება მათი მოქმედების შედეგად და მხოლოდ ამის შემდეგ შეეცდებიან მათ პრაქტიკაში განხორციელებას. ზემოთ ნახსენები 2 წლის სალომე უკვე ამჟღავნებს სიმბოლური აზროვნების უნარს.

#### *პრეოპერაციული სტადია (2-დან 7 წლამდე)*

პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა ენობრივი უნარები საოცარი სისწრაფით ვითარდება, რაც მათ საშუალებას აძლევს, გონებაში წარმოსახონ და, სიმბოლოების საშუალებით, იფიქრონ მრავალფეროვან საგნებზე და მოვლენებზე. ენა, ამასთანავე, ახალი სოციალური ურთიერთობის, ვერბალური კომუნიკაციის საფუძველს ქმნის. ბავშვებს შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შესაძლებელი არ იყო. მიუხედავად ამისა, პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა აზროვნების უნარი საოცრად პრიმიტიული რჩება. პიაჟეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ პატარა ბავშვებს არ ესმით კონსერვაციის (შენარჩუნების) პრინციპები.

მაგალითი:

5 წლის ქეთის ვაჩვენეთ ორი ერთნარი, განიერი და დაბალი ჭიქა, რომლებშიც ერთი და იგივე რაოდენობის წყალი ასხია. როცა ქეთის ვეკითხებით, შეიცავს თუ არა ორივე ჭიქა ერთსა და იმავე რაოდენობის წყალს და იგი დარწმუნებული გასახუბობს, რომ კი, ეს მართლაც ასეა. შემდეგ მეორე ჭიქიდან წყალს მესამე, უფრო მაღალ და ვიწრო ჭიქაში ვასხამთ და ქეთის ვეკითხებით, შეიცავს თუ არა პირველი და მესამე ჭიქა ერთსა და იმავე რაოდენობის წყალს. ქეთი გგაპასუხობს, რომ არა, მესამე ჭიქაში უფრო მეტი წყალია, იმიტომ რომ ის უფრო მაღალია.



ქეთის პასუხიდან ჩანს, რომ მას კონსერვაციის პრინციპები არ ესმის: იგი ვერ ხვდება, რომ რადგან წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია, მაშინ წყლის რაოდენობა პირველ და მესამე ჭიქაში თანაბარი უნდა იყოს. ქეთი ყურადღებას აქცევს მხოლოდ ერთ ასპექტს (ჭიქის სიმაღლეს) და იგნორირებას უკეთებს ყველაფერს სხვას (მაგალითად, იმ ფაქტს, რომ წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია). პროექტორიულ სტადიაში მეოფ ბავშვს სჯერა, რომ მთლიანი ნამცხვარი უფრო მეტია, ვიდრე 8 ნაჭრად დაჭრილი იმავე ზომის ნამცხვარი.

პროპერაციული აზროვნება ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით, რითაც შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ უშვებენ ბავშვები მსგავს შეცდომებს.

- პირველი დამახასიათებელი თვისებაა ცენტრაცია: ყურადღების გამახვილება სიტუაციის მხოლოდ ერთ, ყველაზე ნათელ და ადვილად აღსაქმელ ასპექტზე და ყველა სხვა დანარჩენი ასპექტის იგნორირება. ჭიქის სიმაღლე წყლის ყველაზე ადვილად აღსაქმელი თავისებურებაა, ამიტომაც ბავშვები ასკვნიან, რომ მაღალ, ვიწრო ჭიქაში უფრო მეტი წყალი ასხია.

- მეორე თავისებურებაა ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ ტრანსფორმაციის უნარი: ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესის გონებაში ასახვის და აღბეჭდვის უნარი. მათ არ შეუძლიათ, გონებაში აღბეჭდონ მეორე ჭიქიდან მესამეში გადასხმის პროცესი; ისინი მესამე ჭიქას აღიქვამენ, როგორც სრულიად ახალს და განსხვავებულს.

- ხოლო მესამე თავისებურებაა ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ უნარი, შეასრულონ ოპერაციები, ანუ გონებრივი წარმოსახვები, რომლებიც შექცევადია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არა აქვთ უნარი, თავიანთი ფიქრის მიმართულება შეცვალონ ისე, რომ საწყის პოზიციას დაუბრუნდნენ. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება იცოდეს, რომ  $2 + 4 = 6$ , მაგრამ არ ესმოდეს, რომ საწინააღმდეგო მოქმედება  $6 - 4 = 2$  სწორია. პროპერაციული სტადიის ბავშვებს გონებაში წყლის გადასხმის პროცესის საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოდგენის უნარი რომ ჰქონდეთ, ისინი მიხვდებოდნენ, რომ როცა წყალს ისევ უკან, დაბალ ჭიქაში გადაასხამ, მისი რაოდენობა არ შეიცვლება.

პროპერაციული აზროვნება შეიძლება არალოგიკური იყოს. გაიხსენეთ 5 წლის გიორგი, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ყავისფერი მძივის მარცვლები უფრო მეტი იყო, ვიდრე ხის. გიორგის მსჯელობა მიუთითებს იმაზე, რომ მას ჯერ არა აქვს კატეგორიათა ჩართვის (ინკლუზიის) უნარი: ყოველ მოცემულ სიტუაციაში მას შეუძლია საგნების მხოლოდ ერთ სახეობაში კლასიფიკაცია. იგი ვერ ახერხებს მძივის მარცვლების ორ კატეგორიაში (ყავისფერი და ხის) ჩართვას.

პროპერაციული სტადია ასევე ხასიათდება ეგოცენტრული აზროვნებით: სიტუაციების სხვა ადამიანის პოზიციიდან/მხედველობის არედან დანახვის უნარის ნაკლებობით. ამ სტადიაზე მყოფი ბავშვები ფიქრობენ, რომ ყველა ისე ხედავს სამყაროს, როგორ თვითონ ხედავენ.

ქვემოთ მოცემულია ეგოცენტრული აზროვნების მაგალითი. სატელეფონო საუბარი 4 წლის საბას (რომელიც სახლშია) და მის მამას (რომელიც სამსახურშია) შორის:

მამა: საბა, დედა სახლშია?

საბა: (ჩუმად თავს აქნევს).

მამა: საბა, შეგიძლია დედას დაუძახო?

საბა: (ისევ ჩუმად თავს აქნევს).



საბას პასუხი ეგოცენტრულია, იგი ვერ ხედავს სიტუაციას მამის მხედველობის არედან და ვერ ხვდება, რომ მამას არ შეუძლია დაინახოს, თუ როგორ დაუქნია საბამ თავი.

პრეოპერაციული სტადიის ბოლოსკენ ბავშვები მოწიფული ლოგიკური აზროვნების ნიშნების გამოქვეყნებას იწყებენ. მაგალითად, მათ ხანდახან შეუძლიათ, სწორად გადაჭრან პრობლემები, რომლებიც საგანთა სხვადასხვა კატეგორიებში ჩართვას მოითხოვს (მაგალითად, მძივის მარცვლების პრობლემა) და ამოცანები, რომლებიც კონსერვაციის პრინციპების გაგებას მოითხოვს (მაგალითად, წყლის ჭიქების პრობლემა). მაგრამ მათი აზროვნება გუმანსა და ინტუიციას დაყრდნობილი, და არა ძირითადი ლოგიკური პრინციპების შეგნებულ



ცოდნაზე. ამიტომაც ბავშვებს არ შეუძლიათ ახსნან, თუ რატომ არის მათი დასკვნები და პასუხები სწორი.

### პროგნოზირებადი მოაზროვნე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები

1. ჩართეთ ბავშვები სოციალურ სიტუაციებში, რათა შეამციროთ მათი ეგოცენტრიზმი.
2. როცა ბავშვები ეგოცენტრული აზროვნების ნიშნებს გამოავლენენ გამოხატეთ შეცბუნება და აუხსენით რომ სხვები სხვანაირად ფიქრობენ. პირველკლასელი ბავშვი სვამს კითხვას: „ეს რა არის?“ მასწავლებელი პასუხობს: „რა რა არის? მე ვერ ვხედავ შენ რას უყურებ.“
3. სთხოვეთ ბავშვებს, შედარებები გააკეთონ ისეთი ცნებების გამოყენებით, როგორიცაა: უფრო მაღალი დიდი, განიერი, მძიმე, გრძელი და ა.შ.
4. ავარჯიშეთ ბავშვები რიგითობის და თანმიმდევრობის მოქმედებებზე. მაგალითად, სთხოვეთ ბავშვებს დადგინონ რიგში სიმალის მიხედვით. აჩვენეთ ბავშვებს სურათები რომლებიც სხვადასხვა ცხოველის და მცენარის განვითარების ეტაპებს ასახავს და სთხოვეთ, თანმიმდევრულად დაალაგონ ისინი.
5. მიეცით ბავშვებს ფიზიკური საგნების შესწავლის და მანიპულირების შესაძლებლობა. ამუშავეთ ბავშვები პატარა საგნებთან (მაგალითად დილები, ხურდა ფული, პატარა ბურთები), რათა გამოიკვლიონ არითმეტიკის ძირითადი მოქმედებები, როგორიცაა მიმატება და გამოკლება.

6. სთხოვეთ ბავშვებს, დააგროონ სხვადასხვა ზომის ბურთები დაქანებულ სიბრტყეზე ან გორაკზე. შემდეგ სთხოვეთ, შეადარონ, თუ რამდენად სწრაფად ჩადის ბოლოში სხვადასხვა ზომის ბურთი. ეს დაეხმარება მათ სიჩქარის ცნების გაგებაში.
7. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ სცენები სივრცის პერსპექტივის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ბავშვები ხედავენ ცხენს, რომელიც მინდვრის ბოლოში დგას, მათ ნახატშიც ცხენი სწორედ მინდვრის ბოლოში უნდა იყოს.
8. სთხოვეთ ბავშვებს, ახსნან და დაამოწმონ თავიანთი დასკვნები და პასუხები. მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს, რომ როცა დაბალი, განიერი ჭიქიდან მაღალ, წვრილ ჭიქაში წყალს ვასხამთ, მაღალ წვრილ ჭიქაში წყლის რაოდენობა იცვლება, დაუსვით კითხვა: „რატომ ფიქრობ, რომ ეს ასეა?“ ან „როგორ დაუმტკიცებ შენს მეგობარს, რომ ეს მართლაც ასეა?“




## კონკრეტულ ოპერაციულ სტადია (7-დან 11-12 წლამდე)

პიაჟე ვარაუდობდა, რომ როცა ბავშვები კონკრეტულ ოპერაციულ სტადიაზე გადადიან, მათი აზროვნების პროცესები გონებრივი პროცესების უფრო ფართო სისტემებად ანუ ოპერაციებად ყალიბდებიან. ინტუიციას ლოგიკური აზროვნება ცვლის, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებში. ამ სტადიაზე მყოფ ბავშვებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ აბსტრაქტულად აზროვნების უნარი.

კონკრეტულ ოპერაციაში მოიაზრება კონკრეტულ, რეალურ საგნებთან დაკავშირებული გონებრივი პროცესი, რომლის მიმართვა შესაძლებელია საწინააღმდეგო მიმართულებითაც. კონკრეტული ოპერაციების საშუალებით, ბავშვებს შეუძლიათ, ერთდროულად საგნის რამდენიმე თავისებურებაზე გაამახვილონ ყურადღება. კონკრეტულ ოპერაციულ სტადიაზე მყოფ ბავშვებს შეუძლიათ გონებაში წარმოსახონ ის მოქმედებები, რისი გაკეთებაც ადრე მხოლოდ ფიზიკური მოქმედებებით შეეძლოთ. აგრეთვე, მათ შეუძლიათ, ეს მოქმედებები საწინააღმდეგო მიმართულებითაც წარმოიდგინონ. შესაბამისად, ამ სტადიაზე მყოფი ბავშვები უკვე ამჟღავნებენ, რომ ესმით კონსერვაცია: ისინი ხვდებიან, რომ ჭიქის ფორმის შეცვლის მიუხედავად, წყლის რაოდენობა იგივე რჩება, თუ მას არაფერი დავამატეთ, ან გამოვაკელით. მათ შეუძლიათ, გონებით წარმოსახონ წყლის ერთი ჭიქიდან მეორეში და მერე ისევ უკან, პირველ ჭიქაში გადასხმის პროცესი.

კონკრეტულ ოპერაციულ სტადიაზე მყოფ ბავშვებს შეუძლიათ საგნების კლასიფიკაცია, ანუ მათი კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად დაყოფა მათი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, მათ აქვთ კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებს შორის ურთიერთობების განხილვის უნარი. თუმცა, ამ სტადიაზე მყოფი ბავშვები ჯერ კიდევ ვერ უმკლავდებიან უფრო რთული კლასიფიკაციის სისტემებს. ქვემოთ ნახატზე გამოსახული ოთხი თაობის გენეალოგიური ხე გვიჩვენებს, რომ ბაბუას (ა) ჰყავს სამი შვილი (ბ, გ და დ). ბ, გ და დ-ს, თითოეულს ჰყავს ორი შვილი (ე-დან კ-ს ჩათვლით), და ამათგან ერთ-ერთს (კ-ს) ჰყავს სამი შვილი. კონკრეტულ ოპერაციულად მოაზროვნე ბავშვებს შეუძლიათ იმის მოაზრება, რომ ადამიანი „კ“ შეიძლება ერთდროულად იყოს მამაც, შვილიც, შვილიშვილიც და ძმაც მამის, როცა პროპერაციულად მოაზროვნე ბავშვს არ შეუძლია ამის გაკეთება.



აგრეთვე, კონკრეტულოპერაციულ სტადიაზე მყოფი ბავშვები კატეგორიათა ჩართვის (ინკლუზიის) უნარსაც ავლენენ: მათ უკვე შეუძლიათ საგნების ერთდროულად რამდენიმე კატეგორიაში კლასიფიკაცია. მაგალითად, ისინი შეძლებენ მძივის მარცვლების ერთდროულად ორ კატეგორიაში განხილვას, მასალის (ხე) და ფერის (ყავისფერი და წითელი) მიხედვით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რასაც ბავშვები კონკრეტულოპერაციულ სტადიაზე ყოფნისას სწავლობენ, არის *სერიაცია/დახარისხება*, ანუ საგნების დალაგება რაოდენობრივი მახასიათებლის (მაგალითად, სიგრძის, წონის ან მოცულობის) მიხედვით. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს სერიაციის უნარი, იგი შეძლებს, შეასრულოს მასწავლებლის თხოვნა, დააღაგოს ჩხირები სიგრძის მიხედვით, ყველაზე მოკლე ჩხირიდან ყველაზე გრძელამდე. სერიაციის უნარის დაუფლების შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ, შეიძინონ ახალი უნარი, ტრანზიტულობა. ტრანზიტულობა არის ორ საგანს შორის ურთიერთობის შესახებ დასკვნის გაკეთების უნარი, მათი მესამე საგანთან ურთიერთობის შესახებ ცოდნის საფუძველზე. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაქვთ სამი ჩხირი. ბავშვს აჩვენებთ ორ ჩხირს, როგორც ქვემოთ ნახატზეა ნაჩვენები:



ა ბ

შემდეგ აიღეთ ჩხირი „ბ“ და აჩვენეთ ბავშვს ჩხირები „ა“ და „ბ“, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები:



ა ბ

ამის შემდეგ კი ჰკითხეთ ბავშვს, „რა იცი „ბ“ და „გ“ ჩხირების ურთიერთმიმართების შესახებ?“

კონკრეტულპერაციულად მოაზროვნე ბავშვი დაასკვნის, რომ „ბ“ ჩხირი უფრო გრძელია, ვიდრე „გ“. იგი ფიქრობს, რომ რადგან „ბ“ ჩხირი უფრო გრძელია, ვიდრე „ა“ და „ა“ უფრო გრძელია, ვიდრე „გ“, ამიტომ „ბ“ ჩხირი „გ“-ზე უფრო გრძელი უნდა იყოს. ასეთი სახის აზროვნება ტრანზიტულობის უნარის ფლობაზე მიუთითებს. პრეოპერაციულად მოაზროვნე ბავშვებს ეს უნარი არ გააჩნიათ.

დაწყებითი სკოლის მოსწავლეები, რომლებიც კონკრეტულპერაციულ სტადიაზე იმყოფებიან, იწყებენ ეგოცენტრული აზროვნებიდან უფრო ობიექტური აზროვნებისკენ გადასვლას. ისინი უკვე ხვდებიან, რომ სხვა ადამიანები შეიძლება არ იზიარებდნენ მათ შეხედულებებს და გრძნობებს. მაგალითად, ამ სტადიაში მყოფ ბავშვებს ესმით, რომ სხვადასხვა ბავშვი შეიძლება სხვადასხვანაირ გამოსახულებას ხედავდეს ღრუბლებში.

**კონკრეტული პრაქტიკული მაზროვნე ბავშვებთან მუშაობის  
სტრატეგიები**

1. ხელი შეუწყეთ მოსწავლეებს, შეიცნონ (გაიაზრონ) ცნებები და პრინციპები. დაუსვით სათანადო კითხვები ახალი სასწავლო მასალის შესახებ, რათა მათ შეძლონ კონცენტრაციის გაკეთება სწავლის რომელიმე ასპექტზე. შეეცადეთ, პირდაპირ არ გასცეთ პასუხები მოსწავლეთა კითხვებზე. არამედ, დაეხმარეთ, რომ თვითონვე მოიფიქრონ პასუხი.

2. მიეცით მოსწავლეებს ისეთი ოპერაციული დავალებები, როგორც არის მიმატება, გამოკლება, გაყოფა, სერიაცია და ისეთი დავალებები, რომელიც მოქმედებების საწინააღმდეგო მიმართულებით შესრულებას მოითხოვს. ამ დავალებებისთვის გამოიყენეთ კონკრეტული საგნები და მოგვიანებით კი გააცანით მათემატიკის სიმბოლოები.

3. მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები, რომლებიც მათ აღმავალი და დადმავალი კლასიფიკაციის იერარქიებზე ავარჯიშებს. მაგალითად, სთხოვეთ ბავშვებს ზომის მიხედვით (უდიდესიდან ყველაზე პატარამდე) დაალაგონ: საქართველო, ევროპა, აღმოსავლეთ ნახევარსფერო და დედამიწა.

4. მიეცით მოსწავლეებს დავალებები, რომლებიც სივრცის, წონის და გადაადგილებული სითხის კონსერვაციის პრინციპების ცოდნას მოითხოვს.

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ თავიანთი პასუხები, როცა ისინი ამოცანებს ხსნიან, ან პრობლემებს წყვეტენ. დაეხმარეთ მათ პასუხების საფუძვლიანობის და სისწორის შემოწმებაში.

6. წახალისეთ ბავშვები, რომ ჯგუფებში იმუშაონ და ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ.

7. როცა რთულ მასალას ხსნიან, დამხმარე ვიზუალური საშუალებები გამოიყენეთ. მაგალითად, ქიმიის ან ფიზიკის გაკვეთილის დროს, მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, ჩაატარონ ექპერიმენტები; მათემატიკაში გამოიყენონ კონკრეტული საგნები; ლიტერატურაში - დადგან და გაითამაშონ სცენები და ერთმანეთთან განიხილონ თავიანთი მოსაზრებები; ზოოლოგიაში - ესტუმრონ ზოოპარკს; საქართველოს ისტორიაში - უყურონ ვიდეომასალას, ან ექსკურსიაზე წავიდნენ ისტორიული ადგილის სანახავად და ასე შემდეგ.


*ფორმალუროპერაციული სტადია (11-12 წლიდან მოზრდილ ასაკამდე)*

კონკრეტულოპერაციულად მოაზროვნე ბავშვებისგან განსხვავებით, ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მყოფ მოზარდებს შეუძლიათ, ლოგიკურად იაზროვნონ არამარტო კონკრეტულ და რეალურ, არამედ ჰიპოთეზურ, აბსტრაქტულ და არარეალურ საგნებთან და მოვლენებთან დაკავშირებით.

ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მყოფ მოზარდებს გააჩნიათ აბსტრაქტული აზროვნების უნარი. დავუბრუნდეთ ზემოთმოყვანილ ჩხირების მაგალითს: კონკრეტულოპერაციულად მოაზროვნე ბავშვს სჭირდება სამივე ჩხირის დანახვა იმისათვის, რომ დაასკვნას: თუ  $b > a$  და  $a > c$ , მაშინ  $b > c$ . ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მყოფ მოზარდებს შეუძლიათ ამ ამოცანის ამოხსნა მაშინაც კი, როცა ის მხოლოდ სიტყვიერად არის წარმოდგენილი; მათ არ სჭირდებათ ჩხირების დანახვა.

აბსტრაქტულ აზროვნებას თან ახლავს იდეალიზების და წარმოსახვის უნარები. ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მოზარდები იწყებენ ფიქრს იმის შესახებ, თუ რა იდეალური თვისებებია სასურველი მათთვის და მათ გარშემო მყოფი ადამიანებისთვის. აგრეთვე, მათ ძალიან იდეალისტური შეხედულებები უყალიბდებათ სოციალურ, პოლიტიკურ და ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ბევრი მოზარდი დაინტერესებულია ისეთი პრობლემებით, როგორცაა უსახლკარო ბავშვების, მსოფლიოს მშვიდობის და ცხოველთა უფლებების საკითხი. თუმცა, რეკომენდაციები, რასაც ისინი გვთავაზობენ, მდგომარეობის გამოსასწორებლად შეიძლება ლოგიკური ჩანდეს, მაგრამ ხშირად არაპრაქტიკულია. მოზარდთა იდეალისტური ფიქრები ხანდახან ფანტაზიებში გადაიზრდება ხოლმე. ბევრი მოზარდი მოუთმენლად ცდილობს თავისი ახლადნაპოვნი იდეალების რეალობაში გადმოტანას.

ასევე, ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მყოფ მოზარდებს აქვთ ჰიპოთეზურად აზროვნების უნარი. მათ შეუძლიათ, იმსჯელონ ისეთ სიტუაციებზე და გარემოებებზე, რაც მათ თვითონ არ გამოუცდიათ. მათ შეუძლიათ, კამათის ან დისკუსიის დროს დაუშვან ისეთი გარემოებები, რაც დაუსაბუთებელია, არ არსებობს, ან ეწინააღმდეგება სინამდვილეს. გავიხსენოთ ზემოთმოყვანილი მაგალითები (ბავშვები-ბურთები-ნამცხვრები): თუ ყველა ბავშვი ბურთია და ყველა ბურთი ნამცხვარია, მაშინ ფორმალუროპერაციულად მოაზროვნეები ლოგიკურად დაასკვნიან, რომ ყველა ბავშვი ნამცხვარია, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ბავშვები არ არიან ნამცხვრები.



ჰიპოთეზური აზროვნების ერთ-ერთი მაგალითია ფორმალური დებატები, სადაც თავიანთი შეხედულებებისა და გამოცდილების მიუხედავად, მონაწილეები მზად უნდა იყვნენ, დაიცვან საკამათო საკითხის ნემისმიერი მხარე და შეძლონ მათი პოზიციის ლოგიკურად ახსნა და დასაბუთება.

ფორმალუროპერაციულ სტადიაზე მყოფი მოზარდები ავლენენ რამდენიმე მნიშვნელოვან უნარს: ჰიპოთეზების ფორმულირება - გამოცდა და პროპორციული აზროვნება, რაც აუცილებელია დახვეწილი სამეცნიერო და მათემატიკური აზროვნებისა თუ მსჯელობისათვის. პიაჟეს აზრით, ფორმალუროპერაციული აზროვნების განვითარებასთან ერთად მოსწავლეთა მათემატიკური შესაძლებლობებიც უმჯობესდება. მათ უკვე უადვილდებათ აბსტრაქტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. აგრეთვე, მოსწავლეებს შეუძლიათ ისეთი ცნებების გაგება, როგორც არის უარყოფითი რიცხვი, პი და უსასრულობა. მათ ახლა უკვე უნდა ესმოდეთ, რომ ტემპერატურამ შეიძლება ნულის ქვევით დაიწიოს, და რომ ორი პარალელური ხაზი ერთმანეთს არასოდეს შეეხება, უსასრულობამდეც რომ გაგრძელდეს.

ფორმალუროპერაციული აზროვნების განვითარებასთან ერთად მოსწავლეთა მეცნიერული აზროვნების შესაძლებლობებიც უმჯობესდება. ფორმალუროპერაციული უნარები – ჰიპოთეზურ იდეებზე ლოგიკურად აზროვნების უნარი და ჰიპოთეზების ფორმულირების და გამოცდის უნარი – შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, გამოიყენონ მეცნიერული მეთოდი: რამდენიმე სავაურაულო ახსნა მოუძებნონ დაკვირვების საგანს, ან ფენომენს და შემდეგ თავიანთი თეორიები სისტემატურად გააანალიზონ და გამოსცადონ.

ფორმალუროპერაციული სტადიისათვის დამახასიათებელი აზროვნების ფორმები, დაახლოებით, 11–15 წლის ასაკში იჩენს თავს, მაგრამ ბევრი ადამიანი ვერასოდეს აღწევს ამ სტადიას. ხშირად ადამიანები ფორმალუროპერაციულ აზროვნებას მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში იყენებენ, როგორც მოზარდ, ასევე ზრდასრულ ასაკში.

მოზარდებში თავს იჩენს ახალი ფორმის ეგოცენტრიზმი. მოზარდთა ეგოცენტრიზმი ხასიათდება საკუთარი უნიკალურობის შეგრძნებით, სურვილით, რომ თვალში საცემნი იყვნენ; რწმენით, რომ სხვები ისევე დაინტერესებულნი არიან მათით, როგორც თვითონ. მაგალითად, 16 წლის ელენე, რომელსაც მეგობარი ბიჭი დაშორდა. იგი საკუთარი უნიკალურობის შეგრძნებას ამჟღავნებს, როცა დედას ეუბნება: „შენ ვერც კი წარმოიდგენ, მე რას ვგრძნობ. შენ არასოდეს გამოგიცდია ასეთი ტკივილი.“ ზოგიერთ მოზარდში ეგოცენტრიზმი ასევე ხასიათდება საკუთარი უვნებლობის შეგრძნებით. ასეთი მოზარდები ხშირად განუსჯელ და მოუფიქრებელ საქციელს ჩადიან, როგორიც არის ნარკოტიკების გამოყენება, მანქანის ძალიან სწრაფად ტარება და თვითმკვლელობის მცდელობა. ეგოცენტრიზმი ნორმალური მოვლენაა მოზარდებში და უფრო ხშირია საბაზო საფეხურის მოსწავლეებში.

პიაჟეს თანახმად, ფორმალუროპერაციულ სტადიაზე კოგნიტური განვითარება მთავრდება. თუმცა ინტელექტუალური განვითარება შეიძლება მოზრდილ ასაკშიც გაგრძელდეს. პიაჟეს მიაჩნდა, რომ საფუძველი უკვე ჩაყრილია და ახალი გონებრივი სტრუქტურების განვითარება საჭირო აღარ არის. ადამიანებს მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნა და უფრო რთული და დახვეწილი სქემების განვითარება სჭირდებათ.

**ფორმალუროპერაციულად მოაზროვნე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები**

1. გახსოვდეთ, რომ ბევრი მოზარდი არ არის სრულად განვითარებული/ მომწიფებული ფორმალუროპერაციულად მოაზროვნე. მართალია, პიაჟეს მიაჩნდა, რომ ფორმალუროპერაციული აზროვნება, დაახლოებით, 11–12 წლის ასაკში იწყება, სინამდვილეში, ამ ასაკის ბევრი მოსწავლე კონკრეტულუროპერაციულად მოაზროვნეა, ან მხოლოდ იწყებს ფორმალუროპერაციული აზროვნების გამოყენებას. ამიტომაც, ბევრი ზემოთ მოცემული კონკრეტულუროპერაციულად მოაზროვნე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგია მოზარდებისთვისაც შესაფერისია.

2. წამოაყენეთ პრობლემა და სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ მისი გადაჭრის ჰიპოთეზური გზები. მაგალითად, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „წარმოიდგინეთ, რომ გოგონას მეგობრები არაჰყავს. რა უნდა ქნას მან?“

3. წამოაყენეთ პრობლემა და მისი გადაჭრის რამდენიმე გზა. შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, შეაფასონ თითოეული ალტერნატივა.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ თავიანთი დასკვნები. მაგალითად, ჰკითხეთ, „რა ნაბიჯები გაიარე, ეს პრობლემა რომ გადაგჭრა?“

5. შეადგინეთ პროექტები და გამოკვლევები, რაც შეიძლება რომ მოსწავლეებმა განახორციელონ. პერიოდულად ჰკითხეთ, თუ როგორ აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს და ინფორმაციას.

6. გახსოვდეთ, რომ მოზარდები ხშირად ფორმალუროპერაციულ აზროვნებას იყენებენ იმ სფეროში, რომელშიც ყველაზე დახელოვნებულები და გამოცდილები არიან. მაგალითად, მოსწავლე, რომელსაც ქართული უყვარს, ბევრს კითხულობს და წერს, ფორმალუროპერაციულ აზროვნების უნარს გამოიყენებს ამ სფეროში. მაგრამ იმავე მოსწავლეს შეიძლება არ უყვარდეს მათემატიკა და მათემატიკაში კონკრეტულუროპერაციული აზროვნების უნარს იყენებდეს.



**1. ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლეთა აზროვნების პროცესებზე და არა მხოლოდ მის შედეგებზე.** მასწავლებლებმა მხოლოდ მოსწავლეების პასუხები კი არ უნდა შეამოწმონ, არამედ უნდა იცოდნენ, თუ რა გონებრივი პროცესები გამოიყენეს ბავშვებმა ამ პასუხების მისაღებად. სასწავლო პროცესები მაშინ არის ეფექტური, როცა ისინი ემყარება ბავშვთა არსებული კოგნიტური განვითარების დონეს. მასწავლებლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, შესაფერისი სასწავლო სიტუაციები და გამოცდილებები შეუქმნან ბავშვებს, როცა ესმით, თუ რა მეთოდებს იყენებენ ბავშვები კონკრეტული დასკვნების გამოსატანად.

**2. გააცნობიერეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინიციატივა და აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.** ნაკლები ყურადღება გაამახვილეთ ცოდნის/მასალის პირდაპირ პრეზენტაციაზე/მიწოდებაზე და მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, თვითონ გააკეთონ აღმოჩენები გარემოსთან უშუალო ურთიერთობის საშუალებით. დიდაქტიკურად სწავლის მეთოდების ნაცვლად, გამოიყენეთ მრავალფეროვანი დავალებები, რაც ბავშვებს უშუალოდ ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობას მისცემს.

**3. გააცნობიერეთ, რომ მოსწავლეთა განვითარების ტემპები განსხვავებულია და გაითვალისწინეთ ეს განსხვავება სასწავლო პროცესში.** პიუეს თეორიის მიხედვით, ყველა ბავშვი განვითარების სტადიებს ერთნაირი თანმიმდევრობით გადის, თუმცა განსხვავებული სისწრაფით/ტემპით. ამიტომაც მასწავლებლებმა სასწავლო დავალებები და სავარჯიშოები ცალკეული მოსწავლეებისთვის, ან მოსწავლეთა პატარა ჯგუფებისთვის უნდა დაგეგმონ, და არა მთელი კლასისთვის. გარდა ამისა, მოსწავლეთა შეფასება უნდა მოხდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების პროგრესის გათვალისწინებით, და არა ნორმატიული სტანდარტით, რომელიც ბავშვის მიღწევებს მისივე ასაკის ან კლასის ბავშვების მოსწრებას ადარებს.

## სოციალური განვითარება

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას მოიცავს მოსწავლეთა სოციალური განვითარება და რა გავლენას ახდენს იგი მოსწავლეთა სწავლაზე;

მოსწავლეთა სოციალურ განვითარებაში რა როლს თამაშობს სკოლა, თანატოლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა;

რას ნიშნავს სოციალური ცნობიერება, რა მნიშვნელოვან ასპექტებს მოიცავს და როგორ იცვლება იგი მოსწავლის ასაკთან ერთად;

რა არის მოსწავლეებში აგრესიის გამომწვევი მიზეზები და როგორ უნდა შეუწყოს ხელი აგრესიის და ძალადობის შემცირებას;

რა გავლენას ახდენს ოჯახი და მშობლის აღზრდის სტილი მოსწავლეთა სოციალურ განვითარებაზე;

როგორ შეეუწყოს ხელი მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.

სოციალური განვითარება მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, კომუნიკაციის უნარების განვითარებას. სოციალური განვითარება მოსწავლეთა სწავლაზეც ახდენს გავლენას: ბავშვები, რომლებიც პიროვნულად და სოციალურად კარგად არიან განვითარებულნი, უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებას აღწევენ; უფრო მოსწონთ სკოლა და სწავლა.

## **თანატოლებთან ურთიერთობა**

თანატოლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებისა და მოზარდების პიროვნულ და სოციალურ განვითარებაში. თანატოლებთან ურთიერთობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ისწავლონ და გამოიყენონ შექმდე სოციალური უნარ-ჩვევები: მოლაპარაკება, დარწმუნება, თანამშრომლობა, კომპრომისზე წასვლა, ემოციური კონტროლი და კონფლიქტების გადაჭრა. ამავე დროს, თანატოლები ხშირად უწევენ ერთმანეთს სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერას, რაც მათ ძალიან სჭირდებათ. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვები თანატოლებს უყურებენ, როგორც გართობის წყაროს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ხვდებიან, რომ მეგობრებს შეუძლიათ მათ გვერდში ამოუდგნენ, ნუგეში სცენ და თავი უსაფრთხოდ აგრძნობინონ. როცა ბავშვები სიმწიფის ასაკს აღწევენ, ემოციური მხარდაჭერისთვის თანატოლებს უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე უფროსებს. თანატოლებთან ურთიერთობა მოსწავლეებს სოციალიზაციაში ეხმარება: ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევის ფორმირებასა და შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, თანატოლები განსაზღვრავენ, თუ რისი გაკეთება შეიძლება თავისუფალ დროს. ისინი ერთმანეთს ახალ იდეებსა და შეხედულებებს სთავაზობენ. აგრეთვე, თანატოლები მაგალითს აძლევენ ერთმანეთს და განსაზღვრავენ, თუ რა არის მისაღები საქციელი, რისი გაკეთება შეიძლება და რომელი ქცევა იმსახურებს მოწონებას. ისინი სჯიან ისეთ საქციელს, რომელიც მათ მიერ მისაღები მოქმედებების საზღვრებს სცდება; სასჯელის ფორმად ხშირად დაცინვას, ჭორაობას და გარიყვას იყენებენ.

*სკოლამდელი ასაკის -ბავშვები* სკოლამდელი ასაკის ბავშვების სოციალურ და კოგნიტურ განვითარებაში თანატოლები თანდათან უფროდაუფრო მნიშვნელოვან როლს იძენენ. თანატოლებთან ურთიერთობა განსხვავდება ბავშვების უფროსებთან ურთიერთობისგან. თანატოლებთან თამაში მათ შესაძლებლობას აძლევს, ურთიერთობა დაამყარონ ისეთ ადამიანებთან, რომელთა განვითარების დონე მათსას შეესაბამება. როცა თანატოლები ერთმანეთთან კამათობენ, ბავშვებს უწევთ დათმობებზე წასვლა და თანამშრომლობა, რათა დავა წარმატებით გადაწყვიტონ და თამაში გააგრძელონ. თანატოლებს შო-

რის დავა განსხვავდება უფროსებსა და ბავშვებს შორის დავისაგან:

*ობ. III - გვ. 90*

*ობ. I - გვ. 20*

თანატოლებს შორის კამათის დროს არავის აქვს საბოლოო ძალაუფლება და ავტორიტეტი. თანატოლებს შორის კონფლიქტები ეხმარება ბავშვებს იმის დანახვაში, რომ სხვა ადამიანებსაც გააჩნიათ აზრები, შეხედულებები და გრძნობები, რომლებიც შეიძლება განსხვავებული იყოს. კონფლიქტები ეხმარება მათ, უფრო კარგად დაინახონ, თუ როგორ მოქმედებს მათი საქციელი სხვა ადამიანებზე. შესაბამისად, თანატოლებთან ურთიერთობა ბავშვებს ეხმარება ეგოცენტრიზმის გადალახვაში.

*დაწყებითი კლასების მოსწავლეები* - დაწყებითი კლასების ბავშვებში თანატოლებთან ურთიერთობა ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს. თავდაპირველად თანატოლთა ჯგუფები, ძირითადად, ერთი და იმავე სქესის და ასაკის ბავშვებისგან შედგება. ამის მიზეზი ალბათ პატარა ბავშვების უნარებისა და ინტერესების ერთფეროვნებაა. მეხუთე-მექვსე კლასებში ბავშვები უკვე ქმნიან ჯგუფებს, რომლებიც როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებსაც მოიცავს. შემადგენლობის მიუხედავად, თანატოლთა ჯგუფი ბავშვს ეხმარება, რომ თავისი უნარები და შესაძლებლობები სხვა ბავშვებისას შეადაროს. აგრეთვე, თანატოლები ერთმანეთს ასწავლიან თავიანთი განსხვავებული სამყაროების შესახებ. აზრების გაზიარება ბავშვებს საკუთარი შეხედულებებისა და ღირებულებების გარკვევასა და ჩამოყალიბებაში ეხმარება.

ამ ასაკის ბავშვებისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს თანატოლების მოწონება, ანუ მათი სტატუსი თანატოლთა ჯგუფში. ბავშვის ფიზიკური მომხიბვლელობა, გონებრივი შესაძლებლობები და ქცევის სტილი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მოსწონთ იგი თანატოლებს. ექსპერტები თანატოლთა შორის სტატუსის ხუთ სახეობას გამოყოფენ: პოპულარული ბავშვები, ჩვეულებრივი ბავშვები, უგულვებელყოფილი (უყურადღებოდ დატოვებული) ბავშვები, უარყოფილი ბავშვები და სადავო ბავშვები.

*პოპულარული ბავშვები* - ის ბავშვები არიან, რომლებიც თანატოლთა უმრავლესობას მოსწონს. თანატოლები ამ ბავშვებს ხშირად ასახელებენ თავიანთ მეგობრად. პოპულარულ ბავშვებს ხშირად კარგი სოციალური უნარ-ჩვევები აქვთ. ისინი ადვილად ამყარებენ ურთიერთობას სხვებთან; იციან, როგორ დაიწყონ და გააგრძელონ საუბარი, ყურადღებით უსმენენ სხვებს, ბუნებრივად იქცევიან, სხვა ადა-

მიანებისადმი ენთუზიაზმს, ყურადღებას და თანაგრძნობას იჩენენ და უფრო თავდაჯერებულნი არიან.

*ჩვეულებრივ ბავშვებს* თანატოლები საშუალო სიხშირით ასახელებენ იმ ბავშვთა რიცხვში, რომლებიც მოსწონთ, ან არ მოსწონთ.

*სადავო ბავშვებს* თანატოლები ასახელებენ თავიანთი მეგობრების რიცხვში, თუმცა, ამასთანავე, სადავო ბავშვები ბევრ თანატოლს არ მოსწონს.

*უგულებელყოფილ ბავშვებს* თანატოლები იშვიათად მოიხსენიებენ იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებიც მათ მოსწონთ ან არ მოსწონთ. უგულებელყოფილი ბავშვები ხშირად წყნარები არიან და მარტო ყოფნას არჩევენ. ზოგი კი ძალიან მორცხვია და არ იცის, როგორ დაამყაროს ბავშვებთან ურთიერთობა; ზოგი მხოლოდ ერთი-ორი ახლო მეგობრითაც კმაყოფილია. ზოგიერთი მოსწავლისთვის უგულებელყოფილი სტატუსი დროებითი მოვლენაა. სხვებისთვის კი იგი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს. ეს მოსწავლეებს დეპრესიის განვითარების უფრო დიდი რისკის წინაშე აყენებს.

*უარყოფილი ბავშვები* თანატოლთა უმრავლესობას არ მოსწონს. თანატოლები ამ ბავშვებს ძალიან იშვიათად ასახელებენ თავიანთ მეგობრად. თანატოლები ხშირად ისეთ ბავშვებს უარყოფენ, რომლებსაც არა აქვთ კარგად განვითარებული სოციალური უნარ-ჩვევები, იმპულსურები და აგრესიულები არიან და მუდმივად ყურადღების მიპყრობას ცდილობენ. მოსწავლეები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, ან ღარიბი ოჯახებიდან არიან, ხშირად განიცდიან თანატოლების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას. მოსწავლეები, რომლებიც უარყოფილ სტატუსში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებიან, ხშირად კარგავენ სწავლისა და სკოლაში სიარულის ინტერესს, მათი აკადემიური მოსწრება უარესდება და ისინი სკოლის მიტოვების საშიშროების წინაშე დგანან. აგრეთვე, ეს ბავშვები უფრო ხშირად არღვევენ წესებს. ზოგიერთი უარყოფილი ბავშვი ძალიან აგრესიულია; ზოგი - ძალიან პასიური და თავის თავში ჩაკეტილი. ბევრი მათგანი შეიძლება დაჩაგურის მსხვერპლი გახდეს.



## საშუალო და მაღალი კლასების მოსწავლეები

მოზარდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური სტატუსი, თანატოლების მოწონება. დამოკიდებულებები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მოზარდებშიც იჩენს თავს. მაგალითად, პოპულარული დაწყებითი კლასების მოსწავლეების მსგავსად, პოპულარული მოზარდებიც ხშირად აკადემიურად წარმატებულნი არიან და კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოიჩევიან. ისინი ადვილად ამყარებენ სხვებთან ურთიერთობას, ეფექტურად უმკლავდებიან კონფლიქტურ სიტუაციებს და ავლენენ ლიდერობის თვისებებს. უარყოფილი დაწყებითი კლასების მოსწავლეების მსგავსად, უარყოფილი მოზარდებიც ხშირად აგრესიულები და უკარებები არიან. მათი აკადემიური მოსწრება კი ხშირად დაბალია. ეს სოციალურად გარიყული ბავშვები აკადემიური, სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების განვითარების საშიშროების წინაშე დგანან.

მოზარდებში, აგრეთვე, დიდ მნიშვნელობას იძენს *მეგობართა წრეები და ჯგუფები*. მეგობართა წრე არის ახლო მეგობართა ჯგუფი, რომელიც, დაახლოებით, 3–10 ადამიანისგან შედგება. მეგობართა წრის წევრებს საერთო ინტერესები აქვთ და საერთო მეგობრები ჰყავთ. მეგობართა წრის სახლურები მკაცრად არის განსაზღვრული. საშუა-

ლო კლასის მოსწავლეებში მეგობართა წრე ხშირად მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებით შემოიფარგლება. მეგობართა წრე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოგონებისთვის, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ემოციურ მხარდაჭერას უწევენ. მაღალ კლასებში მეგობართა წრეები უკვე ორივე სქესის წარმომადგენლებს შეიძლება მოიცავდეს.

*ჯგუფი* ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მეგობართა წრე. ჯგუფის წევრებს საერთო ინტერესები, ერთნაირი შეხედულებები და ხანდახან ეთნიკური წარმომავლობა აერთიანებთ. ჯგუფის წევრობა რეკონსტრუქციასა და სტერეოტიპზეა დაფუძნებული. ბეჯით მოსწავლეთა ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ მოსწავლეები, რომლებსაც სწავლა და მეცადინეობა უყვართ; სპორტის მოყვარულთა ჯგუფს - ისინი, ვინც აქტიურად მისდევენ სპორტს და ასე შემდეგ.

## მეგობრობა

მეგობრები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბავშვების ცხოვრებაში. ახლო მეგობრები ხშირად მათივე ასაკის და სქესის ბავშვები არიან, თუმცა ბევრს საწინააღმდეგო სქესის ახლო მეგობრებიც ჰყავს. მეგობრები ისეთ საქმიანობებში ერთვებიან, რომლებიც ყველა მათგანისთვის საინტერესო და სახალისოა. დროთა განმავლობაში ისინი საერთო გამოცდილებებს იძენენ, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, გაიზიარონ გარკვეული შეხედულებები ცხოვრებაზე. რადგანაც მეგობრები ემოციურად ძალიან ბევრს დებენ თავიანთ ურთიერთობაში, მაქსიმალურად ცდილობენ, სიტუაციები ერთმანეთის პოზიციიდან დაინახონ და კონფლიქტები, რომლებიც მათ მეგობრობას ეშუქება, წარმატებით მოაგვარონ.

*დაწყებითი კლასების მოსწავლეები* - ბავშვობის პერიოდში მეგობრობა თანატოლთა შორის სოციალური ურთიერთობის მთავარ სახეობას წარმოადგენს. პიაჟეს განვითარების სტადიებზე დაყრდნობით, აღწერენ, თუ როგორ იცვლება დროთა განმავლობაში ბავშვების შეხედულებები მეგობრობასთან დაკავშირებით. 3-7 წლის ბავშვები მეგობრებს თამაშის დროებით პარტნიორებად მიიჩნევენ. ამ ასაკის ბავშვმა შეიძლება სკოლიდან ან ბაღიდან დაბრუნებისას გვითხრას: „დღეს მე ახალი მეგობარი შევიძინე! ნანამ თავისი თონიჯა მათხოვა,“ ან „ხურა აღარ არის ჩემი მეგობარი, იმიტომ რომ ჩემთან ერთად ბურთს აღარ თამაშობს“. ეს კომენტარები გვიჩვენებს, რომ ბავშვი მეგობრობას დროებით ურთიერთობად მიიჩნევს, რომელიც რაღაც კონკრეტულ სიტუაციაზე, და არა საერთო ინტერესებსა და შეხედულებებზეა დაფუძნებული. დაწყებითი კლასის ასაკის ბავშვებისთვის მეგობრობა უფრო სტაბილური და ორმხრივი ურთიერთობის სახეს იძენს. ამ ასაკის ბავშვები მეგობრების დახასიათებისას ხშირად მათ



პიროვნულ თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას (მაგალითად, „ჩემი მეგობარი მერი ძალიან კეთილია“). მათი მეგობრობა კი ურთიერთმხარდაჭერაზე, ზრუნვაზე, ერთგულებასა და ურთიერთდათმობაზეა დამყარებული.

მეგობრობა ძალიან მნიშვნელოვანია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის. ამ ასაკის ბავშვისთვის მეგობრები კომპანიონები არიან, ვისთან ერთადაც გართობა და სხვადასხვა საქმის კეთება შეუძლია. ამასთანავე, მეგობრები ემოციური მხარდაჭერის გზას წარმოადგენენ. აგრეთვე, მეგობრები ბავშვს კოგნიტურ განვითარებაში ეხმარებიან, როცა ინტელექტუალური უნარ-ჩვევების მაგალითს აძლევენ და ასწავლიან მათ გამოყენებას. ასევე, ბავშვები მეგობრებისგან სწავლობენ ქცევის სოციალურ ნორმებს, სოციალურ უნარ-ჩვევებს და კონფლიქტების წარმატებით მოგვარებას.

*საშუალო და მაღალი კლასების მოსწავლეები* - მოზარდობის ასაკში შესვლისას მეგობრობათა ხასიათი იცვლება. ზოგადად, დრო, რომელსაც მოზარდები მეგობრებთან ატარებენ, მნიშვნელოვნად იზრდება. მოზარდები გაცილებით უფრო მეტ დროს ატარებენ მეგობრებთან, ვიდრე მარტო ან ოჯახის წევრებთან. მოზარდები, რომლებსაც კარგი და ჰარმონიული მეგობრული ურთიერთობები აქვთ, უფრო თვითდაჯერებულნი არიან, იშვიათად განიცდიან მარტოობას, უფრო დახვეწილ სოციალურ უნარ-ჩვევებს ავლენენ და უფრო დიდ აკადემიურ წარმატებას აღწევენ, ვიდრე ის მოზარდები, რომლებსაც მეგობრები არ ჰყავთ.

ურთიერთგაგების უნარი და იმის ცოდნა, რომ სხვა ადამიანები უნიკალური პიროვნებები არიან თავიანთი განსხვავებული შეხედულებებითა და გრძნობებით, ხელს უწყობს მეგობრებს შორის ურთიერთგაზიარების, სიახლოვის და ერთგულების მნიშვნელოვნად ზრდას. როცა მოზარდები ცდილობენ ოჯახის ზეგავლენიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ისინი უფრო ხშირად მიმართავენ მეგობრებს დაცვისა და სოციალური მხარდაჭერისთვის. დაწყებითი კლასის ბავშვები მსგავსი დახმარებისთვის მშობლებს მიმართავენ. მეშვიდე კლასიდან კი იმავე სქესის მეგობრები მოზარდებისთვის ისეთივე მხარდაჭერის წყაროს წარმოადგენენ, როგორც მშობლები. ხოლო მეათე კლასიდან მეგობრები მოზარდებისთვის ძირითადი მხარდაჭერის წყაროა.



## სოციალური ცნობიერება

სოციალური ცნობიერება გულისხმობს ბავშვების უნარს, დაინახონ და ანგარიში გაუწიონ სხვა ადამიანთა აზრებს და გრძნობებს. მოსწავლეები, რომლებიც რეგულარულად უწევენ ანგარიშს სხვა ადამიანთა აზრებს და გრძნობებს, უფრო კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან, მეგობრებს უფრო ადვილად იძენენ და უფრო კარგად იცნობენ საკუთარ თავს. სოციალური ცნობიერების მნიშვნელოვანი ასპექტებია სამყაროს სხვა ადამიანების თვალთახედვიდან დანახვა და სოციალური ინფორმაციის გადამუშავება.

*სამყაროს სხვა ადამიანების თვალთახედვიდან დანახვა* - იმისათვის, რომ ნამდვილად გაუგონ და შეეწყონ სხვა ადამიანებს, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ თავის სხვა ადამიანის ადგილას წარმოდგენის უნარი. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია.



## სიტუაცია

გოგა და კახა ფეხბურთის გუნდის კაპიტნები არიან. მათ თავისი გუნდისთვის კიდევ ერთი ბავშვი უნდა შეარჩიონ. უსიტყვოდ, კახა გოგას თვალით ანიშნებს თემურისკენ, რომელიც ჯერ არავის აურჩევია. კახა შემდეგ ისევ ღიმილით გადახედავს გოგას. გოგა თავს უქნევს და

თემურს ირჩევს მათ გუნდში სათამაშოდ. თემური ხედავს, თუ როგორ უღიმიან და თვალებს უკრავენ ერთმანეთს გოგა და კახა. თემურს, რომელსაც, როგორც წესი, ბოლოს ირჩევენ ხოლმე გუნდში სათამაშოდ, უკვირს, თუ რატომ აირჩია იგი გოგამ თავის გუნდში...

- რატომ გაუღიმა კახამ გოგას?
- რატომ დააქნია გოგამ თავი?
- რატომ აირჩია გოგამ თემური თავის გუნდში? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ ფიქრობთ, თემური ხვდება თუ არა, რატომ აირჩია იგი გოგამ? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ ფიქრობთ, როგორ გრძნობს თემური თავს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რომ შეძლოთ, სიტუაციას სამი ადამიანის, გოგას, კახას და თემურის გადმოსახედიდან უნდა შეხედოთ. მაგალითად, თუ თქვენ თავს თემურის ადგილას წარმოიდგენთ, მიხვდებით, რომ რადგან თემური ფეხბურთის გუნდში სათამაშოდ ჯერ არავის აურჩევია, ის შეიძლება თავდაპირველად დაბნეულობას, სირცხვილს და წყენას განიცდიდეს (სწორედ ამიტომ არ არის რეკომენდებული, მაგალითად, ფიზკულტურის გაკვეთილზე, რომ მოსწავლეებს ვთხოვოთ, თვითონ აარჩიონ ბავშვები თავისი გუნდისთვის). მოვლენების სხვა ადამიანის თვალთახედიდან დანახვა ბავშვებს ესმარება, გაიგონ ისეთი მოქმედების მნიშვნელობა, რაც მათთვის თავდაპირველად შემაცბუნებელი და გასაოცარი იყო. ეს კი მათ შესაძლებლობას აძლევს, შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მოვლენებზე და ადამიანებთან პოზიტიური ურთიერთობა შეინარჩუნონ.

ბავშვის ზრდასთან ერთად იხვეწება მისი უნარი, ამოიცნოს სხვა ადამიანების აზრები. ბავშვებს უყალიბდებათ გონების თეორია (Theory of Mind), რომელიც მოიცავს სხვა ადამიანის გონებრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის (აზრების, შეხედულებების, გრძნობების, მოტივების და ასე შემდეგ) უფროდაუფრო კარგად გაგების უნარს. გონების თეორია ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, გაიგონ, ახსნან და იწინასწარმეტყველონ მათთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მოქმედებები და, ამის შედეგად, ეფექტური ურთიერთობა დაამყარონ მათთან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ როგორ იცვლება ბავშვის ზრდასთან ერთად მისი გონების თეორია და სამყაროს სხვა ადამიანების თვალთ დანახვის უნარი.

**გონების თეორია და სამყაროს სხვა ადამიანის თვალთ დანახვის უნარი სკოლის ასაკის მოსწავლეებში**

კლასი	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები	სტრატეგიების მაგალითები
1-2	<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებენ, რომ გონებაში მიმდინარე მოვლენები ფიზიკური საგნები არ არის</li> <li>• ხვდებიან, რომ სხვა ადამიანებს შეიძლება მათგან განსხვავებული ცოდნა და აზრები ჰქონდეთ</li> <li>• შეუძლიათ დასკვნების გამოტანა სხვათა აზრების, გრძნობების და განზრახვების შესახებ. თუმცა მხოლოდ მარტივ ფორმებში (მაგალითად, „ის მოწყენილია“)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხშირად ისაუბრეთ ადამიანთა აზრებზე, გრძნობებზე და მოტივებზე; გამოიყენეთ ისეთი სიტყვები, როგორც არის <i>ფიქრობ, მახსოვს, გგრძნობ და მსურს</i></li> <li>• მოთხრობების კითხვის დროს დასვით შეკითხვები აზრების, გრძნობების და მოტივების შესახებ</li> </ul>
3-4	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანდათანობით აცნობიერებენ, რომ ადამიანები თავისებურად ხსნიან მოვლენებს და ხანდახან დანახულს არასწორად იგებენ და განმარტავენ</li> <li>• რომ ადამიანთა მოქმედებები შეიძლება მათ ნამდვილ გრძნობებს არ ამჟღავნებდეს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ლიტერატურული</b> ნაწარმოების კითხვის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა დგას ამა თუ იმ გმირის საქციელის უკან</li> <li>• სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიაზრონ, თუ რაზე შეიძლება ფიქრობდნენ და რას შეიძლება გრძნობდნენ ადამიანები ისტორიის სხვადასხვა მოვლენის დროს.</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• დაეხმარეთ მოსწავლეებს ერთმანეთს შორის კონფლიქტების მოგვარებაში: სთხოვეთ, სიტუაციას ერთმანეთის თვალთ შეხედონ და პრობლემა ისე გადაწყვიტონ, რომ ყველა მათგანის მოთხოვნები გაითვალისწინონ</li> </ul>
<p><b>6-8</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სხვათა აზრებისა და გრძნობებისადმი</li> <li>• აცნობიერებენ, რომ ადამიანებს შეიძლება ბევრი და ხანდახან ერთმანეთის საწინააღმდეგო მოტივები და განზრახვები ჰქონდეთ</li> <li>• შეუძლიათ არაერთხელ დაფიქრდნენ და გააანალიზონ როგორც თავიანთი, ასევე სხვების აზრები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წახალისეთ მოსწავლეები, ისტორიული და მიმდინარე მოვლენები სხვადასხვა ისტორიული პიროვნების და კულტურული ჯგუფის თვალთახედვიდან დაინახონ</li> <li>• ლიტერატურული ნაწარმოების განხილვის დროს ისაუბრეთ ადამიანთა რთულ (და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო) მოტივებზე</li> </ul>
<p><b>9-12</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებენ, რომ ადამიანები თავიანთი გარემოს მიხედვით იცვლებიან და რომ წარსულში მომხდარი მოვლენები და ახლანდელი გარემოებები ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ხასიათის თავისებურებებსა და ქცევაზე</li> <li>• აცნობიერებენ, რომ ადამიანები ყოველთვის ვერ ხვდებიან, თუ რა არის მათი საქციელის მიზეზი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეალური და გამოგონილი მოვლენების განხილვის დროს სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიკვლიონ, რა შეიძლება იყოს ადამიანთა შეხედულებების და მოტივების შესაძლო წარმოშობის წყარო</li> <li>• დაგეგმეთ დებატები, სადაც მოსწავლეებს მოუწევთ ისეთი პოზიციების დაცვა, რომლებიც მათ შეხედულებებს ეწინააღმდეგება</li> </ul>

*სოციალური ინფორმაციის გადამუშავება* - ბავშვებს და მოზარდებს ბევრ რამეზე უწევთ ფიქრი, როცა ცდილობენ გაიგონ, თუ რას ფიქრობენ, გრძნობენ და აკეთებენ სხვა ადამიანები. სოციალური ინფორმაციის გადამუშავება მოიცავს იმ გონებრივ პროცესებს, რომლებსაც ბავშვები იყენებენ სოციალური მოვლენების გასაგებად, ასახსნელად და სამოქმედოდ; მოიცავს სხვა ადამიანების მოქმედებებისადმი ყურადღების მიქცევას და მათი მნიშვნელობის ახსნასა და გაგებას. მაგალითად, თანაკლასელებთან კომუნიკაციის დროს მოსწავლემ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს მათ კომენტარებზე, სახის გამომეტყველებაზე, მიმიკებზე და ქესტებზე და შეეცადოს გაიგოს, სინამდვილეში რა დგას მათი დაუფიქრებელი კომენტარის ან მორცხვი ღიმილის უკან. აგრეთვე, თანაკლასელებთან კომუნიკაციის დროს მოსწავლეები ითვალისწინებენ საკუთარ მიზნებს. მაგალითად, შეიძლება მოსწავლის მიზანი იყოს, მეგობრობის შენარჩუნება ან ვინმესთვის ჭკუის სწავლება. ითვალისწინებენ რა საკუთარ მიზნებს და მოვლენების თავისებურ ახსნას, მოსწავლეები იყენებენ თავიანთ არსებულ ცოდნას და გამოცდილებას იმისათვის, რომ განსაზღვრონ შესაფერისი საპასუხო მოქმედება.

## **აგრესია**

*აგრესიული საქციელი* არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანისადმი ფიზიკური (მაგალითად, დარტყმით, ხელის კვრით ან ცემით) ან ფსიქოლოგიური (მაგალითად, შერცხვენით, შეურაცხყოფის მიყენებით ან განდევნით) ტკივილის მიყენებას. ფიზიკური აგრესია, გულისხმობს ქმედებას, რომელმაც შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს; იგი უფრო ხშირია ბიჭებში. *ურთიერთობებში გამოხატული აგრესია* კი მოიცავს ყველა ქმედებას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მეგობრობაზე და სხვა ურთიერთობებზე (მაგალითად, თანატოლის ჯგუფიდან განდევნა, ბოროტი ჭორები) და უფრო ხშირია გოგონებში.

ფსიქოლოგები აგრესიული მოსწავლეების ორ ჯგუფს განასხვავებენ: მოსწავლეები, რომლებიც განზრახ ჩადიან აგრესიულ საქციელს, რათა სასურველ მიზნებს მიაღწიონ და მოსწავლეები, რომლებიც აგრესიულ ქმედებას ძირითადად პროვოკაციის, გამოწვევის და გაბრაზების საპასუხოდ მიმართავენ. მოსწავლეებს, რომლებიც განზრახ აგრესიულნი არიან, უფრო უჭირთ მეგობრული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება. ასეთ მოსწავლეთა ნაწილი რეგულარულად ჩაგრავს თანატოლებს. მათი მსხვერპლი ხშირად ისეთი ბავშვები არიან, რომლებიც მოუმწიფებელნი და მშფოთვარენი არიან, რომელთაც არ ჰყავთ მეგობრები და რომლებიც არ არიან საკმარისად თავდაჯერებულნი.

ზოგიერთ ბავშვს და მოზარდს აგრესიისადმი გენეტიკური მიდრეკილება აქვს. ზოგი მათგანი კი ნევროლოგიური დაზიანების/ ტრამვის შედეგად არის აგრესიული. ბავშვებში და მოზარდებში აგრესიას გარემოში არსებული ფაქტორებიც უწყობს ხელს. ბევრი აგრესიული მოსწავლე არასტაბილურ პირობებში ცხოვრობს. შეიძლება ოჯახში შეეჩვიოს კონფლიქტს, სიბრაზის გამოხატვას, მკაცრ სასჯელს და ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ცუდად მოპყრობას. ბავშვებსა და მოზარდებში აგრესიული ქმედება ხშირდება, როცა ისინი რეგულარულად ისმენენ ან ხედავენ ძალადობის მაგალითებს საზოგადოებასა თუ მედიაში; რეგულარულად უყურებენ ფილმებს და თამაშობენ ვიდეო-თამაშებს, რომლებიც ძალადობის თემაზეა აგებული.

ბავშვებში აგრესიის განვითარებას გარკვეული კოგნიტიური/ინტელექტუალური და მოტივაციის ფაქტორები უწყობს ხელს:

*სამყაროს სხვა ადამიანის თვალთ დანახვის უნარის ნაკლებობა*

მოსწავლეებს, რომლებიც ძალიან აგრესიულნი არიან, არ შეუძლიათ სიტუაციების სხვა ადამიანის პოზიციიდან დანახვა; არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რას გრძნობს მათი „მსხვერპლი“ და არ შეუძლიათ იმ ბავშვის თანაგრძნობა, რომელსაც ჩაგრავენ.

*სოციალური სიგნალების არასწორად ინტერპრეტაცია*

აგრესიული მოსწავლეები სხვა ადამიანების ქმედებაში მტრულ განზრახვას ხშირად არასწორად ხედავენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ხშირია იმ ბავშვებში, რომლებიც განზრახ მიმართავენ აგრესიას; რომლებიც აგრესიით და ძალადობით გამორჩეულ უბნებში ან ოჯახებში ცხოვრობენ.

*ეგოისტური მიზნების სიჭარბე*

მოსწავლეთა უმრავლესობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება. აგრესიული მოსწავლეებისთვის კი უფრო ეგოისტური მიზნებია პრიორიტეტული, მაგ. სხვის თვალში საკუთარი ავტორიტეტის შენარჩუნება, სამაგიეროს გადახდა ან ძალაუფლების მოპოვება.

*სოციალური პრობლემების გადაჭრის უნარის ნაკლებობა*

აგრესიულ მოსწავლეებს, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ დარწმუნების, მოლაპარაკებისა და კომპრომისზე წასვლის უნარი.

ხშირად ისინი დარტყმას, ხელის კვრას, ჩხუბს და სხვა არაეფექტურ სტრატეგიებს მიმართავენ.

*რწმენა იმისა, რომ აგრესია მისაღები და ეფექტურია*

ბევრი აგრესიული მოსწავლე თვლის, რომ ძალადობა და აგრესიის სხვა ფორმები კონფლიქტების მოგვარების და სამაგიეროს გადახდის მისაღები გზებია. მოსწავლეებს, რომლებიც განზრახ მიმართავენ აგრესიას, სჯერათ, რომ აგრესიული ქმედება დადებით შედეგს გამოიღებს, მაგალითად, სოციალური სტატუსის შენარჩუნებაში დაეხმარება.

მოსწავლეებს, რომლებიც აგრესიის ინიციატორნი და მსხვერპლნი არიან, ხშირად პრობლემები ექმნებათ მომავალში. თუ მოზრდილებმა აქტიური ზომები არ მიიღეს, აგრესიული მოსწავლეები ხშირად მოზრდილ ასაკშიც აგრძელებენ აგრესიის და ძალადობის გამოვლინებას. მოსწავლეები, რომლებიც ხშირად არიან აგრესიის მსხვერპლნი, შეიძლება მშფოთვარენი და დეპრესიულნი გახდნენ და თვითმკვლელობაზეც კი დაიწყონ ფიქრი. მათი აკადემიური მოსწრებაც ხშირად უარესდება. დროთა განმავლობაში, ეს ბავშვები ნაკლებად თვითდაჯერებულნი ხდებიან და ზოგიერთი მათგანი იწყებს იმაზე ფიქრს, რომ მათდამი აგრესიული დამოკიდებულების მიზეზი თვითონაა. რადგან შურისძიების ეშინიათ, დახმარებისთვის უფროსებს არც თუ ისე ხშირად მიმართავენ. შესაბამისად, პესიმისტურად არიან განწყობილი მომავლისადმი და არ სჯერათ, რომ მათი მდგომარეობა შეიძლება გამოკეთდეს.

მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა მიიღონ აქტიური ზომები, როცა ხედავენ, თუ როგორ ჩაგრავს მოსწავლე სხვას და ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი იმას, რომ მსგავსი ინციდენტები მომავალში აღარ განმეორდეს. მოსწავლეებს, რომლებიც ჩაგვრის ხშირი მსხვერპლნი არიან, მასწავლებლების და თანაკლასელების სოციალური და ემოციური მხარდაჭერა განსაკუთრებით სჭირდებათ.

აქტიური ზომების მიღება აუცილებელია აგრესიული მოსწავლეების მიმართაც. კონკრეტული სტრატეგიები, რა თქმა უნდა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა არის აგრესიული საქციელის მიზეზი. მოსწავლეებში აგრესიისა და ძალადობის შემცირებაში მასწავლებლებს შემდეგი სტრატეგიები შეიძლება დაეხმაროს: წაახალისეთ მოსწავლეები, სიტუაცია სხვა ადამიანების პოზიციიდან დაინახონ; დაეხმარეთ მათ სოციალური სიტუაციის სწორად დანახვასა და გაგებაში; ასწავლეთ ეფექტური სოციალური უნარ-ჩვევების გამოყენება; სთხოვეთ, რომ სხვებს დაეხმარონ (მაგალითად, უმცროსკლასელი მოსწავლეები ამეცადინონ).





### **როგორ შეეუწყოთ ხელი მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას**

*მიეცით მოსწავლეებს ერთმანეთთან სოციალური კომუნიკაციის და თანამშრომლობის შესაძლებლობა.*

თანატოლებთან ურთიერთობის დროს მოსწავლეები ბევრ რამეს სწავლობენ იმის შესახებ, თუ რა არის და რა არ არის სოციალურად მიღებული საქციელი. მაგალითად, სხვადასხვა სახის თამაში ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის, გაზიარების, სამყაროს სხვა ადამიანების თვალთ დანახვის და კონფლიქტების გადაწყვეტის უნარების განვითარებას. დავალებები, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობას მოითხოვს, მოსწავლეებს სხვა ადამიანების დახმარების უნარების განვითარებაში ეხმარება. აგრეთვე, ისინი მოსწავლეებს ხელს უწყობს, დაინახონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია



სამართლიანობა და პატიოსნება თანატოლებს შორის.

*მივცით მოსწავლეებს მისაღები სოციალური ქცევების მაგალითები და ავარჯიშეთ სოციალური უნარ-ჩვევების გამოყენებაზე.*

მოსწავლეებს შეიძლება პირდაპირ ვუთხრათ, თუ როგორი საქციელია მისაღები, ან ჩვენ თვითონ მივცეთ სოციალურად სასურველი საქციელის მაგალითი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვავარჯიშოთ ბავშვები ახლადშექმნილი უნარ-ჩვევების გამოყენებაზე (მაგალითად, როლების გათამაშებით) და შევაფასოთ მათი პროგრესი.

*აღნიშნეთ და შეაქეთ მოსწავლის სოციალურად მისაღები საქციელი.*

მოსწავლეები უკეთ ისწავლიან, რას მოიცავს კარგი სოციალური უნარ-ჩვევები, როცა მათ კარგ საქციელზე ყურადღებას გავამახვილებთ. მაგალითად, თქვენ შეიძლება მოსწავლეს უთხრათ: „დიდი მადლობა დახმარებისთვის“, ან „ძალიან მიხარია, რომ ერთად იმუშავეთ ამ დავალების შესრულებაზე“. ხანდახან შეიძლება ხმამაღლა ვისაუბროთ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან. მაგალითად, 8 წლის ბავშვი, რომელსაც მასწავლებელმა უთხრა, „შენ ძალიან მოგწონს სხვების დახმარება და როცა შეგვიძლია, ყოველთვის ეხმარები მათ“, მომავალში უფრო ხშირად ათხოვებს სხვებს თავის ნივთებს და უფრო ყურადღებით მოეპყრობა თავის თანატოლებს.

*დანერგეთ და მკაცრად დაიცავით საკლასო ოთახში მისაღები ქცევის წესები.*

მოსწავლეთა სოციალურად მისაღები საქციელის წახალისებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, აქტიურად ვიმუშავოთ ისეთი მიუღებელი მოქმედებების აღმოფხვრაზე, როგორიც არის უყურადღებობა, უზულისყურობა, აგრესია და უარყოფითი კომენტარები. აუცილებელია შევიმუშავოთ გაკვეთილზე ქცევის წესები, რომლებიც ყველა მოსწავლისთვის ნათელი და გასაგები იქნება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, გარკვეული სახის პასუხისმგებლობა დავაკისროთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამ წესებს დაარღვევენ.

## **განვითარების სოციალური კონტექსტი: ოჯახი**

ბავშვები განსხვავებულ ოჯახებში იზრდებიან. მშობელთა ნაწილი სიყვარულით ეპყრობა შეიძლებს და დიდ მხარდაჭერას უწევს მათ; ნაწილი კი უხეშ დამოკიდებულებას იჩენს ბავშვების მიმართ. მშობლები და ოჯახის სხვა წევრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბავშვების პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე. გამოვეყნოთ მშობლის

და ბავშვის ურთიერთობის სამი ასპექტი, რომელიც განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე: სიყვარული, მშობლის აღზრდის სტილი და ბავშვთან ცუდი მოპყრობა.

*სიყვარული* - უმრავლეს შემთხვევაში, მშობლები და ოჯახის სხვა წევრები (მაგალითად, ბებიები და ბაბუები, უფროსი და-ძმები) დიდ სიყვარულს იჩენენ ჩვილი ბავშვის მიმართ. ისინი ყურადღებით ეპყრობიან ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს და ზრუნავენ მათ დაკმაყოფილებაზე. ასეთ შემთხვევებში ბავშვსა და აღმზრდელს შორის ახლო, მყარი, მოსიყვარულე ურთიერთობა ვითარდება. ჩვილი ბავშვები, რომლებსაც მშობლებთან და სხვა აღმზრდელებთან ახლო და მოსიყვარულე ურთიერთობა აქვთ, სანდომიან, გულდია, დამოუკიდებელ და თავდაჯერებულ ბავშვებად იზრდებიან. ასეთი ბავშვები ადვილად ეგუებიან საკლასო გარემოს და კარგ ურთიერთობებს ამყარებენ მასწავლებლებთან და თანატოლებთან. ხოლო, ბავშვები, რომლებმაც ვერ დაამყარეს მშობლებთან და სხვა აღმზრდელებთან ახლო და მოსიყვარულე ურთიერთობა, ხშირად მოუმწიფარნი, სხვა ადამიანებზე დამოკიდებულნი და „არაპოპულარულნი“ არიან. ისინი ხშირად არღვევენ წესრიგს სკოლაში და აგრესიულად იქცევიან.

მშობელთან და სხვა აღმზრდელთან ახლო და მოსიყვარულე ურთიერთობა მოზარდობის ასაკშიც მნიშვნელოვანია. მოზარდთა უმრავლესობა მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა ამ ასაკის ბავშვები ხშირად არ ეთანხმებიან თავიანთი მშობლების მოსაზრებებს.

### *მშობლის აღზრდის სტილი*

მშობლები ბავშვის აღზრდის პროცესში განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სხვადასხვა მშობლის აღზრდის სტილი სხვადასხვა სახის ქცევისთან და პიროვნულ თვისებებთან ასოცირდება. ქვემოთ ცხრილში მოცემულია აღზრდის ოთხი ყველაზე გავრცელებული სტილი, რომლებსაც მშობლები იყენებენ: ავტორიტეტული, ავტორიტარული, თავის ნებაზე მიშვებული და ნაკლებად მზრუნველი.

<p><b>მშობლის აღზრდის სტილი</b></p>	<p><b>როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს, ბავშვი ხშირად...</b></p>
<p>ავტორიტეტული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს სახლში</li> <li>• მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ</li> <li>• უხნიან ბავშვებს, თუ რატომ არის ზოგიერთი საქციელი მისაღები და ზოგიც მიუღებელი</li> <li>• უზრუნველყოფენ ოჯახის წესების თანმიმდევრულად გატარებას</li> <li>• ბავშვებს საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რთავენ</li> <li>• დროთა განმავლობაში უფრო ნაკლებად ზღუდავენ ბავშვებს, რომლებიც თანდათანობით უფრო დამოუკიდებელნი და გონიერნი ხდებიან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბედნიერია</li> <li>• თავის თავში დარწმუნებულია</li> <li>• ცნობისმოყვარეა</li> <li>• დამოუკიდებელია</li> <li>• საკუთარი თავის კონტროლის კარგი უნარი გააჩნია</li> <li>• პატივს სცემს სხვა ადამიანების მოთხოვნილებებს</li> <li>• მოტივირებული და წარმატებულია სკოლაში</li> </ul>
<p>ავტორიტარული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაკლებ სითბოს იჩენენ ბავშვების მიმართ, ვიდრე ავტორიტეტული მშობლები</li> <li>• მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ</li> <li>• ქცევის წესების დაწესების დროს არ ითვალისწინებენ ბავშვების მოთხოვნილებებს</li> <li>• სჯერათ, რომ ბავშვები მათ წესებს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ</li> <li>• არ რთავენ ბავშვებს ოჯახურ დისკუსიებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უბედურია</li> <li>• მღელვარეა/მშფოთვარეა</li> <li>• თავის თავში არ არის დარწმუნებული</li> <li>• იშვიათად იჩენს ინიციატივას</li> <li>• დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე</li> <li>• სუსტი სოციალური უნარ-ჩვევები გააჩნია</li> <li>• ადამიანებთან ურთიერთობის დროს მიმართავს ძალადობას</li> <li>• გამომწვევია</li> </ul>

<p>თავის ნებაზე მიშვებული</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს სახლში</li> <li>• იშვიათად სჯიან ცუდ საქციელს</li> <li>• უფლებას აძლევენ ბავშვებს ბევრი გადაწყვეტილება თვითონვე მიიღონ (მაგალითად, იმის შესახებ, თუ რა ჭამონ, როდის დაიძინონ)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეგოისტია</li> <li>• არ არის მოტივირებული</li> <li>• დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე</li> <li>• ითხოვს სხვების ყურადღებას</li> <li>• გაუგონარი და ურჩია</li> <li>• იმპულსურია</li> </ul>
<p>ნაკლებად მზრუნველი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძალიან ცოტა ემოციურ მხარდაჭერას უწევენ ბავშვებს</li> <li>• ძალიან დაბალი მოლოდინი და სტანდარტი გააჩნიათ ბავშვის ქცევის მიმართ</li> <li>• ნაკლებ ინტერესს ავლენენ ბავშვების ცხოვრების მიმართ</li> <li>• ძირითადად საკუთარი პრობლემებით არიან დაკავებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომთხოვნია</li> <li>• არ გააჩნია საკუთარი თავის კონტროლის უნარი</li> <li>• ვერ უმკლავდება იმედგაცრუებას</li> <li>• არ გააჩნია გრძელვადიანი მიზნები</li> </ul>

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ავტორიტეტული აღზრდის სტილი ყველაზე ეფექტურია. მშობლები, რომლებიც ამ აღზრდის სტილს იყენებენ, მოსიყვარულე და უსაფრთხო გარემოს ქმნიან სახლში, მაღალ მოლოდინს და სტანდარტებს უწესებენ ბავშვებს, უხსნიან მათ, თუ რატომ არის საქციელი მისაღები ან მიუღებელი, უზრუნველყოფენ ოჯახის წესების თანმიმდევრულად გატარებას, რთავენ ბავშვებს ოჯახის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და, ბავშვების ასაკის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევენ, გარკვეული გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღონ. ავტორიტეტული მშობლების ბავშვები ბედნიერნი, ენერგიულნი, თავის თავში დარწმუნებულნი და დამოუკიდებელნი არიან. ისინი ადვილად იძენენ მეგობრებს, კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან და მზრუნველობით ეკიდებიან სხვა ადამიანის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. ისინი მოტივირებულნი არიან, წარმატებას მიადწიონ სკოლაში და, შესაბამისად, ხშირად მაღალ შედეგებს აღწევენ. ავტორიტეტული აღზრდის სტილი კარგი მოდელია იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მასწავლებლები საკლასო ოთახში.

კვლევებმა დაადასტურეს, რომ ავტორიტეტული აღზრდის სტილი ბევრ სხვადასხვა კულტურაში, განსაკუთრებით კი დასავლურ კულტურებშია ეფექტური. თუმცა, რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ სხვა კულტურაში აღზრდის სხვა სტილი შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს. მაგალითად, ძალიან ავტორიტარული აზიელი მშობლების ბავშვები ხშირად დიდ წარმატებას აღწევენ სკოლაში. ასეთ ოჯახებში მშობლები ხშირად მორჩილებას მოითხოვენ ბავშვებისგან, მაგრამ, აგრეთვე, დიდ მხარდაჭერას და სიყვარულს ავლენენ მათ მიმართ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გავლენა, რომელსაც მშობლის აღზრდის სტილი ახდენს ბავშვის პიროვნებაზე, საშუალო სიძლიერისაა. მშობლების არაადეკვატური აღზრდის მეთოდების მიუხედავად, ბევრი ბავშვი მაინც აღწევს წარმატებას და ახერხებს ბედნიერ და დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებას.


*ბავშვთან ცუდი მოპყრობა* - ზოგიერთი მშობელი, სამწუხაროდ, ცუდად ეპყრობა ბავშვს. ხანდახან მშობლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბავშვების მიმართ: არასათანადოდ აწვდიან მათ საკვებს, ჩანაცმელს და ცხოვრების სხვა აუცილებელ ატრიბუტებს. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები (და შესაძლებელია ოჯახის სხვა წევრებიც) ფიზიკურად სჯიან ბავშვს და ემოციურად ცუდად ეპყრობიან მათ. მშობლის მიერ ბავშვისადმი ცუდი მოპყრობა ძალიან ცუდად მოქმედებს ბავშვის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე. ზოგადად, ბავშვებს, რომლებსაც მშობლები უგულვებელყოფენ, ან ფიზიკურად და ემოციურად სჯიან, დაბალი თვითშეფასების შეგრძნება აქვთ, სუსტი სოციალური უნარ-ჩვევები გააჩნიათ და დაბალ შედეგებს აჩვენებენ

სკოლაში. ბევრი მათგანი გაბრაზებული, გამომწვევი და აგრესიულია. ზოგიერთიც შეიძლება დეპრესიული, მღელვარე, თავის თავში ჩაკეტილი იყოს და თვითმკვლელობის პირას იდგეს.

### **განვითარების სოციალური კონტექსტი: სკოლა**

ბავშვები დიდ დროს ატარებენ სკოლაში, პატარა საზოგადოებაში, რომელიც მნიშვნელოვან განვლენას ახდენს მათ სოციალურ განვითარებაზე. როგორ იცვლება ეს სამყარო ბავშვის განვითარებასთან ერთად? საბავშვო ბაღი ან სხვა სკოლამდელი დაწესებულება დაცულ გარემოს წარმოადგენს, რომელიც საკლასო ოთახით შემოიფარგლება. ამ განსაზღვრულ სოციალურ გარემოში პატარა ბავშვებს მხოლოდ ერთ ან ორ მასწავლებელთან აქვთ ურთიერთობა. ისინი გავლენიანი ფიგურები არიან მათ ცხოვრებაში. საკლასო ოთახი ჯერ კიდევ მთავარი სოციალური კონტექსტია დაწყებით სკოლაში. მასწავლებელი ავტორიტეტის მქონე პირია, რომელიც ქმნის საკლასო კლიმატს/გარემოს, აწესებს სოციალური კომუნიკაციის წესებს და ჯგუფის მოქმედების ხასიათს. თანატოლებთან ურთიერთობა დიდ მნიშვნელობას იძენს ბავშვებისთვის.

საშუალო და მაღალ კლასებში სკოლის გარემო ფართოვდება და უფრო რთულ ხასიათს იღებს. სოციალური კონტექსტი ახლა უკვე არამარტო საკლასო ოთახს, არამედ მთელ სკოლას მოიცავს. მოზარდებს ურთიერთობა აქვთ ბევრ მასწავლებელთან და მოსწავლესთან, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები აქვთ. მოზარდები სკოლას უკვე აღიქვამენ, როგორც სოციალურ სისტემას, რომელსაც ისინი ხანდახან ემორჩილებიან, ხან კი ღიად უპირისპირებიან. თანატოლებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია მოზარდებისთვის. ისინი თანდათანობით გამოდიან მშობლების ზეგავლენიდან და უფრო მეტ დროს ატარებენ თანატოლებთან.



მოსწავლეების ქმედებასა და სოციალურ განვითარებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მასწავლებლების მიერ კლასის მართვის სტილი.

## სოციო-კულტურული თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რა გავლენას ახდენს მოსწავლის კოგნიტურ განვითარებაზე საზოგადოება და კულტურა;

რას ნიშნავს მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა და როგორ იცვლება იგი დროთა განმავლობაში;

რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლების დროს მოსწავლეთა განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინება;

რას ნიშნავს სკაფოლდინგი და როგორ უნდა გამოიყენოთ იგი საკლასო ოთახში;

რა სახის ამოცანები და დავალებები უწყობს ხელს მოსწავლეთა კოგნიტურ განვითარებას;

როგორ უნდა გამოიყენოთ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია საკლასო ოთახში.

პიაჟეს მიაჩნდა, რომ ბავშვები თვითმოტივირებული პიროვნებები არიან, რომლებიც დამოუკიდებლად იკვლევენ და შეიცნობენ სამყაროს. მისი აზრით, ბავშვები ძირითადად თვითონ მართავენ თავიანთი კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების პროცესს. პიაჟესაგან განსხვავებით, რუსი ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი თვლიდა, რომ საზოგადოება და კულტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვთა კოგნიტურ განვითარებას. მისი კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია ხაზს უსვამს სოციალური კომუნიკაციისა და ენის გავლენას ბავშვთა კოგნიტურ განვითარებაზე.

*განვითარება* - პიაჟეს მიაჩნდა, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვებს ჯერ გარკვეული კოგნიტური სტრუქტურები, ანუ სქემები უნდა ჩამოუყალიბდეთ, რათა მათ შეძლონ სამყაროს შესწავლა და შემეცნება. ვიგოტსკის თეორია კი ვარაუ-

დობს, რომ სწავლა წინ უძღვის და ხელს უწყობს კონკრეტულ განვითარებას. ბავშვი სწავლობს საზოგადოებაში არსებულ სიმბოლოთა მნიშვნელობებს სხვა ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. განვითარება მოიცავს ბავშვის მიერ სიმბოლოთა მნიშვნელობების ისე გათავისებებას, რომ მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება და პრობლემების გადაჭრა. ამ უნარს თვითრეგულირების უნარი ეწოდება.

იმისათვის, რომ ბავშვს თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი განუვითარდეს, მან, პირველ რიგში, უნდა შეიცნოს, რომ მოქმედებებს და ბგერებს კონკრეტული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჩვილი ბავშვი სწავლობს, რომ როცა იგი საგნისაკენ ხელს გაიწვდის, მის გარშემო მყოფი ადამიანები ამ პროცესს აღიქვამენ, როგორც იმის ნიშანს/სიმბოლოს, რომ ბავშვს ეს საგანი უნდა. ენის დაუფლების პროცესში ბავშვები ხვდებიან, რომ კონკრეტული ბგერები და ბგერათა ერთობლიობები გარკვეულ მნიშვნელობებს უკავშირდება. მეორე ნაბიჯი, თვითრეგულირებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უნარის განვითარებისაკენ, არის პრაქტიკა. მაგალითად, ჩვილი ბავშვი შესტებს/ხელის მოძრაობებს იყენებს იმისათვის, რომ გარშემო მყოფთა ყურადღება მიიპყროს. სკოლამდელი ასაკის ბავშვი ესაუბრება სხვა ადამიანებს და ენას ნელ-ნელა ეუფლება. ბოლო საფეხურზე ბავშვი იყენებს სიმბოლოებს, იწყებს დამოუკიდებლად აზროვნებას და პრობლემების გადაჭრას. ამ ეტაპზე ბავშვს უკვე გათავისებული აქვს სიმბოლოთა სისტემა და გააჩნია თვითრეგულირების უნარი.

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შექმნას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. პიაჟე ვარაუდობდა, რომ ბავშვები დამოუკიდებლად შეიმეცნებენ სამყაროს, ხოლო ვიგოტსკი ამტკიცებდა, რომ სულაც არ არის აუცილებელი ან საჭირო, რომ ბავშვებმა მათ კულტურაში არსებული ცოდნა თვითონვე ხელახლა მოისაზრონ და აღმოაჩინონ. ცოდნა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა საზოგადოებაში და ბავშვმა ის სოციალური კომუნიკაციების საშუალებით უნდა გაითავისოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვები აქტიურ როლს თამაშობენ სოციალურ კომუნიკაციაში. შესაბამისად, მოქმედება მნიშვნელოვანი ცნებაა სოციალურ-კულტურულ თეორიაში. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული რამე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ასეთი საქმიანობის დროს ბავშვები აქტიურად შედიან დიალოგში მათ გარშემო მყოფ ადამიანებთან. დიალო-



გის საშუალებით ხდება იდეების გაცვლა და ბავშვის განვითარებაც წინ იწევა.

*განვითარების უახლოესი ზონა* - განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო კომპეტენტური თანატოლების დახმარებით. ვიგოტსკი განასხვავებს ბავშვის განვითარების ამჟამინდელ/არსებულ და პოტენციურ განვითარების დონეებს. ბავშვის განვითარების არსებული დონე გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეუძლია. ბავშვის განვითარების პოტენციური დონე კი გულისხმობს იმ ამოცანათა/მოქმედებათა ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს შეუძლია უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით. განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა (ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს) და პოტენციური განვითარების დონეს (ამოცანების სხვების დახმარებით გადაჭრის უნარს) შორის. ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწევენ აღმოცენებას და განვითარებას. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; ბავშვი გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.



განვითარების  
არსებული  
დონე

განვითარების  
პოტენციური  
დონე



დავალებები/ამოცანები რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე შეუძლია	დავალებები/ამოცანები რომელთა შესრულება ბავშვს მხოლოდ სხვების დახმარებით და მხარდაჭერით შეუძლია	დავალებები/ამოცანები რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად
--	--	---


ამოცანათა სირთულის ზრდა — — — — — — — — →

იმისათვის რომ განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში ვახსენებთ, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ კოგნიტური განვითარების რა დონეზე იმყოფებიან მოსწავლეები: უნდა შევფასოთ, დავალებების/ ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების როგორი უნარი აქვთ და რისი გაკეთება შეუძლიათ სხვების დახმარებით. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ბავშვები ძალიან ცოტას სწავლობენ ისეთი დავალებების შესრულებით, რომელთა თავის გათმევა მათ უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ. ბავშვები ძირითადად ვითარდებიან მაშინ, როცა ისინი ცდილობენ რთული დავალებების შესრულებას სხვა ადამიანების დახმარებით და მითითებით, ანუ როცა მოსინჯავენ ისეთ ამოცანებს, რომლებიც მათი განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში ჯდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოგნიტურ განვითარებას ხელს უწყობს ცხოვრების სირთულეების გადალახვა და არა იოლი მიღწევები. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ როცა ბავშვებს რთული დავალებების შესრულება ერთმანეთის მიყოლებით, მთელი დღის გან-

მაგლობაში უწევთ, ეს უარყოფითად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე და თვითდაჯერებულობაზე. ეს შედეგი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა ბავშვები ხშირ წარუმატებლობას და იმედგაცრუებას განიცდიან.

მაშინ როცა რთული დავალებები მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას, ის დავალებები, რომელთა შესრულება ბავშვს არ ძალუძს სხვა ადამიანების დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის მიუხედავად, აბსოლუტურად უსარგებლოა. განვითარების უახლოესი ზონა განსაზღვრავს ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობების ზედა ზღვარს, ანუ იმას, თუ რისი შესწავლა შეუძლია ბავშვს მისი კოგნიტური განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე.

*სკაფოლდინგი (დამხმარე საშუალებათა სისტემა):* სკაფოლდინგი ნიშნავს იმ დახმარებას, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში ჯდება. ეს არის „დამხმარე საშუალებათა სისტემა“. სკაფოლდინგის (Scaffolding) პირდაპირი თარგმანი „ხარაჩოს დადგმას“ ნიშნავს. როგორც ვიცით, ხარაჩო მშენებელთა დასაყრდენ მოწყობილობას წარმოადგენს: მუშებს შეუძლიათ ხარაჩოზე დადგნენ მანამ, სანამ ახალი შენობა საკმარისად გამყარდება. როცა შენობა სტაბილური გახდება, ხარაჩო საჭირო აღარ არის და შეიძლება თანდათანობით მოიხსნას.



მსგავსად, უფროსი, რომელიც ბავშვს ახალი დავალების შესრულებაში ეხმარება, „ხარაჩოს“ როლს ასრულებს. თავდაპირველად, იგი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ბავშვს. შემდეგ კი თანდათანობით ამცირებს მხარდაჭერას და ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ამოცანას. მაგალითისთვის განვიხილოთ ალექსანდრე, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია ნაშთიანი გაყოფის მაგალითების ამოხსნა, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით სწავლობს, როგორ გაუმკლავდეს ასეთ დავალებებს.

მასწავლებელი: [დაფაზე წერს ] 44 გაყოფილი 6–ზე. რა რიცხვზე უნდა გავამრავლოთ 6, რომ 44–ს მივუახლოვდეთ?  
ალექსანდრე: 6–ზე.

მასწავლებელი: 6-ჯერ 6 რამდენი იქნება? [დაფაზე წერს 6]  
აღუქსანდრე: 36.  
მასწავლებელი: 36. შეგიძლია ისეთი რიცხვი მოიხრა, რომლის 6-ის  
ნამრავლი უფრო ახლოს იქნება 44-თან? [წაშლის 6]  
აღუქსანდრე: 8.  
მასწავლებელი: რამდენია 6-ჯერ 8?  
აღუქსანდრე: 64... 48.  
მასწავლებელი: 48. 44-ზე მეტია. შეგიძლია ისეთი რიცხვი...  
აღუქსანდრე: 6-ჯერ 7 42-ია. 7!



მასწავლებელი ალექსანდრეს მითითებებს აძლევს, თუ რა მიმართულებით წავიდეს: მოძებნოს 6-ის ნამრავლი, რომელიც 44-თან ყველაზე ახლოს არის და, ამასთანავე, 44-ზე ნაკლებია.

მასწავლებლის დახმარება და მითითებები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებელმა მხოლოდ იმდენი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მოსწავლეს, რომ მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებლად გააგრძელოს დავალების შესრულება. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მასწავლებელი დაეხმარა ალექსანდრეს, მაგრამ მოსწავლემ მაგალითი თვითონ ამოხსნა. დავალებების მოსწავლეთა ნაცვლად შესრულება აფერხებს ბავშვის განვითარებას. მასწავლებლები, რომლებიც სკაფოლდინგს წარმატებით იყენებენ, მოსწავლეებს დროს აძლევენ, რომ ამოცანებს თვითონ გაართვან თავი და მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხმარებიან, როცა ხედავენ, რომ ბავშვები დამოუკიდებლად ვეღარ მიდიან წინ.

*მეტყველება და განვითარება* - ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. პირველი, ენის საშუალებით ის ცოდნა, რომელიც სხვებს გააჩნიათ, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი ხდება. მეორე, ენა კოგნიტური იარაღია, რომელიც მოსწავლეებს აზროვნებაში და პრობლემების გადაჭრაში ეხმარება. ენა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, დაგეგმონ, მართონ და აკონტროლონ თავიანთი ქცევები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა მათ თვითრეგულირებაში ეხმარება. მეტყველების თვითრეგულირებისთვის გამოყენებას ეგოცენტრული მეტყველება ეწოდება.

ვიგოტსკი თვლიდა, რომ ორი წლის ასაკამდე ბავშვებისთვის აზროვნება და მეტყველება ორ განცალკევებულ ფუნქციას წარმოადგენს. აზროვნება ენისგან დამოუკიდებლად ხდება; როცა ენა იწყებს განვითარებას, იგი, თავდაპირველად, კომუნიკაციისთვის გამოიყენება, და არა აზროვნების მექანიზმად. დაახლოებით ორი წლის ასაკიდან, ენა და აზროვნება ერთიანდება: ბავშვები იწყებენ აზრების გამოხატვას ენის საშუალებით და იყენებენ ენას იმისათვის, რომ იფიქრონ და იაზროვნონ. როცა ენა და აზროვნება პირველად ერწყმის ერთმანეთს, პატარა ბავშვები ხშირად საკუთარ თავს ელაპარაკებიან. ამ ფენომენს/მოვლენას ეგოცენტრული ეწოდება. დროთა განმავლობაში ეგოცენტრულ მეტყველებას შინაგანი მეტყველება ცვლის: ბავშვები თავიანთ თავს უკვე გონებაში ესაუბრებიან, და არა ხმამაღლა. ეგოცენტრული მეტყველებიდან შინაგან მეტყველებაზე გადასვლა დაახლოებით 3-7 წლის ასაკში ხდება. ამ პერიოდში ბავშვების ხმამაღალი ეგოცენტრული მეტყველების სისხირე თანდათანობით იკლებს. თუმცა, ამავდროულად, იზრდება ჩურჩულის და ტუნების უხმოდ მოძრაობის სისხირე, რაც შინაგანი მეტყველებისკენ გადასვლას ასახავს.

## როგორ გამოვიყენოთ ვიგოტსკის თეორია საკლასო ოთახში

1. დაადგინეთ მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა. მიეცით მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის დავალებები, რათა შეაფასოთ მისი განვითარების უახლოესი ზონა: რა სახის ამოცანების შესრულებას ვერ ახერხებს მოსწავლე დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო დახელოვნებული/კომპეტენტური თანატოლების დახმარებით.

2. სწავლების დროს გაითვალისწინეთ მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა. სწავლება მიმართული უნდა იყოს ზონის ზედა ზღვარისკენ, რათა ბავშვმა შეძლოს მიზნის მიღწევა სხვების დახმარებით. მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებებიც, რომელთა წარმატებით შესრულებას ისინი მხოლოდ სხვების დახმარებით შეძლებენ. ეს მათ მოამზადებს იმისათვის, რომ უფრო რთული პრობლემები გადაჭრან და უფრო რთულ ცოდნას დაეუფლონ.

3. შესთავაზეთ მოსწავლეს დახმარება, მაგრამ არა იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა. შეგიძლიათ მოსწავლეს ჰკითხოთ: „რითი შემიძლია, რომ დაგეხმარო?“ ან, უბრალოდ, თვალყური ადევნეთ, თუ როგორ ცდილობს, თავი გაართვას ამოცანას და დახმარება მხოლოდ საჭიროებისამებრ გაუწიეთ. როცა ხედავთ, რომ მოსწავლე ყოყმანობს, გაამხნევეთ იგი. წააქეზეთ ბავშვი, ივარჯიშოს ახლადშეძენილი უნარის ან ცოდნის განმტკიცებაზე. ქვემოთ მოცემულია ის დამხმარე მექანიზმები, რომლებიც მოსწავლეებს მათი განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში მყოფი ამოცანების შესრულებაში დაეხმარება:

- დაეხმარეთ მოსწავლეებს, შეადგინონ ახალი ამოცანის გადაჭრის გეგმა;
- აჩვენეთ მოსწავლეებს მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოცემული დავალების შესრულება;
- რთული დავალება რამდენიმე პატარა, უფრო მარტივ ნაწილებად დაყავით;
- მიეცით კონკრეტული მითითებები/მიმართულება, თუ როგორ უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა დავალება;
- დაუსვით კითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, იფიქრონ ამოცანის გადაჭრის გზებზე;
- გაუღვიძეთ მოსწავლეებს დავალების წარმატებით შესრულების მოტივაცია;
- დროდადრო შეახსენეთ მოსწავლეებს, თუ რა არის

მათი მიზანი მოცემული დავალების შესრულების დროს;

- ხშირად შეაფასეთ მოსწავლეთა პროგრესი და გაამხსნევთ ისინი.

გახსოვდეთ, რომ სწავლების პროცესში თქვენ მოსწავლის მეგობარი და მრჩეველი უნდა იყოთ, და არა მისი მმართველი და ხელმძღვანელი.

*4. გამოიყენეთ უფრო კომპლექსური თანატოლები მასწავლებლების როლში.* გახსოვდეთ, რომ ბავშვებს სწავლაში არამარტო უფროსები, არამედ მათი თანატოლებიც ესმარებიან. მაგალითად, დააწვიღეთ ბავშვი, რომელიც ახლა იწყებს კითხვას, ისეთ ბავშვთან, რომელიც უფრო კარგად კითხულობს.

*5. წახალისეთ ბავშვები, რომ გამოიყენონ ევოცენტრული მეტყველება, განსაკუთრებით რთული დავალებების შესრულების დროს.* დაწვიღეთ კლასებში თანდათანობით შეუწყვეთ ხელი, რომ ბავშვებმა გაითავისონ და დაარეგულირონ ევოცენტრული მეტყველება, რათა ადვილად შეძლონ შინაგან მეტყველებაზე გადასვლა.

## განწყობის თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რა პრინციპებს ეყრდნობა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია;

რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევასა და აღქმის შინაარსს;

როგორ უნდა გამოვიყენოთ დ. უზნაძის განწყობის თეორიის პრინციპები სწავლების პროცესში.

უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია ჩამოყალიბდა 1910-1916 წლების პერიოდში. იგი წარმოადგენდა შეხედულებათა სისტემას, რომელიც აგებული იყო ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე და მოიცავდა ყველა ძირითადი პედაგოგიური ცნების ზუსტ განმარტებას. ასეთი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საფუძველი დაედო ერთიანი და აქტიური პიროვნების, როგორც აღზრდის ობიექტის იდეას. იდეას, რომელიც შემდეგ განწყობის თეორიაში გადაიზარდა.

დ.უზნაძის პედაგოგიური შეხედულებების საფუძველს უშუალო პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოადგენდა. რაშია მისი პედაგოგიური კონცეფციის არსი? ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომში „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“ გარკვეული სახით გადაწყვეტილი იყო პედაგოგიკის ძირითადი პრობლემები. პედაგოგიკის საგანს აღზრდა წარმოადგენს. რა განსაზღვრავს მის არსს? უზნაძისთვის აღზრდა – ეს არის სწრაფვა იდეალურისკენ, „საკუთარი ცხოვრებისა და სხვისი ცხოვრების ფორმაციის მიზანდასახული პროცესი“. სრულყოფილებისკენ ამ სწრაფვაში ადამიანი ცდილობს, ისე გარდასახოს სამყარო, რომ შექმნას კეთილდღეობის მაქსიმალური პირობები. წარსულიდან გამომდინარე, ადამიანი აგებს მომავლის გეგმებს. მომავ-



ლის ბედი მის ხელთაა და თუ იგი ჰუმანური იდეალებით ხელმძღვანელობს, აღზრდის პროცესს ის მიმართულება მიეცემა, რომელსაც ეს იდეალები კარნახობს. აღზრდა სოციალურად განსაზღვრებადი პროცესია, რადგან ადამიანი თავისი არსით სოციალურია. მაგრამ აღზრდის ობიექტს ბავშვი წარმოადგენს – განსაკუთრებული ფენომენი, რომელიც არ დაიფყვანება მოზრდილისგან რაოდენობრივ განსხვავებაზე. ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი. აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩასწვდება ბავშვის ბუნებას. სწორედ ამიტომ პედაგოგიკა ეფუძნება ბავშვის ფსიქოლოგიური არსის შემეცნებას. აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ დაარქვა. უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმც კი თვლის, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისათვის ხშირად წვალებად იქცევაო, – წერდა დ. უზნაძე. უზარმაზარი პათოსით ხატავს იგი აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობის ტრაგიზმს და ეს ანალიზი საჭირობოროტო რჩება ჩვენს დროშიც. ამ წინააღმდეგობის გადალახვის თუ არა, შერბილების მაინც ერთადერთი გზა მოსწავლის უზარმაზარი სულიერი, პიროვნული სიმდიდრის, მისი ბუნებრივი განვითარების ეტაპების დრმა შესწავლაა. ამ როლს უზნაძე ექსპერიმენტულ პედაგოგიკას აკუთვნებს, რომლის ფუქცია დღეს, ძირითადად, ბავშვისა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიას აქვს აღებული. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა გახდის შესაძლებელს „უმტკივნეულად შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას.“

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუძს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს სწორედ ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი, “სულიერი მღელვარებისადმი” თანაგრძნობა – ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან.

თავის ადრეულ სტატიებში („აღზრდის მიზნები“, 1910) დ. უზნაძე ნათლად აყალიბებს აღზრდის მიზნებს. პირველ რიგში, გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ცალმხრივობის წინააღმდეგ: ინტელექტუალიზმის, ესთეტიზმის ან ზნეობრივი აღზრდის პრიმატის წინააღმდეგ. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდას

ავტორი აღზრდის სფეროში ცალკეული პრიორიტეტების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე მოიაზრებს.

დ. უზნაძის მიხედვით, აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება. სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს. მისი აზრით, სწორედ სკოლამ უნდა გამოძერწოს ის სულიერი ძალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადამიანის შესაძლებლობების ზრდას.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, აღზრდის მიზნების განსაზღვრისას, უზნაძე იმ თეზისს იზიარებდა, რომელიც წამყვანი გახდა თანამედროვე პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა პროგრესულ კონცეფციაში.


საინტერესოა უზნაძის პოზიცია პედაგოგიური უნარების სპეციფიკის განხილვაში, რომელთაც იგი ადარებს მხატვრული შედევრების შემოქმედის შთაგონებას და პედაგოგიკას ხელოვნებად მიიჩნევს. თუმცა იქვე მიუთითებს, რომ გარდა იშვიათი პედაგოგიური ნიჭისა, მასწავლებელს სჭირდება პედაგოგიური უნარები და ჩვევები, რომლებიც პედაგოგიური პროფესიის ტექნოლოგიას შეადგენენ. ამას იგი პედაგოგიურ ხელობას უწოდებს.

დ. უზნაძე თანმიმდევრულად განასხვავებდა თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიკას. სწორედ თეორიული პედაგოგიკის ცოდნას უნდა მიეცა შესაძლებლობა მასწავლებლისთვის, რომელსაც არ გააჩნდა განსაკუთრებული ინტუიტიური პედაგოგიური ნიჭი, ეკეთებინა თავისი საქმე საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების სასარგებლოდ. დ. უზნაძის აზრით, აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც „მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას“.

განსაკუთრებულ ყურადღებას დ. უზნაძე უთმობს დისციპლინის, როგორც ნებისყოფის განვითარების პირობის პრობლემას, რომელსაც იგი პიროვნების ჩამოყალიბებაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებდა. თუმცა, იქვე მიუთითებდა ამ პრიორიტეტის ორმხრივობაზე: ძლიერი ნებისყოფა შეიძლება გახდეს დამანგრეველი ძალა, მაგრამ შეიძლება გახდეს შემოქმედების საფუძველიც, თუკი დაკავშირებული იქნება ადამიანის ძირითად, მუდმივ ღირებულებებთან. ნებისყოფის განვითარება მოითხოვს მის მუდმივ გავარჯიშებას და სკოლა ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ამ პოზიციასთან ლოგიკურად არის დაკავშირებული უზნაძის, როგორც სკოლის დირექტორის, უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული

ნაბიჯი – სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების განდევნა. ციფრული შეფასება, როგორც წესი, სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ხელს უშლის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას. სწორედ ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროა აუცილებელი, რათა „ბავშვის გულიც და ცნობიერებაც ღია იყოს იმისთვის, რაც ბავშვს მიეწოდება“. ეს – ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მისი განხორციელების გზაზე უძნელესი წინააღმდეგობებია. ნიშნის სუბიექტურობა კი ერთ-ერთი მათგანია. ჩვენ ვიცით, რამდენად აქტუალური და, ამავე დროს, საკამათოა ასეთი მიდგომა, რომელიც გამოიყენება თანამედროვე პედაგოგიკის რიგ მიმართულებებში.



პედაგოგიკისთვის დახმარების გაწევა შეუძლია არა ყველანაირ ფსიქოლოგიას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც თავისუფალია XIX საუკუნის ბოლოს ტრადიციული ფსიქოლოგიის ფუნდამენტური შეცდომისგან – ფუნქციონალიზმიზმისგან, რომელიც სწავლობდა ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციებს: აზროვნებას, მეხსიერებას, აღქმას და სხვა. პედაგოგიკას მხოლოდ ისეთი ფსიქოლოგია სჭირდება, რომელმაც თავისი კვლევის საგნად მთლიანი, აქტიური პიროვნება გაიხადა. სწორედ

ასეთს წარმოადგენს განწყობის ფსიქოლოგია – აქტიური სუბიექტის მოქმედებისთვის აქტიური მზაობა. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიანპიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული.“ განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის: რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განხორციელებისათვის. მაგ. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელ ფაქტორს ქცევის განხორციელებისათვის. მოთხოვნილების და სიტუაციის შეხვედრის შედეგად ადამიანს უჩნდება განწყობა. განწყობავე განსაზღვრავს ადამიანის გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას ახალი ინფორმაციისადმი, წინასწარ ამზადებს გარკვეული ქცევისადმი, შესატყვისი ძალების და შესაძლებლობების მობილიზაციას ახდენს.

„გარესინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება. გარკვეულ მზაობას განიცდის, მაშასადამე, ის, თუ როგორ იმოქმედებს ინდივიდი მოცემულ სიტუაციაში, უკვე მანამდე არის გარკვეული, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს. იგი მხოლოდ როგორც წინასწარი მიდრეკილება, ისეა მოცემული. ამ ფაქტის ერთერთ ნიმუშად შემდეგი შეიძლება ჩაითვალოს: როდესაც ადამიანი პურის შესახებ რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად სიტყვა *ხლე* აღებდა. როდესაც იგი გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას შესაფერი გერმანული სიტყვა *ბროტ* აგონდება. რატომ? რა უდევს საფუძვლად ამ გარემოებას? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, გერმანელთან საუბრის დროს – გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველ კერძო შემთხვევაში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს.“ ასეთი წინასწარი მზაობა განსაზღვრავს არამხოლოდ ადამიანის ქცევას, არამედ აღქმის შინაარსს. მაგალითად, ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად მოეჩვენოს. აგრეთვე, ეს წინასწარი მზაობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს: წინასწარ შექმნილი დადებითი დამოკიდებულება დადებითად შეაფასებინებს რომელიმე მოვლენას.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელს და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა,

რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეხარდოს. შესაბამისად, ბავშვს თვითონ გაუნდება სწავლის მოთხოვნილება და მისი შესაბამისი განწყობაც. ბავშვის განვითარება სწორედ ქცევის პროცესში ხდება. ქცევა კი არის ცოცხალი არსების, სუბიექტის გარემოსთან ურთიეთქმედების ფორმა. ეს პრინციპი მსჭვალავს უზნადის ყველა შეხედულებას, როგორც ფსიქოლოგიის, ისე პედაგოგიის სფეროში. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

ბავშვის და განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებმა ცხადად დაამტკიცა დ. უზნადის პოზიციის სიცოცხლისუნარიანობა და ადეკვატურობა. თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოთქმული მისი იდეები დღესაც აქტუალურია.

როგორ გამოვიყენოთ უზნადის კონცეფცია საკლასო ოთახში?

- გახსოვდეთ, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართვას აქტივობაში. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შეუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

- დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მთარგმნოთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა? „იგი, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოწაფის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის. მეორე მხრივ, იგი დაშორებულიც უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინსვლა შეუძლებელი იქნება. მასწავლებლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი

განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს.”

- საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესაძლებლობის გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

- ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია მთელი ბუნების მოქმედებაში მოყვანა, პიროვნების მთელი ძალების გახსნა.

## ბიჰევიორიზმი

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ნიშნავს ბიჰევიორიზმი; რა არის ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები და რა მნიშვნელობა აქვს მას საგანმანათლებლო პროცესში;

რას ნიშნავს ოპერანტიული განპირობებულობა;

რას ნიშნავს განმამტკიცებელი სტიმული და განმამტკიცებელი სტიმულების რა სახეები არსებობს;

რას ნიშნავს წინმსწრები სტიმულები და როგორ შეიძლება მათი საკლასო ოთახში გამოყენება;

რა სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოთ იმისათვის, რომ შეამციროთ და აღმოფხვრათ მოსწავლეთა არასასურველი ქცევა.

### სიტუაცია 1.

ვატო ცხრაბავშვიან ოჯახში მეექვსე ბავშვია. მას ბევრი რამ უყვარს; მაგალითად, როკ-მუსიკა, ფეხბურთის თამაში და მარწვევის ნაყინი. მაგრამ ყველაზე მეტად ვატოს ყურადღება უყვარს. ვატომ კარგად იცის, როგორ მიიპყროს სხვა ადამიანების ყურადღება. იგი მასწავლებლის ყურადღების მისაქცევად პასუხებს ხმამაღლა, ხელის აწვევის გარეშე წამოიძახებს ხოლმე, მასწავლებლის მიმართულებით ქაღალდებს და საშლელებს ისვრის და უარს ამბობს დავალების შესრულებაზე. იმისათვის, რომ თანაკლასელების ყურადღება მიიქციოს, ვატო მათ აჯავრებს, ხელს კრავს და საპირფარეშოს კედლებზე უწმაწურ სიტყვებს წერს. ვატო ყურადღების ცენტრში ექცევა: მასწავლებლები მას მასხრობისთვის და სხვა ცუდი საქციელისთვის ხშირად დირექტორის კაბინეტში აგზავნიან.



მართალია, ყურადღება, რომელსაც ვატო იღებს, ხშირად მასწავლებლის დატუქსავაში, თანაკლასელების გაბრაზებაში, დირექტორის დარიგებასა და გაფრთხილებაში გამოიხატება. მაგრამ ვატოსთვის ასეთი ყურადღებაც მნიშვნელოვანია.

1. როგორ ფიქრობთ, ადამიანების ყურადღების მისაპყრობად რატომ ირჩევს ვატო გასაკიცხს საქციელს?
2. კონკრეტულად რა ისწავლა ვატომ თავისი გამოცდილებიდან? შეგიძლიათ მისი ყურადღების მისაქცევი მოქმედებიდან სწავლის პრინციპი შეიმუშავოთ?

### **ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები**

მოცემული სიტუაცია გვიჩვენებს ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპის მაგალითს: ადამიანები სწავლობენ და ამჟღავნებენ ისეთ ქცევებს, რომლებსაც, მათი აზრით, სასურველი შედეგი მოაქვს. ქვემოთ მოცემულია ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა.

ადამიანთა ქცევა ხშირად მათ გარემოში არსებული სტიმულების საპასუხოდ მიმართული. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ რამდენიმე რეფლექსის გამოკლებით, დაბადებისას ადამიანი „ტაბულა რასას“ ანუ სუფთა დაფას წარმოადგენს: მას არ გააჩნია მიდრეკილება კონკრეტული ქცევისკენ. დროთა განმავლობაში გარემო ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის და ქცევის თავისებურებების ჩამოყალიბებას. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლის წარსული და აწმყო, მისი გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის ქცევაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ ამ ძირითადი პრინციპის მოსწავლის სასარგებლოდ გამოყენება: ზოგჯერ საკლასო გარემოს შეცვლა მოსწავლეთა ქცევას ცვლის.

სწავლა დამოკიდებულია თვალსაჩინო მოვლენების ასოციაციით დაკავშირებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარემო სტიმულისა და მოსწავლეთა საპასუხო ქცევის ასოციაციაზე. ტრადიციულად, ბიჰევიორისტები თვლიდნენ, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროს (ფიქრების, შეხედულებების და გრძნობების) დანახვა არ არის შესაძლებელი და ამიტომაც მათი მეცნიერულად შესწავლა შეუძლებელია. ბიჰევიორისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანი შავ ყუთს წარმოადგენს, რომლის გახსნა და შესწავლა შეუძლებელია. ამიტომაც, ფსიქოლოგიის კვლევის საგანი ის მოვლენები უნდა იყოს, რომელთა დანახვა და ობიექტურად შესწავლა შესაძლებელია: კონკრეტულად კი, გარემო სტიმულები და მოსწავლეთა საპასუხო ქცევები. თუმცა ბევრი ბიჰევიორისტი აცნობიერებს, რამდენად რთულია სწავლის და ქცევის ახსნა აზროვნების პროცესების გაუთვალისწინებლად.

სწავლა აისახება მოქმედების ცვლილებაში. ბიჰევიორისტები სწავ-



ღას განსაზღვრავენ, როგორც გამოცდილების შედეგად მიღებული ქცევის ცვლილებას. სწავლის ასეთი განსაზღვრება განსაკუთრებით ყურადღებია საკლასო ოთახში. მაგალითად: მოსწავლეები ყურადღებით გისმენენ, თუ როგორ ხსნი რთულ ცნებას. როცა ახსნას ამთავრებთ, მოსწავლეებს ეკითხებით: „კითხვები ხომ არა გაქვთ?“ არც ერთი მოსწავლე ხელს არ სწევს. „კარგია, ფიქრობთ თქვენ, ყველამ გაიგო“.



მაგრამ ნამდვილად გაიგეს მოსწავლეებმა რაც თქვენ ახსენით? იმის საფუძველზე, რომ არც ერთმა მოსწავლემ ხელი არ ახწია და კითხვა არ დასვა, თქვენ არ შეგიძლიათ დაასკვნათ, გაიგეს თუ არა მათ თქვენ მიერ ახსნილი ცნების მნიშვნელობა. მხოლოდ მაშინ შეგიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეებმა ნამდვილად ისწავლეს, როცა დავინახავთ თვალსაჩინო ცვლილებას მათ ქცევებში.

მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ მაშინ, როცა სტიმული და საპასუხო ქცევა დროში თანმიმდევრულია. თუ ორი მოვლენა მეტნაკლებად ერთდროულად ხდება, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ერთმანეთთან ასოცირდება. შემდეგი სიტუაცია გვიჩვენებს მოვლენათა ასოციაციის მაგალითს.

**სიტუაცია 2.**

როცა ლექსო ხელს სწევს, მასწავლებელი მას ყოველთვის იბახებს. ლექსო ძალიან წინარი ბავშვია. მაგრამ, რაც დრო გადის, იგი უფროდაუფრო აქტიურობს გაკვეთილზე.

ამ სიტუაციაში ხელის აწევას (მოსწავლის ქცევას) მაშინვე მოსდევს მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახება (შემდგომი სტიმული). საპასუხო ქმედება და შემდგომი სტიმული ერთმანეთთან ასოცირდება (მიუხედავად იმისა, რომ ლექსოს გამოძახება მასწავლებლის საპასუხო ქმედებას წარმოადგენს, იგი სტიმულია თვითონ ლექსოსთვის). შესაბამისად, ლექსოს ქცევა იცვლება: მან ისწავლა, რომ უფრო ხშირად უნდა ასწიოს ხელი და გაკვეთილზე უფრო უნდა იაქტიუროს.

ადამიანები და ცხოველები ხშირად ერთნაირად სწავლობენ. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ ადამიანები და ცხოველები სწავლის დროს ხშირად ერთნაირ პროცესებს იყენებენ. ადამიანის ქცევის ასახსნელად ბიჰევიორისტები ხშირად იყენებენ ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ თეორიებს.

ცხრილში მოცემულია ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა განათლებაში.

<b>ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა განათლებაში</b>		
<b>პრინციპი</b>	<b>მნიშვნელობა განათლებაში</b>	<b>მაგალითი</b>
<b>გარემოს გაფლენა</b>	შექმენით ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეთა სასურველ ქცევას.	თუ მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად მუშაობა, შეაქეთ იგი ყოველ ჯერზე, როცა დავალებას სხვისი შეხსენების გარეშე შეასრულებს.

<p><b>აქცენტი თვალსაჩინო მოვლენებზე (სტიმული და საპასუხო ქცე- ვა)</b></p>	<p>დაადგინეთ, რომელი კონკრეტული სტიმული (მათ შორის თქვენი, როგორც მასწავლებლის ქმედებები) ახდენს ზეგავლენას მოსწავლეთა ქცევაზე.</p>	<p>თუ მოსწავლე ხშირად არღვევს წესრიგს გაკვეთილზე, დაფიქრდით, თქვენ ხომ არ აქეზებთ მის ცუდ საქციელს.</p>
<p><b>სწავლა, როგორც ქცევის ცვლილება</b></p>	<p>მხოლოდ მაშინ დაასკვნით, რომ მოსწავლეებმა რაღაც ისწავლეს, როცა მათ აკადემიურ მოსწრებასა და ქცევაში ცვლილებებს დაინახავთ.</p>	<p>რეგულარულად შეაფასეთ, თუ რა ისწავლეს მოსწავლეებმა.</p>
<p><b>მოვლენათა ასოციაცია</b></p>	<p>თუ გსურთ, რომ მოსწავლეებმა ორი მოვლენა (სტიმული და საპასუხო ქცევა) ერთმანეთს დაუკავშირონ, იზრუნეთ, მათ დროში თანხვედრაზე.</p>	<p>ჩართეთ სახალისო, მაგრამ, ამავე დროს, საგანმანათლებლო დავალებები ყოველ გაკვეთილში. ეს მოსწავლეებს სასწავლო საგნების სასიამოვნო გრძნობებთან ასოცირებაში დაეხმარება.</p>
<p><b>მსგავსი სწავ- ლის პრინცი- პები</b></p>	<p>ბიჰევიორისტების მტკიცებით, ცხოველებზე ჩატარებული კვლევები ხშირად სასწავლო პრაქტიკაშიც რელევანტურია.</p>	<p>შეაქეთ ჰიპერაქტიური (ზედმეტად აქტიური) მოსწავლე, როცა ის უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძლებს წყნარად ყოფნას.</p>

## ოპერანტული განპირობებულობა

### სიტუაცია 3.

გეოგრაფიის გაკვეთილი, სექტემბერი:

- *ორ შაბათი:* მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მონახონ გლობუსზე ქვეყანა კოლუმბია. დათომ იცის, სად არის კოლუმბია. ის ხელის აწვევლად ღიმილით შეჰყურებს მასწავლებელს იმ იმედით, რომ მასწავლებელი მას გამოიძახებს. მასწავლებელი დათოს ნაცვლად სხვა მოსწავლეს იძახებს.
- *სამშაბათი:* მასწავლებელი კლასს ეკითხება, თუ საიდან წარმოიშვა კოლუმბიის დასახელება. დათომ იცის, რომ კოლუმბიას სახელი ქრისტოფერ კოლუმბის საპატივცემულოდ დაერქვა. ის ხელს ოდნავ აწევს. მასწავლებელი სხვა მოსწავლეს იძახებს.
- *ოთხშაბათი:* მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ ლაპარაკობენ კოლუმბიაში ესპანურად, და არა ინგლისურად ან ფრანგულად. დათომ იცის, რომ კოლუმბიაში თავდაპირველად ესპანელები დასახლდნენ და კოლუმბიის მოსახლეობა სწორედ ამიტომ ლაპარაკობს ესპანურად. იგი ხელს მაღლა წევს. მასწავლებელი კვლავ სხვა მოსწავლეს იძახებს.
- *ხუთშაბათი:* მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რატომ მოდის ყავა კოლუმბიაში და არა კანადაში. დათომ იცის, რომ ყავა მხოლოდ გარკვეულ კლიმატურ პირობებში იზრდება. იგი რაც შეიძლება მაღლა წევს ხელს და მთელი ძალ-ღონით წინ და უკან აქნევს. მასწავლებელი დათოს იძახებს.
- *პარასკევი:* როცა მასწავლებელი ისეთ კითხვას სვამს, რომლის პასუხიც დათომ იცის, დათო ხელს რაც შეიძლება მაღლა წევს.

დათოს ზოგიერთ ქცევას შედეგი არ მოაქვს. მასწავლებლის ყურადღებას მხოლოდ ხელის ძალიან მაღლა აწევით იქცევს. სწორედ ამიტომ დათო აგრძელებს იმ ქცევის გამოყენებას, რომლითაც მასწავლებლის ყურადღება მიიპყრო.

ეს ცვლილება დათოს ქცევაში ოპერანტული განპირობებულობის მაგალითს წარმოადგენს. სკინერის აზრით, ოპერანტული განპირობებულობის ძირითადი პრინციპი შემდეგში მდგომარეობს:

*საპასუხო ქცევა ძლიერდება და, მოხალოდნელია, რომ იგი მომავალშიც განმეორდეს, როცა მას განმამტკიცებელი სტიმული მოსდევს.* წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სისშირე იკლებს და ბოლოს მთლიანად ქრება.

მოსწავლეები ხშირად სწავლობენ და ამჟღავნებენ ახალ ქცევას იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს მათთვის სასურველი შედეგი მოაქვს. ზოგჯერ ქცევა მისაღები და ნაყოფიერია. მაგალითად, თუ მაია ბეჯითად მეცადინეობს და მაღალ შეფასებას მიიღებს თავის ნამუშევარში, უფრო მოსალოდნელია, რომ ის მომავალშიც უფრო კარგად იმეცადინებს. თუმცა, ოპერანტული განპირობებულობის შედეგად, მოსწავლეები ზოგჯერ მიუღებელ ქცევებსაც იძენენ. თუ ირაკლი აღმოაჩენს, რომ ის თანაკლასელი გოგონასკენ ქაღალდის სროლით მის ყურადღებას იპყრობს, ქაღალდის სროლა რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

ოპერანტული განპირობებულობა მხოლოდ ორი პირობის გათვალისწინებით ხდება. პირველი, მოსწავლემ აუცილებელია საპასუხოდ იმოქმედოს: მან აუცილებლად რამე უნდა მოიმოქმედოს. სკინერი თვლის, რომ მოსწავლეები ვერაფერს მიღწევენ, თუ ისინი ჩუმად სხედან და პასიურად უსმენენ მასწავლებელს. მოსწავლეები უფრო სწავლობენ, როცა აქტიურად არიან ჩართულნი გაკვეთილში. მეორე, განმამტკიცებელი სტიმული აუცილებლად მოსწავლის საპასუხო ქცევაზე უნდა იყოს დამოკიდებული, ანუ ის მხოლოდ სასურველ მოქმედებას უნდა მოჰყვეს. მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს მხოლოდ მაშინ აქებს, როცა ისინი კარგად იქცევიან, სასურველ ქცევას ამტკიცებს და აძლიერებს. ხოლო, მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლის მასხრობებზე ეცინება, ამტკიცებს მოსწავლის არასასურველ ქმედებას; ამიტომაც, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მოსწავლის საქციელი გაუმჯობესდეს.

თუ ჩვენ გვინდა რომ მოსწავლეებმა ხშირად იკითხონ, იაქტიურონ გაკვეთილზე, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ ღონისძიებებში, ითანამშრომლონ თანაკლასელებთან და ასე შემდეგ, ჩვენ ეს ქცევები მაშინვე უნდა განვამტკიცოთ, როგორც კი მოსწავლეები მათ გამოამჟღავნებენ. ამავე დროს, მასწავლებელმა არ უნდა განამტკიცოს მოსწავლეთა არასასურველი ქმედებები. თუ ჩვენ ხშირად ვაძლევთ მერის უფლებას, რომ დავალება გვიან ჩაგვაბაროს, რადგან, მისი თქმით, დაავიწყდა დავალების შესრულება და თუ ჩვენ ხშირად ვაძლევთ თორნიკს უფლებას, თანაკლასელები დაჩაგროს, ჩვენ ამით ვამტკიცებთ და ვზრდით მერის უპასუხისმგებლობას და თორნიკს აგრესიულობას.

## **ქცევის განმტკიცება საკლასო ოთახში**

*განმამტკიცებელი სტიმული* განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი შედეგი, რომელიც გარკვეული ქცევის სიხშირეს ზრდის. გარკვეული შედეგი შეიძლება სასურველი იყოს ზოგიერთი მოსწავლისათვის, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება სულაც არ იყოს სხვებისთვის მოსაწონი

და მიმზიდველი. დავუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში მოცემულ სიტუაციას. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი არ უღიმის და აქებს ვატოს, როცა იგი პასუხებს წამოიძახებს, მასწავლებლის მიმართულებით ქაღალდებს და საშლელებს ისვირს და უარს ამბობს დავალების შესრულებაზე. უფრო მოსალოდნელია, რომ მასწავლებელი წარბეჭდული ტუქსავს მას. მოსწავლეთა უმრავლესობისთვის მასწავლებლის ეს ქმედება არ წარმოადგენს ჯილდოს, ანუ სასურველ შედეგს. თუმცა მასწავლებლის ქმედება, ანუ შედეგი ზრდის ვატოს ცუდი ქცევის სიხშირეს და, შესაბამისად, ამტკიცებს მას. სხვადასხვა მოსწავლისათვის ეფექტურია სხვადასხვა სახის განმამტკიცებელი სტიმული.

### **პირველადი და მეორადი განმამტკიცებელი სტიმულები**

განმამტკიცებელი სტიმულები ორ კატეგორიად იყოფა: პირველადი და მეორადი.

*პირველადი განმამტკიცებელი სტიმულები* აკმაყოფილებენ ძირითად ადამიანურ მოთხოვნილებებს (ძირითადად ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს). საკვები, წყალი, სითბო, უსაფრთხოება და უანბადი პირველადი სტიმულების მაგალითებს წარმოადგენს.

*მეორადი განმამტკიცებელი სტიმულები* ღირებულებას იძენენ, როცა ისინი ასოცირდებიან სხვა პირველად ან მეორად განმამტკიცებელ სტიმულებთან. მაგალითად, ფული პატარა ბავშვისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, სანამ ის არ გაიგებს, რომ ფულის საშუალებით შეუძლია იყიდოს ისეთი რამ, რაც განმამტკიცებელ სტიმულს წარმოადგენს. ნიშნები არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს მოსწავლეებისთვის, თუ მათი მშობლები არ აქცევენ ყურადღებას და არ აფასებენ კარგ ნიშნებს; მშობლების შექება კი ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, იმიტომ რომ ის ასოცირდება ისეთ განმამტკიცებელ სტიმულებთან, როგორც არის სიყვარული, სითბო და უსაფრთხოება. ფული და შექება მეორადი განმამტკიცებელი სტიმულების მაგალითებს წარმოადგენს იმიტომ, რომ მათ თვითონ არანაირი ღირებულება არ აქვთ; ისინი ღირებულებას იძენენ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ასოცირდებიან სხვა პირველად ან მეორად განმამტკიცებელ სტიმულებთან. მეორადი განმამტკიცებელი სტიმულები სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაგვით:

1) სოციალური განმამტკიცებელი სტიმულები, როგორც არის შექება, ღიმილი და ყურადღება;

2) ქცევითი განმამტკიცებელი სტიმულები, როგორც არის სათამაშოები, თამაშები და სხვა სახალისო მოქმედებები;

3) სიმბოლური განმამტკიცებელი სტიმულები, როგორც არის ფული და ნიშნები.

### **პოზიტიური და ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულები**

როცა ჩვენ სტიმულს ვაძლევთ მოსწავლეებს და მათი ქცევების სიხშირე ამ სტიმულის შედეგად იზრდება, ამას ქცევის *პოზიტიური განმამტკიცება* ეწოდება. სტიმული, რომლის შედეგადაც მოქმედების სიხშირე იზრდება, პოზიტიურ განმამტკიცებელ სტიმულს წარმოადგენს.

### **სიტყვა „პოზიტიური“ ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ განმამტკიცებელი სტიმული სასიამოვნო ან სასურველია**

მოქმედება შეიძლება პოზიტიურად განმტკიცდეს მაშინაც კი, როცა განმამტკიცებელი სტიმული არასასიამოვნო ან არასასურველია. სიტყვა „პოზიტიური“ უბრალოდ მიუთითებს იმას, რომ სიტუაციას სტიმულს ვმატებთ, ანუ მოსწავლეებს სტიმულს ვაძლევთ.

მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლისთვის შეიძლება მასწავლებლის შექება იყოს პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმული (მაგალითად, თიკო ცდილობს, დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს, რათა მასწავლებლის შექება დაიმსახუროს). სხვა მოსწავლეებისთვის კი შეიძლება მასწავლებლის დატუქსვა წარმოადგენდეს პოზიტიურ განმამტკიცებელ სტიმულს (მაგალითად, მოცემულ სიტუაციაში, ვატო თავისი საქციელით ცდილობს, მასწავლებლის ყურადღება მიიპყროს, თუნდაც დატუქსვის სახით). ორივე შემთხვევაში მასწავლებელი თავისი ქმედებით სტიმულს აძლევს მოსწავლეებს (პირველ შემთხვევაში შექებით, ხოლო მეორე შემთხვევაში დატუქსვით). ორივე შემთხვევაში მასწავლებლის ქმედება ზრდის მოსწავლის ქცევის სიხშირეს.

როცა ქცევის სიხშირე არასასურველი სტიმულის მოშორების საშუალებით იზრდება, ეს ქცევის ნეგატიურად განმტკიცებაა. განმამტკიცებელი სტიმულები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, არასასიამოვნო სიტუაციებს თავი დააღწიონ, ნეგატიურ განმამტკიცებელ სტიმულებს წარმოადგენს. სიტყვა „ნეგატიური“ ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ განმამტკიცებელი სტიმული არასასიამოვნო ან არასასურველია. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეს კონკრეტულ სტიმულს კი არ ვაწვდით, არამედ ვაშორებთ. მაგალითად, მშობელმა შეიძლება ბავშვი გაათავისუფლოს ჭურჭლის რეცხვისგან, თუ იგი საშინაო დავალებას დაწერს. თუ ბავშვს არ მოსწონს ჭურჭლის რეცხვა, მაშინ მისგან თავის დაღწევა განამტკიცებს დავალების წერას: მოსწავლე შეეცდება დავალება დაწეროს და ამის შედეგად ჭურჭლის რეცხვისგან გაათავისუფლდეს. ნეგატიური განმტკიცების მაგალითი შეიძლება ამ თავის დასაწყისში მოცემულ სიტუა-



ციაშიც დავინახოთ. როცა ვატო ცუდად იქცევა, მასწავლებელი მას სშირად დირექტორთან აგზავნის. შესაძლებელია, რომ ასეთი ქცევით მასწავლებელი მის ცუდ საქციელს ნეგატიურად ამტკიცებს: თუ ვატოს გაკვეთილზე ყოფნა არ მოსწონს, დირექტორთან გაგზავნით მასწავლებელი მას შესაძლებლობას აძლევს, თავი დააღწიოს არასასურველ სიტუაციას, გაკვეთილს (თუ ვატოს დირექტორთან ვიზიტი მოსწონს, მაშინ მისი ქცევა პოზიტიურადაც მტკიცდება). როცა მასწავლებელი ამბობს: „თუ ხვალინდელ ტესტში უმაღლეს შეფასებას მიიღებთ, მთელი კვირის განმავლობაში აღარ მოგიწევთ დავალების დაწერა“, იგი იყენებს ნეგატიურ განმამტკიცებელ სტიმულს (არასასიამოვნო სიტუაციიდან თავის დაღწევას, თუ, რა თქმა უნდა, მოსწავლეებისთვის დავალების დაწერა არასასიამოვნო საქმიანობაა). ზოგიერთი მოსწავლე გაკვეთილზე ცუდად იქცევა, რათა მასწავლებლის და სხვა მოსწავლეების ყურადღება მიიპყროს (პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმული). ზოგიც კი - იმისათვის, რომ თავი დააღწიოს იმას, რისი გაკეთებაც არ უნდა, მაგალითად რთული დავალების დაწერა და გაკვეთილზე დასწრება. არასასურველი სიტუაციიდან თავის დაღწევა ნეგატიურად განამტკიცებს მოსწავლის ქცევას.

ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულის გამოყენება არ არის რეკომენდებული სკოლაში. სასურველია ისეთი საკლასო გარემო შეექმნათ, სადაც ცოტა სტიმული არსებობს, რისგანაც მოსწავლეებს თავის დაღწევა სურთ. ამასთანავე, მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ნეგატიური სტიმული გავლენას ახდენს საკლასო ოთახში მოსწავლეთა ქცევაზე. ზოგიერთი მოსწავლე შეიძლება შეეცადოს, სწრაფად შეასრულოს დავალება, რათა თავიდან მოიშოროს (ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმული) და არა იმიტომ, რომ მასწავლებლის შექება ან კარგი ნიშანი დაიმსახუროს (პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმული). როცა გარკვეული ქცევა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, თავი დააღწიოს არასასიამოვნო სიტუაციას, ამ ქცევის სისშირე გაიზრდება.

### *პრემიის პრინციპი*

მასწავლებელს შეუძლია წაახადისოს მოსწავლეთათვის ნაკლებად სასურველი ქცევა, თუ ისინი მას უფრო სასურველ ქცევებს დაუკავშირებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასწავლებელი მხოლოდ მაშინ ხდის სასურველ ქცევას ხელმისაწვდომს, როცა მოსწავლეები ნაკლებად სასურველ მოქმედებას შეასრულებენ. მაგალითად, როცა მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება: „როგორც კი მორჩებით ამ დავალების წერას, შეგიძლიათ გარეთ გახვიდეთ“, ან „ჯერ ააღაგეთ თქვენი ფანქრები და ფერადი ფურცლები და მერე მოთხრობას წაგიკითხავთ“, იგი პრემიის (დევიდ პრემიის, ამერიკელი ფსიქოლოგი) პრინციპს იყენებს. მასწავლებლებს შეუძლიათ პრემიის პრინციპის საკლასო ოთახში



გამოყენება: მათ შეიძლება გააკეთონ ისე დაგეგმონ, რომ ნაკლებად სასურველ დავალებებს უფრო სახალისო დავალებები მოსდევდეს. აგრეთვე, შეიძლება სახალისო საქმიანობებში მონაწილეობა დამოკიდებული გახადონ ნაკლებად სასიამოვნო დავალებების წარმატებით შესრულებაზე.



*შინაგანი და გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები*

ხანდახან ქცევის ყველაზე მნიშვნელოვან განმამტკიცებელ სტიმულს წარმოადგენს სიამოვნება, რასაც ადამიანი ამ ქცევის განხორციელებით იღებს. მაგალითად, ადამიანებს აქვთ პოზი და შეუძლიათ დიდი დრო დაუთმონ ისეთ საქმიანობებს, რომლის შესრულების შედეგად არანაირ ჯილდოს არ მიიღებენ; ხშირად მოსწონთ ცურვა, ხატვა, კითხვა ან სპორტი, უბრალოდ იმიტომ, რომ ეს საქმიანობები მათთვის სახალისოა. ასეთი სახის განმამტკიცებელ სტიმულებს შინაგანი განმამტკიცებელი სტიმულები ეწოდება; ადამიანები შინაგანად არიან მოტივირებულნი ამ ქცევის განსახორციელებლად. მაგალითად, მოსწავლეები შინაგანად არიან მოტივირებულნი, როცა წიგნს ერთ დღეში კითხულობენ ან დამატებით დავალებას თავიანთი ინიციატივით წერენ. გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები

წარმოადგენს შექებას ან ჯილდოს, რომელიც ადამიანს მოტივაციას უღვიძებს გარკვეული მოქმედება შესრულოს.

**იხ. II - გვ. 3**

სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები სხვადასხვა სახის განმამტკიცებელ სტიმულებს ანიჭებენ უპირატესობას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია, თუ როგორი განმამტკიცებელი სტიმულებია ეფექტური სხვადასხვა კლასის მოსწავლეებში.

ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებში		
კლასი	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები	სტრატეგიების მაგალითები
1-2	<ul style="list-style-type: none"> <li>• სუსტი სტიმულები, რომლებიც მოქმედებას დაუყოვნებლივ მოსდევს.</li> <li>• ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულების მაგალითები:               <ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტული განმამტკიცებელი სტიმულები (მაგალითად, სტიკერები, ფანქრები, ტკბილეულობა).</li> <li>• მასწავლებლის მოწონება (მაგალითად, შექება, ღიმილი)</li> <li>• პრივილეგიები. „მოზრდილების“ პასუხისმგებლობა (მაგალითად, ვინც გაკვეთილს არ ესწრება, იმ მოსწავლეების სიის სამასწავლებლოში წაღება).</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაუყოვნებლივ შეაქეთ მოსწავლე, თუ ის სასურველ და მისაღებ საქციელს გამოავლენს.</li> <li>• გამოიყენეთ ფერადი სტიკერები, როცა მოსწავლეები წარმატებით შეასრულებენ დავალებას. შეეცადეთ სტიკერები მოსწავლეთა ინტერესებს შეუხამოთ.</li> <li>• დააწესეთ მორიგეობა საკლასო მოვალეობების შესრულებაზე (მაგალითად, ყვავილების მორწყვა, დაფის გაწმენდა); ამ მოვალეობების შესრულება მოსწავლეთა ქცევაზე უნდა იყოს დამოკიდებული.</li> </ul>

<p>3-4</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანდათანობით ეზრდებათ უნარი, დღეს უარი თქვან პატარა განმამტკიცებელ სტიმულებზე, რათა მოგვიანებით უფრო დიდი ჯილდო მიიღონ.</li> <li>• ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულების მაგალითები: კონკრეტული განმამტკიცებელი სტიმულები (მაგალითად, ტკბილეულობა, ფლომასტერები, პატარა სათამაშოები). მასწავლებლის მოწონება და დადებითი შეფასება. თავისუფალი დრო (მაგალითად, სათამაშოდ ან სახატავად).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იშვიათად გამოიყენეთ კონკრეტული განმამტკიცებელი სტიმულები.</li> <li>• დააჯილდოვეთ მოსწავლეები კვირის გვირის „სერტიფიკატებით“, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ რა გააკეთეს მათ განსაკუთრებით კარგად. უზრუნველყავით, რომ თითოეულმა მოსწავლემ წელიწადის განმავლობაში ერთხელ მაინც მიიღოს სერტიფიკატი.</li> </ul>
<p>6-8</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანდათანობით უძლიერდებათ სურვილი, თანატოლებთან მეტი დრო გაატარონ.</li> <li>• ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულების მაგალითები: თავისუფალი დრო მეგობრებთან, მეგობრების მოწონება, მასწავლებლის მოწონება და ემოციური მხარდაჭერა, მათი აკადემური წარმატების კონკრეტული შეფასება (ურჩევნიათ, თუ მასწავლებელი მათ ცალკე, სხვა მოსწავლეების დაუსწრებლად შეაფასებს).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, გარკვეული დრო თანატოლებთან გაატარონ მას შემდეგ, რაც ისინი წარმატებით შეასრულებენ მიცემულ დავალებებს.</li> <li>• თითოეულ მოსწავლეს ცალ-ცაკლე დაუთმეთ დრო, განსაკუთრებით კი ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც სოციალურად გარიყულნი არიან.</li> </ul>

- მნიშვნელოვნად აქვთ განვითარებული სიამოვნების დაყოვნების უნარი.

- ზრუნავენ იმაზე, რომ კარგი ნიშნები მიიღონ (განსაკუთრებით ის მოსწავლეები, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში უნდათ ჩაბარება).

- ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულების მაგალითები:

მეგობრებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის შესაძლებლობა,

მათი აკადემიური წარმატების კონკრეტული შეფასება,

მათი ჯგუფური მიღწევების საჯაროდ აღიარება (მაგალითად, სტატია სკოლის გაზეთში მოსწავლეთა კლუბის ან წრის მიერ შესრულებული სასარგებლო საქმიანობის შესახებ).

- გაცნობიერეთ, რომ კარგი ნიშნების მიღება მოსწავლეთა მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, მოსწავლეთა ყურადღება მიმართეთ იმაზე, რომ საგნის შესწავლა თავისთავად ღირებული საქმიანობაა.

- იზრუნეთ, რომ მოსწავლეთა ნიშნები დამოკიდებული იყოს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე; ფრთხილად იყავით, რომ არ წახალისოთ და განამტკიცოთ გადაწერა.

- მიეცით მოსწავლეებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა.

## განმამტკიცებელი სტიმულების ეფექტურად გამოყენება

ქვემოთ მოცემული სტრატეგიები დაგეხმარებათ, ეფექტურად გამოიყენოთ განმამტკიცებელი სტიმულები საკლასო ოთახში:

*წინასწარ განსაზღვრეთ, თუ რა არის სასურველი ქცევა.* ბი-ჰევიორისტები გვირჩევენ, რომ მოსწავლეებს წინასწარ ავუხსნათ, თუ რა ქცევები გვინდა რომ მათ ისწავლონ და გამოამუშავონ. მასწავლებელმა ისე უნდა აღწეროს სასურველი ქცევა, რომ იგი გასაგები, კონკრეტული და თვალსაჩინო იყოს მოსწავლეთათვის. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ პასუხისმგებლობა, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს აუხსნას, რომ საჭიროა მასწავლებლის მითითებების შესრულება, წიგნების და რვეულების გაკვეთილზე მოტანა და დავალების დროულად შესრულება.

*განსაზღვრეთ, რა კონკრეტული შედეგი წარმოადგენს განმამტკიცებელ სტიმულს თითოეული მოსწავლისათვის.* განმამტკიცებელი სტიმულების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია, როცა ისინი მოსწავლეებზე ინდივიდუალურად არის მორგებული. როგორ შეიძლება გავიგოთ, თუ რომელი განმამტკიცებელი სტიმულია განსაკუთრებით ეფექტური კონკრეტულ მოსწავლესთან? ერთ-ერთი გზაა, მოსწავლეებს (ან მათ მშობლებს) ვკითხოთ, თუ რა სახის შედეგებია მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველი. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებმა ხშირად არ იციან, თუ რომელი შედეგები ამტკიცებს მათ ქცევებს. მეორე მიდგომაა, დავაკვირდეთ მოსწავლეებს და ასე განვსაზღვროთ, რა მოსწონთ მათ. და ბოლოს, შეიძლება ყურადღებით მოვუსმინოთ, თუ რას ამბობენ მოსწავლეები და მერე გავაკეთოთ დასკვნები.

*გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენეთ, როცა მოსწავლეები მათ გარეშე არ ამუშავებენ სასურველ ქცევებს.* ბევრი გარეგანი განმამტკიცებელი სტიმული ეფექტურობას კარგავს, როცა მას ხშირად იყენებენ. ყველაზე ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულებია შინაგანი სტიმულები, როგორიც არის სიამოვნება, რომელსაც მოსწავლე წიგნის კითხვით იღებს, ან სიამაყის გრძნობა, რომელსაც მოსწავლე რთული დავალების შესრულების შემდეგ განიცდის. მოსწავლეები გულმოდგინედ ასრულებენ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც მათ სიამოვნებას ანიჭებს, ან მათ ცნობისმოვარეობას აკმაყოფილებს; რომლებსაც მათთვის წარმატების განცდა მოაქვს. წარმატების მიღწევა ყოველთვის არ არის ადვილი. ბევრი დავალება, რომლის შესრულებაც მოსწავლეებს უწევთ, თავდაპირველად რთულია. როცა მოსწავლეებს უჭირთ დავალების შესრულება,

მასწავლებელს შეუძლია გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები (მაგალითად, ფერადი სტიკერები, თავისუფალი დრო და ასე შემდეგ) გამოიყენოს მოსწავლეების გასამხნეებლად. თუმცა გარეგანი განმამტკიცებელი სტიმულები აღარ არის საჭირო, როცა მოსწავლეები ისე დახელოვნდებიან ამოცანების შესრულებაში და ისე კარგად დაეუფლებიან გარკვეულ უნარებს, რომ ისინი უკვე ძალიან ხშირად აღწევენ წარმატებას.

*ნათლად დაუკავშირეთ ერთმანეთს საპასუხო ქცევა და შედეგი.* განმამტკიცებელი სტიმულები განსაკუთრებით მაშინ არის ეფექტური, როცა მოსწავლეებმა ზუსტად იციან, თუ რომელი ქცევა რა შედეგს იწვევს.

*განმამტკიცებელი სტიმული განმეორებით გამოიყენეთ მანამ, სანამ სასურველ მიზანს არ მიაღწევთ.* სასურველი საპასუხო ქცევების სისშირე უფრო სწრაფად მაშინ იზრდება, როცა მათ ყოველ ჯერზე ვამტკიცებთ. განუწყვეტელი განმტკიცება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ბავშვები ახალ ქცევას სწავლობენ.

*გაუკეთეთ მონიტორინგი მოსწავლეთა პროგრესს.* ბიჰევიორისტიკები გვიჩვენებენ, პერიოდულად შევაფასოთ, მოაქვს თუ არა სასურველი შედეგი ჩვენ მიერ გამოყენებულ განმამტკიცებელ სტიმულებს. ამისათვის საჭიროა შევაფასოთ მოქმედების სისშირე, როგორც ოპერანტული განპირობებულობის სტრატეგიის გამოყენების დაწყებამდე, აგრეთვე მისი გამოყენების დროს. სანამ ჩვენ განმამტკიცებელი სტიმულების განზრახ გამოყენებას დავიწყებთ, მოქმედების სისშირე მის საწყის დონეზე იმყოფება. როცა ვადარებთ ქცევის სისშირის დონეებს საწყისსა და განმამტკიცებელი სტიმულების გამოყენების შემდგომ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, იწვევს თუ არა განმტკიცების პროცედურა ქცევის ცვლილებას. მაგალითად, ისევ ვატოს დაგუბრუნდეთ. იგი იშვიათად ასრულებს საშინაო დავალებას, შესაბამისად, თავდაპირველად მისი ქცევის სისშირე დაბალია. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია განმამტკიცებელ სტიმულად ყურადღება გამოვიყენოთ, შედეგი, რომელიც აქამდე მხოლოდ ვატოს შეუფერებელ და არასასურველ ქცევებს (მაგალითად, ქაღალდების სროლას) ამტკიცებდა. თუ ჩვენ ვატოს ყურადღებას მივაქცევთ მაშინ, როცა იგი დავალებას შეასრულებს და არა მაშინ, როცა იგი უარს ამბობს დავალების შესრულებაზე, მის მიერ დავალებების შესრულების სისშირე შეიძლება მაშინვე გაიზარდოს. თუ მაინც ვერ დავინახავთ მნიშვნელოვან ცვლილებას ვატოს ქცევაში, მაშინ სხვა განმამტკიცებელ სტიმულებს უნდა მივმართოთ. უნდა გავარკვიოთ, თუ რა მიზეზები უშლის ხელს მას დავალების შესრულებაში (მაგალითად, შესაძლებელია არ ესმის ახსნილი მასალა

და ამიტომაც ვერ ახერხებს დავალების შესრულებას).

## **ახალი ქცევის ფორმირება**

როცა მოსწავლეები იშვიათად ან საერთოდ არ ამჟღავნებენ სასურველ ქცევას, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ პროცედურა, რომელსაც ქცევის ფორმირება ეწოდება. მასწავლებლები ახდენენ ქცევის ფორმირებას, როცა ისინი ამტკიცებენ მოსწავლეთა მთელ რიგ საპასუხო ქცევებს, რომლებიც სულ უფროდაუფრო ემსგავსება სასურველ საბოლოო ქცევას. ამ პროცესს თანმიმდევრული მიახლოება ეწოდება. ყოველ ეტაპზე საპასუხო ქცევა უნდა განამტკიცოთ მანამ, სანამ რეგულარულ სახეს არ მიიღებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოთ იმ ქცევის განმტკიცება, რომელიც უფრო უახლოვდება სასურველ საბოლოო ქცევას.

ქცევის ფორმირების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია მოსწავლეებს დავეხმაროთ შეიძინონ მთელი რიგი რთული აკადემიური უნარ-ჩვევები და ისწავლონ საკლასო ოთახში მისაღები საქციელი. არაკეთილგონივრულია იმის მოლოდინი, რომ მოსწავლეთა ქცევა ერთ დღე-ღამეში შეიცვლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთულ უნარ-ჩვევებზე ვაკეთებთ აქცენტს. თუ გვინდა, რომ მოსწავლეთა ქცევა რადიკალურად შეიცვალოს, ჩვენ მათი ქცევის ფორმირება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მოვახდინოთ მანამ, სანამ სასურველ საბოლოო ქცევას არ მივაღწევთ.

## **წინმსწრები სტიმულები**

ოპერანტიული განპირობებულობის ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენი ყურადღება, ძირითადად, სასურველი ქცევის შედეგებზე იყო მიმართული. მაგრამ სტიმული, რომელიც წინ უძღვის სასურველ ქმედებას (ე. ი. წინმსწრები სტიმული), შეიძლება არანაკლებ ეფექტური იყოს. მითითება, განზოგადება და დისკრიმინაცია წინმსწრები სტიმულების მაგალითებს წარმოადგენს.

*მითითება* - მოსწავლეები უფრო გამოავლენენ სასურველ ქცევებს, როცა რეგულარულად შევახსენებთ, ანუ მივუთითებთ, თუ როგორ საქციელს ველოდებით მათგან. ასეთი მითითება ხშირად არავერბალურ (არასიტყვიერ) სიგნალებსაც მოიცავს (მაგ. პატარა ზარის დარეკვა, შუქის ანთება-ჩაქრობა და ა.შ.).

*განზოგადება* - როცა მოსწავლეები დაინახავენ, რომ მასწავლებელი მათ საპასუხო ქცევას გარკვეულ სიტუაციებში ამტკიცებს (რაც წინმსწრები სტიმულის როლს ასრულებს), ისინი იმავე საპასუხო ქმედებას გამოამჟღავნებენ მსგავს სიტუაციაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი საპასუხო ქცევის განზოგადებას ახდენენ.



*დისკრიმინაცია* - ხანდახან ადამიანები ხვდებიან, რომ ზოგიერთი საპასუხო ქცევის განმტკიცება მხოლოდ გარკვეული სტიმულის არსებობის შემთხვევაში (ე.ი. გარკვეულ გარემოში) ხდება. როცა მოსწავლეები ხვდებიან, რომ ერთი და იგივე საპასუხო ქმედება მტკიცდება ერთი სტიმულის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არ მტკიცდება სხვა, თუნდაც მსგავსი სტიმულის არსებობის შემთხვევაში, მათ უკვე შეუძლიათ სტიმულების დისკრიმინაცია ანუ განსხვავება.

დისკრიმინაციის სტიმულის გამოყენება ადვილია საკლასო ოთახში. მასწავლებელმა პირდაპირ უნდა უთხრას მოსწავლეებს, ან მიახვედროს, როგორი ქცევებია მისაღები და სასურველი: „იმისათვის რომ თქვენ შექება, კარგი ნიშანი, ვარსკვლავი და ა.შ. დაიმსახუროთ, შემდეგნაირად უნდა მოიქცეთ...“ ამგვარად, მოსწავლეები დროს და ენერგიას არასასურველ საქმიანობებზე აღარ დახარჯავენ. თუ მოსწავლეებმა იციან, რომ მათი ქცევები შედეგს გამოიღებს, ისინი ხშირად უფრო მონდომებით იმუშავენ.

### **არასასურველი ქცევის შემცირება და აღმოფხვრა**

ჩვენი ყურადღება აქამდე, ძირითადად, იმაზე იყო მიმართული, თუ როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა სასურველი ქცევების განმტკიცებას. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ისიც, თუ როგორ შეიძლება შევამციროთ და აღმოფხვრაოთ მოსწავლეთა არასასურველი ქმედებები, რომლებიც ხელს უშლის მათ (და შესაძლოა, აგრეთვე, მათ თანაკლასელებს) სწავლაში და წარმატების მიღწევაში. ბიჰევიორისტები ამის რამდენიმე სტრატეგიას გვთავაზობენ: გაქრობა, მითითება, შეუთავსებელი ქმედებების განმტკიცება და დასჯა.

*გაქრობა* - განმამტკიცებელი სტიმული აძლიერებს მოქმედებას. მაგრამ რა ხდება, როცა მთლიანად შევწყვეტთ განმამტკიცებელი სტიმულის გამოყენებას? ქცევის სიხშირე შემცირდება და ბოლოს კი საერთოდ გაქრება. ამ პროცესს ქცევის გაქრობა ეწოდება. მაგალითად, ისევ ვატო გავიხსენოთ: თუ მის მასხრობას ყურადღებას აღარ მივუქცევთ, მან შეიძლება შეწყვიტოს ცუდად მოქცევა. თუმცა, ორი რამ უნდა გვახსოვდეს:

1. განმამტკიცებელი სტიმულის მოშორება ყოველთვის მაშინვე არ ამცირებს არასასურველი ქმედების სიხშირეს. ხანდახან ქცევის სიხშირე დროებით იზრდება კიდევ, შემდეგ კი მცირდება და, საბოლოოდ, საერთოდ ქრება.

2. ხანდახან არასასურველი ქცევის სიხშირე საერთოდ არ მცირდება, როცა ჩვენ მას განმამტკიცებელ სტიმულს მოვაშორებთ. ასეთ შემთხვევაში (როცა ქმედება არ ქრება) სავსებით



მოსალოდნელია, რომ ჩვენ ვერ შევძელით ყველა განმამტკიცებელი სტიმულის მოშორება/შეწყვეტა. მაგალითად, ვატოს თანაკლასელები შეიძლება აგრძელებენ სიცილს მის მასხრობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი მას იგნორირებას უკეთებს. ქცევა მხოლოდ მაშინ გაქრება, თუ მას ყველა განმამტკიცებელ სტიმულს მოვაშორებთ.

*მითითება* - მოსწავლეებს შეიძლება არამარტო შევასხენოთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, არამედ მივუთითოთ, თუ როგორი საქციელი არ არის მისაღები. ჩვენ შეგვიძლია მიმიკა, ქესტიკულაცია გამოვიყენოთ, რათა მივახვედროთ მოსწავლეებს, რომ არ მოგვწონს მათი საქციელი და გვინდა, რომ იგი შეწყდეს. თუმცა, ხანდახან ასეთი სტრატეგიები არ ჭრის და მასწავლებელს უფრო აშკარა და გასაგები მეთოდების გამოყენება უწევს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება სიტყვიერი მითითება უფრო ეფექტური იყოს. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის სახელი ხმამაღლა წარმოთქვას, შეასხენოს მას, თუ რა არის მისაღები საქციელი მოცემულ სიტუაციაში და დაანახოს, რა არის არასასურველი ქმედება.

*შეუთავსებელი ქცევების განმტკიცება* - არასასურველი ქცევის სიხშირის შემცირება შესაძლებელია ალტერნატიული/სხვა ქცევების განმტკიცებით. იდეალურ შემთხვევაში ეს ორი ქცევა ერთმანეთთან შეუთავსებელი უნდა იყოს, ანუ მათი ერთდროულად შესრულება შეუძლებელი უნდა იყოს. მაგალითად, ჩვენ ვამტკიცებთ შეუთავსებელ ქცევებს, თუ ჩვენ ზედმეტად აქტიურ მოსწავლეს ვაქებთ, როცა ის წყნარად ზის: წყნარად ჯდომა შეუთავსებელია საკლასო ოთახში სიარულსა და მოუსვენრად ტრიალთან.

*დასჯა* - გავიხსენოთ, რომ განმამტკიცებელი სტიმული არის შედეგი, რომელიც ქცევის სიხშირეს ზრდის. დასჯა კი არის შედეგი, რომელიც მოქმედების სიხშირეს ამცირებს. დასჯის ორი სახეობა არსებობს: პოზიტიური დასჯის შემთხვევაში ჩვენ მოსწავლეს ვაძლევთ ახალ სტიმულს, სავარაუდოდ, რამე ისეთს, რაც მოსწავლეს არ მოსწონს და არ უნდა და ამის შედეგად ქცევის სიხშირე იკლებს. მაგალითად, თუ მასწავლებლის დატუქსვა ამცირებს იმ ქმედების სიხშირეს, რომელსაც ის მოჰყვება, პოზიტიური დასჯის მაგალითს წამოადგენს. ნეგატიური დასჯის შემთხვევაში მოსწავლეს ვაცილებთ არსებულ სტიმულს, სავარაუდოდ, რამე ისეთს, რაც მას მოსწონს და რისი დაკარგვაც არ უნდა. პრივილეგიის დაკარგვა, ჯარიმა (მაგალითად, დაგროვილი ქულების დაკარგვა) ნეგატიური დასჯის მაგალითებს წარმოადგენს.

ბევრი ბიჰევიორისტი თვლის, რომ სასჯელი ქცევის შეცვლის არაეფექტური მეთოდია. მან შეიძლება დროებით ჩაახშოს ქცევა, მა-

გრამ ვერ შეძლებს მის მთლიანად აღმოფხვრას. მათი აზრით, მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაპყროს სასურველი ქცევის განმტკიცებას და არა არასასურველი ქცევის დასჯას. ის ბიპევიორისტები კი, რომლებიც თვლიან, რომ სასჯელი შეიძლება ეფექტური იყოს, გვიჩვენებენ, რომ სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენოთ, თუ სასურველი ქცევის განმტკიცებას ვეღარ შევძლებთ. როცა დასჯა აუცილებელია, ის, რაც შეიძლება, რბილი უნდა იყოს. მძიმე სასჯელს, რომელიც, მაგ. რამდენიმე კვირა ან თვე გრძელდება, ან რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მოსწავლის თვითშეფასებას, ხშირად არასასურველ შედეგამდე მიყვავართ. ასეთ დროს შედეგად ვიდებთ გულისწყრომას, გაბრაზებას, მტრულ დამოკიდებულებას, გაკვეთილების გაცდენას და ა.შ. ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დასჯა არამარტო არაეფექტური, არამედ არაჰუმანიური და არაეთიკურია.

ამრიგად, ვნახეთ, რომ ბიპევიორისტების თეორიას მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება აქვს მოსწავლის ქცევის მართვაში. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ აქ უგულებელყოფილია მოსწავლის, როგორც აქტიური პიროვნების როლი საკუთარი ქცევის რეგულაციაში, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ დ. უზნაძე და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები.

## სოციალური დასწავლის თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რა არის სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პრინციპები;

რას ნიშნავს მოდელირება და რა გავლენას ახდენს იგი მოსწავლეთა ქცევაზე;

რას ნიშნავს ქცევის თვითრეგულაცია და როგორ ვითარდება ეს უნარი მოსწავლეებში;

რა სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოთ იმისათვის, რომ ხელი შეუწყოთ მოსწავლეებში თვითრეგულაციის განვითარებას;

რას ნიშნავს სწავლის თვითრეგულაცია და რა მეტაკოგნიტურ პროცესებს მოიცავს იგი.

სოციალური დასწავლის თეორია თავდაპირველად ბიჰევიორიზმზე იყო დაფუძნებული. ეს თეორია ბიჰევიორიზმის ძირითად პრინციპებს ეთანხმება, მაგრამ უფრო მეტად აქცენტს გონებრივ პროცესებზე აკეთებს. იგი ხაზს უსვამს აზროვნების გავლენას ქცევაზე და ქცევის გავლენას აზროვნებაზე. სოციალური დასწავლის თეორიის მთავარი ავტორია ალბერტ ბანდურა. ქვემოთ მოცემულია სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა:

*ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელზე დაკვირვების საშუალებით. მაგალითად, მოსწავლეს, მასწავლებელზე დაკვირვებით, შეუძლია ისწავლოს წერა, სიტყვების სწორად წარმოთქმა ან მაგალითების ამოხსნა.*

*სწავლა შინაგანი პროცესია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან არ გამოიწვიოს ქცევის ცვლილება. ზოგიერთი რამ, რასაც ადამიანები სწავლობენ, დაუყოვნებლივ აისახება მათ ქცევაზე; ზოგიც მხოლოდ*

გარკვეული პერიოდის განმავლობაში იწვევს ცვლილებას. მაგრამ არის შემთხვევებიც, რომ ადამიანები სწავლობენ, მაგრამ ეს არასოდეს ახდენს გავლენას მათ ქმედებაზე.

*ადამიანები და მათი გარემო ორმხრივად ახდენენ გავლენას ერთმანეთზე.* ბიპვეიორიზმი ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გარემო ადამიანის ქცევაზე. მაგრამ, თავის მხრივ, ადამიანის ქმედებებიც არანაკლებ გავლენას ახდენს გარემოზე. მაგალითად, მოსწავლის საპასუხო ქმედებები (საგნები, რომლებსაც ის აირჩევს, თანაკლასელები, რომლებთანაც მეგობრობს, კლასგარეშე ინტერესები) განსაზღვრავს, თუ რისი სწავლის შესაძლებლობა ექნება მას და რა შედეგს მიაღწევს მომავალში.

*ადამიანის ქმედება გარკვეულ მიზნებზეა მიმართული.* სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანები ისახავენ მიზნებს და, შესაბამისად, ამ მიზნების მისაღწევად მიმართავენ თავიანთ ქმედებებს; ისინი მოტივირებულნი არიან, მიზნებს მიაღწიონ. მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი მიზანი შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, კარგი ნიშნები, თანაკლასელებს შორის პოპულარულობა, კლასის გამართობის რეპუტაცია ან სპორტში წარმატება.

*ადამიანის ქცევა თანდათანობით უფრო თვითრეგულირებადი ხდება.* პატარა ბავშვების ქცევას მნიშვნელოვნად აკონტროლებენ და მართავენ სხვა ადამიანები: მშობლები, უფროსი დები და ძმები, ბაღის მასწავლებლები და ა.შ. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იგი საკუთარ ქცევაზე იღებს. მოზრდილი ბავშვები თვითონ წარმართავენ და აკონტროლებენ თავიანთ ქცევას და აზროვნების პროცესებს, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თვითრეგულაციის უნარი თანდათანობით იზრდება.

**სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა განათლებაში**

პრინციპი	მნიშვნელობა	მაგალითი
დაკვირვებით სწავლა	აჩვენეთ მოსწავლეებს ახალი ქცევის მაგალითები; ამით თქვენ მათ ახალი ქმედებების სწრაფად ათვისებაში დაეხმარებით.	აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტების ეფექტურად გადაჭრა. შემდეგ სთხოვეთ მათ კონფლიქტის გადაჭრის სცენარი როლებში გაითამაშონ.
სწავლა როგორც შინაგანი პროცესი, რომელიც შეიძლება აისახოს ან არ აისახოს ქცევაზე	გახსოვდეთ, რომ ახლად ნასწავლი მასალა ყოველთვის დაუყოვნებლივ არ ახდენს გავლენას მოსწავლის ქმედებაზე; ის შეიძლება მოგვიანებით აისახოს მის ქცევაზე.	მიმართეთ შესაბამის ზომებს, როდესაც მოსწავლე საკლასო ოთახში ქცევის წესებს არღვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება სხვა მოსწავლეებმაც მიბადონ.
ადამიანების და გარემოს ურთიერთგავლენა	წააქეზეთ მოსწავლეები, ისეთი არჩევანი გააკეთონ, რაც მათი სწავლისთვის სასარგებლო იქნება.	აუხსენით მოსწავლეებს, თუ რატომ არის სასარგებლო კლასგარეშე წრეებში მონაწილეობის მიღება.

<p>მიზანმიმართული მოქმედება</p>	<p>გაამხნევეთ მოსწავლეები, პროდუქტიული მიზნები დაისახონ, განსაკუთრებით კი ისეთი მიზნები, რომლებიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მიღწევადია.</p>	<p>ახალი მასალის სწავლების დროს, სთხოვეთ მოსწავლეებს, წინასწარ განსაზღვრონ რისი სწავლა შეუძლიათ ერთი კვირის განმავლობაში.</p>
<p>ქცევის თვითრეგულაცია</p>	<p>ასწავლეთ მოსწავლეებს ეფექტური სწავლის და ქცევის სტრატეგიები.</p>	<p>მიეცით მოსწავლეებს იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეიძლება შეახსენონ საკუთარ თავს, რისი მოტანა სჭირდებათ სკოლაში.</p>

*იხ. გვ. 125*

**ალბერტ ბანდურა: მოდელირება და დაკვირვებით სწავლა**

ბანდურას აზრით, სკინერის აქცენტი მოქმედების შედეგებზე, ძირითადად, იგნორირებას უკეთებს მოდელირებას - სხვა ადამიანის მოქმედების იმიტაციას. ბანდურა თვლიდა, რომ ადამიანები ეფექტურად სწავლობენ სხვა ადამიანზე, ანუ მოდელზე დაკვირვებით. ადამიანებს სხვების იმიტაციის/მიბაძვის უნარი დაბადებიდან მოსდევთ. ისინი სწავლობენ მრავალი ფსიქომოტორული ქმედების შესრულებას სხვა ადამიანებზე დაკვირვებით, როგორც შედარებით მარტივ (მაგალითად, კბილების გახეხვა), აგრეთვე გაცილებით უფრო რთულ ქმედებებს (მაგალითად, ცეკვა ან პიანინოზე დაკვრა). ადამიანები ეუფლებიან ბევრ ისეთ ქცევას, რომელიც კოგნიტურ ან ემოციურ კომპონენტებს შეიცავს. მაგალითად, მოსწავლეები:

- კითხვას უფრო კარგად სწავლობენ, როცა მშობლები ხშირად უკითხავენ;

- იძენენ გარკვეული სტიმულის ან სიტუაციის შიშს, თუ ხედავენ, რომ სხვა ადამიანები ასეთ ვითარებაში შიშის გრძნობას ავლენენ;

- უფრო კარგად უმკლავდებიან უცნობი ადამიანის გამოწვევას, თუ მათ დაინახეს, რა წინააღმდეგობის გაწევის სტრატეგიები გამოიყენა მათმა თანატოლმა.

ბევრი მოდელი, რომელთაგანაც ადამიანები სწავლობენ, ცოცხალი მოდელები არიან, რეალური ადამიანები, რომლებსაც შეიძლება დააკვირდნენ, თვალყური ადევნონ. აგრეთვე, ადამიანები ხშირად სწავლობენ სიმბოლური მოდელებისგან, წიგნებში, კინოფილმებში, ტელევიზორში ან მედიაში ასახული რეალური ან გამოგონილი ფიგურებისგან ან პერსონაჟებისგან. სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები ტერმინ მოდელირებას ხანდახან იყენებენ იმის აღსაწერად, თუ რას აკეთებს მოდელი. ამ შემთხვევაში მოდელირება მოქმედების დემონსტრაციას ნიშნავს. სხვა შემთხვევებში კი - მოქმედების იმიტაციას ანუ მიბაძვას.

### **მოდელირების გავლენა მოსწავლის ქცევაზე**

მოსწავლეებზე გავლენას ახდენს არამარტო მოდელის ქცევა, არამედ ის შედეგები, რომლებიც მოდელის მოქმედებას მოსდევს. ბანდურა მიიჩნევს, რომ მოდელირებამ მოსწავლის ქცევაზე შეიძლება შემდეგნაირად მოახდინოს ზემოქმედება:

**დაკვირვებით სწავლის ეფექტი:** მოსწავლე, რომელიც თვალს ადევნებს მოდელს, იძენს იმ ქცევას, რომელსაც მოდელი ამჟღავნებს. მოდელების დანახვით და მოსმენით, მოსწავლეები სწავლობენ ცურვას, სწორად წარმოთქმას, მათემატიკური ამოცანების ამოხსნას, ფიზიკის ექსპერიმენტების ჩატარებას და ა.შ. აგრეთვე, ისინი იძენენ მათი მშობლების პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს. მოსწავლეებმა შეიძლება აითვისონ მასწავლებლების პროზიციები და ინტერესებიც, მაგალითად, ფეხბურთის სიყვარული ან რომელიმე მეცნიერული ფენომენის შესწავლის ინტერესი.

**საპასუხო ქცევის წახალისების ეფექტი:** მოსწავლე უფრო ხშირად გამოამჟღავნებს ადრე ნასწავლ ქცევას, თუ ის დაინახავს, როგორ წახალისეს მოდელი იმავე ქმედებისთვის. მაგალითად, მოსწავლეები უფრო დროულად შეასრულებენ დავალებებს და უფრო ითანამშრომლებენ ერთმანეთთან (მოქმედებები, რომელთა შეს-

რულება მათ დიდი ხნის წინ ისწავლეს), თუ ხედავენ, როგორ აქეზებს მასწავლებელი სხვა მოსწავლეების ამ ქმედებებს.

**საპასუხო ქცევის შეკავების ეფექტი:** მოსწავლე უფრო იშვიათად გამოამჟღავნებს ადრე ნასწავლ ქცევას, თუ დაინახავს, როგორ დასაჯეს მოდელი იმავე ქმედებისთვის. მაგალითად, უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მოსწავლე აგრესიულად მოიქცევა თანატოლების მიმართ, თუ ის ნახავს, როგორ დაისაჯა მისი თანაკლასელი აგრესიული ქცევის გამოამჟღავნებისთვის. შესაბამისად, მოსწავლე უფრო იშვიათად სთხოვს მასწავლებელს, გამოიძახოს, როცა ხედავს, როგორ აკრიტიკებს და დასცინის მასწავლებელი მისი თანაკლასელების არასწორ პასუხებს.

**საპასუხო ქცევის გამოვლენის ეფექტი:** მოსწავლე უფრო ხშირად გამოამჟღავნებს იმ ქმედებას, რომელიც ადრე აკრძალული იყო და ისჯებოდა, თუ დაინახავს, რომ მოდელისთვის ამ ქმედებას უარყოფითი შედეგი აღარ მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოსწავლე გააკეთილზე საღეჭი რეზინის ღეჭვისთვის, დავალების გადაწერისთვის და დერეფანში ჩხუბისთვის ერთხელ უკვე დაისაჯა და, შესაბამისად, მსგავსი მოქმედებებისგან თავის შეკავება ისწავლა, ამ ქმედებებმა შეიძლება ისევ იჩინოს თავი, თუ მისი თანაკლასელები ანალოგიური საქციელისთვის არ ისჯებიან.

## **ეფექტური მოდელების დამახასიათებელი თვისებები**

მოსწავლეებზე ყოველთვის როდი ახდენენ გავლენას ადამიანები, რომლებსაც თავიანთ გარემოცვაში ან მედიაში ხედავენ. როდის უფრო მოსალოდნელია, რომ მოსწავლეებმა სხვა ადამიანების მოქმედებები აითვისონ? ამ კითხვაზე პასუხს შემდეგი სავარჯიშო გაგიადვილებთ:

ჩამოწერეთ იმ ხუთი ადამიანის სახელი, რომელთაც დიდ პატივს სცემთ და რომელთაც გინდათ, რომ მიბაძოთ. შემდეგ ამ ადამიანების სახელებს გვერდით მიუწერეთ მიზეზები, თუ რატომ სცემთ მათ პატივს.

დიდია იმის ალბათობა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენ აარჩიეთ, გააჩნიათ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე



დამახასიათებელი თვისებება:

*კომპეტენტურობა* - მოწაფეები, ჩვეულებრივ, ცდილობენ, ისეთ ადამიანებს მიბაძონ, რომელთაც რაღაცის კარგად გაკეთების უნარი აქვთ. ისინი შეეცდებიან, პროფესიონალ კალათბურთის მოთამაშეს მიბაძონ, და არა მოუქნელ თანაკლასელს. აითვისებენ იმ მასწავლებლის მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სტრატეგიებს, რომელმაც იცის, რას აკეთებს, და არა იმ მასწავლებლისას, რომელიც ხშირად უშვებს შეცდომებს დაფაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც კი ახასიათებთ კომპეტენტური და არაკომპეტენტური მოდელების გარჩევის უნარი.

მოწაფეები სარგებელს იღებენ არამხოლოდ მოდელების ქცევაზე დაკვირვებით, არამედ კომპეტენტური მოდელების მიერ შექმნილ ნამუშევრებზე დაკვირვებით და მათი შესწავლით. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ, სასარგებლო სტრატეგიები ისწავლონ გამოჩენილი მხატვრების (მაგ. სეზანის და ვან გოგის) ნამუშევრებზე დაკვირვებით; პროფესიონალი მუსიკოსების მრავალფეროვანი სტილით შესრულებული ნაწარმოებების მოსმენით.

*პრესტიჟი და ძალაუფლება* - ბავშვები და მოზარდები ხშირად ბაძავენ ცნობილ და ძალაუფლების მქონე ადამიანებს. ზოგიერთი ეფექტური მოდელი (მსოფლიოს ცნობილი ლიდერი, სახელგანთქმული ათლეტი, პოპულარული როკ-გარსკვლავი) შეიძლება ქვეყნის მასშტაბით ან საერთაშორისო დონეზე იყოს ცნობილი. ზოგიერთი მოდელის (მაგალითად, სკოლის ფეხბურთის გუნდის კაპიტნის, სტუდენტური კავშირის ლიდერის) პრესტიჟი და ძალაუფლება კი შეიძლება უფრო ლოკალიზებული იყოს.

მასწავლებელმა თავისი ქმედებით მოსწავლეებს სასურველი ქცევის მაგალითები უნდა მისცეს. აგრეთვე, უნდა გააცნოს ისეთი მოდელები, რომლებიც, მოსწავლეთა აზრით, კომპეტენტურები და პრესტიჟულები არიან. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება სკოლაში დაპატიჟოს ადგილობრივი პროფესიონალები (მაგალითად, პოლიციელები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ექიმები), რათა მოსწავლეებთან თავიანთი უნარების დემონსტრირება შეძლონ.

*„სქესისთვის შესაფერისი“ საქციელი* - მოწაფეები ისეთ მოქმედებებს უფრო სწავლობენ და ითვისებენ, რომლებიც, მათი აზრით, მათი სქესისთვის არის შესაფერისი და დამახასიათებელი. ადამიანები სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ იმას, თუ რა არის ამა თუ იმ სქესისთვის დამახასიათებელი საქციელი. მაგალითად, ზოგიერთი გოგონა შეიძლება მოერიდოს მათემატიკას, იმიტომ რომ ის „მამაკაცური“ საგანი ჰგონია. ზოგიერთმა ყმაწვილმა კი შეიძლება უარი თქვას სკოლის მასწავლებლობაზე, იმიტომ რომ ის „ქალების“ საქმედ მიიჩნია. ქალი მათემატიკოსების და მამაკაცი მასწავლებლის გაცნობა შეცვლის მოსწავლეების შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა მოქმედებები გარკვეული სქესისთვის შესაფერისი.

*მოქმედება, რომელიც მოსწავლის სიტუაციისთვის არის რელევანტური (მნიშვნელოვანი, სასარგებლო) - მოსწავლეები იმ ქცევებს უფრო სწავლობენ და ითვისებენ, რომლებსაც, მათი აზრით, გარკვეულ ვითარებაში გამოიყენებენ. მაგალითად, უფრო მოსალოდნელია, რომ საშუალო კლასის მოსწავლე მიბაძავს პოპულარული თანაკლასელი გოგონას ჩაცმულობის სტილს, თუ ის ფიქრობს, რომ ამგვარად ჩაცმა მასაც დაეხმარება, პოპულარული გახდეს.*

საკლასო ოთახში მასწავლებელი სხვადასხვა ქცევის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს. მაგრამ მოსწავლეები მხოლოდ იმ ქცევას მიბაძავენ, რომელიც, მათი აზრით, სასარგებლო და ნაყოფიერია. ამიტომაც, მასწავლებელმა უნდა აუხსნას და დაანახოს მოსწავლეებს, რატომ არის მოსწავლეთათვის გამოსადეგი ის უნარები, რომლებსაც ისინი ასწავლიან (მაგალითად, წერის უნარი, პრობლემების გადაჭრის უნარი).

### **დაკვირვებით სწავლა: როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, რომ ადვილად ისწავლონ მოდელებისგან**

ბანდურა თვლის, რომ ოთხი პირობაა აუცილებელი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა წარმატებით ისწავლონ სამაგალითო ქცევაზე დაკვირვებით: ყურადღება, შენარჩუნება, გამეორება და მოტივაცია.

*ყურადღება* - მოწაფემ რომ ეფექტურად ისწავლოს, ყურადღება უნდა მიაქციოს მოდელს. ზოგადად, მოსწავლეები ყურადღებას აქცევენ ისეთ მოდელებს, რომლებიც მიმზიდველნი, წარმატებულნი, საინტერესონი და პოპულარულნი არიან. საკლასო ოთახში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეების ყურადღება მიიპყროს პრეზენტაციით, სიახლეებისა და სიურპრიზების გამოყენებით და მოსწავლეებში მოტივაციის გაღვივებით.

*შენარჩუნება* - ყურადღების მიქცევის შემდეგ მოწაფემ უნდა დაიმახსოვროს, თუ რას აკეთებს მოდელი. მოსწავლეები ინფორმაციას უფრო ადვილად გაიხსენებენ, თუ ეს ინფორმაცია მათ მეხსიერებაში სხვადასხვა სახით (მაგ. ვიზუალურად და სიტყვიერად) იქნება აღბეჭდილი. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება აჩვენოს ქცევის მაგალითი და, ამასთანავე, სიტყვიერად აღწეროს და ახსნას, თუ რას აკეთებს.

*გამეორება* - ყურადღების და დამახსოვრების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის გამეორება. უმჯობესია, მოსწავლემ სასურველი ქცევა დანახვის და დაკვირვებისთანავე გაიმეოროს. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლის მცდელობა: აუხსნას, თუ რა გააკეთა კარგად და რისი გაუმჯობესებაა საჭირო.

*მოტივაცია* - მოწაფეს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ ესა თუ ის ქცევა გამოაველინოს. მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან, მიბაძონ მოდელს, თუ ფიქრობენ, რომ ამისთვის შექებას ან რამე ჯილდოს დაიმსახურებენ. მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად მასწავლებელს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება შეუძლია.

*იხ. II - გვ. 9*

### **თვითრეგულაცია**

სოციალური დასწავლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა თვითრეგულაცია. ბანდურა ვარაუდობდა, რომ ადამიანები აკვირდებიან საკუთარ საქციელს, მას საკუთარი სტანდარტების მიხედვით აფასებენ და, შესაბამისად, აქებენ და სჯიან საკუთარ თავს. კარგად შესრულებული საქმის შემდეგ ყველას გამოგვიცდია კმაყოფილების გრძნობა. ასევე, თავად ვხვდებით, როცა არც ისე კარგად შევასრულეთ სამუშაო. თვითრეგულაციის ასპექტებს წარმოადგენს: სტანდარტები და მიზნები, რომლებსაც საკუთარ თავს ვუსახავთ; მეთოდები, რომლებსაც საკუთარი გონებრივი პროცესების და ქცევების მონიტორინგისა და შეფასებისთვის ვიყენებთ; შედეგები, რომლებსაც საკუთარ თავს ვუწვსებთ მიღწეული წარმატებისა თუ წარუმატებლობისთვის. თუ ჩვენს ფიქრებსა და ქმედებებს თვითონ ვაკონტროლებთ, და არა სხვა ადამიანები და გარემოებები, ესე იგი, გაგვანჩია თვითრეგულაციის უნარი.

მოსწავლეების თვითრეგულაციის უნარი ასაკთან ერთად იზრდება. ცხრილში მოცემულია, თუ როგორ ვითარდება თვითრეგულაცია სკოლის ასაკის მოსწავლეებში.

თვითრეგულაცია სხვადასხვა კლასის მოსწავლეებში

კლასი	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები	სტრატეგიები მზადყოფნის მაგალითები
1-2	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარკვეულწილად გათავისებულ აქვთ მოზრდილი ადამიანების ქცევის სტანდარტები</li> <li>• თანდათანობით უვითარდებათ დამოუკიდებლად სწავლისა და მიზნების დასახვის უნარი</li> <li>• ქცევის სამართავად ხანდახან იყენებენ ეგოცენტრულ მეტყველებას</li> <li>• შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი ქცევის ეფექტურობა და სათანადოობა; თავს დამნაშავედ გრძნობენ, როცა რამეს აშავებენ</li> <li>• მოსწავლეებს იმპულსების, ემოციების და ყურადღების თვითკონტროლის უნარი განსხვავებული ოდენობით ახასიათებთ; თანატოლებთან ურთიერთობა და აკადემიური მოსწრება დამოკიდებულია მოსწავლეების თვითკონტროლის უნარზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაანახეთ მოსწავლეებს, თუ როგორ შეიძლება ქცევა მათ მიზნების მიღწევაში დაეხმაროს. აგრეთვე, აუხსენით, თუ როგორ ქცევას შეუძლია ხელი შეუშალოს მიზნების მიღწევაში</li> <li>• გაკვეთილი ისე დაგეგმეთ, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ, დავალების ნაწილი დამოუკიდებლად შეასრულონ</li> <li>• მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, ერთმანეთს შორის პატარა კონფლიქტები თვითონ გადაჭრან; იმ შემთხვევაში ჩაერიეთ, თუ კონფლიქტი გაძლიერდა</li> <li>• როცა მოსწავლეები იმპულსურად იქცევიან და ვერ ახდენენ საკუთარი ემოციების კონტროლს, მიეცით მითითებები და აუხსენით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ საქციელს</li> </ul>

კლასი	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები	სტრატეგიების მაგალითები
3-5	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანდათანობით უმჯობესდება საკუთარი ნამუშევრის და პროგრესის შეფასების უნარი</li> <li>• განიცდიან დანაშაულის და სირცხვილის გრძნობას, როცა წარუმატებლობას განიცდიან, ან მორალურ წესებს არღვევენ</li> <li>• იწყებენ თვითრეგულირებელი სწავლის სტრატეგიების გამოყენებას (მაგალითად, შეგნებულად ცდილობენ ყურადღების კონცენტრაციას, მოკლე დავალებების სახლში დამოუკიდებლად შესრულება შეუძლიათ)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წახალისეთ მოსწავლეები, რომ თავიანთი ნამუშევარი და პროგრესი შეაფასონ;</li> <li>• სთხოვეთ მოსწავლეებს, შეასრულონ მარტივი დავალებები, რომლებიც თვითრეგულაციის უნარს მოითხოვს (მაგალითად, საშინაო დავალება, დავალება, რომლის შესრულებაც პატარა ჯგუფებში შეუძლიათ)</li> <li>• წახალისეთ მოსწავლეები, რომ თანაკლასელებს რჩევის ან დახმარებისთვის მიმართონ</li> <li>• თუ მოსწავლეებს უჭირთ თვითკონტროლი, ასწავლეთ, როგორ მისცენ საკუთარ თავს მითითებები, რათა თავიანთი ქცევა გააკონტროლონ</li> </ul>
6-8	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანდათანობით უმჯობესდება მომავალი ქმედებების დაგეგმვის უნარი</li> <li>• თანდათანობით უფრო კარგად ეუფლებიან თვითრეგულირების სტრატეგიებს, განსაკუთრებით კი ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც თვალსაჩინო ქცევებს მოიცავს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიეცით მოსწავლეებს დავალებები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლას მოითხოვს</li> <li>• ასწავლეთ მოსწავლეებს დავალებების დაგეგმვის კონკრეტული სტრატეგიები (მაგალითად, დაურიგეთ კალენდრები სადაც ისინი ჩაწერენ</li> </ul>

	<p>(მაგალითად, კალენდარში წერენ დავალებებს და მათი ჩაბარების თარიღებს)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იყენებენ თვითმოტივაციის სტრატეგიებს (მაგალითად, ცდილობენ, მოსაწყენი დავალება უფრო საინტერესო და სახალისო გახადონ, საკუთარ თავს ახსენებენ, რომ წარმატება მნიშვნელოვანია)</li> </ul>	<p>დავალებებს და მათი ჩაბარების თარიღებს)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიეცით მოსწავლეებს ეფექტური სწავლის კონკრეტული მითითებები (მაგალითად, წასაკითხ დავალებასთან ერთად მიეცით კონკრეტული კითხვები, რომლებსაც კითხვის დროს უნდა უპასუხონ)</li> <li>• ხშირად მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, შეაფასონ თავიანთი სწავლის პროგრესი და შემდეგ ეს შეფასება თქვენს შეფასებას შეადარონ</li> </ul>
<p><b>9-12</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უფრო ხშირად ისახავენ გრძელვადიან მიზნებს</li> <li>• თანდათანობით უფრო კარგად ეუფლებიან კოგნიტურ თუ სწავლის სტრატეგიებს</li> <li>• სწავლის თვითრეგულაციის უნარი მოსწავლეებში მნიშვნელოვნად განსხვავდება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკლასო დავალებები მოსწავლეთა გრძელვადიან მიზნებს დაუკავშირეთ</li> <li>• აუხსენით და მიეცით მოსწავლეებს კითხვის, სწავლის და მეცადინეობის ეფექტური კოგნიტური სტრატეგიების მაგალითები</li> <li>• მიეცით მოსწავლეებს რთული დავალებები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლას მოითხოვს; იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ სწავლის თვითრეგულაციის უნარი, კონკრეტული მითითებებით დაეხმარეთ</li> </ul>

*იხ. გვ. 13; 125*

*თვითგანსაზღვრული სტანდარტები და მიზნები* - ადამიანთა უმეტესობას განსაზღვრული აქვს საკუთარი ქცევის ზოგადი სტანდარტები, რომლებსაც კონკრეტულ სიტუაციებში თავიანთი ქცევების შესაფასებლად იყენებენ. აგრეთვე, ადამიანები ისახავენ კონკრეტულ მიზნებს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია და რომელთა მიღწევას თავიანთი ქმედებებით ცდილობენ. საკუთარი მიზნების მიღწევა ყველა ადამიანს დიდ კმაყოფილებას ანიჭებს და მათ თვითფექტიანობის შეგრძნებას მნიშვნელოვნად ამაღლებს.

საკუთარი ქცევის შესაფასებლად მოსწავლეები განსხვავებულ სტანდარტებს ქმნიან და განსხვავებულ მიზნებს ისახავენ. მაგალითად, მერაბი შეიძლება გამუდმებით იმაზე ზრუნავდეს, რომ უმაღლესი ქულები მიიღოს, ხოლო თეა უფრო დაბალი ნიშნებითაც შეიძლება დაკმაყოფილდეს. ბანდურას აზრით, მოსწავლეები ხშირად ისეთ მიზნებს ისახავენ, როგორსაც მათ გარშემო მყოფი ადამიანები.

მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი და წარმატებულნი არიან და მიზნებს უფრო ადვილად აღწევენ, თუ მათ ეს მიზნები თვითონვე დაისახეს. იმისათვის რომ მათ თვითრეგულაციის სწავლაში დავეხმაროთ, ისეთი სიტუაციები უნდა შევუქმნათ, სადაც თვითონვე შეძლებენ საკუთარი მიზნების დასახვას. მაგალითად, შეგვიძლია მოსწავლეებს ვკითხოთ, რამდენი მათემატიკური ამოცანის ამოხსნას შეძლებენ პარასკევამდე, ან რა საკითხის შესწავლა სურთ საკლასო პროექტისათვის.

სასურველია, მოსწავლეები ისეთი მიზნების დასახვისკენ წავახალისოთ, რომლებიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ, ამავე დროს, მიღწევადია. როცა მოსწავლეები დაბალ მიზნებს ისახავენ (მაგ. როცა ნიჭიერი მოსწავლეები დაბალი შეფასებითაც კმაყოფილნი არიან), ვერ ახერხებენ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. თუმცა, როცა მოსწავლეთა სტანდარტები ძალიან მაღალია (მაგ. როცა არ კმაყოფილდებიან, თუ ყველა დავალებაში უმაღლესი შეფასება არ მიიღეს), ხშირად განიცდიან წარუმატებლობას. ბანდურას აზრით, ასეთი მოსწავლეები ზედმეტად მშფოთვარენი და დეპრესიულნი ხდებიან, თუ ვერ ახერხებენ იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც თვითონვე დაისახეს. მასწავლებელმა მათ უნდა დაანახოს, რომ სრულყოფილება არარეალური მიზანია და როცა ახალ და რთულ დავალებებს ასრულებ, ხშირად შეცდომები გარდაუვალია.

*ემოციური რეგულაცია* - თვითრეგულაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ემოციური რეგულაცია. ემოციური რეგულაცია მოიცავს იმის ცოდნას, თუ რა ემოციური განცდა გავგაჩნია მოცემულ მომენტში. აგრეთვე, იგი მოიცავს ემოციების კონტროლის უნარსაც. მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებთან ერთად განიხილოს, რა სტრატეგიები უნდა გამოიყენონ ბავშვებმა, როცა ზედმეტად აღგზნებულნი, გაბრაზებულნი ან მოწყენილნი არიან. წიგნის კითხვა,

თამაში, გრძნობების ისეთი ადამიანებისთვის გაზიარება, რომლებიც მათ გაკრიტიკების და გაკიცხვის გარეშე მოუსმენენ, ან, უბრალოდ, ცოტა ხნით განმარტოვება ასეთი სტრატეგიების მაგალითებს წარმოადგენს. აგრეთვე, ემოციური რეგულაცია მოიცავს მოვლენების დადებითი მხარეების დანახვას. მაგალითად, მოსწავლე, რომელმაც ტესტში დაბალი შეფასება მიიღო, ამ მოვლენას შეიძლება მიუდგეს, როგორც გაფრთხილებას, რომ მომავალში უფრო ბეჯითად უნდა იმეცადინოს.

*თვითმითითებები* - ხანდახან მოსწავლეებს იმის შესხენება სჭირდებათ, როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციაში. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს ასწავლოს, როგორ მისცეს საკუთარ თავს მითითებები/ინსტრუქციები, ანუ როგორ შეახსენოს საკუთარ თავს, რომელი ქცევაა შესაფერისი მოცემულ სიტუაციაში. ეს სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტურია იმ მოსწავლეებში, რომლებიც ხშირად დაუფიქრებლად მოქმედებენ.

*თვითდაკვირვება* - თვითრეგულაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საკუთარ ქცევაზე დაკვირვება, პროცესი, რომელსაც თვითდაკვირვება ეწოდება. მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევა რომ შეეძლოს, პროგრესის ობიექტურად შეფასება უნდა შეგვეძლოს. როცა ვხედავთ, რომ ჩვენს ძალისხმევას შედეგი მოაქვს, ჩვენი მოტივაცია უფრო გაიზრდება.

მოსწავლეები ყოველთვის ვერ ახერხებენ საკუთარი ქცევის ეფექტურად მონიტორინგს. ხანდახან არ იციან, სწორია თუ არა მათი ქმედება. მოსწავლეებს შეიძლება თვითდაკვირვების კონკრეტული მექანიზმები ვასწავლოთ. მაგალითად, მოსწავლეს, რომელიც ხშირად ხელის აწევის გარეშე პასუხობს მასწავლებლის კითხვებს, შეგვიძლია ვთხოვოთ, ქაღალდის ფურცელზე თითო ხაზით აღნიშნოს, როცა მასწავლებლის კითხვას წამოძახილით, რიგგარეშე უპასუხებს. ასეთმა თვითდაკვირვებამ და ჩანაწერების გაკეთებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსწავლის ქცევა.

*თვითშეფასება* - თვითრეგულაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თვითშეფასების უნარი, ობიექტურად და სწორად შეაფასონ საკუთარი ქცევა. მოსწავლეთა თვითშეფასების უნარი ძალიან მნიშვნელოვანია მათი მომავალი წარმატებისთვის. ქვემოთ მოცემულია თვითშეფასების რამდენიმე სტრატეგია:

- სხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ ყოველკვირეული ან ყოველთვიური ჩანაწერები, სადაც შეაფასებენ, რამდენად კარგად შეასრულეს დავალებები; სთხოვეთ, აღნიშნონ შესრულებული სამუშაოს ძლიერი და სუსტი მხარეები;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, პატარა ჯგუფებში შეაფასონ ერთმანეთის ნამუშევრები.



- სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან საქაღალდე, სადაც თავიანთ საუკეთესო ნამუშევრებს მოუყრიან თავს; აგრეთვე ყველა ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოსწავლის შეფასება.

## სწავლის თვითრეგულაცია

იმისათვის რომ მოსწავლეებმა ეფექტურად ისწავლონ, უნდა შეეძლოს არამარტო საკუთარი ქცევის, არამედ საკუთარი გონებრივი პროცესების რეგულაცია. სწავლის თვითრეგულაცია მოიცავს შემდეგ მეტაკოგნიტურ პროცესებს:

*მიზნების დასახვა* - მოსწავლეებმა, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, იციან, რა მიზნების მიღწევა უნდათ კითხვის ან მეცადინეობის დროს. მათი მიზანი შეიძლება იყოს კონკრეტული ფაქტების სწავლა, საგნის შესახებ ზოგადი ცოდნის მიღება, ან საკმარისი ცოდნის დაგროვება იმისათვის, რომ გამოცდა კარგად ჩააბარონ. ჩვეულებრივ, ეს მოსწავლეები კონკრეტული მეცადინეობის მიზნებს თავიანთ გრძელვადიან მიზნებთან და მისწრაფებებთან აკავშირებენ.

*დაგეგმვა* - მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, წინასწარ განსაზღვრავენ, როგორ უნდა გამოიყენონ მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო და რესურსები.

*თვითმოტივაცია* - მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, ხშირად მაღალი თვითეფექტურობის შეგრძნება უჩნდებათ: მათ სჯერათ, რომ დავალების წარმატებით შესრულება შეუძლიათ. ისინი მთელ რიგ სტრატეგიებს იყენებენ იმისათვის, რომ ყურადღების კონცენტრაცია შესასრულებელ დავალებაზე მოახდინონ. მაგალითად, ცდილობენ, მოსაწყენი დავალება უფრო საინტერესო და სახალისო გახადონ; საკუთარ თავს ასხენებენ, რომ წარმატება მნიშვნელოვანია და დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში საკუთარ თავს ჯილდოსაც ჰპირდებიან.

*ყურადღების კონტროლი* - მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, ცდილობენ, ყურადღების კონცენტრაცია შესასრულებელ დავალებაზე მოახდინონ. მათ შეუძლიათ, არ იფიქრონ სხვა საგნებზე და გააჩნიათ საკუთარი ემოციების კონტროლის უნარიც.

*სწავლის სტრატეგიების მოქნილად გამოყენება* - მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, თავიანთი მიზნების მისაღწევად სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიებს იყენებენ.


*თვითმონიტორინგი* - მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, მუდმივად აკვირდებიან თავიანთ სწავლის პროცესს. თუ ამის საჭიროება არსებობს, სწავლის სტრატეგიებს ან მიზნებს ცვლიან.

*დახმარებისთვის მიმართვა* - მოსწავლეები, რომლებსაც სწავლის

თვითრეგულაციის უნარი აქვთ, ყოველთვის როდი ცდილობენ ყველაფრის დამოუკიდებლად გააკეთებას. პირიქით, ისინი ხვდებიან, როდის სჭირდებათ სხვა ადამიანების დახმარება და, საჭიროებისამებრ, მიმართავენ მათ.

*თვითშეფასება* - მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლის თვითრეგულაციის უნარი აქვთ, შეუძლიათ შეაფასონ, რამდენად კარგად დაეხმარებათ ნასწავლი მასალა თავიანთი მიზნების მიღწევაში. თუ ამის საჭიროება არსებობს, მათ ცვლილებები შეაქვთ სწავლის სტრატეგიებში.

### **როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სწავლის თვითრეგულაციის სწავლაში**



- ასწავლეთ მოსწავლეებს ეფექტური სწავლის სტრატეგიები.
- წაახალისეთ მოსწავლეები, თვითონვე დაისახონ სწავლის მიზნები და შემდეგ დააკვირდნენ სწავლის პროცესს.
- მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, ისწავლონ და მიაღწიონ წარმატებას მასწავლებლის მითითების და დახმარების გარეშე; მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები, რომლებიც დამოუკიდებლად, ან ჯგუფურ მუშაობას მოითხოვს.

• დროდადრო მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები (მაგალითად, კვლევითი ან შემოქმედებითი პროექტები), რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, თვითონვე განსაზღვრონ მიზნები და დაგეგმონ, როგორ უნდა გამოიყენონ დრო.

• საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს, როცა თვითრეგულაციის ახალი სტრატეგიების გამოყენებას სწავლობენ.

• ხშირად დაავალეთ მოსწავლეებს, შეაფასონ თავიანთი პროგრესი და ნამუშევარი; შემდეგ კი სთხოვეთ, თავიანთი შეფასება მასწავლებლის შეფასებას შეადარონ.

## კონსტრუქტივიზმი

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ნიშნავს კონსტრუქტივიზმი და რა არის მისი ძირითადი პრინციპები;

რას მოიცავს ცოდნის აგება, რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალური კომუნიკაცია ცოდნის აგების დროს და როგორ უნდა ჩართოთ მოსწავლეები ცოდნის სოციალურად აგების პროცესში;

რას მოიცავს კოგნიტური განვითარება ჯ. ბრუნერის თანახმად;

რას მოიცავს აღმოჩენით სწავლა და როგორ შეიძლება საკლასო ოთახში მისი ეფექტურად გამოყენება;

როგორ დაგეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის ეფექტურად აგებაში.

\*\*\*\*\*

ფსიქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლეს უშუალოდ გადასცეს ცოდნა. მოსწავლემ თვითონვე უნდა ააგოს ცოდნა გონებაში. მასწავლებელი მას მხოლოდ ეხმარება ცოდნის აგებაში. ამისათვის მას შეუძლია გამოიყენოს სწავლების ისეთი მეთოდები, რომლებიც ახალ ინფორმაციას მოსწავლისათვის საინტერესოს და მნიშვნელოვანს გახდის; მისცეს მოსწავლეებს ცოდნის აღმოჩენის და ახალი იდეების განხორციელების შესაძლებლობა და ასწავლოს მათ სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს მოსწავლეებს გზა, რომელიც მათ სამყაროს უკეთ შეცნობაში დაეხმარება, მაგრამ ამ გზის გავლა უკვე მოსწავლეების პასუხისმგებლობაა.

სწავლის თეორიებს, რომლებიც სწავლას განსაზღვრავენ, როგორც გამოცდილებიდან ცოდნის აგებას, სწავლის კონსტრუქტივისტული

თეორიები ეწოდება (ლათინური სიტყვა constructus ქართულად აგებას ნიშნავს). კონსტრუქტივისტული თეორიის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ მოსწავლეებმა თვითონვე უნდა ააგონ ცოდნა სამყაროს შესახებ. მათ თვითონ უნდა აღმოაჩინონ და გარდაქმნან რთული ინფორმაცია იმისათვის, რომ ახალი ცოდნა გაითავისონ. ბავშვები ახალ ინფორმაციას მუდმივად აღარებენ მათთვის ცნობილ პრინციპებს და, საჭიროებისამებრ, ცვლიან ამ უკანასკნელს. აღნიშნული თეორიების თანახმად, მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ თავიანთი სწავლის პროცესში, სადაც მასწავლებლის როლი მოსწავლის მეგზურობით და მრჩეველობით შემოიფარგლება.

**იხ. გვ. 13; 55**

თანამედროვე კონსტრუქტივისტული აზროვნება მნიშვნელოვნად ეფუძნება პიაჟეს და ვიგოტსკის ნაშრომებს. პიაჟე და ვიგოტსკი თვლიდნენ, რომ კოგნიტურ ცვლილებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა არსებული ცოდნა დისექვილიბრიუმის პროცესს გაივლის ახალი ინფორმაციის საფუძველზე. ისინი, აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებდნენ სწავლის პროცესის სოციალურ ბუნებაზე.



## არსებული ცოდნის გავლენა ცოდნის აგებაზე

ადამიანები ხშირად განსხვავებულად იგებენ და ხსნიან ერთსა და იმავე სიტუაციას ან მოვლენას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მათ განსხვავებული წინა გამოცდილებები და ცოდნა გააჩნიათ. აგრეთვე, ადამიანები ხშირად დანახულსა და მოსმენილს იმაზე დაყრდნობით ხსნიან, თუ რის დანახვას და მოსმენას მოელოდნენ ისინი. ადრე შეძენილი ცოდნა და გამოცდილება განსაკუთრებით მაშინ ახდენს გავლენას სწავლაზე, როცა ახალი ინფორმაცია ორაზროვანი და ბუნდოვანია.

მოსწავლეები განსხვავებულ ცოდნას აგებენ სასწავლო პროგრამის თითქმის ყველა სფეროში. მაგალითად, კითხვის პროცესი ცოდნის აგებას მოითხოვს: მოსწავლეები თავიანთ არსებულ ცოდნას ფურცელზე ნაბეჭდ ინფორმაციას უკავშირებენ, უთავსებენ და მერე ისეთ დასკვნებს აკეთებენ, რომლებიც მათთვის ლოგიკურია. ამიტომაც, აკადემიური თუ არააკადემიური ინფორმაციის გადაცემის დროს მასწავლებელმა ზედმიწევნით სრულად, ნათლად და გასაგებად უნდა გამოხატოს ის, რისი თქმაც სურს, რათა თავიდან აიცილოს გაუგებრობა.

## ცოდნის აგება, როგორც სოციალური პროცესი

ვიგოტსკი ხაზს უსვამდა სწავლის სოციალურ ხასიათს. მისი აზრით, ბავშვები სწავლობენ მოზრდილ ადამიანებთან და უფრო კომპლექტურ თანატოლებთან კომუნიკაციის შედეგად. სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შექმნას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. ინდივიდუალურად აგებული ცოდნა შეიძლება განსხვავდებოდეს, სოციალურად აგებულ ცოდნას კი ორი ან მეტი ადამიანი ერთდროულად იზიარებს. საკლასო ოთახში ცოდნის სოციალურად აგება მოიცავს მოსწავლეების და მასწავლებლის ერთობლივ, აქტიურ მუშაობას, რომელიც ახალი ინფორმაციის და მოვლენების უკეთ გაგებას ისახავს მიზნად. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება დაავალოს მუშაობა წყვილებში ან პატარა ჯგუფებში, რათა მათ განიხილონ, ახსნან, გააანალიზონ, გამოიკვლიონ და იკამათონ სხვადასხვა თემებზე.

ერთობლივი სასწავლო პროექტების შესრულება მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, თანატოლებთან ერთად განიხილონ ახალი ინფორმაცია და ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ. ეს კი მოსწავლეებს აკადემიური მასალის უკეთ გაგებაში ეხმარება. აგრეთვე, ჯგუფებში მუშაობა მათ შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ თანატოლების განსხვავებულ შეხედულებებს და შეეკამათონ და გამოიწვიონ ისინი. პიაჟეს და ვიგოტსკის მიანხლათ, რომ ასეთი კამათი

და დისკუსია აუცილებელია, რათა მოსწავლეები კოგნიტურად განვითარდნენ.

**იხ. გვ. 61**

ვიგოტსკის აზრით, მოსწავლეები, რომლებსაც პრობლემების გადაჭრის კარგი უნარი გააჩნიათ, რთული ამოცანების ამოსხნისას ხშირად ეგოცენტრულ მეტყველებას მიმართავენ. ჯგუფებში ერთობლივად მუშაობის დროს, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ და ისწავლონ, თუ რა აზროვნების პროცესებს იყენებენ მათი თანატოლები და რა ნაბიჯებს დგამენ ამოცანის ამოსახსნელად.

ერთობლივად მუშაობა ხელს უწყობს არამარტო მოსწავლეთა კოგნიტურ განვითარებას, არამედ მათ სოციალურ განვითარებას და მოტივაციის ამაღლებასაც. თანაკლასელებთან სხვადასხვა თემის განხილვა მათ უფრო ეფექტური სოციალური უნარ-ჩვევების შექმნაში ეხმარება.

### განვითარების უახლოესი ზონა

**იხ. გვ. 57**

ვიგოტსკის აზრით, ბავშვები ახალ ცნებებს ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როცა ისინი მათი განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებშია. როგორც აღვნიშნეთ, განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების ან თანატოლების დახმარებით.

როცა ბავშვები ერთობლივად მუშაობენ, თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ეძლევა, დააკვირდეს თანატოლს, რომელიც კოგნიტური განვითარების ოდნავ მაღალ დონეზე იმყოფება და, შესაბამისად, დავალებას უფრო დახვეწილი კოგნიტური პროცესების გამოყენებით ასრულებს.

### დამხმარე საშუალებათა სისტემა (სკაფოლდინგი)

ვიგოტსკის ცნება დამხმარე საშუალებებით სწავლა (დახმარებით სწავლა), რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიაში სკაფოლდინგი ეწოდება, ძალზე მნიშვნელოვანია კონსტრუქტივისტულ აზროვნებაში.

სკაფოლდინგი გულისხმობს იმ დახმარებას, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, შეასრულოს დავალებები მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში.

ვიგოტსკის აზრით, მასწავლებელი კულტურული აგენტის/დესპანის როლს ასრულებს; იგი სწავლების პროცესს ისე მართავს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მაღალი დონის კოგნიტური პროცესების დაუფლება და გათავისუბლა. კონსტრუქტივისტი ფსიქოლოგების აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეებს რთული, მაგრამ მიღწევადი დავალებები უნდა მისცეს, შემდეგ კი მათ საკმარისი დახმარება უნდა აღმოუჩინოს, რათა ისინი მოცემულ ამოცანას წარმატებით გაუმკლავდნენ.

*იხ. გვ. 107*

თავდაპირველად, მასწავლებელმა მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეს. შემდეგ კი თანდათანობით უნდა შეამციროს მხარდაჭერა და შესაძლებლობა მისცეს ბავშვს, რომ დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება.

### **ბრუნერის კოგნიტური ზრდის თეორია**

*კოგნიტური ზრდა და ცოდნის გამოხატვა* - ფსიქოლოგ ჯერომ ბრუნერის აზრით, ადამიანის ინტელექტუალური განვითარება მოიცავს მეთოდურ წინსვლას გონების გამოყენებაში. ეს მეთოდური წინსვლა დამოკიდებულია გაუმჯობესებულ/მზარდ ენობრივ უნარებზე და სისტემატურ სწავლებაზე. ბავშვის ზრდასთან ერთად, მისი ქმედებები გარემოში არსებული სტიმულების მიერ უფროდაუფრო ნაკლებად იზღუდება. იგი კოგნიტური პროცესების (აზრების და შეხედულებების) გამოყენებით აკავშირებს სტიმულს და საპასუხო ქცევას. ეს მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, საჭიროებისდა მიხედვით, ერთი და იგივე საპასუხო ქცევა გამოიყენოს ცვალებად გარემოში და სხვადასხვანაირად იმოქმედოს ერთსა და იმავე გარემოში.

ბრუნერი განასხვავებს ადამიანის აზროვნების პროცესების სამ ფორმას. მისი აზრით, ცოდნის გამოხატვის სამი გზა არსებობს: მოქმედებითი გამოხატვა, წარმოსახვითი გამოხატვა და სიმბოლური გამოხატვა. ადამიანის ზრდა მოიცავს ამ სამი აზროვნების ფორმის თანდათანობით განვითარებას: ადამიანი ჯერ მოქმედებით, შემდეგ წარმოსახვით და ბოლოს სიმბოლურ გამოხატვას ეუფლება.



მოქმედებით გამოხატვა მოიცავს მოტორულ საპასუხო ქცევებს, ანუ გარემოს მანიპულირების გზებს. ისეთი ქმედებები, როგორც არის ველოსიპედის ტარება და კვანძის შეკვრა, ძირითადად კუნთის მოქმედებით გამოიხატება.

წარმოსახვითი გამოხატვა გონებრივ გამოსახულებებს მოიცავს. ბავშვები იძენენ ფიქრის უნარს ისეთ საგნებზე, რომლებიც ფიზიკურად მათ ირგვლივ არ არის. მათ შეუძლიათ საგნების და მათთან დაკავშირებული მოქმედებების გონებაში წარმოსახვა.

წარმოსახვითი გამოხატვა შესაძლებლობას აძლევს ადამიანს, იცნოს ის საგნები, რომლებიც უმნიშვნელოდ იცვლება (მაგალითად, მთები თოვლის საფარველის გარეშე).

სიმბოლური გამოხატვა იყენებს სიმბოლურ სისტემებს იმისათვის, რომ ცოდნა დაშიფროს. ცნობილი სიმბოლური სისტემებია ენა და მათემატიკური ჩაწერის სისტემა. ასეთი სისტემები ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, სიტყვიერი მითითების შედეგად შეცვალოს სიმბოლური ინფორმაცია. სიმბოლური გამოხატვა ყველაზე გვიან ვითარდება და მალე ყველაზე „საყვარელი“ ფორმა ხდება ადამიანისთვის. თუმცა ადამიანი, ამავდროულად, ინარჩუნებს ცოდნის მოქმედებით და წარმოსახვით გამოხატვის უნარებს.

*ბრუნერის თეორიის მნიშვნელობა - განათლებაში* ბრუნერის ცოდნის აგების თეორია სწავლის სამ ფორმას მოიცავს. პატარა ბავშვები მეტწილად მოქმედების ფორმას იყენებენ სწავლის დროს. მაგალითად, ბავშვი გადატრიალებას, დაჯდომას თუ სიარულს თავისივე ქმედებით სწავლობს. სწავლის ეს ფორმა ყველა ასაკის ადამიანში არსებობს, თუმცა ის უფრო ბავშვებში დომინირებს. მაგალითად, ბავშვს უფრო ადვილად შეუძლია ისწავლოს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, ვიდრე მოზრდილ ადამიანს. წარმოსახვითი გამოხატვა, ჩვეულებრივ, ბავშვობის შემდეგ ეტაპზე იქნეს თავს. ბავშვები სწავლობენ სურათების და დიაგრამების მნიშვნელობას და არითმეტიკული ამოცანების რიცხვების საშუალებით (და არა საგნების დათვლით) ამოხსნას. მოგვიანებით, დაახლოებით მოზარდობის ასაკში, სწავლის სიმბოლური ფორმა იწყებს დომინირებას. მოსწავლეებს ესმით და შეუძლიათ აბსტრაქტულ ცნებებთან მუშაობა. მასწავლებელმა სწავლების მეთოდები უნდა ცვალოს მოსწავლეთა განვითარების შესაბამისად. მაგალითად, სანამ მოსწავლეები აბსტრაქტული მათემატიკური სიმბოლოების გაგებას შეძლებენ, მათ მათემატიკური ამოცანები მოქმედებით (მაგალითად, საგნების) ან წარმოსახვითი (მაგალითად, ნახატების) ფორმების გამოყენებით უნდა მივაწოდოთ.



ბრუნერის აზრით, სწავლება მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას უნდა ისახავდეს მიზნად; სწავლების ფორმა კი მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას უნდა შეესაბამებოდეს. ბრუნერი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი შინაარსის მასალა შეიძლება ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს ისე ვასწავლოთ, რომ ეს მისთვის საინტერესო და გასაგები იყოს. ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს ნებისმიერი რამ შეიძლება ვასწავლოთ. ბრუნერი გვიჩვენებს, მასალის შინაარსს მოგვიანებით ისევე დავუბრუნდეთ: ცნებები, თავდაპირველად, მარტივ ფორმებში უნდა ვასწავლოთ ბავშვებს (ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათი გაგება), ხოლო როცა ისინი გაიზრდებიან, იგივე მასალა უფრო რთულ ფორმებში უნდა მივაწოდოთ.

*აღმოჩენით სწავლა* - აღმოჩენით სწავლა კონსტრუქტივისტული თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღმოჩენით სწავლა მოიცავს ცოდნის ინდივიდუალურად მოპოვებას. ბრუნერის აზრით, სწავლა აქტიური პროცესია, რომელშიც მოწაფეები აგებენ ახალ ცოდნას თავიანთ არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით. მოსწავლე იყენებს კოგნიტურ სტრუქტურებს იმისათვის, რომ დაახარისხოს და გარდაქმნას ინფორმაცია, ააგოს და გამოსცადოს ჰიპოტეზები და ჩაატაროს ექსპერიმენტები, რათა თვითონ აღმოაჩინოს ცოდნა. აღმოჩენა წარმოადგენს ინდუქციური აზროვნების ფორმას: მოსწავლეები კონკრეტული მაგალითების შესწავლის შედეგად ზოგად ცნებებს და პრინციპებს აყალიბებენ.

აღმოჩენა არ მოიცავს მოსწავლეების თავის ნებაზე მიშვებას, „რაც უნდათ ის ისწავლონ“. აღმოჩენა ეფექტურია, როცა მას მასწავლებელი მართავს: მასწავლებელი გეგმავს და აძლევს მოსწავლეებს ისეთ დავალებებს, რომლებიც მათ მანიპულირების და გამოკვლევის შესაძლებლობას მისცემს. მოსწავლეები იძენენ როგორც ახალ ცოდნას, ასევე პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევებს, როგორცაა პრინციპების ფორმულირება, ჰიპოთეზების გამოცდა და ინფორმაციის შეგროვება. კითხვები, ამოცანები და თავსატეხები ხელს უწყობს მოსწავლეთა ეფექტურ სწავლას. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, საკუთარი ინტუიციის დახმარებით გამოიცნონ პასუხები და ამოხსნან ამოცანები. ასეთი დავალებები მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და მოტივაციას აძლევს, იმუშაონ მანამ, სანამ პასუხებს არ იპოვიან.

## **ცოდნის ორგანიზება**

ცოდნის აგების დროს მოსწავლეები ერთმანეთთან აკავშირებენ კონკრეტულ ცნებებს, საგნებს და მოვლენებს. ქვემოთ მოცემულია ცოდნის ორგანიზების გზები, რომლებსაც მოსწავლეები ცოდნის აგების დროს იყენებენ: ცნებები, სქემები და სცენარები, თეორიები და

მსოფლმხედველობა.

*ცნებები* - ცნება არის მსგავსი საგნების და მოვლენების დაჯგუფება ან ზოგადი ნიშნების ასახვა. ცნებები ლოგიკური აზროვნების ბირთვს წარმოადგენს. ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენს აზროვნებას. პირველი, ცნებები სამყაროს რთულ ბუნებას გარკვეულწილად ამარტივებს: მსგავსი საგნების და მოვლენების დახარისხება ცხოვრებას უფრო მარტივს და ადვილად გასაგებს ხდის. მეორეც, ცნებები ხანდახან დიდი მოცულობის ინფორმაციას უფრო მარტივ ერთეულებად გადააქცევს და ამით ჩვენი მეხსიერების შეზღუდულ ტევადობას ზედმეტ დატვირთვას აშორებს.

აღამიანებს გააჩნიათ სამყაროს ორგანიზების თანდაყოლილი მიდრეკილება. ბავშვი სამი თვის ასაკიდან იწყებს ცოდნის ორგანიზებას. როცა იგი ლაპარაკს სწავლობს, მისი ცნებების განვითარების დონე ნაწილობრივ მის სიტყვათა მარაგის მოცულობაში გამოიხატება. სკოლაში შესვლის დროს, ბავშვმა, ჩვეულებრივ, 8000–დან 14000–მდე სიტყვის მნიშვნელობა იცის. მოსწავლეები სკოლის პერიოდში ათასობით ახალ ცნებას სწავლობენ. ისინი ზოგიერთ ცნებას სწრაფად და ადვილად ითვისებენ, სხვებს კი უფრო ნელა და თანდათანობით სწავლობენ და დროთა განმავლობაში ცვლიან. ამ დროის განმავლობაში, მათ არასრული წარმოდგენა აქვთ ცნების მნიშვნელობის შესახებ. ხანდახან მოსწავლეები არასათანადოდ განაზოგადებენ ცნებას: მათ შეზღუდული წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რა საგნებს და მოვლენებს მოიცავს ცნება. ზოგჯერ კი მოსწავლეები ზედმეტად განაზოგადებენ ცნებას: ისინი ისეთ საგნებს და მოვლენებს ჩართავენ ცნების კატეგორიაში, რომლებიც მას არ ეკუთვნის. მოსწავლეებს მხოლოდ მაშინ ესმით ბოლომდე ცნების მნიშვნელობა, როცა შეუძლიათ, სწორად მოიყვანონ როგორც ცნების მაგალითები, აგრეთვე იმის მაგალითები, რაც ამ ცნებას არ ეკუთვნის.

*იხ. გვ. 7*

პიაჟე ვარაუდობდა, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი აბსტრაქტულად აზროვნების უნარი. განვითარების ეს პრინციპი ბავშვების მიერ ცნებების გაგებაში აისახება. ცნებების დაუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმის სწავლა, თუ როგორ არის ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული. ცნებები შეიძლება იერარქიულად იყოს ორგანიზებული.

მაგალითად, ბავშვები სწავლობენ, რომ კატები და ძაღლები ძუძუმწოვრები არიან, ხოლო ძუძუმწოვრები და ფრინველები კი - ხერხემლიანი არსებები.

ხანდახან ცნების დაუფლება მოიცავს მისი იმ კონკრეტული თვისებების სწავლას, რომლებიც მოცემული ცნების კატეგორიის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს. ეს მოიცავს განმსაზღვრელ, არსებით თვისებებს (თვისებებს, რომლებიც ცნების კატეგორიის ყველა წევრს გააჩნია) და თანაფარდოვით თვისებებს (თვისებებს, რომლებიც ცნების მხოლოდ ზოგიერთ მაგალითს ახასიათებს). მაგალითად, მწერის განმსაზღვრელი თვისებებია ექვსი ფეხი, სხეულის სამი ნაწილი, ორი ე.წ. „ანტენა“ და მაგარი საფარველი. მწერის თანაფარდობითი თვისებებია ფრთები: ზოგიერთ მწერს შეიძლება ჰქონდეს ფრთები, ზოგს კი - არა.

ზოგჯერ ცნების სწავლის დროს მოსწავლეები მის პროტოტიპს აგებენ გონებაში: მათ გონებაში მოცემული ცნების მაგალითი მოჰყავთ, ან ვიზუალურად წარმოსახავენ. ცნების პროტოტიპის შექმნის შემდეგ მოსწავლეები ახალ საგნებს და მოვლენებს ამ პროტოტიპს ადარებენ, რათა განსაზღვრონ, ეკუთვნის თუ არა ისინი მოცემული ცნების კატეგორიას.

ხანდახან ცნების სწავლა მოიცავს მისი ბევრი მაგალითის ანუ ეგზემპლარის ცოდნას. მაგალითი მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად მრავალფეროვანი შეიძლება იყოს მოცემული საგნის ან მოვლენის კატეგორია. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება ცნება „ხილის“ ბევრი მაგალითი გაიხსენოს: ვაშლი, ბანანი, ანანასი და ასე შემდეგ. როცა ის ხილის ახალ სახეობას (მაგალითად, მაცყალს) წააწყდება, იგი მას გონებაში არსებულ ბევრ ეგზემპლარს შეადარებს და იპოვის იმას, რომელიც მეტ-ნაკლებად ჰგავს მაცყალს (მაგალითად, უოლოს). მოსწავლეები უფრო ეფექტურად ისწავლიან ახალ ცნებას, თუ ჩვენ მის ბევრ მაგალითს მივაწვდით. მაგალითები, რომლებიც მასწავლებელს მოჰყავს, ცნების მთელ კატეგორიას უნდა მოიცავდეს.



*სქემები და სცენარები* - სქემა არის მჭიდროდ ორგანიზებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ ცნებასთან ან მოვლენასთან. სქემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საგანზე ან ობიექტზე. მაგალითად, დაფიქრდით იმაზე, თუ რა იცით ცხენების შესახებ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, თუ როგორ გამოიყურება ცხენი და შეგიძლიათ ამოიცნოთ იგი, როცა დაინახავთ. მაშასადამე, თქვენ წარმოდგენა გაქვთ ცხენზე (ანუ, გეხმობს ცნება „ცხენი“). ახლა კი დაფიქრდით, კიდევ რა იცით ცხენების შესახებ: რას ჭამენ ცხენები? ყველაზე ხშირად სად შეიძლება ცხენების ნახვა? ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც გაგახსენდებათ ცხენის შესახებ. ის ყველაფერი, რაც თქვენ ცხენის შესახებ იცით, თქვენს გრძელვადიან მეხსიერებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ცხენის სქემის სახით.

როცა სქემა მოიცავს მოვლენათა სისტემურ თანმიმდევრობას, რომელიც გარკვეულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული, მას ხშირად სცენარი ეწოდება. მაგალითად, მაღაზიაში ვიზიტი მოიცავს გარკვეულ მოვლენათა თანმიმდევრობას, რომელიც მეტნაკლებად ერთი და იგივეა სხვადასხვა ადამიანისთვის. თუ ჩვენ აღვწერთ მაღაზიაში ვიზიტს და რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გამოვტოვებთ (მაგალითად, სალაროსთან ფულის გადახდას), მოსწავლეთა უმრავლესობას არ

გაუჭირდება მთელი მოვლენის გაგება, იმიტომ რომ ისინი თვითონაც ყოფილან სუპერმარკეტში საყიდლებზე. ისინი არსებულ სქემებს და სცენარებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ ჩვენ მიერ გამოტოვებული ინფორმაცია გონებაში აღადგინონ.

მოსწავლეები სკოლაში ხშირად განსხვავებული სქემებით და სცენარებით მოდიან. შესაბამისად, ისინი საკლასო მასალას და დავალებებს სხვადასხვანაირად იგებენ. ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეებს უჭირთ გაკვეთილის ან კონკრეტული დავალების გაგება. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, აქვთ თუ არა მოსწავლეებს სათანადო სქემები და სცენარები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მასალა კარგად გაიგონ. როცა მოსწავლეებს არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა, მასწავლებელი მათ ჯერ სათანადო სქემების და სცენარების ჩამოყალიბებაში უნდა დაეხმაროს და მხოლოდ ამის შემდეგ ახსნას ახალი მასალა.

*თეორიები* - ადამიანები, მათ შორის, პატარა ბავშვებიც, აგებენ შეხედულებათა სისტემებს, ანუ თეორიებს სამყაროს სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ადამიანთა თეორიები ბევრ ცნებას და, მათ შორის, ურთიერთკავშირებს მოიცავს (მაგალითად, თანაფარდობა, მიზეზი და შედეგი). სკოლაში შესვლამდე ბევრად ადრე ბავშვები იწყებენ საკუთარი თეორიების აგებას მათი ფიზიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური სამყაროების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით. თეორიები სამყაროს შესახებ მათ საკუთარი გამოცდილების, საკლასო მასალის და სხვა ახალი ინფორმაციის ორგანიზებაში ეხმარება. აგრეთვე, ხელს უწყობს ახალი ცნებების სწავლაში.

*მსოფლმხედველობა* - მსოფლმხედველობა არის მოწაფის ზოგადი შეხედულებები და ვარაუდები რეალობის შესახებ, როგორც არის და როგორც უნდა იყოს სამყარო. მსოფლმხედველობის მაგალითებია:

- სიცოცხლე და სამყარო ბუნების შემთხვევითობის ნაყოფია, ან სიცოცხლე და სამყარო ღმერთმა შექმნა.
- ადამიანის წარმატება და წარუმატებლობა დამოკიდებულია მისსავე მოქმედებებზე, ან ღვთაებრივ წინასწარმეტყველებაზე, ან ბედზე, ან შემთხვევითობაზე.

გარკვეულწილად, შეხედულებები და ვარაუდები საზოგადოებაში თაობიდან თაობას გადაეცემა. სხვადასხვა კულტურაში, ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით, მოზრდილები განსხვავებულ შეხედულებებს და ვარაუდებს გადასცემენ ბავშვებს. მსოფლმხედველობა გააგონანს ახდენს იმაზე, თუ როგორ იგებს და ხსნის მოსწავლე მოვლენებს და საკლასო მასალას. მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება ჩათვალოს, რომ ქარიშხალი არა ბუნებრივი მეტეოროლოგიული ძალების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევა იყო, არამედ ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელი მისი ან სხვა ადამიანის ცოდვებისთვის.

## როგორ დაეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის ეფექტურად აგებაში

- მიეცით მოსწავლეებს ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობა. ეს მათ სამყაროს თავისებურებების და პრინციპების დამოუკიდებლად აღმოჩენაში და შეცნობაში დაეხმარება.

- დაეხმარეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ცნების და პრინციპის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებაში. რაც უფრო მეტ ცნებას და პრინციპს დააკავშირებენ ერთმანეთთან, ანუ რაც უფრო კარგად გაუკეთებენ ისინი ცოდნას ორგანიზებას, მით უფრო ადვილად დაიმასხოვრებენ და ეფექტურად გამოიყენებენ მომავალში სასწავლო მასალას.

- ჩართეთ მოსწავლეები საკლასო დისკუსიებში. მიეცით მათ შესაძლებლობა წყვილებში და ჯგუფებში განიხილონ საკლასო მასალა. ზოგადად, მოსწავლეები უფრო ეფექტურად და სწორად იმასხოვრებენ ახალ ცნებებს, იდეებს და გამოცდილებებს, როცა მათ ახალი მასალის სხვა ადამიანებთან განხილვის შესაძლებლობა ეძლევათ.

- მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები, რომლებიც რეალურ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება უფრო გააუმჯობესონ წერა, თუ ისინი თემებს და მოთხრობებს რეალურ ადამიანებზე დაწერენ.

- დაეხმარეთ მოსწავლეებს თეორიების აგებაში:

- წააქეზეთ მოსწავლეები, დასვან *რატომ და როგორ* კითხვები და პასუხი გაეცით მათ კითხვებზე.

- სთხოვეთ მოსწავლეებს, იწინასწარმეტყველონ, თუ რა მოხდება საკლასო ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

- გამოიყენეთ ანალოგიები იმისათვის, რომ მოსწავლეებს დაეხმაროთ ახალი ცნებები, იდეები და მოვლენები უკვე არსებულ ცოდნასთან დააკავშირონ.

- მიეცით ფიზიკური და სიმბოლური მოდელები/ მაგალითები, რომლებიც ახალი საგნის ან მოვლენის ძირითად დამახასიათებელ თვისებებს მოიცავს.

- მასალის ახსნის დროს გაითვალისწინეთ მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დონე.

- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ახალ მასალაზე და იგი მათ ადრე შექნილ ცოდნას ან გამოცდილებას დაუკავშირონ.

## მეტაკოგნიცია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ნიშნავს მეტაკოგნიცია; რა ცოდნას, შეხედულებებს, აზროვნების პროცესებს და ქცევებს მოიცავს იგი;

რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური სტრატეგიების ცოდნა მოსწავლეებისთვის;

როგორ შეიძლება დავეხმაროთ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარებაში;

რას ნიშნავს სწავლის სტრატეგია; რა ეფექტური სწავლის სტრატეგიები არსებობს;

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ეფექტური სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში.

წაკითხეთ ქვემოთ მოცემული დიალოგი მე-10 კლასის მოსწავლე ირინასა და სკოლის ფსიქოლოგს შორის და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რა სახის სტრატეგიებს იყენებს ირინა სწავლის დროს? განსხვავდება თუ არა ეს სტრატეგიები იმის მიხედვით, თუ რა სახის დავალებების შესრულება უწევს მას?

- რამდენად ეფექტურია სწავლის ის სტრატეგიები, რომლებსაც ირინა იყენებს?

- რამდენად კარგად ესმის ირინას, მეცადინეობის დროს რას აკეთებს იგი გონებრივად?

*ფსიქოლოგი:* რას აკეთებ, როცა რაღაცის დამახსოვრება გჭირდება?

*ირინა:* ვიმეორებ ხოლმე. „გამეორება ცოდნის დედაა“.

*ფსიქოლოგი:* გამოცდისთვის როგორ ემზადები? რა ხერხებს მიმარ-



თავ მეცადინეობისას?

*ირინა:* გაანჩნია, რომელ საგანში მაქვს გამოცდა. მათემატიკაში არასოდეს ვმეცადინეობ. ძალიან ადვილია ჩემთვის. ერთხელ რომ გავიაზრებ რამეს, მაშინვე მამახსოვრდება. ქართულ ლიტერატურაში კითხვების დასმას ვცდილობ ხოლმე. რაც უფრო მეტი კითხვა მიჩნდება, უფრო კარგად მესმის ყველაფერი. წერა ძალიან მიადვილდება. ისტორიაში ძირითადად ახალ ინფორმაციას ვიმეორებ ხოლმე და ისე ვიმახსოვრებ. ინგლისურ ენაშიც ძირითადად გამეორებით ვსწავლობ. ქიმიაშიც, ფიზიკაშიც და გეოგრაფიაშიც ასე ვმეცადინეობ. ვიმეორებ და ვიმეორებ ინფორმაციას.



ტერმინი *მეტაკოგნიცია* გულისხმობს „აზროვნებას იმაზე, თუ როგორ ვაზროვნებთ“. მეტაკოგნიცია მოიცავს მოსწავლეთა ცოდნას და შეხედულებებს თავიანთი კოგნიტური/შემეცნებითი პროცესების შესახებ. იგი, აგრეთვე, გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების იმ პროცესებს და ქცევებს, რომლებსაც ისინი სწავლის და მეხსიერების გაუმჯობესების მიზნით იყენებენ. მაგალითად, მეტაკოგნიცია მოიცავს:


- ფიქრს იმაზე, თუ რას მოიცავს აზროვნება და სწავლა;
- ცოდნას ჩვენი მეხსიერების და სწავლის შესაძლებლობების შესახებ;
- ცოდნას, თუ რეალურად რისი სწავლა შეგვიძლია მოცემულ დროში;
- სწავლის პროცესების ეფექტურად დაგეგმვას;
- სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების ცოდნას და გამოყენებას ახალი მასალის ასათვისებლად;
- ცოდნას, თუ რა ვისწავლეთ და რამდენად კარგად გავიგეთ.

მაგალითად, თქვენ უკვე გეცოდინებათ, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციის ან ცოდნის შექმნა შეგიძლიათ, შეუძლებელია ამ წიგნში მოცემული მასა-



ლის მხოლოდ ერთ საათში ათვისება. თქვენ ისიც იცით, რომ ახალ მასალას უფრო სწრაფად ისწავლით და მოგვიანებით უფრო ადვილად გაიხსენებთ, თუ მას რაიმე სახის ორგანიზებას გაუკეთებთ. ზოგადად, თქვენ მეტაკოგნიტურად იცით, თუ რა გონებრივი სტრატეგიები გეხმარებათ ახალი მასალის ეფექტურად ათვისებაში.

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ პერკინსი თვლის, რომ რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა ფიქრის და სწავლის შესახებ, ანუ რაც უფრო მაღალია მათი მეტაკოგნიტური ცნობიერება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი და უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ სკოლაში.



დაწყებითი კლასის მოსწავლეებს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთი აზროვნების პროცესების შესახებ. მათ ასევე ზედმეტად ოპტიმისტური შეხედულებები გააჩნიათ თავიანთ მეხსიერებაზე. მაგალითისთვის, განვიხილოთ დაწყებით კლასებში ჩატარებული კლასიკური ექსპერიმენტი. მკვლევარებმა სხვადასხვა ასაკის ბავშვებს (სკოლამდელი ასაკიდან მეოთხე კლასის ჩათვლით) ქაღალდის ფურცლები აჩვენეს, რომლებზედაც 10 სხვადასხვა საგანი იყო გამოსახული. შემდეგ ბავშვებს სთხოვეს, წინასწარ განესაზღვრათ, თუ რამდენი საგნის დამახსოვრებას შეძლებდნენ მოკლე დროის განმავლობაში. შედეგები ასეთი იყო:

ასაკობრივი ჯგუფი	საშუალო რიცხვი, რომელიც ბავშვებმა იწინასწარმეტყველეს	სინამდვილეში დამახსოვრებულ საგანთა საშუალო რიცხვი
3-4 წლის	7,2	3,5
5 წლის	8,0	3,6
7 წლის	6,0	4,4
9 წლის	6,1	5,5

ყველა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვებმა იწინასწარმეტყველეს, რომ უფრო მეტ საგანს დამახსოვრებდნენ, ვიდრე მათ სინამდვილეში შეძლეს. თუმცა მოზრდილ ბავშვებს პატარებზე უფრო რეალისტური წარმოდგენა ჰქონდათ თავიანთი მემორების შესაძლებლობებზე.

დროთა განმავლობაში ბავშვები უფრო კარგად შეიცნობენ და შეისწავლიან თავიანთი აზროვნების და სწავლის პროცესებს. აგრეთვე, მათ უყალიბდებათ უფრო რეალისტური შეხედულებები, თუ რისი სწავლა და დამახსოვრება შეუძლიათ მოცემულ დროში. იძენენ რაციონალურ თავიანთი აზროვნების და სწავლის პროცესების შესახებ, მოსწავლეები თანდათანობით ეუფლებიან სწავლის სტრატეგიებს, რომლებიც მათ აკადემიური საგნების უფრო ეფექტურად სწავლაში და დამახსოვრებაში ეხმარება. ქვემოთ ცხრილში მოცემულია მეტაკოგნიციის დამახასიათებელი თავისებურებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისათვის.

მეტაკოგნიცია სკოლის ასაკის მოსწავლეებში		
კლასი	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები	ასაკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები
1-2	<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებენ, რომ შეუძლიათ ფიქრი/აზროვნება; ესმით, რომ სხვა ადამიანებიც ფიქრობენ/აზროვნებენ; არ შეუძლიათ თავიანთი აზროვნების პროცესების თავისებურებებზე ფიქრი(ანუ იფიქრონ იმაზე, თუ როგორ აზროვნებენ) ;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხშირად ისაუბრეთ აზროვნების პროცესებზე (მაგალითად, გამოიყენეთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორც არის: „გახსოვს, როცა...?“ „მიკვირს...“; „ფიქრობ...“ );</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვნად გადაჭარბებით აფასებენ იმას, თუ რა ისწავლეს და რის გახსენებას შეძლებენ მომავალში;</li> <li>• სჯერათ, რომ სწავლა შედარებით პასიური საქმიანობაა;</li> <li>• სჯერათ, რომ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტური სიმართლე არსებობს და ის ავტორიტეტის მქონე პირებმა (მაგ. მასწავლებლებმა, მშობლებმა) იციან;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, გამოსცადონ თავიანთი მენსიერება (მაგალითად, ათამაშეთ „სამოგზაუროდ მივდივარ და მიმაქვს...“; რომელშიც თითოეული მოსწავლე იმეორებს ყველა იმ ნივთის დასახელებას, რაც უკვე იყო ნახსენები და შემდეგ ახალ საგანს ამატებს);</li> <li>• გააცანით მოსწავლეებს სწავლის მარტივი სტრატეგიები (მაგალითად, გამეორება) .</li> </ul>
<p>3-5</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ოდნავ გადაჭარბებით აფასებენ თავიანთი მენსიერების შესაძლებლობებს;</li> <li>• იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ სწავლა აქტიური და შემოქმედებითი პროცესია;</li> <li>• ჯერ კიდევ სჯერათ, რომ აბსოლუტური სიმართლე არსებობს; ის ექსპერტებმა ან უკვე იციან, ან ჯერ არ აღმოუჩინიათ;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააცანით მოსწავლეებს მარტივი ხერხები, რომლებიც მათ დაეხმარებათ სწავლის პროგრესის მონიტორინგში;</li> <li>• გამოიკვლიეთ მეცნიერული მოვლენა პრაქტიკული დავალებების და ექსპერიმენტების საშუალებით; სთხოვეთ მოსწავლეებს, იწინასწარმეტყველონ, თუ რა მოხდება და იკამათონ მომხდარის ახსნაზე.</li> </ul>
<p>6-8</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იწყებენ სწავლის სტრატეგიების (მაგალითად, გამეორება, მასალის ორგანიზება) უფრო მოქნილად და თავისუფლად გამოყენებას;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააცანით მოსწავლეებს სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები; აჩვენეთ მათ ამ სტრატეგიების ეფექტურად გამოყენების მაგალითები;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• იყენებენ სწავლის მხოლოდ რამდენიმე სტრატეგიას, ძირითადად, არაეფექტურად (მაგალითად, ჩანაწერებს კარგად ვერ აკეთებენ);</li> <li>• თანდათანობით აცნობიერებენ, რომ ცოდნას შეიძლება სუბიექტური ხასიათი ჰქონდეს; ხვდებიან, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები შეიძლება ერთნაირად საფუძვლიანი იყოს (მაგალითად, შეიძლება თქვან, რომ „აღამიანებს უფლება აქვთ, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ“);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელი შეუწყეთ მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამოყენებაში (მაგალითად, მიეცით მონახაზი იმისა, თუ როგორ გააკეთონ ჩანაწერები, დაუსვით კითხვები სწავლის დროს);</li> <li>• გააკეთილშუ გამოყავით დრო იმისათვის, რომ მოსწავლეებმა პატარა ჯგუფებში ერთად იმეცადინონ;</li> <li>• გააცანით მოსწავლეებს მრავალი განსხვავებული მოსაზრება სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით;</li> </ul>
<p><b>9-12</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააჩნიათ უკეთესი, მაგრამ ჯერ კიდევ არასრული ცოდნა იმისა, თუ რომელი კოგნიტური/შემეცნებითი სტრატეგიებია ეფექტური სხვადასხვა სიტუაციაში;</li> <li>• ზოგიერთი მათგანი მუდმივად იყენებს გამეორების სტრატეგიას;</li> <li>• თანდათანობით აცნობიერებენ, რომ ცოდნა მოიცავს ცნებებს შორის ურთიერთკავშირების დანახვას და გაგებას;</li> <li>• თანდათანობით აცნობიერებენ, რომ საგნის ან უნარის დაუფლება დროს და პრაქტიკას მოითხოვს;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გააცანით მოსწავლეებს სწავლის ახალი, ეფექტური სტრატეგიები;</li> <li>• შექმენით მოსწავლეთა შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც მასაღის გაგებაზე, ინტეგრაციაზე და გამოყენებაზე (და არა უბრალოდ ფაქტების დამახსოვრებაზე) გააკეთებს აქცენტს;</li> <li>• სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ობიექტური კრიტერიუმები (როგორც არის, ფაქტები და სხვა დამტკიცებელი საბუთები, ლოგიკური აზროვნება) განსხვავებული მოსაზრებების შესაფასებლად.</li> </ul>

მოსწავლეებს შეიძლება ვასწავლოთ მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმის შეფასებას, თუ რამდენად კარგად ესმით ახალი მასალა და რამდენი დრო სჭირდებათ გარკვეული მასალის შესასწავლად. აგრეთვე, შეიძლება ვასწავლოთ საკუთარ აზროვნების პროცესებზე ფიქრი და სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვა. მეტაკოგნიტური სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და მაღალი შედეგების მიღწევაში. განსაკუთრებით ეფექტურია საკუთარი თავისთვის კითხვების დასმის სტრატეგია: მოსწავლეები ცდილობენ, დავალებაში საერთო ელემენტები ამოიციონ და შემდეგ საკუთარ თავს მათთან დაკავშირებით დაუსვან კითხვები. მაგალითად, შეგვიძლია მოსწავლეებს ვასწავლოთ, რომ მოთხრობის წაკითხვის დროს ამოიციონ მთავარი მოქმედი გმირები, ადგილები, სადაც მოქმედება ხდება, პრობლემები და პრობლემების გადაწყვეტა/პასუხები. მოსწავლეებს ჯერ უნდა დავუსვათ კითხვები, რომლებიც მათ ამ მნიშვნელოვანი ელემენტების პოვნაში დაეხმარება. ექსპერტების აზრით, ბავშვები უკეთ გაიგებენ წაკითხულს, თუ მათ ვასწავლით *რა, ვინ, სად და როგორ* კითხვების დასმას.

## სწავლის ეფექტური სტრატეგიები

როგორც ზემოთ იყო ნახსენები, მეტაკოგნიცია მოიცავს სწავლის ეფექტური სტრატეგიების ცოდნას და გამოყენებას ახალი მასალის ასათვისებლად. *სწავლის სტრატეგია* გულისხმობს კოგნიტური/შემეცნებითი პროცესის ან პროცესების მიზანმიმართულად გამოყენებას სწავლის დროს. იგი მოიცავს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ხერხების გამოყენებას მასალის უკეთ გაგების და დამახსოვრების მიზნით. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა (უნივერსიტეტის სტუდენტებიც კი!), მასალის სირთულის მიუხედავად, ძირითადად სწავლის პრიმიტიულ სტრატეგიებს, მაგალითად, გამეორებას იყენებს. მაგრამ გამეორება არ არის ახალი ინფორმაციის სწავლის და დამახსოვრების საუკეთესო სტრატეგია. ეფექტური სწავლა და მეცადინეობა საკლასო მასალის აქტიურად გააზრებას და გადამუშავებას მოითხოვს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გავაცნოთ სწავლის ეფექტური სტრატეგიები და ვასწავლოთ მათი გამოყენება.

*მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა* - მოსწავლეებს არ შეუძლიათ, დაიმახსოვრონ ყველა ის ინფორმაცია, რაც მათ საკლასო ოთახში გაიგეს ან სახელმძღვანელოში წაიკითხეს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ჰქონდეთ სწავლის დროს საკლასო მასალის გადარჩევის და დახარისხების უნარი. მოსწავლეთა გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რა ისწავლონ, ძირითადი ცნებები და

მნიშვნელოვანი ინფორმაცია თუ ცალკეული ფაქტები და უმნიშვნელო დეტალები, ზეგავლენას ახდენს მათ სწავლასა და აკადემიურ მოსწრებაზე.

მოსწავლეებს ხშირად უჭირთ გაკვეთილსა თუ საშინაო დავალებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა. ბევრი მათგანი ზედაპირულ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას, მაგალითად, იმაზე, თუ რას წერს მასწავლებელი დაფაზე, ან სახელმძღვანელოში რა სიტყვები და ფრაზებია მოცემული მსხვილი ან დახრილი შრიფტით.

მასწავლებელმა უნდა მიუთითოს მოსწავლეებს, რომელი ცნებები და ინფორმაციაა მნიშვნელოვანი გაკვეთილსა და საკითხავ მასალაში. ეს მოსწავლეებს ეფექტურად სწავლაში დაეხმარება. მასწავლებელს, რა თქმა უნდა, შეუძლია პირდაპირ უთხრას მოსწავლეებს, თუ რა ისწავლონ. თუმცა, უფრო ეფექტური სტრატეგიაა, შემდეგი ხერხების გამოყენებით მივახვედროთ, რა არის გაკვეთილში მნიშვნელოვანი:

- გააცანით ბავშვებს გაკვეთილის მიზნები. ეს ინფორმაცია შეიძლება გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ჩამოწეროთ;
- დაფაზე დაწერეთ მთავარი ცნებები და მიუთითეთ, როგორ არის ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული;
- დაუსვით მოსწავლეებს ისეთი კითხვები, რაც მათ ყურადღებას გაამახვილებს მნიშვნელოვან ცნებებსა და იდეებზე.

*არსებული ცოდნის გახსენება* - მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როცა მათ უკვე გააჩნიათ გარკვეული ცოდნა, რომელთანაც შეიძლება ახალი ცნებები დააკავშირონ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ჰქონდეთ ახალი ცნებებისა და არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია, უბრალოდ გავახსენოთ მოსწავლეებს, თუ რა შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ მათ ახალ მასალასთან დაკავშირებით. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს, თვითონ გაიხსენონ შესაბამისი ინფორმაცია სწავლის და მეცადინეობის დროს. მაგალითად, როცა ბავშვებს სახელმძღვანელოდან ხმამაღლა ვუკითხავთ, ჩვენ შეიძლება დროდადრო შევჩერდეთ, რათა წაკითხული ინფორმაცია ან ცნება ადრე ნასწავლ მასალასთან, ან მოსწავლეთა გამოცდილებასთან დავაკავშიროთ. შემდეგ შეიძლება მოსწავლეები წავახალისოთ, რომ იგივე დამოუკიდებლად გააკეთონ და, საჭიროებისამებრ, მივცეთ მითითებები. აგრეთვე, შეიძლება დავუხვათ კონკრეტული კითხვები, რომლებიც მათ დაეხმარება, დაფიქრდნენ თავიანთ ცოდნასა და შეხედულებებზე:

- რა იცი უკვე ამ თემის შესახებ?
- რა გინდა, რომ ამ თემის შესახებ გაიგო/ისწავლო?
- როგორ ფიქრობ, შეიცვლება თუ არა შენი ცოდნა ამ თემის შესახებ მას შემდეგ, რაც წიგნს წაიკითხავ?


*ჩანაწერების გაკეთება* - ჩანაწერების გაკეთება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლაში. ზოგადად, მოსწავლეები, რომლებიც ჩანაწერებს აკეთებენ, უფრო კარგად იმასსოვრებენ და ითვისებენ მასალას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩანაწერების ხარისხი. კარგი და გამოსადეგი ჩანაწერი, ჩვეულებრივ, გაკეთების ან საკითხავი მასალის ძირითად პუნქტებს და არსს ასახავს. კარგი ჩანაწერები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც მცირედენი ცოდნა გააჩნიათ შესასწავლი საგნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერების გაკეთება სასარგებლოა სწავლისთვის, მოზარდთა უმრავლესობა არ იყენებს ამ სტრატეგიას. ხოლო ის ჩანაწერები, რომლებსაც მოსწავლეები აკეთებენ, ხშირად ცუდი ხარისხისაა და გამოუსადეგარია.

როგორ შეიძლება ვასწავლოთ ბავშვებს კარგი ჩანაწერების გაკეთება?


მოსწავლეთათვის ჩანაწერების სტრუქტურის ანუ გეგმის მიცემა ერთ-ერთი ხერხია, რომელიც მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ. გეგმა მოსწავლეებს მიანიშნებს, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება გაკეთების დროს და რა სახის ინფორმაცია უნდა ჩაწერონ. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ დროდადრო შეამოწმონ, თუ რამდენად ზუსტ ჩანაწერებს აკეთებენ ბავშვები და, შესაბამისად, ურჩიონ, როგორ გააუმჯობესონ ისინი.

*ინფორმაციის ორგანიზება* - მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როცა ისინი ორგანიზებას უკეთებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც სწავლობენ. ერთ-ერთი სასარგებლო სტრატეგიაა მასალის მონახაზის გაკეთება, რაც ინფორმაციის ძირითადი იდეების იერარქიულად ორგანიზებას გულისხმობს. კიდევ ერთი ეფექტური ხერხია ცნებათა რუკების დახატვა. ცნებათა რუკა არის დიაგრამა, რომელიც ცნებებს შორის ურთიერკავშირს ასახავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ვიზუალურად გვიჩვენებს, თუ როგორ არის ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული. ქვემოთ მოცემულია ცნებათა რუკის მაგალითები:

ცნებათა მარტივი რუკა:



იერარქიულად ორგანიზებული ცნებათა რუკა:





ცნებათა რუკების აგება მოსწავლეებს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლაში. ყურადღების იმაზე გამახვილება, თუ როგორ არის ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული, მოსწავლეებს ესმარება ინფორმაციის უკეთ ორგანიზებაში. აგრეთვე, ისინი იგებენ, თუ რა კავშირია ახალ ცნებებსა და მათ არსებულ ცოდნას შორის, რაც მათ მასალის უკეთ ათვისებაში ესმარება. როცა მოსწავლეები სიტყვიერ მასალაზე (მაგალითად, ლექციაზე და სახელმძღვანელოზე) დაყრდნობით აგებენ ცნებათა რუკებს, ისინი ახდენენ მასალის ვიზუალურად კოდირებას/დაშიფვრას. ცნებათა რუკების აგება, ამასთანავე, მოსწავლეებს იმის უკეთ გაცნობიერებაში ესმარება, თუ რას მოიცავს სწავლა: ისინი შეიძლება მიხვდნენ, რომ სწავლა მხოლოდ ინფორმაციის მიღების პროცესი არ არის, არამედ მოიცავს იდეებისა და ცნებების ერთმანეთთან დაკავშირებას.

**ინფორმაციის გადამუშავება** - ინფორმაციის გადამუშავება მოიცავს დასკვნების გაკეთებას, მაგალითების მოყვანას და ცნებებისა და იდეების ერთმანეთთან დაკავშირებას. მოსწავლეები ინფორმაციის გადამუშავების სტრატეგიის გამოყენებას, დაახლოებით, 13–14 წლის ასაკში იწყებენ და დროთა განმავლობაში უფრო ხშირად მიმართავენ. თუმცა მაღალ კლასებშიც კი, კითხვისა თუ სწავლის დროს, რეგულარულად მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები იყენებენ ამ სტრატეგიას. სხვები ხშირად ისეთ პრიმიტიულ და ზედაპირულ სტრატეგიებს მიმართავენ (მაგ, გამეორება), რომლებიც აზროვნებას ნაკლებად მოითხოვს.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს საკლასო მასალის გადამუშავება? მაგალითად, მასალის ახსნის ან სახელმძღვანელოდან ნაწყვეტის წაკითხვის დროს, თქვენ თვითონ მოიყვანეთ ახალი ცნების მაგალითი, განიხილეთ ახალი პრინციპის მნიშვნელობა და ა.შ. აგრეთვე, შეიძლება სთხოვოთ მოსწავლეებს, გაკვეთილის ახსნის ან სახელმძღვანელოს წაკითხვის დროს დაფიქრდნენ შემდეგ კითხვებზე:

- ახსენით, თუ რატომ...
- როგორ შეიძლება ... (ამის) გამოყენება იმისათვის, რომ...?
- რა არის ამის (მაგალითად, ამ ცნების) კიდევ ერთი მაგალითი?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება თუ...?
- რა განსხვავებაა ... და ... შორის?
- რა მსგავსებაა ... და... შორის?
- როგორ არის ეს ცნება დაკავშირებული ადრე ნასწავლ ცნებებთან?

კიდევ ერთი სტრატეგიაა, სთხოვთ მოსწავლეებს, იმუშაონ წყვილ-წყვილად ან პატარა ჯგუფებში იმაზე, რომ მოიფიქრონ და პასუხი გასცენ საკუთარ კითხვებს.

**მასალის მოკლედ გადმოცემა/შეჯამება** - სწავლის კიდევ ერთი ეფექტური სტრატეგიაა მასალის შეჯამება, მოკლედ გადმოცემა. მასალის კარგად შეჯამება საკმაოდ რთული პროცესია. იგი მოიცავს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ინფორმაციის განსხვავებას, ინფორმაციის სინთეზს და ცნებებსა და იდეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დანახვას. გასაოცარი არ არის, რომ ბევრ მაღალკლასელ მოსწავლესაც უჭირს მასალის ეფექტურად შეჯამება.

ამ სტრატეგიის დაუფლების საუკეთესო ხერხია, რეგულარულად დავაგალოთ მოსწავლეებს, შეაჯამონ წაკითხული და მოსმენილი მასალა. მაგალითად, შეიძლება ხანდახან საშინაო დავალებად მივცეთ, რომ სახელმძღვანელოს ერთ თავში მოცემული ინფორმაცია წერილობით მოკლედ გადმოსცენ. აგრეთვე, შეიძლება მოსწავლეებს დავაგალოთ, პატარა ჯგუფებში იმუშაონ მოკლე ზეპირ პრეზენტაციაზე ნებისმიერი თემის შესახებ. პრეზენტაცია ნასწავლი მასალის მოკლე შინაარსს უნდა მოიცავდეს. ასევე, შეიძლება ვთხოვთ თითოეული წაკითხული აბზაცის ერთ წინადადებაში შეჯამება.

**გაგება-გააზრების შემოწმება** - სწავლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა გაგება-გააზრების მონიტორინგი, პროცესი, რომელიც მოიცავს იმის პერიოდულად შემოწმებას, თუ რამდენად კარგად გავიგეთ და დავიმახსოვრეთ ახალი მასალა. თქვენ რამდენად კარგად შეგიძლიათ გაგება-გააზრების შემოწმება? შემდეგი სავარჯიშო დაგეხმარებათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში.

შეჩერდით ერთი წუთით და საკუთარ თავს შემდეგი კითხვა დაუსვით:

*რა ვისწავლე/გავიგე ამ წიგნის ბოლო ხუთი გვერდის წაკითხვის შედეგად?*

ქალაქის ფურცელზე ჩამოწერეთ ყველაფერი, რის გახსენებასაც შეძლებთ.

ახლა გადახედეთ თქვენ მიერ წაკითხულ ბოლო ხუთ გვერდს: მოიცავს თუ არა თქვენი ჩანაწერები ამ გვერდებში განხილულ ყველა ძირითად ცნებას და იდეას? არის რამე, რაც გეგონათ, რომ კარგად გესმოდათ, მაგრამ აღმოაჩინეთ, რომ არც ისე კარგად გაიგეთ? არის ისეთი რამ, რაც საერთოდ არ გახსოვდათ? იქნებ მისი წაკითხვის დროს გონებით სულ სხვაგან იყავით?



წარმატებული მოსწავლეები მუდმივად ამოწმებენ თავიანთ თავს, როგორც სწავლის დროს, ასევე გარკვეული მასალის შესწავლის შემდეგ. მეტიც, როცა ხვდებიან, რომ რაღაც ვერ გაიგეს, ისინი გარკვეულ ზომებს მიმართავენ, რათა სიტუაცია გამოასწორონ. მაგალითად, ხელახლა კითხულობენ სახელმძღვანელოს ნაწილს, ან სვამენ კითხვებს გაკვეთილზე.

მოსწავლეთა უმრავლესობა თითქმის არ ამოწმებს თავის ცოდნას. როცა მოსწავლეები არ ამოწმებენ, თუ რამდენად კარგად გაიგეს და ისწავლეს ახალი მასალა, მათ არ იციან, თუ რა იციან და რა - არა;

შესაბამისად, ისინი შეიძლება არასწორად ფიქრობდნენ, რომ რაღაც ისწავლეს. ეს ცოდნის ილუზია ყველა ასაკის მოსწავლეში (მათ შორის უნივერსიტეტის სტუდენტებშიც) შეიძლება დავინახოთ, თუმცა ის ყველაზე ხშირია დაწყებითი კლასის მოსწავლეებში.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ მოსწავლეებს გაგების მონიტორინგის სტრატეგიის დაუფლებაში? დაავალეთ მათ, იმუშაონ პატარა ჯგუფებში, რათა შეამოწმონ ერთმანეთი, თუ რამდენად კარგად გაიგეს ნასწავლი მასალა. ასწავლეთ საკუთარი თავის შემოწმებაც. საკუთარი თავის შემოწმების ერთ-ერთი ეფექტური ხერხია თვითახსნა: მოსწავლეები მეცადინეობის დროს ხშირად ჩერდებიან და საკუთარ თავს განუმარტავენ, თუ რა ისწავლეს. მსგავსი ხერხია თვითგამოკითხვა: მოსწავლეები სწავლის დროს პერიოდულად ჩერდებიან და საკუთარ თავს კითხვებს უსვამენ.

### **როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში?**

ექპერტები გვთავაზობენ რამდენიმე პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმ გარემოებებსაც, რომლებშიც მოსწავლეები განსაკუთრებით კარგად ითვისებენ და იყენებენ სწავლისა და მეცადინეობის ეფექტურ სტრატეგიებს. ეს პრინციპები და მათი საკლასო ოთახში გამოყენება ქვემოთ ცხრილში არის მოცემული.

<b>როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სწავლისა და მეცადინეობის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში</b>	
<b>პრინციპი</b>	<b>გამოყენება</b>
მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს ყველაზე ეფექტურად კონკრეტული საგნების კონტექსტში სწავლობენ.	როცა ახალ მასალას ხსნით, იმავდროულად ასწავლეთ მოსწავლეებს, თუ როგორ ისწავლონ ეს მასალა.
მოსწავლეთა პატარა ჯგუფებში ერთად მეცადინეობა ხშირად ხელს უწყობს ეფექტური სტრატეგიების განვითარებას.	დროდადრო სთხოვეთ ბავშვებს, რომ ერთად, წყვილ-წყვილად ან პატარა ჯგუფებში იმეცადინონ.

**როგორ დაეხმაროთ მოსწავლეებს სწავლისა და მეცადინეობის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში**

პრინციპი	გამოყენება
<p>მოსწავლეები უფრო კარგად დაეუფლებიან სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, თუ ჩვენ ხელს შევუწყოთ, რომ მათ მიერ სტრატეგიების გამოყენების პირველი მცდელობა წარმატებული იყოს.</p>	<p>დაეხმარეთ მოსწავლეებს ახალი სტრატეგიების გამოყენებაში. მაგალითად, აჩვენეთ კონკრეტული სტრატეგიის გამოყენების მაგალითი; მიანიშნეთ, თუ როდის შეიძლება მისი გამოყენება და მიუთითეთ, როცა ისინი სტრატეგიას სწორად ან არასწორად გამოიყენებენ.</p>
<p>მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როცა სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიას იყენებენ.</p>	<p>გააცანით მოსწავლეებს ახალი სტრატეგიები: ჩანაწერების გაკეთება, მასალის გადაშუშავება, საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა და ა.შ.</p>
<p>მოსწავლეები უფრო გამოიყენებენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, როცა ესმით, თუ რატომ არის ისინი სასარგებლო.</p>	<p>მოსწავლეებს მათთვის გასაგებად აუხსენით, თუ რატომ არის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასარგებლო.</p>
<p>მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს უფრო ეფექტურად იყენებენ, როცა იციან, რა შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყენონ თითოეული მათგანი.</p>	<p>აღნიშნეთ ის გარემოებები, როცა გარკვეული სტრატეგიების გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა.</p>
<p>მოსწავლეები მაშინ ეუფლებიან სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, როცა ამ ხერხების სხვადასხვა კონტექსტში რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობა ეძლევათ.</p>	<p>მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, თითოეული სტრატეგია სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ.</p>

## მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ნიშნავს ინტელექტი და რა არის მისი დამახასიათებელი თვისებები;

გარდნერის თანახმად, რა სახის ინტელექტი გააჩნიათ მოსწავლეებს და როგორ განისაზღვრება თითოეული მათგანი;

როგორ უნდა გამოიყენოთ მრავალმხრივი ინტელექტის თეორია საკლასო ოთახში;

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება, რომ გარდნერის თეორიის გამოყენებას უარყოფითი შედეგები არ მოყვეს;

როგორ უნდა დაგეგმოთ გაკვეთილები, რომ ინტელექტის რაც შეიძლება მეტ სფეროზე გავამახვილოთ ყურადღება.

ინტელექტს, ანუ გონებრივ უნარსა და ნიჭს ბევრი განსაზღვრება აქვს. თუმცა ფსიქოლოგთა უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ ინტელექტს შემდეგი მახასიათებლები აქვს:

- *ინტელექტი არის ცოდნის დაუფლების ანუ სწავლის უნარი:* ადამიანები, რომლებსაც გარკვეულ დარგში მაღალი ინტელექტი აქვთ, უფრო ადვილად და სწრაფად ითვისებენ ახალ ინფორმაციას და სწავლობენ ახალი ამოცანების შესრულებას, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად ინტელექტუალურები არიან (ანუ ის ადამიანები, რომელთაც უფრო დაბალი გონებრივი უნარი აქვთ ამ დარგში);
- *ინტელექტი არის ადრე შექნილი ცოდნის და გამოცდილების ახალ სიტუაციებში გამოყენების უნარი:* ინტელექტის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ გააანალიზონ და გაიგონ ახალი მოვლენები და სიტუაციები;

- ინტელექტს გააჩნია ადაპტაციის უნარი: ინტელექტის საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ ახალ მოვლენებსა და სიტუაციებზე და გადაჭრან სხვა პრობლემები.

ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი და მის მიერ ადრე შექმნილი ცოდნა განსხვავებული ცნებებია. თუმცა, ამავე დროს, ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური ქცევა დამოკიდებულია ადრე შექმნილ ცოდნაზე. რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა სამყაროსა და შესასრულებელი ამოცანების შესახებ, მით უფრო ინტელექტუალურად იქცევიან ისინი. აქედან გამომდინარე, ინტელექტი არ არის ურყევი და უცვლელი თვისება; მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების საშუალებით.

ზოგიერთი ფსიქოლოგი თვლის, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც ყველა ადამიანს გარკვეულწილად გააჩნია და რომელსაც ისინი სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად იყენებენ. ამ თეორიის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის სხვადასხვა საზომი განსხვავებულ შედეგებს გვაძლევს, მათი შედეგები ერთმანეთის თანაფარდია: მოსწავლეები, რომელთაც მაღალი შედეგები აქვთ რომელიმე ერთ საზომზე (მაგალითად, კითხვის უნარის შესამოწმებელ ტესტში), ყველა სხვა საზომზეც (მაგალითად, გეომეტრიის ტესტში) ზოგადად მაღალ შედეგებს აღწევენ.

თუმცა, ინტელექტის საზომებს შორის კორელაცია (ანუ თანაფარდობა) ყოველთვის არ არის მაღალი. მოსწავლეები, რომლებიც უმაღლეს ქულებს იღებენ ზოგიერთ ტესტში, სხვა სახის ტესტში ყოველთვის ვერ აგროვებენ ყველაზე მაღალ ქულებს. აქედან გამომდინარე, ყველა ფსიქოლოგი როდი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც გარკვეულწილად ყველა ადამიანს გააჩნია. მათი აზრით, ინტელექტის ბევრი სხვადასხვა ტიპი არსებობს: ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა სფეროში უფრო მეტი ან ნაკლები ინტელექტი, ანუ გონებრივი უნარი გააჩნდეთ.

## სიტუაცია

ნინიკო ხშირად ახალ მუსიკას თხზავს და მეგობრებს ასმენინებს. თუმცა ქართულის მასწავლებელი მუდამ ჩივის მისი დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. მკა კარგად სწავლობს მათემატიკას, მაგრამ ძალიან ცუდად ცეკვავს. ზოგმა ბავშვმა შესაძლოა მეგობრები ვერ გაიჩინოს ადვილად, მაშინ როცა სხვებს ძალიან კარგი კომუნიკაციური უნარები აქვთ.





ეს მაგალითები ადასტურებს შეხედულებას, რომ სწავლა და მიღწევები განსხვავებული ბუნებრივი შესაძლებლობებით განისაზღვრება.

### **ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია**

ჰოვარდ გარდნერი თვლის, რომ ადამიანებს აქვთ სულ ცოტა რვა ერთმანეთისგან განსხვავებული უნარი, ანუ მრავალმხრივი ინტელექტი. მისი აზრით, ადამიანებს შეიძლება მეცხრე, *ეგ ზისტენციალური* ინტელექტიც გააჩნდეთ. ეგ ზისტენციალური ინტელექტი გულისხმობს ადამიანის უნარს, იფიქროს და იაზროვნოს ფილოსოფიურ და სასულიერო საკითხებზე (მაგალითად, ვინ ვართ ჩვენ? საიდან წარმოიშვნენ ადამიანები? რატომ ვკვდებით? რა არის სიცოცხლის არსი და მიზანი?).

გარდნერი მრავალმხრივი ინტელექტის დამადასტურებელ საბუთებს გვთავაზობს. მაგალითად, იგი აღწერს ადამიანებს, რომლებიც გან-



საკუთრებით დახელოვნებული არიან ერთ რომელიმე დარგში (მაგალითად, ხატვაში), მაგრამ სხვა დარგებში საშუალო უნარს ამჟღავნებენ. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანები, რომელთაც ტვინი დაუზიანდათ, ზოგჯერ მხოლოდ ერთი ტიპის ინტელექტთან დაკავშირებულ უნარებს კარგავენ. მაგალითად, ერთ ადამიანს შეიძლება ლაპარაკი უჭირდეს, მაშინ როცა მეორეს შეიძლება კარგად არ შეეძლოს ისეთი დავალებების შესრულება, რომლებიც სივრცული აზროვნების უნარს მოითხოვს.

<b>გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტი</b>		
<b>ინტელექტის ტიპი მაგალითი</b>	<b>განსაზღვრება</b>	<b>მაგალითი</b>
<b>ლინგვისტური / ენობრივი ინტელექტი</b>	ენის ეფექტურად გამოყენების უნარი, (როგორც წერაში, ასევე კითხვაში).	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა</li> <li>• ლექსების წერა</li> <li>• სიტყვების მნიშვნელობათა პატარა ნიუანსების გაგება</li> </ul>
<b>ლოგიკურ- მათემატიკური ინტელექტი</b>	ლოგიკური აზროვნების უნარი; მათემატიკური ოპერაციების ეფექტურად შესრულების უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მათემატიკური ამოცანების სწრაფად ამოხსნა</li> <li>• მათემატიკური თეორიების დამტკიცება</li> <li>• ჰიპოთეზების ფორმულირება და გამოცდა</li> </ul>
<b>სივრცული ინტელექტი</b>	ვიზუალური სამყაროს სწორად აღქმის უნარი;	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალური ობიექტების გონებაში წარმოსახვა</li> <li>• ვიზუალურად მსგავს საგნებს შორის პატარა განსხვავებების დანახვა</li> </ul>
<b>მუსიკალური ინტელექტი</b>	მუსიკის შექმნის, შესრულების, აღქმის და შეფასების უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა</li> <li>• მუსიკალური ნაწარმოების შექმნა</li> <li>• მუსიკის ძირითადი სტრუქტურის ცოდნა/გაგება</li> </ul>

<p><b>ფიზიკურ-კინეტეტიკური ინტელექტი</b></p>	<p>კოორდინაციის, ბალანსის, ხელების მარჯვედ გამოყენების, მოქნილობის, სისწრაფის და შეხების შეგრძნების უნარი.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცმკვა</li> <li>• კალათბურთის თამაში</li> <li>• პანტომიმის შესრულება</li> </ul>
<p><b>ინტერპერსონალური ინტელექტი</b></p>	<p>სხვა ადამიანთა განწყობების, განზრახვების, მოტივაციების და გრძნობების აღქმის და დანახვის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანთა განწყობის შეგრძნება</li> <li>• სხვა ადამიანთა განზრახვების და სურვილების წაითხვა</li> <li>• მსგავს ემოციებს შორის განსხვავების დანახვა</li> </ul>
<p><b>ინტრაპერსონალური ინტელექტი</b></p>	<p>თვითშემეცნების უნარი; საკუთარი გრძნობების, მოტივების და სურვილების ცოდნა; თვითდისციპლინის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი საქციელის მოტივის ამოცნობა</li> <li>• საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გამოყენება ადამიანებთან წარმატებული ურთიერთობების დასამყარებლად</li> </ul>
<p><b>ნატურალისტური ინტელექტი</b></p>	<p>ბუნებაში არსებული სიცოცხლის ფორმების (ფლორა და ფაუნა) და ობიექტების (მაგ. მთები, ტბები) ამოცნობის და განსხვავების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველთა და მცენარეთა სახეობების ამოცნობა</li> <li>• ბუნების ობიექტების (მაგ. მთების ან ქვების ნაირსახეობა) კლასიფიკაცია</li> <li>• ბუნების შესახებ ცოდნის გამოყენება</li> </ul>

## მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტი

გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს გააჩნია რვავე ტიპის ინტელექტი და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარება. თუმცა, პატარა ასაკიდანვე ბავშვები უკვე იწყებენ გარკვეული მიდრეკილებების გამოვლენას. როცა ბავშვები სკოლაში პირველად მიდიან, მათ უკვე ჩამოყალიბებული აქვთ სწავლის წესები: ისინი სწავლის დროს ზოგიერთ ინტელექტს უფრო მეტად იყენებენ, ვიდრე სხვებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოკლედ არის აღწერილი იმ ბავშვების უნარები, რომლებიც მიდრეკილებებს ავლენენ კონკრეტული ინტელექტის სფეროებში. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი გონებრივი უნარები ერთდროულად რამდენიმე სფეროში გააჩნია. **სწორედ ამიტომ დაუშვებელია მოსწავლის ერთი ინტელექტის სფეროში კლასიფიცირება. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს მიმართოს, რომელიც ბავშვის უნარებს არამხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. ამით თავიდან ავირიდებთ ბავშვთა დისკრიმინაციას და ხელს შევუწყობთ მათ მრავალმხრივ განვითარებას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობას ბავშვის კარგად გაცნობა და მისი შედარებით განვითარებული თუ გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს.**



ბ ა გ შ ე ე ბ ი რ ო მ ლ ე ბ ს ა ც გ ა ა ჩ ნ ი ა თ მ ა ლ ა ლ ი:	აზროვნებენ	უყვართ	სჭირდებათ
<b>ლინგვისტური/ენობრივი ინტელექტი</b>	სიტყვების საშუალებით	წერა, კითხვა, ამბების მოყოლა, სიტყვებთან დაკავშირებული თამაშები	წიგნები, კასეტები, საწერი ნივთები, ქაღალდი, დღიურები, დიალოგი, დისკუსია, დებატი, ამბები და ისტორიები
<b>ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი</b>	მსჯელობის საშუალებით	ექსპერიმენტების ჩატარება, გამოკვლევა, ლოგიკური თავსატეხების ამოსნა, ანგარიში და გამოთვლა	საგნები, რომლებითაც შეძლებენ ექსპერიმენტების ჩატარებას, სამეცნიერო ნივთები და დანადგარები, ხელეხებით მანიპულირებადი საგნები, ექსკურსიები პლანეტარიუმში და მეცნიერების მუზეუმში
<b>სივრცული ინტელექტი</b>	გამოსახულებების და ნახატების საშუალებით	დაგეგმარება, კონსტრუირება, აგება, ხატვა, გონებაში წარმოსახვა	ხელოვნების ნივთები, ვიდეო, ფილმები, სლაიდები, წარმოსახვითი თამაშები, ლაბირინთები, თავსატეხები, ილუსტრირებული წიგნები, ექსკურსიები ხელოვნების მუზეუმში

<p><b>მუსიკალური ინტელექტი</b></p>	<p>რიტმის და მელოდიების საშუალებით</p>	<p>ს ი მ დ ე რ ა , სტვენა, ღიღინი, ხელების კაკუნი, ფეხების ბაკუნი, მოსმენა</p>	<p>სიმღერის დრო/გაკვეთილები, კონცერტებზე სიარული, მუსიკის მოსმენა სახლში და სკოლაში, მუსიკალური ინსტრუმენტები</p>
<p><b>ფიზიკური-კინესთეტიკური ინტელექტი</b></p>	<p>ფიზიკური შეგრძნებების საშუალებით</p>	<p>ცეკვა, სირბილი, სტუნვა, აშენება, შეხება, ქესტების გამოყენება</p>	<p>ს პ ო რ ტ უ ლ ი და ფიზიკური თამაშები, შეხებით შესაგრძნობი გამოცდილებები, პრაქტიკაში სწავლა</p>
<p><b>ინტერპერსონალური ინტელექტი</b></p>	<p>სხვა ადამიანებთან იდეების გაზიარების საშუალებით</p>	<p>გაძლოლა, ღიღინობა, ორგანიზება, კავშირის დამყარება, მანიპულირება, მადიტირება, წვეულებებზე ყოფნა</p>	<p>მ ე გ ო ბ რ ე ბ ი , ჯგუფური თამაშები, სოციალური თავყრილობები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, წრეები/კლუბები, მენტორები/დამრიგებლები</p>
<p><b>ინტრაპერსონალური ინტელექტი</b></p>	<p>საკუთარი მოთხოვნილებების, გრძნობების და მიზნების მიმართ</p>	<p>მ ი ზ ნ ე ბ ი ს დასახვა, ოცნება, დაგეგმვა, ფიქრი</p>	<p>საიდუმლო ადგილები, მარტო ყოფნა, არჩევანი</p>
<p><b>ნატურალისტიკური ინტელექტი</b></p>	<p>ბუნებასთან ურთიერთობით</p>	<p>ცხოველებთან თამაში, ბუნების გამოკვლევა/შესწავლა, ცხოველების მოვლა, დედამიწაზე ზრუნვა</p>	<p>ბ უ ნ ე ბ ა ს თ ა ნ ს ი ა ხ ლ ო ვ ე , ცხოველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ბუნების გამოსაკვლევად საჭირო ნივთები</p>

## გარდნერის თეორიის საკლასო ოთახში გამოყენება

გარდნერი გვირჩევს, გაკვეთილები ისე დაგვეგმოდ, რომ ინტელექტის რაც შეიძლება მეტ სფეროზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც საკლასო ოთახში მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას იყენებს, გაკვეთილის ნაწილს ლექციის კითხვას და დაფაზე წერას უთმობს (ენობრივი ინტელექტი). ლაპარაკის დროს ეფექტურად იყენებს ქუსტებს (ფიზიკურ-კინესთეტიკური ინტელექტი) და რიტმულად აკეთებს აქცენტს სხვადასხვა სიტყვებზე და ფრაზებზე (მუსიკალური ინტელექტი). აგრეთვე, დაფაზე ხატავს, ან ვიზუალურ მასალას უჩვენებს მოსწავლეებს, რათა უფრო კარგად განმარტოს ახსნილი მასალა (სივრცული ინტელექტი). ხშირად ასმენინებს ბავშვებს მუსიკას, მაგალითად გაკვეთილის დაწყების ან ახალ დავალებაზე გადასვლის წინ (მუსიკალური ინტელექტი). მოსწავლეებს აძლევს დროს, რომ დაფიქრდნენ და გააანალიზონ, თუ რამდენად კარგად ესმით ახალი მასალა და რისი უნარი და შესაძლებლობები აქვთ. ასევე, ესმარება მოსწავლეებს, რომ ახლადშექმნილი ცოდნა საკუთარ გამოცდილებებს და გრძნობებს დაუკავშირონ (ინტრაპერსონალური ინტელექტი). ხშირად აძლევს მოსწავლეებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მაგალითად, სთხოვს, რომ წყვილ-წყვილად ან ჯგუფებში იმუშაონ (ინტერპერსონალური ინტელექტი). როცა შესაძლებელია, ახალ მასალას ბუნებასთან აკავშირებს (ნატურალისტური ინტელექტი) და ასე შემდეგ. გარდნერი აგრეთვე გვირჩევს, რომ მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს თავიანთი უნარების უკეთ შეცნობაში.

გარდნერი გვაფრთხილებს, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი თითოეული ინტელექტის ყველა საგანზე ან თემაზე ეფექტურად მორგება. მისი აზრით, ასევე არაეფექტურია ერთი ტიპის ინტელექტთან დაკავშირებული მოქმედების ფონად გამოყენება, როცა მოსწავლეები სხვა ტიპის ინტელექტთან დაკავშირებულ დავალებაზე მუშაობენ. მაგალითად, მუსიკის ფონად გამოყენება, როცა ბავშვები მათემატიკის ამოცანების ამოხსნაზე მუშაობენ, გარდნერის თეორიის არასწორი გამოყენებაა.

გარდნერი თვლის, რომ სხვადასხვა სახის ინტელექტი განსხვავებულ კულტურებში სხვადასხვაგვარად ვლინდება. მაგალითად, სივრცული ინტელექტი დასავლურ კულტურებში შეიძლება გამოვლინდეს ხატვაში, ქანდაკებაში ან გეომეტრიაში. ხოლო, კალაჰარის უდაბნოში იგი შეიძლება აისახოს ადგილობრივ მაცხოვრებელთა უნარში, დაიმასოვრონ და ამოიცნონ სხვადასხვა ადგილი ასობით კვადრატული კილომეტრის რადიუსში.

გარდნერისეული მრავალმხრივი ინტელექტის თეორია ყველასთვის მისაღები არაა. ზოგიერთი მკვლევარი მას აკრიტიკებს და მიიჩნევს, რომ ის, რასაც გარდნერი მრავალმხრივ ინტელექტად ყოფს, სინამდვილეში ერთი ინტელექტია. მიუხედავად ამისა, სკოლებისა და მასწავლებლების გარკვეული ნაწილი გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას წარმატებით იყენებს მოსწავლეების მიღწევების გასაუმჯობესებლად.

## ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

ერიკსონის თეორიის მიხედვით, რას მოიცავს ადამიანის განვითარება;

განვითარების რა ფსიქო-სოციალურ სტადიებს გაივლის ადამიანი და რა თავისებურებებით ხასიათდება თითოეული სტადია;

როგორ შეიძლება გამოიყენოთ ერიკსონის თეორია საკლასო ოთახში;

როგორ შეიძლება შეუწყოთ ხელი მოსწავლეებში ინიციატივის და შრომისმოყვარეობის განვითარებას და მათში პიროვნების ჩამოყალიბებას.

\*\*\*\*\*

ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონს მიაჩნდა, რომ ადამიანთა შეხედულებები საკუთარი თავის და სხვა ადამიანების შესახებ მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება. ერიკსონის ადამიანის განვითარების კლასიკური თეორია მოიცავს რვა ფსიქო-სოციალურ სტადიას, რომლებსაც ადამიანები გაივლიან მათი ცხოვრების განმავლობაში. თითოეული სტადია მოიცავს განვითარების ამოცანას ანუ კრიზისს, რომელიც ადამიანმა უნდა გადაჭრას. ადამიანის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გადალახავს იგი თითოეულ კრიზისს. რაც უფრო წარმატებით გაუმკლავდება ადამიანი თითოეულ ამოცანას, მით უფრო ფსიქოლოგიურად ჯანსაღი იქნება იგი. ქვემოთ მოცემულია ერიკსონის რვა ფსიქო-სოციალური სტადია.



## **1. ნდობა უნდობლობის წინააღმდეგ (ჩვილობის ასაკი, ბავშვის პირველი წელი)**

ერიკსონის თანახმად, ჩვილი ბავშვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, ისწავლოს, რეგულარულად აკმაყოფილებენ თუ არა გარშემო მყოფი ადამიანები, განსაკუთრებით კი მისი აღმზრდელები, მის ძირითად მოთხოვნილებებს. თუ ის ადამიანები, რომლებიც ბავშვზე ზრუნავენ, მას რეგულარულად აწვდიან საკვებს, ნუგეშს სცემენ, ამწვიდებენ და სიყვარულს იჩენენ მის მიმართ, ჩვილი ბავშვი სწავლობს ნდობას, რომ ადამიანები საიმედონი და სანდონი არიან. ხოლო თუ აღმზრდელები უგულვებელყოფენ ბავშვის მოთხოვნილებებს ან ცუდად ექცევიან მას, ჩვილი ბავშვი სწავლობს უნდობლობას, რომ სამყარო არასაიმედო და, შესაძლოა, საშიშიც კია.

## **2. ავტონომია სირცხვილის და ეჭვის წინააღმდეგ (1-3 წლის ასაკი)**

ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი კუნთების კოორდინაცია და მობილურობის (მოძრაობის) უნარი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ზოგიერთი მოთხოვნილება თვითონვე დაიკმაყოფილოს. ბავშვი იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, დაბანას, ჩაცმას და საპირფარეშოს გამოყენებას. თუ ბავშვის აღმზრდელები ამხნევენ მის დამოუკიდებელ მოქმედებას, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ მას შეუძლია ბევრ ამოცანას და პრობლემას თვითონვე გაუმკლავდეს. ხოლო თუ აღმზრდელები არ აძლევენ ბავშვს ისეთი ამოცანების შესრულების უფლებას, რაც მას უკვე შეუძლია და დასცინიან მის მცდელობებს, იყოს დამოუკიდებელი, ბავშვს უყალიბდება სირცხვილის და ეჭვის გრძნობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

## **3. ინიციატივა დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ (3-5 წლის ასაკი)**

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს თანდათან დამოუკიდებლად უფრო მეტი ამოცანის შესრულება შეუძლიათ. ხანდახან ბავშვები ისეთ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს, რომელთა შესრულებაც მათ ადვილად შეუძლიათ. მაგრამ ზოგჯერ იმასაც ცდილობენ, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, ან რომლებიც ხელს უშლის სხვა ადამიანების გეგმებს და საქმიანობებს. თუ მშობლები და ბაღის აღმზრდელები აქეზებენ/ამხნევენ ბავშვების მცდელობებს და ამავე დროს ესმარებიან მათ რეალისტური და შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში, ბავშვებს

უვითარდებათ ინიციატივის გრძნობა—საქმიანობების დამოუკიდებლად დაგეგმვის და შესრულების უნარი. ხოლო, თუ მოზრდილები არ აძლევენ ბავშვებს იმის უფლებას, რომ ამოცანებს თვითონვე გაუმკლავდნენ და მიიჩნევენ, რომ ბავშვების მცდელობა, იყვნენ დამოუკიდებელი, სასაცილო და მომაბეზრებელია, მაშინ ბავშვებს უნდა დახმავდეთ დანაშაულის გრძნობა საკუთარი მოთხოვნილებების და სურვილების მიმართ.

#### **4. ბეჯითობა არასრულფასოვნების გრძნობის წინააღმდეგ (6 წლიდან დაახლოებით 11–12 წლის ასაკამდე)**

ერიკსონის აზრით, უმცროსი სასკოლო ასაკი მნიშვნელოვანი პერიოდია იმისათვის, რომ ბავშვს თავდაჯერებულობის გრძნობა განუვითარდეს. დაწყებითი სკოლა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, სხვადასხვა დავალების შესრულებით (მაგ. ხატვით, მათემატიკური ამოცანების ამოხსნით, წინადადებების წერით და ასე შემდეგ), მასწავლებლების, მშობლების და თანატოლების მოწონება და აღიარება დაიმსახუროს. თუ მასწავლებლები და მშობლები აქეზებენ/ამხნევენ ბავშვებს, ჩაერთონ სხვადასხვა საქმიანობაში და შემდეგ აქებენ მათ მიღწევებისთვის და წარმატებისთვის, ბავშვები ბეჯითები და შრომისმოყვარენი ხდებიან. ისინი გულმოდგინედ ასრულებენ დავალებებს, ცდილობენ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ და სამუშაოს გართობაზე წინ აყენებენ. თუ მოზრდილები დასცინიან და სჯიან ბავშვების მცდელობებს, შეასრულონ სხვადასხვა დავალება, ან თუ ბავშვები აღმოაჩენენ, რომ ისინი ვერ ამართლებენ მასწავლებლების და მშობლების მოლოდინს, მათ უვითარდებათ არასრულფასოვნების შეგრძნება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

#### **5. პიროვნების იდენტობა საკუთარ როლთან დაკავშირებული გაურკვეველობის გრძნობის წინააღმდეგ (დაახლოებით 11–12 - დან 20 წლამდე)**

ბავშვობიდან მოზარდობის ხანაში გადასვლის პერიოდში მოსწავლეები იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ რა როლს ითამაშებენ ისინი მოზრდილთა სამყაროში. ისინი ცდილობენ, გაარკვიონ, თუ ვინ არიან ისინი, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნების მიღწევა უნდათ მომავალში. თავდაპირველად, მოზარდები გარკვეულწილად განიცდიან გაურკვეველობის გრძნობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი უნდა ითამაშონ მათ საზოგადოებაში. შესაბამისად, ისინი ხშირად ბევრ სხვადასხვა საქმიანობას გამოცდიან ხოლმე. ერიკსონის აზრით, მოზარდობის ხანის დასასრულისკენ მოზარდთა უმრავლესობას უყალიბდება პიროვნების, ანუ საკუთარი ინდივიდუ-

აღურობის შეგრძნება. მათ უკვე იციან, თუ ვინ არიან ისინი და საით მიემართება მათი ცხოვრება. თუმცა ბევრი თანამედროვე ფსიქოლოგი არ ეთანხმება ერიკსონს და მიიჩნევს, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებას გაცილებით უფრო დიდ დროს ანდომებს.

## **6. ინტიმურობა განმარტოების წინააღმდეგ (20–39 წლის ასაკი)**

ადამიანი, რომელმაც უკვე იპოვა საკუთარი პიროვნება, მზად არის თავისი ცხოვრება სხვა ადამიანების ცხოვრებას დაუკავშიროს. ახალგაზრდა ადამიანს უკვე გააჩნია სხვა ადამიანებთან ინტიმური (ახლო), ორმხრივი ურთიერთობების დამყარების უნარი (მაგალითად, მეგობრობის ან ქორწინების საშუალებით). იგი ხშირად მზად არის დათმობებზე წავიდეს, რათა ეს ურთიერთობები შეინარჩუნოს. ხოლო, თუ ადამიანს არ გააჩნია ახლო ურთიერთობების დამყარების უნარი, მას შეიძლება განმარტოების გრძნობა განუვითარდეს.

## **7. პროდუქტულობა სტაგნაციის (უმოქმედობის) წინააღმდეგ (40–59 წლის ასაკი)**

ხანდაზმულობის ასაკში ადამიანის მთავარი ამოცანაა, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში და მომავალ თაობას მრჩეველის და მეგზურის როლი გაუწიოს. როცა ადამიანს წვლილი შეაქვს საზოგადოებაში (მაგალითად, ბავშვების აღზრდით და საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულებით), მას უვითარდება პროდუქტულობის შეგრძნება. ხოლო, თუ ადამიანი საკუთარ თავზე ფიქსირებული და არ გააჩნია უნარი ან სურვილი საზოგადოების განვითარებაში ჩართვის, მას უვითარდება უმოქმედობის შეგრძნება, უკმაყოფილების გრძნობა არასაკმარის პროდუქტულობასთან/ნაყოფიერებასთან დაკავშირებით.

## **8. მორალური და ეთიკური სიძლიერე სასოწარკვეთილების წინააღმდეგ (60 წლის ასაკიდან)**

განვითარების ბოლო სტადიაა რეტროსპექტივა: ამ ასაკში ადამიანები ყურადღებას თავიანთი წარსულ ცხოვრებისკენ და მიღწევებისკენ მიმართავენ. თუ ადამიანს სჯერა, რომ მისი ცხოვრება ბედნიერი და ნაყოფიერი იყო, მას კმაყოფილების და მორალური თუ ეთიკური სიძლიერის შეგრძნება უყალიბდება. ხოლო თუ ადამიანის ცხოვრება იმედგაცრუებით და წარუმატებლობით იყო სავსე, მაშინ მას შეიძლება სასოწარკვეთილების გრძნობა დაეუფლოს.

## ერიკსონის თეორიის გამოყენება საკლასო ოთახში

1. წახალისეთ ბავშვები, გამოიხიონ ინიციატივა. სკოლამდელი ასაკის და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს საკმაოდ დიდი თავისუფლება უნდა მისცეთ იმისათვის, რომ გამოიკვლიონ და შეისწავლონ საკუთარი სამყარო. ჩართეთ ისინი ისეთ საქმიანობებში, რომლებიც მათი წარმოსახვის უნარს წახალისებს და გააძლიერებს. პერიოდულად მიეცით შესაძლებლობა, თვითონვე აარჩიონ, თუ რისი გაკეთება სურთ. ამ ასაკის ბავშვებთან თამაში ხელს უწყობს არამხლოდ მათ სოციო-ემოციურ განვითარებას, არამედ მათ კოგნიტურ ზრდასაც. წახალისეთ ბავშვები, რომ ხშირად ითამაშონ ერთმანეთთან. ჩართეთ ისეთ თამაშებში, რომლებიც ფანტაზიის და წარმოსახვის უნარს ავითარებს. წააქეზეთ ბავშვები, რომ თამაშის დასრულების შემდეგ სათამაშოები და სხვა ნივთები თავის ადგილას დააწონ. შეეცადეთ, კრიტიკა მინიმუმამდე დაიყვანოთ, რათა ბავშვს არ ჩამოუყალიბდეს დანაშაულის და დელევის განცდა. ამ ასაკის ბავშვები ხშირად უშვებენ შეცდომებს. მათ ისეთი ადამიანები სჭირდებათ, რომლებიც მაგალითს უჩვენებენ და არ გააკრიტიკებენ.

*იხ. გვ. 151*

*იხ. გვ. 13*

2. დაეხმარეთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, გახდნენ ბეჯითი და შრომისმოყვარენი. მასწავლებლის მნიშვნელოვანი მოვალეობაა, ბავშვს ბეჯით და შრომისმოყვარე ადამიანად ჩამოყალიბებაში დაეხმაროს. ერიკსონი იმედს გამოთქვამდა, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ბავშვებს სწავლის ძლიერ სურვილს გაუღვიძებს. ერიკსონის აზრით, მასწავლებელმა უნდა დაანახოს ბავშვს, რომ მას შეუძლია ისეთი რაღაცეების გაკეთება ისწავლოს, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა. დაწყებითი კლასის მოსწავლეები მოწყურებულნი არიან, ისწავლონ. სკოლაში შესვლის დროს ბავშვების უმრავლესობას გააჩნია ცნობისმოყვარეობის ძლიერი გრძნობა და სწავლის მაღალი მოტივაცია. მასწავლებელმა ისეთი დავალებები უნდა მისცეს მოსწავლეებს, რომლებიც მათგან ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ არ აღემატება მათ შესაძლებლობებს. მტკიცედ მოსთხოვეთ მოსწავლეებს, იყვნენ პროდუქტულნი, მაგრამ ზედმეტად არ გააკრიტიკოთ ისინი. განსაკუთრებით მოთმინებით მოეკიდეთ ბავშვების უნებლიე შეცდომებს. უზრუნველყავით, რომ თითოეულ მოსწავლეს წარმატების მიღწევის ბევრი შესაძლებლობა ჰქონდეს.

3. ხელი შეუწყეთ პიროვნების განვითარებას მოზარდებში. გააცნობიერეთ, რომ მოსწავლის პიროვნება ბევრ სხვადასხვა ასპექტს მოიცავს: პროფესიულ მიზნებს; ინტელექტუალურ მიღწევებს და სხვადასხვა ინტერესს, მაგალითად სპორტში, მუსიკაში და ასე შემდეგ. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ თემები მათი პიროვნების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით და გამოიკვლიონ, თუ ვინ არიან ისინი და რისი კეთება სურთ ცხოვრებაში. წააქეზეთ მოზარდები, დამოუკიდებლად იაზროვნონ და საკუთარი მოსაზრებები თავისუფლად გამოთქვან. აგრეთვე, წაახადისეთ, რომ მოუსმინონ რელიგიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებულ დებატებს და დისკუსიებს. ეს მათ განსხვავებული პოზიციების გამოკვლევაში და შესწავლაში დაეხმარება.

4. გააანალიზეთ, ერიკსონის მიხედვით, განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფებით თქვენ, როგორც მასწავლებელი. მაგალითად, თქვენ შეიძლება იმ ასაკში იმყოფებით, როცა, ერიკსონის აზრით, ხდება პიროვნების ჩამოყალიბება, ან ინტიმურობის შეგრძნების განვითარება. ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ამოცანაა, სხვა ადამიანებთან პოზიტიური, ახლო ურთიერთობების დამყარება. პარტნიორთან ან მეგობრებთან პოზიტიური ურთიერთობა ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნების განვითარებას. ერიკსონის აზრით, პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია პროფესიული მიზნების განსაზღვრა. წარმატებული მასწავლებლის კარიერა შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს თქვენი პიროვნების განვითარებისთვის.

5. გამოიყენეთ ერიკსონის სხვა სტადიების თავისებურებები. წარმატებული მასწავლებლები გამოხატავენ ნდობას, იჩენენ ინიციატივას, გამოირჩევიან ბეჯითობით და შრომისმოყვარეობით, მოტივირებულნი არიან, მომავალ თაობას დაეხმარონ და საზოგადოებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. თქვენ, როგორც მასწავლებელს, თავისუფლად შეგიძლიათ, დააკმაყოფილოთ ის კრიტერიუმები, რომლებიც ერიკსონისეულ პროდუქტულობის ცნებას ახასიათებს.

## ემოციური განვითარება

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რა არის ემოცია, რა სახის ემოციები არსებობს და რას ემსახურება მისი გამოვლენა;

რას მოიცავს ემოციური განვითარება;

რას ნიშნავს ემოციური ცნობიერება, ემოციური რეგულაცია, ემოციური ინტელექტი და ემოციური კომპეტენცია;

რა ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები ახდენს გავლენას მოზარდთა ემოციურ განვითარებაზე;

რა როლს თამაშობენ მშობლები, აღმზრდელები და მასწავლებლები მოსწავლეთა ემოციურ განვითარებაში;

როგორ უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა ემოციურ განვითარებას.

\*\*\*\*\*

*ემოციის განსაზღვრება* - ემოცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. ემოციის განსაზღვრება რთულია, რადგან ყოველთვის არ არის ადვილი იმის ამოცნობა, იმყოფება თუ არა ბავშვი ან მოზარდი ემოციურ მდგომარეობაში. არის თუ არა ბავშვი ემოციურ მდგომარეობაში, როცა ის სწრაფად სუნქავს, ხელისგულეები უოფლიანდება და გული უჩქარდება? თუ ემოციური განცდა მის ღიმილში ან სხვა მიმიკაში გამოიხატება? სხეული და სახე მნიშვნელოვნად გვეხმარება ბავშვის ემოციების რაგვარობის დადგენაში. თუმცა ფსიქოლოგებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიმიკა და ქესტიკულაცია ბავშვის ემოციური მდგომარეობის დიაგნოსტიკაში. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ემოცია განისაზღვრება, როგორც განცდა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფიზიოლოგიურ პროცესებს (მაგ. გულის სწრაფ

ფექტვას), გაცნობიერებულ დამოკიდებულებას (მაგ. სხვა ადამიანისადმი სიყვარულის გრძობას) ან ქცევაში გამოვლინებას (მაგ. ღიმილს). ემოციები შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. პოზიტიური განცდა გულისხმობს დადებით ემოციებს, როგორცაა სიხარული, ერთუზიანობა, აღტაცება, სიამოვნება და სიმშვიდე. ნეგატიური განცდა კი - უარყოფით ემოციებს, როგორცაა ღელვა, გაბრაზება, შიში, წუხილი, დანაშაულის გრძობა და სევდა.

აგრეთვე, ფსიქოლოგები განასხვავებენ პირველად/ძირითად ემოციებს და შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციებს. პირველადი/ძირითადი ემოციები ადამიანებს და სხვა პრიმატებს ახასიათებთ. ისტორიულად, ასეთი ემოცია ადამიანს გადარჩენაში ეხმარებოდა. პირველადი/ძირითადი ემოციები ბავშვში მისი სიცოცხლის პირველი 6-8 თვის ასაკში ვლინდება და მოიცავს ისეთ განცდებს, რომელთა ამოცნობა სახის მიმიკიდან შეიძლება. პირველადი/ძირითადი ემოციების მაგალითებია გაოცება, ინტერესი, სიხარული, გაბრაზება, სევდა, შიში და ზიზღი. გაცნობიერებული ემოციები აერთიანებს ისეთ განცდებს, რომლებიც შემეცნებით აზროვნებას მოითხოვს. ისინი მოიცავს ისეთ განცდებს, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ან გააუმჯობესოს ჩვენი თვითაღქმა.

**იხ. გვ. 182**

შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციების მაგალითებია: ემპათია (სხვა ადამიანის გრძობის განცდა და მსგავსი ემოციების გამოვლენა), სიამაყე, ეჭვიანობა, სირცხვილი და დანაშაულის გრძობა. ისინი, დაახლოებით, 1.5 წლის ასაკში ჩნდება. შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის მომავალ წარმატებასა და მორალურ განვითარებაში.

*ემოციის ფუნქციური არსი* - თანამედროვე ფსიქოლოგთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ემოციური განცდა მისი გარემოსადმი ადაპტაციის (შეგუების) მცდელობის შედეგად იჩენს თავს. შესაბამისად, შეუძლებელია ადამიანის ემოციური რეაქციების და მათი გამომწვევი სიტუაციების ერთმანეთისგან განცალკევება. ხშირ შემთხვევაში, ემოციები ინტერპერსონალურ სიტუაციებში (ანუ ადამიანებს შორის ურთიერთობის დროს) იჩენს თავს. სოციალური კომუნიკაციის დროს ემოციის გამოვლინება ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ემსახურება: სასიგნალოს და მარეგულირებელს. იგი გარშემო მყოფებს აწვდის სიგნალს იმის შესახებ, თუ რას გრძობს ადამიანი და, ამავე დროს, არეგულირებს ინდივიდის ქცევას.

ემოციის ფუნქციური გააზრების თანახმად, ემოციები ინდივიდის მიზნებიდან გამომდინარე იძენს მნიშვნელობას. მიზნები



ემოციებთან სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს დაკავშირებული. ადამიანი, რომელიც წინააღმდეგობას გადალახავს და მიზანს მიაღწევს, ჩვეულებრივ, ბედნიერებას განიცდის. ხოლო ადამიანი, რომელიც ვერ შეძლებს მიზნის მიღწევას, ხშირად სევდას და იმედგაცრუებას გრძნობს. იმ ადამიანს კი, რომელიც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდება, როცა მიზნის მიღწევას ცდილობს, შეიძლება გაბრაზების ძლიერი გრძნობა დაეუფლოს. კონკრეტულმა მიზნებმა შეიძლება სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინოს ემოციურ განცდებზე.

*ემოციური რეგულაცია* - ემოციების კონტროლის უნარი ადამიანის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია. ემოციური რეგულაცია გულისხმობს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ემოციური განცდების ინტენსივობის ადეკვატურ დონემდე დასარეგულირებლად, რათა შეძლონ თავიანთი მიზნების წარმატებით მიღწევა. ფსიქოლოგი ნენსი აიზენბერგი შემდეგნაირად აღწერს ემოციური რეგულაციის თავისებურებებს:

- თავდაპირველად ემოციური რეგულაციის წყარო გარე სამყაროდან (მაგალითად, მშობლებისგან) მომდინარეობს. მშობლები ბავშვებს ამშვიდებენ; მართავენ მათ ემოციებს ისეთი გარემოს შექმნით, რომელიც ბავშვებში ძლიერ ემოციებს არ გამოიწვევს და აწვდიან ინფორმაციას (მაგ. საუბრით ან მიმიკის საშუალებით), რათა მოვლენების ინტერპრეტაციაში/გაგებაში დაეხმარონ. ზრდასთან და კოგნიტურ განვითარებასთან ერთად, ბავშვი თანდათან იწყებს საკუთარი ემოციების თვითრეგულირებას.
- ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდება მისი ემოციების რეგულაციის კოგნიტური სტრატეგიები, როგორცაა სიტუაციების დადებითი მხარეების დანახვა და ყურადღების გადატანის უნარი.
- ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდება მისი უნარი, დაარეგულიროს ემოციური განცდები (მაგ. სიბრაზის ფეთქებადი გამოვლინება).
- ასაკთან ერთად ბავშვებს უვითარდებათ უნარი, შეარჩიონ და მართონ ისეთი სიტუაციები და ურთიერთობები, რომლებიც მათ თავიდან ააცილებს უარყოფით ემოციებს.
- ასაკთან ერთად იზრდება ბავშვის უნარი, ეფექტურად გაუმკლავდეს სტრესს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვებს ემოციური რეგულაციის ინდივიდუალური, განსხვავებული უნარი გააჩნიათ.

*ემოციური ინტელექტი* - ემოციური ინტელექტი განისაზღვრება, როგორც საკუთარი და სხვისი გრძნობებისა თუ ემოციების რეგულირების უნარი, საკუთარი ემოციების ამოცნობის უნარი და მათი



გამოყენება აზროვნების და მოქმედების პროცესში. ფსიქოლოგ დანიელ გოლემანის აზრით, ემოციური ინტელექტი ოთხ სფეროს მოიცავს:

- ემოციური ცნობიერების განვითარებას (მაგ. გრძნობების მოქმედებებისგან განცალკევების უნარი).
- ემოციების მართვის უნარს (მაგ. სიბრაზის გაკონტროლების უნარი).
- ემოციების ამოცნობის უნარს (მაგ. სხვა ადამიანის პოზიციის დანახვის უნარი).
- ურთიერთობების მართვის უნარს (მაგ. ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის უნარი).

*ემოციური კომპეტენცია* - ემოციურ ინტელექტთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებაა ემოციური კომპეტენცია, რომელიც ემოციის შემგუებლურ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას. ფსიქოლოგი კაროლინ საარნი მიიხსენებს, რომ ემოციური კომპეტენციის განვითარება მოიცავს სოციალურ კონტექსტებში გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარებას:

- ემოციური თვითცნობიერება - იმის ცოდნა, თუ რა გრძნობა გვაქვს მოცემულ მომენტში.
- სხვა ადამიანების ემოციების წაკითხვის უნარი.
- ემოციის აღმნიშვნელი სიტყვების სოციალურად და კულტურულად მისაღებ ფორმებში გამოყენება.
- გაცნობიერება იმისა, რომ არ არის აუცილებელი შინაგანი ემოციური მდგომარეობა მის გარეგან გამოვლინებას შეესაბამებოდეს; ცოდნა იმისა, თუ როგორ მოქმედებს ესა თუ ის ემოციური რეაქცია გარშემო მყოფებზე და როგორ გამოიყენება იგი ქცევის მართვის თვალსაზრისით.
- უარყოფით ემოციებთან გამკლავება თვითრეგულაციის სტრატეგიების გამოყენებით, რომლებიც ამცირებს ასეთი ემოციების ინტენსივობასა და ხანგრძლივობას.
- გაცნობიერება იმისა, რომ ემოციების გამოვლენა მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ადამიანთა ურთიერთობებზე.
- ზოგადად, ისეთ შინაგან მდგომარეობაში ყოფნა, როგორც გინდა, რომ თავს გრძნობდე.

როცა ბავშვები იძენენ ემოციური კომპეტენციის უნარ-ჩვევებს, მათი ემოციური რეგულაციის უნარიც იზრდება. ზოგადად, ისინი უფრო კარგად გრძნობენ თავს და სტრესულ სიტუაციებში უფრო გამძლენი ხდებიან. ბავშვები ემოციური კომპეტენციის უნარ-ჩვევებს ყველაზე კარგად ისეთ გარემოში ეუფლებიან, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემით და პასუხისმგებლური დამოკიდებულებით გამოირჩევა. ბავშვების ემოციური კომპეტენციის უნარ-ჩვევები მათ ზრდასთან და განვითარებასთან ერთადაც იცვლება. მაგალითად, პატ-

არა ბავშვებში ისინი უფრო კონკრეტულია და სიტუაციასთან დაკავშირებული. მოზარდებში კი ხდება მათი ინტეგრაცია სოციალურ უნარ-ჩვევებთან, პიროვნების განვითარებასთან და მორალურ ხასიათთან.



### **ემოციური განვითარება სკოლამდელი ასაკის (2–6 წლის) ბავშვებში**

*ემოციური ცნობიერება* - სკოლამდელი ასაკის ბავშვების ემოციის აღმნიშვნელი სიტყვების მარაგი სწრაფად იზრდება და ბავშვები მას ოსტატურად იყენებენ საკუთარი და სხვა ადამიანების მოქმედებების და განცდების აღსაწერად. მაგალითები:

ორი წლის ბავშვი: [კომენტარს აკეთებს ბავშვზე, რომელსაც დაძინება არ უნდა და ტირის] „დედა, ანა ტირის. ანა მოწყენილია.“

ექვსი წლის ბავშვი: [ცდილობს ეკლესიაში დააწყნაროს პატარა ბიჭუნა, რომლის დედა ზიარების მისაღებად ცოტა ხნით მას მოშორდა] „არ იტირო, ახლავე მოვა დედა. ნუ გეშინია, მე აქა ვარ.“

კოგნიტური განვითარება და ემოციური ცნობიერება - როგორც ზემოთ მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, პატარა ბავშვები უკვე საუბრობენ ემოციის მიზეზებზე, შედეგებზე და მოქმედებით გამოვლინებაზე. დროთა განმავლობაში, მათ უფრო ზუსტად და კარგად ესმით, თუ რა გრძნობებს განიცდიან თვითონ ისინი და მათ გარშემო მყოფი ადამიანები. 4-5 წლის ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ სწორად ამოიცნონ პირველადი/ძირითადი ემოციები. თუმცა, ისინი ყურადღებას უფრო გარეგან ფაქტორებზე ამახვილებენ, ვიდრე შინაგან მდგომარეობაზე. ეს ბალანსი დროთა განმავლობაში იცვლება. 5 წლის ბავშვს უკვე ესმის, რომ მოქმედების მოტივაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც სურვილი, აგრეთვე ადამიანის შეხედულებები. დროთა განმავლობაში ბავშვები უფრო კარგად გააცნობიერებენ ამ ფაქტს და, შესაბამისად, უფრო კარგად დაინახავენ, თუ როგორ იწვევს შინაგანი ფაქტორები ემოციებს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ, თუ რას მოიმოქმედებს მათი თანატოლი, რომელიც გარკვეულ ემოციას გამოხატავს. ისინი აცნობიერებენ, რომ აზროვნება და გრძნობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ადამიანი შეიძლება დანადგლიანდეს, თუ მას ადრე მომხდარი სევდიანი ამბავი გაახსენდა. მეტიც, მათ შეუძლიათ, მონახონ სხვა ადამიანების უარყოფითი ემოციების შემსუბუქების ეფექტური გზები, როგორც არის მოფერება. ზოგადად, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს საოცარი უნარი გააჩნიათ, გაიგონ და შეცვალონ სხვა ადამიანის გრძნობები. ამავ დროს, მათ უჭირთ ისეთი სიტუაციების აღქმა, რომლებშიც საწინააღმდეგო ინფორმაციას წააწყდებიან ადამიანის განცდების შესახებ.

**იხ. გვ. 13**

მაგალითად, როცა 4-5 წლის ბავშვებს ვაჩვენებთ სურათს, რომელზედაც ბავშვი გატეხილი ველოსიპედის გვერდით ბედნიერი გამომეტყველებით დგას, ისინი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ემოციურ გამოვლენაზე ამახვილებენ ყურადღებას: „ბედნიერია, იმიტომ რომ მას თავისი ველოსიპედის ტარება უყვარს“. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის შესაბამისად, ბავშვები რთული სიტუაციის ყველაზე

აშკარა და აღვილად შესამჩნევ ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას და იგნორირებას უკეთებენ შეუსაბამო ინფორმაციას.

*სოციალური გამოცდილება და ემოციური ცნობიერება* - ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს არამხოლოდ კოგნიტური განვითარება, არამედ სოციალური გამოცდილებაც. დედები რაც უფრო ხშირად არქმევენ სახელს და ხსნიან ემოციებს ბავშვებთან საუბარში, მით უფრო მეტ ემოციის აღმნიშვნელ სიტყვას იყენებენ ბავშვები. ასეთ ბავშვებს მომავალში უფრო კარგად უვითარდებათ სხვა ადამიანების ემოციების

ამოცნობის უნარი. განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი დისკუსიები, რომლებშიც ოჯახის წევრები ერთმანეთისგან განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. მეტიც, ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ და ახლო დამოკიდებულება აქვთ მშობლებთან, უფრო კარგად ესმით ემოციები. ემოციების ცოდნა სკოლამდელი ასაკის ბავშვებს სხვა ადამიანებთან (როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან) კარგი ურთიერთობების დამყარებაში ეხმარება.

*ემოციური რეგულაცია* - ენობრივი განვითარება ხელს უწყობს ემოციური რეგულაციის, ანუ საკუთარი ემოციების კონტროლის უნარის გაუმჯობესებას. 3-4 წლის ბავშვები სიტყვებით გამოხატავენ სტრატეგიებს, რომლებსაც ემოციური განცდების დასარეგულირებლად იყენებენ. მაგალითად, მათ შეუძლიათ საკუთარი თავი დააწინარონ („მამა მალე მოვა“), ან თავიანთი მიზნები შეცვალონ (მას შემდეგ, რაც თამაშიდან გამორიცხავენ, გადაწყვიტონ, რომ არ უნდათ თამაში).

*ობ. გვ. 111*

ბავშვების მიერ ასეთი სტრატეგიების გამოყენება იმას ნიშნავს, რომ ისინი თანდათან უფრო იშვიათად გამოავლენენ ფეთქებად ემოციებს. მეტიც, სამი წლის ბავშვს უკვე შეუძლია განასახიეროს ის ემოცია, რომელიც მას მოცემულ მომენტში არ აქვს. აგრეთვე, ისინი თანდათან უფრო კარგად ხვდებიან, თუ როდის მალავენ ადამიანები ნამდვილ გრძნობებს. ეს ემოციური ნიღბები ძირითადად ბედნიერების და გაოცების დადებითი ემოციებით შემოიფარგლება. ყველა ასაკის ბავშვს (და მოზრდილებსაც) უფრო უჭირს უარყოფითი ემოციების (მაგ. სევდის, გაბრაზების ან ზიზღის) განსახიერება, ვიდრე დადებითის.

ბავშვის ტემპერამენტი გავლენას ახდენს მისი ემოციური რეგულაციის განვითარებაზე. ბავშვებს, რომლებიც უარყოფით ემოციებს ძალიან მძაფრად/ინტენსიურად განიცდიან, უფრო უჭირთ საკუთარი გრძნობების გაკონტროლება და ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. ასეთ ბავშვებს უჭირთ მეგობრებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის დამყარება და გაკვეთილის რეჟიმთან შეგუება. იმისათვის, რომ ასეთმა ბავშვებმა სოციალური პრობლემები თავიდან აიცილონ, ისინი ემოციური რეგულაციის ეფექტურ სტრატეგიას უნდა დაეუფლონ. როცა ბავშვები ხედავენ, როგორ უმკლავდებიან მშობლები ან მასწავლებლები საკუთარ ემოციებს, თანდათან ისინიც სწავლობენ ემოციების რეგულაციის სტრატეგიებს. როცა მშობლები იშვიათად გამოხატავენ დადებით გრძნობებს და ვერ ახერხებენ უარყოფითი ემოციების გაკონტროლებას, მათი ბავშვებიც პრობლემებს განიცდიან ემოციური რეგულაციის სფეროში. მშობლებთან და მასწავლებლებთან საუბარი ხელს უწყობს ემოციური რეგულაციის განვითარებას.

როცა უფროსები ბავშვს რთული გამოცდილებისთვის ამზადებენ, ეს აუბრებიან იმაზე, თუ როგორ გადალახონ მღელვარება, ამით ემოციებთან გამკლავების სტრატეგიებს ასწავლიან.

*შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციები* - სკოლამდელი ასაკის ბავშვის თვითცნობიერება მნიშვნელოვნად ვითარდება და, ამასთან ერთად, უფრო მგრძობიარე ხდება შექების და საყვედურის მიმართ. ამის შედეგად, ბავშვი ხშირად განიცდის შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციებს. 3 წლის ბავშვში შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციები ნათლად არის დაკავშირებული მის თვითშეფასებასთან. თუმცა, რადგან ბავშვებს ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული წარმატების და ქცევის საკუთარი სტანდარტები, ისინი დამოკიდებულნი არიან უფროსების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, თუ როდის უნდა განიცადონ შეგნებულ/გაცნობიერებულ ემოციები. ბავშვები, რომლებიც რეგულარულად იღებენ მშობლებისგან შეფასებას („ეს რა ცუდად გააკეთე, მე მეგონა შენ კარგი გოგო იყავი!“), უფრო მძაფრად განიცდიან ყველაფერს(მეტ სირცხვილს წარუმატებლობის შემთხვევაში და მეტ სიამაყეს წარმატების შემდეგ). ხოლო ბავშვები, რომელთა მშობლები ყურადღებას მოქმედების გაუმჯობასებაზე ამახვილებენ („შენ ეს ასე გააკეთე, ჯობდა ასე გაგაკეთებინა“), უფრო ზომიერად განიცდიან სირცხვილსაც და სიამაყესაც.

*ემპათია და თანაგრძნობა* - სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უვითარდებათ ემპათიის (თანაგანცდის) უნარი. ემპათია ალტრუისტული მოქმედების (მოქმედება, რომელიც მოიცავს სხვა ადამიანის დახმარებას სარგებელის მოლოდინის გარეშე) მნიშვნელოვანი მოტივაციის წყაროა. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ემპათიური გრძნობების გამოსახატავად ხშირად სიტყვებს იყენებენ. ბავშვებს თანდათან უვითარდებათ სხვა ადამიანის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენის უნარი და, შესაბამისად, მათი ემპათიის უნარიც იზრდება.

თუმცა ემპათია ყოველთვის როდი უბიძგებს ბავშვს, გულკეთილობა და დახმარება გამოიჩინოს. ზოგიერთ ბავშვში თანატოლთან თუ მოზრდილ ადამიანთან ერთად ემოციური პრობლემის განცდა პირად მწუხარებას იწვევს. ცდილობს რა, შეამციროს ეს განცდა, ბავშვი ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მღელვარებაზე, და არა იმ ადამიანზე, რომელსაც დახმარება სჭირდება. შესაბამისად, ემპათია არ იწვევს თანაგრძნობას.

ემპათიის უნარი დაკავშირებულია ბავშვის ტემპერამენტთან. ბავშვები, რომლებიც უფრო გულდია და თავდაჯერებულნი არიან და რომელთაც ემოციური რეგულაციის კარგი უნარი გააჩნიათ, უფრო ეხმარებიან სხვებს, უფრო იზიარებენ მათ მწუხარებას, და უფრო ცდილობენ მათ დამშვიდებას.

როგორც ემოციური განვითარების ყველა სხვა ასპექტში, მშობლების და აღმზრდელების ქცევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშ-

ვების ემპათიის და თანაგრძნობის უნარების განვითარებაზე. როცა მშობლები და აღმზრდელები ბავშვების მიმართ სითბოს და სიყვარულს გამოხატავენ, ამხნეებენ მათ და მათთან ერთად განიცდიან ემოციურ პრობლემებს, ბავშვებიც უფრო მეტ თანაგრძნობას გამოხატავენ სხვა ადამიანების მწუხარების მიმართ.

### **ემოციური განვითარება უმცროსი სასკოლო ასაკის (6–დან დაახლოებით 11–12 წლის) ბავშვებში**

*გაცნობიერებული ემოციები* - უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები თანდათან ახდენენ საზოგადოების მოლოდინების საკუთარ ცნობიერებაში ინტეგრაციას. ამასთანავე, მათი სიამაყის და დანაშაულის გრძნობები მათი პირადი პასუხისმგებლობის მართვის ქვეშე ქცევა. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, სკოლის ასაკის ბავშვები ამ გრძნობებს უფროსების დარიგების და მეთვალყურეობის გარეშე განიცდიან. არ არის აუცილებელი, რომ მასწავლებელი ან მშობელი ახლოს იყოს, რომ ახალმა მიღწევამ ან წარმატებამ სიამაყის გრძნობა, ხოლო დანაშაულის ჩადენამ კი დანაშაულის გრძნობა გამოიწვიოს ბავშვში. სკოლის ასაკის ბავშვები აღარ განიცდიან დანაშაულის გრძნობას ნებისმიერი მარცხის გამო.

ისინი თავს დამნაშავედ მხოლოდ განზრახ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში გრძნობენ (მაგ. როცა ისინი იგნორირებას უკეთებენ საკუთარ ვალდებულებებს, იტყუებიან ან ყალბაბანდობენ). ეს ცვლილებები მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს მორალურობის შეგრძნების უფრო განვითარებული უნარი გააჩნია.

**იხ. გვ. 182**

როცა სკოლის ასაკის ბავშვები სიამაყეს ან დანაშაულის გრძნობას განიცდიან, ისინი წარმატებას ან წარუმატებლობას საკუთარი მე-ს კონკრეტულ ასპექტებს უკავშირებენ: „მე ძალიან დიდი მონღოლებით მივუდექი ამ რთულ ამოცანას და შედეგიც მივიღე“ (სიამაყე) ან „მე შეცდომა დავეუში და ახლა უნდა გავეუმკლავდე ამ სიტუაციას“ (დანაშაულის გრძნობა). სკოლის ასაკის ბავშვები სირცხვილს განიცდიან, როცა ისეთ სტანდარტს არღვევენ, რომელიც მათი კონტროლის ქვეშ არ არის. მაგალითად, ანასტასია სირცხვილს განიცდიდა, როცა სოუსი გადაისხა და მთელი დღე დალაქავებული პერანგით დადიოდა სკოლაში. როცა ბავშვებს თვითშეფასების შეგრძნება უვითარდებათ, მათ შეიძლება სირცხვილის გრძნობა მათ მიერ კონტროლირებადი სტანდარტების დარღვევის შემთხვევაშიც განიცადონ, თუ მათ ვინმე ამაში დაადანაშაულებს. მაგალითად, ბავშვმა, რომელმაც დაბალი შე-



ფასება მიიღო ტესტზე და რომელსაც მშობელმა ან მასწავლებელმა ამისთვის უსაყვედურა („ყველა სხვა ბავშვს შეუძლია და შენ რატომ არ შეგიძლია?“), შეიძლება სირცხვილით თავი დახაროს და იმეოროს, „მე სულები ვარ!“



სიამაყე ბავშვებს ახალი რთული ამოცანების შესრულების მოტივაციას უღვიძებს. დანაშაულის გრძნობა კი მათ ბიძგს აძლევს, შეცდომა გამოასწორონ და თვითგაუმჯობესებაზე იმუშაონ. ძლიერი სირცხვილის გრძნობა განსაკუთრებით საზიანოა ბავშვისთვის. სირცხვილის გრძნობამ შეიძლება ერთი უღირსი საქციელის გამო მთლიანად შელახოს ადამიანის ღირსება. ეს კი იწვევს უიმედობის გრძნობას, პასიურად უკან დახევის, განმარტოების სურვილს და ძლიერ სიბრაზეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც სირცხვილის გამომწვევ სიტუაციაში მიიღეს მონაწილეობა. ძლიერი სირცხვილის გრძნობა ადამიანებში ასოცირდება საკუთარი არაადეკვატურობის განცდასთან („მე სულები ვარ“, „მე საშინელი ადამიანი ვარ“) და შეგუების უნარის ნაკლებობასთან, საკუთარ თავში ჩაკეტვასთან, დეპრესიასთან და აგრესიასთან. ამიტომ მასწავლებლებმა დიდი სიფრთხილე უნდა

გამოიჩინონ, რომ მოსწავლეებს სირცხვილის გრძობა არ გაუღვიძონ. მათ მოსწავლეთა ყურადღება დაშვებული შეცდომის გამოსწორებაზე უნდა გადაიტანონ.

*ემოციური ცნობიერება* - სკოლის ასაკის ბავშვებს უფრო კარგად ესმით გონებაში მიმდინარე პროცესები და, შესაბამისად, უფრო კარგად შეუძლიათ ემოციების ახსნა მათი შინაგანი მდგომარეობის (მაგ. ბედნიერი და სევდიანი ფიქრები), და არა გარემოვლენების მიმართ. აგრეთვე, ამ ასაკის ბავშვები უფრო კარგად აცნობიერებენ ემოციურ განცდათა მრავალფეროვნებას. დაახლოებით 8 წლის ასაკში ბავშვები ხვდებიან, რომ მათ ერთდროულად რამდენიმე ემოციის განცდა შეუძლიათ. თითოეული ემოცია შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს და განსხვავებული სიძლიერით/ინტენსივობით გააჩნდეს ბავშვს. მაგალითად, ალექსიმ ბეზის მიერ ნაჩუქარი დაბადების დღის საჩუქარი გაიხსენა: „ძალიან მიხარია, რომ რაღაც მივიღე საჩუქრად, მაგრამ ცოტა გული დამწყდა, რომ ის არ მივიღე, რაც მინდოდა“.





ცოდნა იმისა, რომ ერთდროულად რამდენიმე განსხვავებული განცდა შეიძლება ჰქონდეთ, ბავშვებს ესმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ადამიანთა ემოციური გამოვლინებები შეიძლება მათ ნამდვილ გრძნობებს არ ასახავდეს. იგი, ასევე, ხელს უწყობს შეგნებულ/გაცნობიერებული ემოციების უკეთ ამოცნობის და გაგების უნარის განვითარებას. მაგალითად, 8-9 წლის ბავშვს ესმის, რომ სირცხვილის განცდა ორ გრძნობას მოიცავს: საკუთარი არაადეკვატურობის გამო საკუთარ თავზე გაბრაზებას და სევდას, იმის გამო, რომ სხვა ადამიანებს იმედი გაუცრუა. სკოლის ასაკის ბავშვები ემოციური აზროვნების სხვა, უფრო რთულ ფორმებსაც ავლენენ. მათ შეუძლიათ სახის მიმიკის და გარემოში არსებული საწინააღმდეგო ინფორმაციის შეთანხმება იმისათვის, რომ ამოიცნონ სხვა ადამიანის ემოციები. მათ შეუძლიათ ადამიანის წარსულის შესახებ ინფორმაციის გამოყენება, რათა წინასწარ განსაზღვრონ, თუ რას იგრძნობს ის ახალ სიტუაციაში. მაგალითად, ისინი ხვდებიან, რომ ბავშვი, რომელსაც მეგობარმა ზურგი აქცია, ალბათ სევდას განიცდის ამ მეგობრის მოგვიანებით ნახვისას.

ემოციური ცნობიერების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კოგნიტური განვითარება და სოციალური გამოცდილებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსების (მშობლების, მასწავლებლების) მგძნობიარე დამოკიდებულება ბავშვების განცდების მიმართ და მათი მზადყოფნა, განიხილონ ემოციები. ეს ფაქტორები ემპათიის განვითარებასაც უწყობს ხელს. უახლოვდებიან რა მოზარდობის ასაკს, ბავშვის გაუმჯობესებული უნარი, თავი სხვა ადამიანის ადგილას წარმოიდგინოს, მას შესაძლებლობას აძლევს, ემპათია გამოხატოს არამარტო სხვა ადამიანის გასაჭირის, არამედ ზოგადად, მისი ცხოვრებისეული სიტუაციის მიმართ. როგორც ადრეულ ასაკში, ამ ასაკშიც ემოციური ცნობიერება და ემპათია ასოცირდება კარგ სოციალურ ურთიერთობებთან და ქცევებთან.

*ემოციური რეგულაცია* - ამ პერიოდში ბავშვების ემოციური რეგულაციის უნარი სწრაფად იზრდება. ადარებენ რა თავიანთ მიღწევებს თანაკლასელების მიღწევებთან და ცდილობენ რა, მოიპოვონ თანატოლების მოწონება, ბავშვებმა უნდა ისწავლონ იმ ნეგატიური ემოციების მართვაც, რომლებიც მათ თვითპატივისცემის/თვითრწმენის შეგრძნებას საშიშროებას უქმნის.

10 წლის ბავშვთა უმრავლესობა სტრესის გადალახვის ორ ზოგად ხერხს მიმართავს: *პრობლემაზე ფიქსირებულს და ემოციაზე ფიქსირებულს*. პირველ შემთხვევაში ადამიანი აცნობიერებს, რომ სიტუაცია ცვალებადია; იგი ცდილობს, გაარკვიოს, თუ რა იწვევს სტრესს და გადაწყვიტოს, როგორ შეიძლება მისი დაძლევა. იგი ამუშავებს

პრობლემის გადაჭრის გზას, რჩევისთვის მიმართავს სხვას და ა.შ. თუ პრობლემების გადალახვის სტრატეგია არ არის ეფექტური, მაშინ ადამიანები ხშირად მეორე ხერხს მიმართავენ, რომელიც შინაგანი, დაფარული პროცესია და რომელიც მიმართულია ემოციების (მაგალითად, მწუხარების) კონტროლზე. მაგალითად, როცა ბავშვს რთული ტესტი აქვს, იგი ჯერ პრობლემის გადალახვის სტრატეგიებს მიმართავს: დაგეგმავს მეცადინეობის განრიგს, მოემზადება ტესტისთვის, დახმარებისთვის მასწავლებელს ან თანატოლებს მიმართავს. თუ ბავშვი კარგავს სიტუაციის კონტროლის უნარს, მაგალითად, თუ ის ცუდ ნიშანს მიიღებს, მაშინ მან შეიძლება ყურადღება სიტუაციის უფრო ნაკლებად სტრესულ ასპექტზე გადაიტანოს და მის სხვანაირად აღქმას შეეცადოს: „უარესიც შეიძლება ყოფილიყო. კიდევ იქნება ტესტი.“ მოზრდილი ბავშვები (დაახლოებით 10 წლიდან) ემოციების დასარეგულირებლად ასეთ კოგნიტურ სტრატეგიებს უფრო ხშირად იყენებენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ სიტუაციების შეფასების, თავიანთი ფიქრების და გრძნობების გაგების და ახსნის უკეთესი უნარი გააჩნიათ. მაგალითად, პატარა ბავშვს შეიძლება გული ძალიან დაწყდეს, რომ მას მასწავლებელი არ მიესალმა, როცა სკოლაში მივიდა. მოზრდილი ბავშვი კი შეეცდება სიტუაცია სხვანაირად აღიქვას და დაასკვნის: „ალბათ ძალიან დაკავებული იყო, საქმეზე ფიქრობდა და გამარჯობის თქმა დაავიწყდა“.

ფსიქოლოგები სტრესის გადალახვის მესამე ხერხსაც გამოყოფენ, *გაქცევით სტრატეგიას*, როდესაც ადამიანი უარს ამბობს სტრესის დაძლევაზე და გადაინაცვლებს სხვა საქმიანობაზე. ფსიქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სტრესის გადალახვის პრობლემებზე ფიქსირებული ფორმა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე გაქცევით სტრატეგია. მაგალითად, ბავშვები, რომლებიც ტესტში დაბალი შეფასების მიღების შემთხვევაში უფრო მონდომებით მეცადინეობენ და უფრო ეფექტური სწავლის სტრატეგიების გამოყენებას ცდილობენ, უფრო ადვილად გადალახავენ სტრესს და აუმჯობესებენ თავიანთ შედეგებს.

ასეთი სტრატეგიებისთვის უპირატესობის მინიჭება ასაკთან ერთად იზრდება როგორც ევროპელ, ასევე ქართველ ბავშვებში. საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი გოგონები უფრო ხშირად პრობლემაზე ფიქსირებულ სტრესის გადალახვის გზას მიმართავენ, ბიჭებს კი უფრო გაქცევითი სტილი ახასიათებთ (ნ. იმედაძე). ავტორების (ნ. იმედაძე, ლ. ქსოვრელაშვილი) აზრით, ამ შედეგის მიზეზი შეიძლება ორი ფაქტორი იყოს: პირველი, სოციალურად გოგონები უფრო ადრე მწიფდებიან; პრობლემაზე ორიენტირებულ სტრესის გადალახვის გზას კი სწორედ მომწიფებული პიროვნება ირჩევს. მეორეც, ქართულ ოჯახებში ბიჭები ხშირად ზედმეტი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, რაც ხელს უშლის მათი პრობლემების

გადაჭრის უნარის განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს სტრესის გადალახვაში მასწავლებლები და მშობლები დაეხმარონ. მათ უნდა წააქეზონ ბავშვები აქტიური, პრობლემების გადაჭრის სტრატეგიები გამოიყენონ. სხვა ეფექტური სტრატეგიებია ბავშვის ცხოვრებიდან ერთი სტრესორის (სტრესის გამომწვევი სტიმულის) მოშორება და სტრესის დაძლევის მრავალფეროვანი ხერხების გამოყენების სწავლება.

კოგნიტიური განვითარება და სოციალური გამოცდილებების მრავალფეროვნება ხელს უწყობს ბავშვებში სტრესის გადალახვის სტრატეგიების მოქნილად გამოყენებას. მშობლებთან, თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის დროს ბავშვები სწავლობენ ემოციების საზოგადოებისთვის მისაღებ ფორმებში გამოვლინებას. ასაკთან ერთად ისინი თანდათან უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებენ სიტყვიერ სტრატეგიებს და ნაკლებად იყენებენ ემოციური გამოვლინების აშკარა ფორმებს, როგორც არის ტირილი, გაბუტვა და აგრესია. როცა ემოციური რეგულაციის განვითარება წარმატებით მიმდინარეობს, ბავშვებს უვითარდებათ საკუთარ ემოციურ გამოცდილებაზე კონტროლის გრძნობა. ეს კი ხელს უწყობს დადებითი თვითაღქმის და პოზიტიური თვალთახედვის განვითარებას.

ზოგადად, ბავშვები, რომლებსაც ემოციური რეგულაციის კარგი უნარი აქვთ, ბუნებით უფრო ოპტიმისტურები არიან, ემპათიის უფრო კარგი უნარი გააჩნიათ და თანატოლებშიც უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ხოლო ბავშვები, რომლებსაც ემოციური რეგულაციის უნარი კარგად არა აქვთ განვითარებული, მოჭარბებულად განიცდიან უარყოფით ემოციებს, რაც მათ ხელს უშლის თანატოლებთან და მოზრდილ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში. გოგონებში ემოციური რეგულაციის ცუდი უნარი ხშირად მათ ზედმეტ მღელვარებაში გამოიხატება, რომელიც ქცევის პარალიზებას იწვევს; ხოლო ბიჭებში ხშირად აგრესიით და მტრული დამოკიდებულებით გამოვლინდება.

## **ემოციური განვითარება მოზარდებში**

ფსიქოლოგები მოზარდობის ასაკს ხშირად ემოციური შფოთვის ასაკს უწოდებენ. ეს ხანა ინტენსიური დადებითი და უარყოფითი ემოციებით ხასიათდება. მოზარდები შეიძლება უბედნიერესები იყვნენ ერთ მომენტში, ხოლო მეორეში კი ძალიან უბედურად იგრძნონ თავი, შეიძლება ხშირად ცუდ გუნებაზე იყვნენ, მოღუშულები დადიოდნენ და ემოციურად ფეთქდებოდნენ. ხშირ შემთხვევაში მათი ემოციების ინტენსივობა გარეგნულად არ შეესაბამება იმ მოვლენებს, რომლებმაც ისინი გამოიწვია. მოზარდის ემოციური განვითარება დამოკიდებულია მთელ რიგ ფიზიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე.

*ფიზიკური ფაქტორები* - მოზარდობის ასაკი ხასიათდება მკვეთრი ცვლილებებით ფიზიკური განვითარების პროცესებში. ეს არის სწრაფი ფიზიკური მომწიფების პერიოდი, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ჰორმონალურ და სხეულის ცვლილებებს.


*იხ. გვ. 10*

მოზარდის მნიშვნელოვანი ამოცანაა შეცვლილ სხეულთან შეგუება, სხეულის დადებითი თვითაღქმის განვითარება. ორგანიზმის შეცვლილი მდგომარეობა და ჰორმონების მოზღვავება უშუალოდ მოქმედებს ემოციურ მდგომარეობაზე. მოზარდი უფრო ცვალებადი, ადვილად აღზნებადი და ფეთქებადი ხდება.

*სოციალური ფაქტორები* - ფიზიკური ცვლილებების და კოგნიტიური მიღწევების შედეგად, მოზარდს უნდება მისწრაფება, რომ ოჯახის ზეგავლენიდან გამოვიდეს და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდეს. ის მშობლებისგან სხვანაირ დამოკიდებულებას ელოდება, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს ხშირად არ სურთ მას სხვანაირი თვალთ შეხედონ. მოზარდები მიიჩნევენ, რომ მშობლებს არ ესმით მათი. ამ ასაკის მოსწავლისათვის მისაბაძია არა მშობლების, არამედ თანატოლების წრეში გაბატონებული ნორმები. მისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს თანატოლების მოწონება, ანუ მისი სტატუსი კლასში, მეგობრებში და ა.შ.

ჯგუფის წევრობა მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მოზარდის ღირსების გრძნობის ამაღლებას. ჯგუფის მიერ მისმა გარიყვამ კი შეიძლება მოსწავლეში სერიოზული ემოციური პრობლემები გამოიწვიოს.

*იხ. გვ. 34*



მოზარდობის ხანა ხასიათდება ცვლილებებით მოსწავლეების და მასწავლებლების ურთიერთობაში. დაწყებით კლასებში მოსწავლეები ადვილად იღებენ მასწავლებლებს და დამოკიდებულნი არიან მათზე. მოზარდობის ასაკში კი ეს ურთიერთობა უფრო რთულ ხასიათს იძენს. ხანდახან მოსწავლეები მასწავლებელს ისეთ პირად ინფორმაციას უზიარებენ, რასაც მშობლებს არ უმხელენ. ზოგიერთი მოზარდისთვის მასწავლებელი მისაბადი პიროვნება ხდება. ამავე დროს, მოზარდთა ნაწილი გაცილებით უფრო გაბედულად ეპასუხება მასწავლებელს, ხმამაღლა შეაქვს მის ნათქვამში ეჭვი და ღიად იწვევს კამათში. მოზარდთა ნაწილი კი კარგავს სწავლის და სკოლაში სიარულის ინტერესს, აუარესებს აკადემიურ მოსწრებას და სკოლის მიტოვების საშიშროების წინაშე დგება.

*პიროვნების განვითარება* - ადრეულ მოზარდობის ხანაში თავს იჩენს რეფლექსიის ტენდენცია. მოსწავლე ფიქრობს იმაზე, თუ რა ხდება მის გონებაში. მოზარდები უფრო ყურადღებით სწავლობენ თავიანთ თავს და განსხვავებულად აღიქვამენ მას. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი აზრები და გრძნობები შეიძლება განსხვავდებოდეს მათივე

ქმედებებისგან. მოზარდების უკეთ განვითარებული ინტელექტუალური უნარები მათ შესაძლებლობას აძლევს, განიხილონ ალტერნატივები. შესაბამისად, ისინი ხშირად აკრიტიკებენ თავიანთ პიროვნულ თვისებებს, თავს სხვა ადამიანებს ადარებენ და ცდილობენ, საკუთარი თავი შეცვალონ.

მოზარდები იწყებენ საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებას, თვითონ განსაზღვრავენ, თუ ვინ არიან ისინი, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და რა მიზნების მიღწევა უნდათ მომავალში. ჯგუფის წევრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნების განვითარებაში. ჯგუფი მოზარდებს არა მხოლოდ საკუთარი პიროვნების რაგვარობის დადგენაში ეხმარება, არამედ ღირებულებების და მიზნების ჩამოყალიბებაშიც.

ფსიქოლოგი ჯეიმს მარსია პიროვნების ოთხ სტატუსს გამოჰყოფს:

1. წინასწარ გადაწყვეტა: ინდივიდებს, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, არასოდეს განუცდიათ პიროვნების კრიზისი. მათ ნაადრევად განამტკიცეს თავიანთი პიროვნება მშობლების, და არა საკუთარი არჩევანის საფუძველზე. მშობლების ან ავტორიტეტის მქონე სხვა პირების მიერ გადმოცემული ღირებულებები, მიზნები და პროფესიული მიმართულებები ისე მიიღეს, რომ ალტერნატივა არც კი განუხილიათ.
2. პიროვნების დიფუზია (გაფანტვა): მოზარდებს, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, ჯერ არც პროფესია აურჩევიათ და არც იდეოლოგიური შეხედულებები და ღირებულებები. მეტიც, ისინი არც ცდილობენ ამ მიზნების მიღწევას. მათ შეიძლება არც არასოდეს განუხილიათ სხვა ალტერნატივა, ან ეს ამოცანა ძალიან რთული მოეჩვენათ.
3. მორატორიუმი (გადადება, დაყოვნება): მოზარდებმა, რომლებიც ამ სტატუსში იმყოფებიან, უკვე დაიწყეს პროფესიული და იდეოლოგიური ალტერნატივების გამოკვლევა, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.
4. პიროვნების მიღწევა: ამ სტატუსში მყოფმა მოზარდებმა უკვე განიხილეს შესაძლო ალტერნატივები და დამოუკიდებლად აარჩიეს საკუთარი მიზნები, პროფესიული მიმართულებები და იდეოლოგიური შეხედულებები და ღირებულებები.

მოზარდობის ხანის დასასრულისკენ (დაახლოებით, 18–22 წლის ასაკისთვის), მოზარდთა უმრავლესობა ადწევს პიროვნების განვითარების მეოთხე სტატუსს (პიროვნების მიღწევა). მოზარდთა ემოციური განვითარება დაკავშირებულია მის პიროვნების სტატუსთან. მაგალითად, მოზარდები, რომლებმაც უკვე იპოვეს საკუთარი პიროვნება, ან



მისი ძეგლის აქტიურ პროცესში იმყოფებიან, უფრო თავდაჯერებულნი არიან, აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნების უკეთესი უნარი გააჩნიათ და მორალურად უფრო მომწიფებულნი არიან. ამასთანავე, მათი იდეალური „მე“ ძალიან ჰგავს მათ რეალურ „მე“-ს. მოზარდები, რომლებიც მორატორიუმის სტატუსში იმყოფებიან, ძალიან მღვდვარენი, თუმცა, ამასთანავე, თავდაჯერებულნი და დამოუკიდებელნი არიან. ხოლო ის მოზარდები, რომლებიც პიროვნების განვითარების პირველ ან მეორე სტატუსზე იმყოფებიან (წინასწარ გადაწყვეტა და პიროვნების დიფუზია) ხშირად დოგმატურნი, მოუქნელები და მოუთმენელნი არიან. მათ დაბალი თვითრწმენის და ღირსების შეგრძნება გააჩნიათ. ბევრ მათგანს ეშინია, რომ ის ადამიანები, რომლებიც მათთვის სიყვარულის და თვითრწმენის წყაროს წარმოადგენენ, ზურგს შეაქცევენ.

*მოზარდთა ემოციები* - მოზარდთა უმრავლესობა ამ პერიოდის განმავლობაში ერთ ემოციურ კონფლიქტს მაინც განიცდის. ეს სულაც არ არის გასაოცარი, თუ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელოვან და სწრაფ ცვლილებებს, რომლებსაც ისინი ფიზიოლოგიური, სოციალური, ფსიქოლოგიური და პიროვნული თვალსაზრისით განიცდიან. მოზარდთა უმრავლესობისთვის ემოციური პრობლემები დროებითი მოვლენაა და ხშირ შემთხვევაში წარმატებით უმკლავდებიან. თუმცა ზოგიერთი მოზარდი სტრესს დანაშაულის ჩადენამდე, ნარკოტიკების ხმარებამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიჰყავს.

მოზარდების ემოციური პრობლემები ხშირად მათ ფიზიკურ, კოგნიტურ და სოციალურ განვითარებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდობის ასაკის დასაწყისში ბევრი ბავშვი ზოგადად ბედნიერია და ოპტიმიზმით არის სავსე, მათ ბევრი რამის ეშინიათ. მაგალითად, მოზარდებს ეშინიათ, რომ თანატოლები არ მიიღებენ, რომ კარგი მეგობარი არ ეყოლებათ, მშობლები დასჯიან, ან სკოლაში კარგ შედეგებს ვერ მიაღწევენ. მოზარდებისთვის დამახასიათებელი ემოციებია სიბრაზე (და იმის შიში, რომ ვერ შეძლებენ სიბრაზის გაკონტროლებას), დანაშაულის გრძნობა და ეჭვიანობა. დანაშაულის გრძნობა ხშირად თავს მაშინ იჩენს, როცა მოზარდის მოქმედება (რომელიც თანატოლების შეხედულებებზე და ღირებულებებზეა დაფუძნებული) ეწინააღმდეგება მისი მშობლების ღირებულებებს. მასწავლებლები და მშობლები უნდა დაეხმარონ მოზარდებს იმის გაცნობიერებაში, რომ ეს ემოციები და შიშის გრძნობები ზრდის ბუნებრივი ნაწილია. მათ აუცილებლად უნდა მისცენ მოზარდებს შესაძლებლობა, ისაუბრონ თავიანთ ემოციებზე და შიშზე, რაც უნდა არარეალისტურად ეჩვენებოდეთ უფროსებს ისინი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზარდთა გუნება-განწყობილება ხშირად ძალიან სწრაფად იცვლება. მასწავლებლებს და მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხასიათის ასეთი მერყეობა მოზარდობის ნორმალური ასპექტია; მოზარდთა უმრავლესობა წარმატებით გადალახავს

ამ ცვალებად პერიოდს და კომპეტენტურ ადამიანად ჩამოყალიბდება. თუმცა ზოგიერთ მოზარდში ასეთი ემოციები შეიძლება სერიოზული ემოციური პრობლემების (მაგალითად, დეპრესიის) ნიშანი იყოს.

მოზარდობის ასაკში ინდივიდის ემოციური ცნობიერება კიდევ უფრო უმჯობესდება. მოზარდები აცნობიერებენ ემოციების ციკლებს (მაგ. დანაშაულის გრძნობა სიბრაზის განცდის გამო), რაც მათ სიტუაციასთან უფრო ეფექტურად გამკლავებაში ეხმარება. მოზარდები უფრო დახელოვნებულნი არიან ემოციების გამოვლენის ეფექტურად გამოყენებაში იმ მიზნით, რომ სხვებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინონ. მაგალითად, ისინი ხვდებიან, რამდენად მნიშვნელოვანია სიბრაზის დამალვა სოციალურ სიტუაციებში. აგრეთვე, შეიძლება კარგად ესმოდეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ემოციების გაზიარება, რათა გაუმჯობესდეს სხვა ადამიანთან მათი ურთიერთობა.

მასწავლებლის წინაშე დგას 3 ამოცანა:

- მოახდინოს მოსწავლის ემოციური სიძნელეების დიაგნოსტიკა (მშობლებთან კონსულტაციით, ფსიქოლოგის დახმარებით და ა.შ.).

- მინიმუმამდე დაიყვანოს მოსწავლეებში სასწავლო პროცესის მიმართ უარყოფითი ემოციების გამოწვევის ალბათობა (სწავლების სტრატეგიების, კომუნიკაციის ეფექტური გზების, მოტივაციის ამადლების სხვადასხვა საშუალების და ა.შ. დახმარებით).

*იხ. II - გვ.  
39; 132; 3*

- თუ მაინც იჩინა თავი ნეგატიურმა ემოციამ (შიში, შფოთვა, აგრესია და ა.შ.), უზრუნველყოს ამ ემოციების განტვირთვა სხვადასხვა გზით (სპორტული ვარჯიში დაძაბული მუშაობის შემდეგ, ექსკურსია, მუსიკის მოსმენა, საკლასო დისკუსია კლასგარეშე თემებზე და სხვა).



## ჰუმანისტური თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას მოიცავს ჰუმანისტური თეორია და რა არის მისი ძირითადი პრინციპები;

რას ნიშნავს თვითრეალიზაცია და როგორ მიიღწევა იგი;

როგორ უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას;

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ჰუმანისტური თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იძენენ ადამიანები ემოციებს, შეხედულებებს, ღირებულებებს და სოციალურ უნარ-ჩვევებს. ჰუმანიზმის ინტერესს წარმოადგენს ადამიანის უნიკალური გონებრივი შესაძლებლობები, როგორცაა თვითშემეცნებისა და შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მიღებისა და პასუხისმგებლობის უნარი. ჰუმანისტი ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება გააჩნიათ სიკეთისკენ, შემოქმედებისკენ, სიყვარულისკენ. აგრეთვე, მათი აზრით, მოცემულ სიტუაციაში ადამიანის ქცევის ახსნისა და გაგებისათვის, მნიშვნელოვანია სამყარო მათი თვალთ დავინახოთ. ჰუმანისტების აზრით, ყველა ადამიანს განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვს, ანუ ყველა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს და ხსნის სამყაროს. ადამიანის მსოფლმხედველობა გავლენას ახდენს მის პიროვნებაზე და მართავს მის ქცევას. შესაბამისად, შეუძლებელია გავიგოთ და ავხსნათ სხვა ადამიანის საქციელი, თუ სამყაროს მისი თვალთახედვიდან არ დავინახავთ. ჰუმანისტები ვარაუდობენ, რომ ნებისმიერი მოქმედება, რამდენადაც უცნაური უნდა ჩანდეს იგი გარეგნულად, მნიშვნელოვანი და აზრიანია იმ ადამიან-

ისტვის, რომელიც ამ მოქმედებას ავლენს. ყველაზე ცნობილი ჰუმანისტური თეორიებია კარლ როჯერსის ჰუმანისტური თეორია და აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია.

## კარლ როჯერსის ჰუმანისტური თეორია

როჯერსის აზრით, ადამიანები, არსებითად, კარგი და კეთილი არსებები არიან. მათ გააჩნიათ თვითრეალიზაციის ტენდენცია, ანუ თანდაყოლილი მიდრეკილება ზრდისკენ და თავიანთი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებისკენ. თვითრეალიზაციის ტენდენცია ყველა პიროვნებაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. როჯერსი ადამიანის პიროვნებას სწორედ ამ ტენდენციის გამოხატულებად მიიხსენებდა. როჯერსის თეორია ძირითად აქცენტს „საკუთარ მე“-ზე აკეთებს, ანუ გამოცდილების იმ ნაწილზე, რომელსაც ადამიანი „საკუთარ მე“-დ აღიქვამს. როჯერსის აზრით, ის ადამიანები, რომლებიც სწორად შეიცნობენ საკუთარ თავს, მათ შორის საკუთარ გემოვნებებს, შესაძლებლობებს, ფანტაზიებს, ნაკლოვანებებს და სურვილებს, უკვე თვითრეალიზაციის გზაზე დგანან. თვითრეალიზაციის პროგრესი უფრო ნელია ან არარსებული იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არასწორი წარმოდგენა აქვთ „საკუთარ მე“-ზე.

როჯერსის აზრით, იმისათვის, რომ ადამიანი პიროვნულად გაიზარდოს, შემდეგი სამი პირობაა მნიშვნელოვანი: გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია. ადამიანები ხელს უწყობენ ჩვენს პიროვნულ ზრდას ჩვენდამი გულწრფელი და გულდია დამოკიდებულებით, თავიანთი გრძნობების, შეხედულებების, მიზნების, შიშების, ოცნებების და ა.შ. გულახდილად გაზიარებით.

აგრეთვე, ადამიანები ხელს უწყობენ ჩვენს ზრდას ჩვენდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ამით ისინი გვაჩვენებენ, რომ გვაფასებენ ჩვენი ნაკლოვანებების მიუხედავად. ბავშვებს პატარა ასაკიდანვე სჭირდებათ სხვა ადამიანების მოწონება, ანუ, როჯერსის თქმით, უპირობო დადებითი შეფასება. მშობლების, მასწავლებლების და სხვა ადამიანების შეფასება გავლენას ახდენს ბავშვების თვითშეფასებაზე. როცა სხვა ადამიანების შეფასება ემთხვევა ბავშვის თვითშეფასებას, ბავშვის რეაქცია მისი თვითგანცდის შესაბამისი იქნება. ბავშვი არამარტო იღებს პოზიტიურ შეფასებას, არამედ, ამავდროულად, საკუთარ თავს აფასებს, როგორც „კარგ“ პიროვნებას, რომელმაც სხვისი მოწონება დაიმსახურა. ეს დადებითი თვითგანცდა ბავშვის თვითაღქმის ნაწილი ხდება. თვითაღქმა გულისხმობს იმას, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს ბავშვი საკუთარ თავს. მაგრამ რა ხდება, როცა ბავშვის დადებით თვითგანცდას სხვა ადამიანები უარყოფითად აფასებენ (მაგ. როცა პატარა ბიჭუნას მოსწონს თოჯინებთან თამაში, მაგრამ მამა

მას დასცინის). ამ შემთხვევაში ბავშვმა ან უნდა შეძლოს მშობლის დადებითი შეფასების გარეშე იოლად გასვლა, ან, რაც უფრო მოსალოდნელია, თავიდან შეაფასოს მისი თვითგანცდა (მან შეიძლება გადაწყვიტოს: „მე თოჯინები არ მომწონს“, ან „ცუდია, როცა თავს კარგად გრძნობ“).



სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბაზე გავლენას ახდენს არამარტო მისი თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია, არამედ ისიც, თუ როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანები. დროთა განმავლობაში ადამიანებს მოსწონთ ის, რაც მათ „სავარაუდოდ“ უნდა მოსწონდეთ და იქცევიან ისე, როგორც „სავარაუდოდ“ უნდა იქცეოდნენ. სოციალიზაციის ეს პროცესი ადაპტირების უნარით გამოირჩევა. იგი ეხმარება ადამიანებს, მოერგონ საზოგადოებას, მაგრამ, ამავდროულად, ახშობს მათი თვითრეალიზაციისადმი ტენდენციას და ამახინჯებს მათ განცდას და გამოცდილებას. როჯერსი მიიჩნევდა, რომ როცა გრძნობები, რომლებსაც ადამიანები განიცდიან და გამოხატავენ, არ შეესაბამება მათ ნამდვილ გრძნობებს, ამან შეიძლება ადამიანში ფსიქოლოგიური დისკომფორტი, შფოთვა და ფსიქიკური მოშლილობაც კი გამოიწვიოს.

ასეთი შეუსაბამობა ხშირად მაშინ იჩენს თავს, როცა მშობლები და მასწავლებლები თავიანთი საქციელით მიუთითებენ ბავშვებს, რომ მათი ადამიანური ღირსება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად „სწორ“ შეხედულებებს, ღირებულებებს და საქციელს ავლენენ ისინი. ეს ადამიანური ღირსების პირობები მაშინ იქმნება, როცა თვითონ ადამიანებს აფასებენ მათი საქციელის შეფასების ნაცვლად. მაგალითად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მშობლებმა, რომლებიც ხედავენ, თუ როგორ სვრის მათი შვილი საღებავით ძაღლს, ბავშვს უთხრან: „მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ მე არ მომწონს შენი ეს საქციელი“. ხშირ შემთხვევაში ისინი ალბათ დაიყვირებენ: „რა ცუდი ბიჭი ხარ!“ ან „რა ცუდი გოგო ხარ!“ ასეთი რეაქცია ბავშვს აფიქრებინებს, რომ იგი მხოლოდ მაშინ არის სიყვარულის და დაფასების ღირსი, როცა კარგად იქცევა. ამის შედეგად, ბავშვის თვითგანცდა არ არის „მე მომწონს ცუგოს შეღებვა, მაგრამ დედას და მამას არ მოსწონთ, როცა მე ამას ვაკეთებ“. არამედ „საღებავით თამაში ცუდია და მე ცუდი ვარ, რადგან საღებავით თამაში მომწონს.“ ან „მე მომწონს საღებავით თამაში, ესე იგი მე ცუდი ვარ.“ დროთა განმავლობაში ბავშვი შეიძლება ძალიან სუფთა და აკურატულ ქცევებს ამჟღავნებდეს, რაც იქნება მისი იდეალური, მშობლების მიერ ნაკარნახევი „მე“-ს და არა მისი ნამდვილი „მე“-ს გამოვლინება. როჯერსს მიაჩნდა, რომ ადამიანური ღირსების პირობები თავდაპირველად გარეგანი ზემოქმედების გავლენით იქმნება, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში ადამიანის შეხედულებების ნაწილი ხდება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ადამიანის პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია მისი თვითაღქმა, ის ფიქრები და გრძნობები, რომლებიც ადამიანს „ვინ ვარ მე?“ კითხვის საპასუხოდ უჩნდება. როცა ადამიანებს დადებითი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე (ანუ როცა ისინი დადებითად აღიქვამენ საკუთარ თავს), მაშინ დადებით საქციელს ავლენენ და სამყაროსაც პოზიტიურად აღიქვამენ. როცა ადამიანებს უარყოფითი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, როცა მათი რეალური „მე“ ვერ აღწევს მათ იდეალურ „მე“-ს, როჯერსის აზრით, ისინი უკმაყოფილოდ და უბედურად გრძნობენ თავს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და მასწავლებლები დაეხმარონ ბავშვებს, შეიცნონ და მიიღონ საკუთარი თავი და, ამასთანავე, საკუთარი თავის ერთგულნი დარჩნენ.

ადამიანები ხელს უწყობენ ჩვენს ზრდას ჩვენდამი ემპათიური დამოკიდებულებით, ჩვენი გრძნობების გაზიარებით და ჩვენს ნააზრევზე დაფიქრებით. როჯერსს მიაჩნდა, რომ გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია წარმოადგენს წყალს, მზეს და საკვებს, რომლებიც ადამიანებს ეხმარება, მუხასავით ძლიერები გაიზარდონ. როჯერსის აზრით, „როცა ადამიანებს იღებენ და აფასებენ, ისინი საკუთარი თავისადმი უფრო მზრუნველ და ყურადღებიან

დამოკიდებულებას ავლენენ“. როცა ადამიანებს ემპათიით უსმენენ, „ისინი სწავლობენ თავიანთი განცდების უკეთ აღქმასა და სწორად გაგებას“.

### კარლ როჯერსის ჰუმანიტური განათლება

კარლ როჯერსი მიიხნევს, რომ მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც „ისწავლა, თუ როგორ ისწავლოს“; რომელმაც შეიძინა ადაპტირების და შეცვლის უნარი; რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. თანამედროვე მსოფლიოში განათლების მიზანი უნდა იყოს მხოლოდ ცვალებადობა, აქცენტი პროცესზე და არა უცვლელ ცოდნაზე. როჯერსის აზრით, განათლების მიზანია სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბება. ეს მოიცავს როგორც კოგნიტურ ანუ ინტელექტუალურ განათლებას, აგრეთვე პიროვნულ ზრდას, შემოქმედებითი უნარის განვითარებას და სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარის ჩამოყალიბებას.

როჯერსი განასხვავებს სწავლის ორ სახეობას. მისი აზრით, უაზრო სწავლის სახეობაა დახეპირება, რომელიც უმნიშვნელო ინფორმაციის გაუაზრებლად დასწავლას და დამახსოვრებას მოიცავს. დახეპირებით სწავლა ძალიან ძნელია. ამასთანავე, დახეპირებით შექმნილი ცოდნა დიდხანს არ გააყვება ადამიანს. სკოლებში სასწავლო მასალის უდიდესი ნაწილი სწორედ დახეპირებით სწავლას მოიცავს. სასწავლო მასალას მოსწავლისთვის არანაირი პირადი მნიშვნელობა არა აქვს; იგი არ მოიცავს გრძნობებს; არ მოითხოვს მოსწავლის, როგორც მთლიანი ადამიანის, ჩართულობას სასწავლო პროცესში.

*იხ. გვ. 194*

სწავლის მეორე სახეობა, გამოცდილებით სწავლა, მნიშვნელოვანია მოწაფისათვის. გამოცდილებით სწავლის მაგალითს წარმოადგენს ენის ბუნებრივი გარემოში სწავლა (შეადარეთ ენის საკლასო ოთახში სწავლას).

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის სტიმული ამ შემთხვევაში გარედან, საზოგადოებასთან მორგების აუცილებლობიდან მოდის, სწავლის ინიციატორი თვითონ მოწაფეა. ასეთი სწავლა ადამიანისგან პირად ჩართულობას მოითხოვს. იგი მთლიან პიროვნებაზე, მის შეხედულებებსა და მოქმედებებზე ახდენს გავლენას. მოწაფე სწავლის პროცესის შეფასებას საკუთარი მოთხოვნილებების გათვალისწინებით ახდენს, შეფასება შინაგანად, მოწაფის მიერ ხდება.

*მასწავლებელი, როგორც სწავლის ფასილიტატორი/ხელის შეშეწყობი*  
სწავლების ტრადიციული განმარტებაა ინფორმაციის, ცოდნის ან უნარ-ჩვევის გადაცემა. ტრადიციული შეხედულებით, მასწავლებლის საქმიანობა მოიცავს სწავლებას, ჩვენებას, მიმართულების მიცემას და მითითებას. როჯერსის აზრით კი, მასწავლებლის ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს მოსწავლის სწავლას ისეთი პირობების შექმნით, რომლის შედეგადაც მოსწავლეები დამოუკიდებლად წარმართავენ სწავლის პროცესს. მასწავლებლის მიზანია, შექმნას მოსწავლეთა ჯგუფი/საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი წევრი თვითონ მასწავლებელი იქნება. ასეთ საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობას გზა ხსნილი აქვს, გაგებისა და შეცნობის სურვილი იღვიძებს, მთელი სამყარო კვლევის და შესწავლის საგანი ხდება. ასეთი საზოგადოება ხელს უწყობს ზოგადად სწავლას და, ამასთანავე, იმის სწავლასაც, თუ როგორ ვისწავლოთ.

*გულწრფელობა და რეალურობა ხელს უწყობს სწავლას.* მოსწავლეები უკეთ სწავლობენ მაშინ, როცა მასწავლებელი არ თამაშობს დაკისრებულ როლს და, ამის სანაცვლოდ, რეალურად, გულწრფელად და ჭეშმარიტად წარმოაჩენს საკუთარ თავს. მას მოსწავლეებთან პირადი დამოკიდებულება აქვს; მასწავლებელი რეალური ადამიანია, რომელსაც არ გააჩნია პროფესიული ფასადი. იგი არ ფარავს და გულახდილად გამოხატავს თავის გრძნობებს, დადებითი იქნება ისინი, თუ უარყოფითი. თუმცა გრძნობების გამოხატვის დროს მასწავლებელი აცნობიერებს, რომ ისინი მისი საკუთარი განცდებია; იგი მოსწავლეებს არ აკისრებს პასუხისმგებლობას თავის უარყოფით გრძნობებზე. როცა გაღიზიანებულია, ამბობს, „მე გაღიზიანებული ვარ“ და არა: „შენ მე მაღიზიანებ“. მას შეიძლება მოსწონდეს, ან არ მოსწონდეს მოსწავლის ნამუშევარი, მაგრამ, ამავე დროს, აცნობიერებს, რომ ეს მხოლოდ მისი სუბიექტური აზრია. იგი არ გულისხმობს იმას, რომ მოსწავლის ნამუშევარი ობიექტურად კარგი ან ცუდია, ან რომ თვითონ მოსწავლეა კარგი ან ცუდი. უბრალოდ, იგი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს მოსწავლის ნამუშევრის მიმართ.

არ არის ადვილი, მოსწავლეების მიმართ გულწრფელი და რეალური იყო და, ამავე დროს, თავი შეიკავო მათი შეფასების, გაკიცხვისა და განსჯისაგან. როჯერსის აზრით, მასწავლებელს შეუძლია ისწავლოს, როგორ გახდეს ჭეშმარიტად გულწრფელი და რეალური. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი გრძნობების შეცნობა და გაგება. შემდეგ კი იგი მზად უნდა იყოს, ეს გრძნობები მოსწავლეებს ისე გაუზიაროს, რომ ისინი არ განსაჯოს, ან მათ არ დააკისროს თავის განცდებზე პასუხისმგებლობა.

გულწრფელობა და რეალურობა არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელმა თავისი უარყოფითი გრძნობები ნებაზე მიუშვას, ან თავშეუკავებლად გასცეს ბრძანებები, აკონტროლოს ან დასაჯოს მოსწავლეები.



არ შეიძლება მასწავლებელი მოუთმენელი, შეუწყნარებელი, ადვილად გაღიზიანებადი ან ავტორიტარული პიროვნება იყოს. მასწავლებლის გულწრფელობა და რეალურობა ისეთი გრძნობებით უნდა გამოიხატებოდეს, როგორც არის პატივისცემა, სიკეთე, მზრუნველობა, მოწონება და გაგება. მოჭარბებული უარყოფითი გრძნობების გამოხატვა შეიძლება საზიანო იყოს ბავშვებისთვის. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ასეთი გრძნობების ამოცნობა და მათთან დროულად და ეფექტურად გამკლავება.

გულწრფელობა და რეალურობა ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი არ თვალთმაქცობს, რომ მან ყველაფერი იცის, ან ყველა კითხვაზე პასუხი გააჩნია. შეცდომების დაშვება ადამიანური ბუნების ნაწილია. მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, რომ ის არ არის შეუცდომელი; მას უნდა შეეძლოს საკუთარი შეცდომების აღიარება.

*დაფასება, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, პატივისცემა და ნდობა ხელს უწყობს სწავლას.* მოსწავლე უკეთ სწავლობს მაშინ, როცა მას უპირობოდ დადებითად აფასებენ; როცა მას პატივს სცემენ, ღირსეულ ადამიანად და უნიკალურ პიროვნებად აღიქვამენ. როცა მის გრძნობებს, შეხედულებებს და პიროვნებას ჯეროვნად აფასებენ. როცა მას სანდო ადამიანად მიიჩნევენ და მისდამი კეთილგანწყობას იჩენენ. შიში თუ კმაყოფილება, აპათია თუ ენთუზიაზმი, რისხვა თუ სისხარული, წინააღმდეგობის გაწევა თუ თანამშრომლობა აღიქმება და მიიღება, როგორც ნაკლოვანი ადამიანის დამახასიათებელი თვისებები.


იმისათვის, რომ მოსწავლის სწავლას ხელი შეუწყოს, მასწავლებელს ღრმად უნდა სწამდეს, რომ თუ შესაძლებლობას მიეცემთ, ყველა მოსწავლეს გააჩნია მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის უნარი და საკუთარი მიმართულებების არჩევის და განსაზღვრის უნარი. მასწავლებელს უნდა სჯეროდეს, რომ მოსწავლის ცვლა და სწავლა ზრდისკენ, განვითარებისკენ და საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაციისაკენ არის მიმართული.

დაფასება და პატივისცემა არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელს უნდა მოსწონდეს და იზიარებდეს მოსწავლის ყველა თვისებას და მოქმედებას; მასწავლებელი უნდა აფასებდეს მოსწავლეს, როგორც პატივისცემ და ღირსეულ ადამიანს. როცა მასწავლებელს კარგად ესმის მოსწავლის, მას თითქმის ყოველთვის შეუძლია მონახოს მოსწავლის მოწონების და პატივისცემის საფუძველი. მოწონება და პატივისცემა მასწავლებლის შემდეგ მოქმედებებში გამოვლინდება:

1. მოსმენა. ზოგადად, მასწავლებლები გაკვეთილის უდიდეს ნაწილს თავიანთ საუბარს უთმობენ. მაშინაც კი, როცა მოსწავლეები ლაპარაკობენ, მასწავლებლები ხშირად არ უსმენენ მათ: მასწავლებლებს ხშირად არ აინტერესებთ და არ ცდილობენ, მართლა გაიგონ, თუ რას და რატომ ამბობს მოსწავლე. ჩვეულებრივ, ისინი ცდილობენ,

შეაფასონ, სწორ პასუხს იძლევა თუ არა მოსწავლე მათ კითხვაზე.

აქტიური მოსმენა მიზნად არ ისახავს მოსწავლის შეფასებას და იმის გარკვევას, თუ რამდენად მართებული, სწორი ან ლოგიკურია მოსწავლის პასუხი. აქტიური მოსმენა ნიშნავს, ყურადღებით მოუსმინო ყველაფერს, რასაც მოსწავლე ამბობს; გაინტერესებს მისი აზრები, შეხედულებები და გრძნობები. იმისათვის, რომ მოსწავლე სწავლაში წინ წავიდეს, იგი უნდა გრძნობდეს, რომ მას აქვს თავისი აზრების და გრძნობების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა; რომ მის ნააზრევს და გრძნობებს უაროფითად არ შეაფასებენ და არ გააკრიტიკებენ.



2. პასუხის გაცემა და რეაგირება. როცა მასწავლებელი რეაგირებს მოსწავლის ნათქვამზე, იგი მოსწავლეს დაანახებს, რომ ყურადღებით მოუსმინა და ნაწილობრივ მაინც გაუგო მას. მასწავლებლის პასუხი შეიძლება იყოს უბრალო „დიახ“, „გასაგებია“, ან „კარგი“. მან შეიძლება გაიმეოროს მოსწავლის ნათქვამი, რათა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი სწორად გაიგო. თუ მასწავლებელს არ ესმის, რას გულისხმობს მოსწავლე, ეს მის პასუხში უნდა აისახებოდეს: „არ მესმის“, „კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა“, „შეგიძლია გაიმეორო“, „მე როგორც ვხვდები, შენ ამბობ, რომ...“ ასეთი პასუხები მოსწავლეს დაეხმარება, რომ უფრო გარკვევით და ნათლად გამოხატოს, რისი თქმა უნდა. სამწუხაროდ, მასწავლებლები ხშირად იგნორირებას უკეთებენ მოსწავლეს, რომელიც არასწორ პასუხს იძლევა, ან კარგად ვერ გამოხატავს თავის აზრებს და გრძნობებს. მასწავლებელმა თავი არ უნდა მოიკატუნოს, რომ მან გაიგო, თუ რა თქვა მოსწავლემ, როცა ეს სინამდვილეში ასე არ არის.

*ემპათია ხელს უწყობს სწავლას.* მასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია კარგად გაიგოს მოსწავლის გრძნობები და შეხედულებები, როცა მას გააჩნია სამყაროს მოსწავლის თვალთახედვიდან დანახვის უნარი. მოსმენა და მოსწავლის ნათქვამზე რეაგირება არამარტო პატივისცემას გამოხატავს მოსწავლის მიმართ, არამედ ემპათიური გაგების საფუძველსაც წარმოადგენს. ემპათიური მოსმენა მოიცავს თავის სხვა ადამიანის ადგილას წარმოდგენას და სამყაროს მათი თვალთახედვიდან დანახვას. ემპათიური მოსმენა შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, დაინახოს, თუ რატომ პასუხობს მოსწავლე კითხვას არასწორად და, შესაბამისად, მას კითხვის სწორად გაგებაში დაეხმარება.




როს. ემპათიური მოსმენა გულისხობს ყურადღების მიპყრობას და რეაგირებას მოსწავლის ნათქვამის როგორც ინტელექტუალურ, აგრეთვე ემოციურ ასპექტებზე.

### **აბრამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორია**

როჯერსის მსგავსად, მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანის პიროვნება წარმოადგენს მისი თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას. მასლოუს აზრით, თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია წარმოადგენს არამხოლოდ ადამიანურ უნარს, არამედ ადამიანურ მოთხოვნილებას. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მისი მოთხოვნილებების იერარქიის მწვერვალზე მიათავსა. იგი ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ ხუთი ძირითადი სახის მოთხოვნილება:

1. ფიზიოლოგიური: მოიცავს ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ფიზიკურ გადარჩენასთან არის დაკავშირებული (მაგ. საკვები, წყალი, ჟანგბადი, თავშესაფარი, ძილი, სითბო).
2. უსაფრთხოება: სტაბილურობის და უსაფრთხოების შეგრძნების მოთხოვნილება.
3. სიყვარული და მიკუთვნება: მოთხოვნილება გიყვარდეს და უყვარდე; მოთხოვნილება იმისა, რომ ეკუთვნოდე და მიგიღონ ჯგუფის წევრად; მოთხოვნილება იმისა, რომ თავი აარიდო მარტოობას და გარიყვას.
4. დაფასება: მოთხოვნილება იმისა, რომ მოგწონდეს საკუთარი თავი (გქონდეს დადებითი თვითშეფასება); სხვა ადამიანების მიერ აღიარების, პატივისცემის და მოწონების მოთხოვნილება; წარმატების, კომპეტენტურობის და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება.
5. თვითრეალიზაცია: საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრული რეალიზაციის მოთხოვნილება.

## მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია



მასლოუს თეორიის თანახმად, ადამიანები მხოლოდ მაშინ შეეცდებიან მაღალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როცა ისინი შეძლებენ, ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილონ ის მოთხოვნილებები, რომლებიც იერარქიის ქვედა ნაწილშია მოთავსებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, დააკმაყოფილონ თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, შემდეგ კი უსაფრთხოების მოთხოვნილება, და მხოლოდ ამის შემდეგ - სიყვარულის, მიკუთვნების და დაფასების მოთხოვნილებები. მხოლოდ ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ უნდებოთ ადამიანებს თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა. მაგალითად, ბიჭუნა, რომელსაც სჭირდება მოჭარბებული ენერჯის დახარჯვა (ფიზიოლოგიური მოთხოვნილება), მასწავლებლის დატუქსვის მიუხედავად, შეიძლება ზედმეტად მოუსვენრად იქცეოდეს საკლასო ოთახში (ამგვარად მისი სხვა ადამიანების მიერ დაფასების მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული).

მასლოუ განასხვავებს დანაკლისის მოთხოვნილებებს და ზრდის მოთხოვნილებებს. პირველი ოთხი სახის მოთხოვნილება (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სიყვარულის და მიკუთვნების და დაფასების) ისეთ რამეებთან არის დაკავშირებული, რაც ადამიანს შეიძლება აკლდეს და, შესაბამისად, დანაკლისის მოთხოვნილებებს წარმოადგენს. დანაკლისის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ გარეშე წყაროების საშუალებით (ანუ სხვა ადამიანების და მოვლენების

დახმარებით) არის შესაძლებელი. დანაკლისის მოთხოვნილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის. როცა ადამიანი დაიკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს, მისი მათკენ სწრაფვა მცირდება.

თვითრეალიზაციის მოთხოვნილება წარმოადგენს ზრდის მოთხოვნილებას და მოიცავს ცოდნის შექმნის, სამყაროს შეცნობის და გაგების, ზრდის და განვითარების სურვილს. დანაკლისის მოთხოვნილებებისგან განსხვავებით, ზრდის მოთხოვნილებების ბოლომდე დაკმაყოფილება არასდროს არის შესაძლებელი. ადამიანები რაც უფრო მეტად იკმაყოფილებენ სამყაროს შეცნობის და გაგების მოთხოვნილებას, მათ კიდევ უფრო მეტი ცოდნის შექმნის სურვილი უჩნდებათ. ამგვარად, თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა ადამიანისთვის დიდი მოტივაციის წყაროს წარმოადგენს: მოწაფეები თვითრეალიზაციისკენ იმიტომ ისწრაფიან, რომ ეს მათ სიამოვნებას ანიჭებს და მათი ცოდნის შექმნის და ზრდის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ადამიანები, რომლებმაც შეძლეს თვითრეალიზაციის მიღწევა, შემდეგი თვისებებით ხასიათდებიან: უფრო სპონტანურები, გულდია, გულგაშლილები და დამოუკიდებლები არიან; გამოირჩევიან შემოქმედებითი უნარით და იუმორის გრძობით; მოსწონთ და უფრო კეთილად არიან განწყობილნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვა ადამიანების მიმართ; მათ შედარებით ძლიერი და დემოკრატიული ურთიერთობები ახასიათებთ. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მოთხოვნილებების იერარქიის მწვერვალზე მოათავსა. მისი აზრით, ამ მნიშვნელოვანი მოთხოვნილების მიღწევა მხოლოდ ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი. მასლოუ აცნობიერებდა, რომ თვითრეალიზაცია ძალიან რთული ამოცანაა. მისი ვარაუდით, მას ზრდასრული ადამიანების მხოლოდ ერთი პროცენტი აღწევს.

## **მასლოუს თეორიის მნიშვნელობა განათლებაში**

ნაკლებად სავარაუდოა, მოსწავლეები დიდი ინტერესით მოეკიდონ გაკვეთილს და სწავლას, თუ მათი ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნა; მოთხოვნილებები, როგორც არის ნორმალური კვება, უსაფრთხო საკლასო გარემო და მასწავლებლის და თანაკლასელების კეთილგანგანწყობილი დამოკიდებულება. ნათელია, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან შიათ ან ფიზიკური საფრთხის წინაშე დგანან, არასაკმარისი ფსიქოლოგიური ენერგია ექნებათ სწავლისთვის. ბევრი ქვეყნის სკოლებმა და მთავრობებმა გააცნობიერეს, რომ თუ მოსწავლეების ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნა, ეს უარყოფითად იმოქმედებს მათ სწავლაზე. საპასუხოდ, მათ შემოიღეს პროგრამები, რომლებიც ბავშვების უფასო კვებით უზ-

რუნველყოფას გულისხმობს.

მოსწავლეებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სიყვარულის და დაფასების მოთხოვნილება. მოსწავლეებს, რომლებიც არ გრძნობენ მათ გარშემო ადამიანების სიყვარულს და პატივისცემას და რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი უნართა და ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები არიან, არ ექნებათ თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა; მათ არ ექნებათ მოტივაცია, შეიძინონ ცოდნა, შეიძინონ სამყარო, იყვნენ შემოქმედებითები (კრეატივები) და ახალი იდეების მიმართ გახსნილნი. მოსწავლეები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი სიყვარულის ღირსნი არიან, ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული: ისე მოქმედებენ, როგორც მათ გარშემო ადამიანთა უმრავლესობა; გამოცდებისთვის მომზადების დროს არ არიან დაინტერესებულნი ახალი ცნებების და იდეების შესწავლით; ისეთ თემებს წერენ, რომლებიც არ გამოირჩევა ორიგინალურობით და ა.შ.

მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს, რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობას და პატივისცემას იჩენს, ძალუძს, გაუდვიდოს მოსწავლეებს სწავლის სურვილი. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, აუცილებელია სჯეროდეთ, რომ მასწავლებელი მათ სამართლიანად მოექცევა, არ დასცინებს და არ დასჯის უნებლიე შეცდომების დაშვებისათვის.

## მორალური განვითარების თეორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

კოლბერგის თეორიის თანახმად, რა სტადიებს მოიცავს მოსწავლეთა მორალური განვითარება და რა თავისებურებებით ხასიათდება მათი აზროვნება თითოეულ სტადიაზე;

რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლეთა მორალურ განვითარებაზე;

რატომ არის მნიშვნელოვანი იმის ცოდნა, თუ მორალური განვითარების რა სტადიაზე იმყოფება მოსწავლე;

როგორ უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლეთა მორალურ განვითარებას.

მორალური განვითარება ბავშვის ზოგადი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. ბავშვთა შეხედულებები და მორალური პრინციპები მათი ქცევის განმსაზღვრელია. მაგალითად, თუ მოსწავლეები პატივს სცემენ სხვების უსაფრთხოებას და საკუთრებას, მაშინ აგრესია, ვანდალიზმი ან ქურდობა მათგან ნაკლებად არის მოსალოდნელი. ზოგადად, მოსწავლეები, რომლებიც მორალურად იქცევიან, უფრო დიდ მხარდაჭერას იღებენ მასწავლებლებისაგან და თანატოლებისგან და, შესაბამისად, უფრო მაღალ აკადემიურ და სოციალურ წარმატებას აღწევენ მომავალში. მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოსწავლეების მორალურ განვითარებაში. ცოდნა იმისა, თუ როგორ ხდება ბავშვის მორალური განვითარება, ძალიან დაგვეხმარება, რომ ხელი შევუწყოს მოსწავლეთა განვითარებას ამ მნიშვნელოვან სფეროში.

## კოლბერგის მორალური განვითარების თეორია

### სიტუაცია

ჯაბა, მე-12 კლასის მოსწავლე, სადამოლობით მანქანების სამრეცხაოში მუშაობს, რათა დაეხმაროს დედას, რომელიც სამ შვილს მარტო ზრდის. ჯაბა ბეჯითი მოსწავლეა, მაგრამ მას არა აქვს საკმარისი დრო, რომ იმეცადინოს.

ისტორია ჯაბას საყვარელი საგანი არ არის. რადგანაც ჯაბას სადამოლობით უწევს მუშაობა, სამეცადინოდ არ რჩება დრო და ისტორიაში ძირითადად, დაბალ ქულებს იღებს. თუ ისტორიის ბოლო გამოცდას ვერ ჩააბარებს, ჯაბა ვერ შეძლებს სკოლის დამთავრებას. იგი თავის უფროსს წინასწარ მოელაპარაკა, რომ გამოცდის წინა სადამოს სამსახურს გააცდენს და გამოცდისთვის მოემზადება. სადამოს უფროსი ჯაბას ურეკავს და ატყობინებს, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი ავადმყოფობის გამო სამსახურში ვერ მივიდა და ამიტომ ძალიან სჭირდება მისი დახმარება. უფროსი აიძულებს ჯაბას, რომ სადამოს 8 საათზე სამსახურში მივიდეს. ჯაბა დიდის პირველ საათზე ძალიან დაღლილი ბრუნდება სახლში. ის ცდილობს, იმეცადინოს, მაგრამ ტახტზე წიგნით ხელში ჩაეძინება. დიდის 7 საათზე მას დედა აღვიძებს, რათა სკოლაში წავიდეს.

ისტორიის გამოცდაზე ჯაბა სრულიად მოუმზადებელი მიდის. ნინოს, კლასის ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს, ტესტი ისე უდევს, რომ ჯაბა ყველა კითხვის პასუხს თავისუფლად ხედავს. იქნება თუ არა სწორი საქციელი, ჯაბამ ნინოსგან რომ გადაწეროს ტესტის პასუხები?



ზემოთ მოცემულია მორალური დილემა: სიტუაცია, რომელიც ადამიანისაგან მორალურ გადაწყვეტილებას მოითხოვს. ჯაბას არა აქვს ნათლად განსაზღვრული, თუ როგორ მოიქცეს; მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები მოყვება. თუ ჯაბა თანაკლასელი გოგონასგან გადაიწერს, ის გამოცდას ჩააბარებს. მაგრამ გადაწერა ხომ არაზნეობრივი საქციელია. მეორე მხრივ, თუ ჯაბა არ გადაიწერს, იგი ზნეობრივად მოიქცევა, მაგრამ გამოცდას ალბათ ვერ ჩააბარებს.

მოსწავლეთა პასუხები მსგავსი სახის მორალურ დილემაზე წარმოდგენას გვიქმნის, თუ მორალური განვითარების რა ეტაპზე იმყოფებიან ისინი.

კოლბერგი ადამიანის მორალურ განვითარებას სამ დონედ ყოფდა: პრეკონვენციური, კონვენციური და პოსტკონვენციური. ყოველი დონე 2 სტადიისგან შედგება და განსხვავებული მორალური აზროვნებით, მსჯელობებით ხასიათდება. ყველა ადამიანი მორალური განვითარების სტადიებს ერთნაირი თანმიმდევრობით გადის, თუმცა განსხვავებული სისწრაფით/ტემპით. ყოველ მომდევნო სტადიაზე გადასვლასთან ერთად, ადამიანთა მორალური აზროვნება უფრო დახვეწილი და რთული ხდება. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, მორალური განვითარების რა დონეზე და სტადიაზე იმყოფება ადამიანი, ყურადღება უნდა მივაქციოთ არამარტო იმას, თუ როგორ გადაწყვეტს იგი მორალურ დილემას, არამედ მის მსჯელობას/არგუმენტაციას, რატომ მიიღო ესა თუ ის კონკრეტული გადაწყვეტილება.

**პრეკონვენციური მორალი** - მოსწავლეებს, რომლებიც პრეკონვენციურ დონეზე მსჯელობენ, ჯერ არა აქვთ გათავისებული საზოგადოების წესები და კონვენციები, ანუ საყოველთაოდ მიღებული ნორმები სწორ და არასწორ საქციელთან დაკავშირებით. ისინი გადაწყვეტილებს იღებენ ძირითადად იმის გათვალისწინებით, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ საქციელს თვითონ მათთვის (დაჯილდოება თუ სასჯელი). პატარა ბავშვები, ძირითადად, პრეკონვენციური მორალით ხელმძღვანელობენ. მაღალკლასელი მოსწავლეების და მოზრდილი საზოგადოების ნაწილიც ამ დონეზე აზროვნებს.

*პირველი სტადია: დასჯის თავიდან აცილება და დამორჩილება.* პირველ სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლეები ავტორიტეტის და ძალაუფლების მქონე პირებს ემორჩილებიან, რათა სასჯელი თავიდან აიცილონ. ისინი სწორ და არასწორ საქციელს იმის მიხედვით განსაზღვრავენ, თუ რა შედეგი მოჰყვება მას. მაგალითად, თუ ბავშვს წაასწრეს და დასაჯეს, მაშინ მისი საქციელი არასწორია; საწინააღმდეგო შემთხვევაში კი - სწორი. პირველ სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლემ შეიძლება გვითხრას, რომ თუ ჯაბა თავისუფლად ხედავს



ყველა კითხვის პასუხს და თუ ნაკლები ალბათობა არსებობს იმისა, რომ მასწავლებელი მას შეამჩნევს, მაშინ გადაწერა გამართლებული/სწორი საქციელია. ამ სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლემ, აგრეთვე შეიძლება დაგვარწმუნოს, რომ ჯაბამ არ უნდა გადაიწეროს, თუ დიდი საშიშროება არსებობს, რომ მასწავლებელი ამას შენიშნავს.

*მეორე სტადია: დახმარების გაცვლა-გამოცვლა* - მეორე სტადიაზე მეოფ მოსწავლეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი მოთხოვნების და სურვილების დაკმაყოფილება. გადაწყვეტილებების მიღების დროს, ისინი ხანდახან სხვა ადამიანების ინტერესებსაც ითვალისწინებენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი საჭიროებებიც დაკმაყოფილებული იქნება. სწორი საქციელი ის არის, რომელიც მათ მოთხოვნებს და ხანდახან სხვა ადამიანების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამ სტადიის დამახასიათებელი მსჯელობაა: „თუ შენ რაღაცით მაინც დამეხმარები, მაშინ მეც დაგეხმარები“.

მეორე სტადიაზე მეოფმა მოსწავლემ შეიძლება გვითხრას, რომ ჯაბამ უნდა გადაიწეროს ნინოსგან, იმიტომ რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში იგი გამოცდაზე ჩაიჭრება და სკოლასაც ვერ დაამთავრებს. აქცენტი ჯერ კიდევ საკუთარ ინტერესებზეა: „სწორი საქციელი ის არის, რასაც შენთვის სარგებელი მოაქვს.“

**კონვენციური მორალი** - კონვენციურ დონეზე მოაზროვნე ადამიანებს კთავისებული აქვთ და ეთანხმებიან საზოგადოების კონვენციებს – საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს სწორ და არასწორ საქციელთან დაკავშირებით. ისინი ემორჩილებიან წესებს და მისდევენ საზოგადოების ნორმებს მაშინაც კი, როცა დამორჩილებას ან დაუმორჩილებას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. ძალიან ცოტა დაწყებითი კლასის მოსწავლე, ზოგიერთი საშუალო კლასის მოსწავლე და ბევრი მაღალი კლასის მოსწავლე კონვენციური მორალით ხელმძღვანელობს. მოზრდილი საზოგადოების დიდი ნაწილიც ამ დონეზე აზროვნებს.

*მესამე სტადია: კარგი ბიჭი/კარგი ვოგო* - მესამე სტადიაზე მეოფი მოსწავლეები ცდილობენ, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღონ და ისე მოიქცნენ, რომ სხვებს, განსაკუთრებით კი ავტორიტეტის მქონე პირებს ასიამოვნონ. ისინი ცდილობენ, კარგი საქციელით მეგობრების, ნათესავების და მასწავლებლების მოწონება დაიმსახურონ. გადაწყვეტილებების მიღების დროს ისინი უკვე ითვალისწინებენ სხვა ადამიანების ინტერესებს და განზრახვებს. ამ მოსწავლეებს მტკიცედ სჯერათ პრინციპის, „სხვებს ისე მოექცევი, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“. ამ ეტაპზე ეგოცენტრიზმი შედარებით მცირდება და ბავშვებს შეუძლიათ თავი სხვა ადამიანის ადგილზე წარმოიდგინონ.

მესამე სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლემ შეიძლება გვითხრას, რომ ჯაბას მუშაობა უწევს, რათა ოჯახს დაეხმაროს, ამიტომაც გადაწერა



გამართლებული საქციელია. ამავე სტადიაზე მყოფმა სხვა მოსწავლემ შეიძლება დაგვარწმუნოს, რომ ჯაბამ არ უნდა გადაიწეროს: „თუ სხვებმა შეიტყვეს მისი საქციელი, მათ ჯაბაზე ცუდი წარმოდგენა შეექმნებათ“.

მესამე სტადიაზე მყოფ ადამიანებს უმრავლესობის აზრის გავლენის ქვეშ მოქცევის საშიშროება ემუქრებათ. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ ქრთამის აღება დასაშვებია საქციელია, იმიტომ რომ მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა უმრავლესობა ქრთამს იღებს. მოსწავლეები შეიძლება თვლიდნენ, რომ გადაწერა სწორი საქციელია, რადგან ყველა იწერს. ამ სტადიაზე მოაზროვნე მოზარდები ძალიან ადვილად ექცვიან თანატოლების გავლენის ქვეშ.

*მეოთხე სტადია: კანონი და წესები* - მეოთხე სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლეები საყოველთაოდ მიღებული წესებით ხელმძღვანელობენ. მათ იციან, რომ წესები აუცილებელია მოწესრიგებული საზოგადოებისათვის და თვლიან, რომ მათი ვალია, წესებს დაემორჩილონ. თუმცა, ამ სტადიაზე მოაზროვნე ადამიანები წესებს და ნორმებს, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებლად ემორჩილებიან და იშვიათად შეაქვთ ეჭვი მათ სისწორესა და სამართლიანობაში. ისინი ვერ ხვდებიან, რომ როცა საზოგადოება ვითარდება და მისი მოთხოვნები იცვლება, შესაბამისად, მასში არსებული წესებიც უნდა შეიცვალოს.

მეოთხე სტადიაზე მოაზროვნე მოსწავლე გვეტყვის, რომ ჯაბამ არ უნდა გადაიწეროს, იმიტომ რომ „გადაწერა სკოლის წესებს ეწინააღმდეგება.“ ამ სტადიაზე მოაზროვნე ადამიანებს არ აინტერესებთ სხვები ქრთამს იღებენ თუ არა; ისინი ქრთამს არ აიღებენ, იმიტომ რომ ეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა.

**პოსტკონვენციური მორალი** - პოსტკონვენციურ დონეზე მყოფი ადამიანები თვლიან, რომ წესები საჭირო და ცვალებადი მექანიზმებია, რომლებიც გვეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში და ადამიანის უფლებების დაცვაში. მათი აზრით, წესები არ არის ბრძანებები, რომელთაც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ. პოსტკონვენციურად მოაზროვნე ადამიანები ხელმძღვანელობენ საკუთარი აბსტრაქტული პრინციპებით სწორი და არასწორი საქციელის შესახებ. ეს პრინციპები ჩვეულებრივ ისეთ ღირებულებებს მოიცავს, როგორიცაა ადამიანის ძირითადი უფლებები: სიცოცხლე, თავისუფლება, და სამართლიანობა. ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანები შეიძლება არ დაემორჩილონ წესებს, თუ ისინი მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება. პოსტკონვენციური აზროვნება ძალიან იშვიათია სკოლის ასაკის ბავშვებში. საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი აზროვნებს პოსტკონვენციურად და მათი უმრავლესობა მორალური განვითარების ამ დონეს მხოლოდ 25–30 წლის ასაკისთვის აღწევს.

*მეხუთე სტადია: სოციალური/საზოგადოებრივი კონტრაქტი* - მეხუთე სტადიაზე მყოფი ადამიანები აცნობიერებენ, რომ საზოგადოების წესები წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთშეთანხმებას სწორი/შესაფერისი საქციელის შესახებ. ისინი თვლიან, რომ წესები საჭირო მექანიზმებია, რომლებიც გვეხმარება საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებასა და ადამიანის უფლებების დაცვაში. მათი აზრით, წესების შეცვლა შესაძლებელია და აუცილებელიც კი, იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს.

მეხუთე სტადიაზე მყოფმა ადამიანმა შეიძლება გვითხრას, რომ ჯაბამ არ უნდა გადაიწეროს: „მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ ნიშნები მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს უნდა ასახავდეს. გადაწერა კი ამ შეთანხმებას უგულებელყოფს“.

*მექექსე სტადია: უნივერსალური ეთიკური პრინციპები* - მეექვსე სტადიაზე ადამიანის მორალური აზროვნება ეფუძნება აბსტრაქტულ და ზოგად პრინციპებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების წესებზე და კანონებზე. ადამიანები სწორ და არასწორ საქციელს განსაზღვრავენ თავიანთ შინაგან უნივერსალურ სტანდარტებზე დაყრდნობით. ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანები შეიძლება არ დაემორჩილონ წესებს და კანონებს, თუ ისინი მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება. კოლბერგმა თავის გვიან ნაშრომებში ვარაუდი გამოთქვა, რომ მეხუთე და მეექვსე სტადიები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამიტომაც ერთი სტადიის ქვეშ უნდა მოექცეს.

კოლბერგის მორალური განვითარების სამი დონე და ექვსი ეტაპი			
დონე	ასაკი	სტადია	დამახასიათებელი თვისებები
<b>პრეკონვენციური მორალი</b>	სკოლამდელი ასაკის ბავშვები,	1. დასჯის თავიდან აცილება და	მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს და ყურადღებას არ

	დაწვებითი კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა, ბევრი საშუალო კლასის მოსწავლე და ზოგიერთი მაღალი კლასის მოსწავლე	წესებისადმი დამორჩილება	აქცევენ სხვა ადამიანთა მოთხოვნებს და გრძნობებს. მათ შეიძლება დაარღვიონ წესები, თუნაკლები შანსი არსებობს იმისა, რომ ვინმე შეიტყობს ამის შესახებ. მათთვის „არასწორი“ საქციელი მხოლოდ ის არის, რომელსაც სასჯელი მოჰყვება.
		2. დახმარების გაცემა-გამოცემა	ისინი შეიძლება შეეცადონ, დააკმაყოფილონ სხვა ადამიანთა მოთხოვნები, თუ ამასთანავე მათი საჭიროებებიც დაკმაყოფილებული იქნება. მათთვის „არასწორი“ საქციელი ჯერ კიდევ ის არის, რომელსაც სასჯელი მოჰყვება.
<b>კონვენციური მორალი</b>	დაწვებითი კლასის მოსწავლე, ზოგიერთი საშუალო კლასის მოსწავლე და ბევრი მაღალი კლასის მოსწავლე. მოზრდილი საზოგადოების დიდი ნაწილი ამ დონეზე აზროვნებს.	3. კარგი ბიჭი/კარგი გოგო	ადამიანები ცდილობენ, ისე მოიქცნენ, რომ სხვა ადამიანებს, განსაკუთრებით კი გავლენიან და ავტორიტეტის მქონე პირებს (მაგალითად, მასწავლებელს, პოპულარულ თანატოლებს) ასიამოვნონ.
		4. კანონი და წესრიგი	თვლიან, რომ მათი ვალია წესებს დამორჩილონ. თუმცა ამ სტადიაზე მოაზროვნე ადამიანები წესებს და ნორმებს, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებლად ემორჩილებიან
<b>პოსტ-კონვენციური მორალი</b>	ძალიან იშვიათია სკოლის ასაკის	5. სოციალური/საზოგადოებრივი კონტრაქტი	ადამიანები აცნობიერებენ, რომ საზოგადოების წესები წარმოადგენს ადამიანთა შორის

<b>პოსტკონგენციური მორალი</b>	ბ ა ვ შ ე ე ბ შ ი , ძ ი რ ი თ ა დ ა დ უმადღეს სას- წავლებელში სწავლის პე- რიოდში იწენს თავს	ურთიერთშეთანხმებას სწორი/ შესაფერისი საქციელის შესახებ. ისინი თვლიან, რომ წესები საჭირო მექანიზმებია, რომლებიც გვეხ- მარება საზოგადოებრივი წესრი- გის შენარჩუნებაში და ადამიანის უფლებების დაცვაში. მათი აზრით, წესების შეცვლა შესაძლებელია, და აუცილებელიც კი, იმ შემთხ- ვევაში, თუ ისინი აღარ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს.
	ნ. უნივერსა- ლური ეთიკური პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი (ჰი პოთეზური ი დ ე ა ლ უ რ ი ე ტ ა პ ი, რომელ- საც ძალიან ცოტა ადამიანი აღწევს)	ადამიანების მორალური აზროვნება ეფუძნება აბსტრაქტულ და ზოგად პრინციპებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული საზოგადოების წესებზე და კანონებზე. ადამიანე- ბი სწორ და არასწორ საქციელს განსაზღვრავენ საკუთარ შინა- გან უნივერსალურ სტანდარტებზე დაყრდნობით. ამ დონეზე მოაზ- როვნე ადამიანები შეიძლება არ დაემორჩილონ წესებს და კანონებს, თუ ისინი მათ პრინციპებს ეწი- ნაადმიდეგება.

### რა ფაქტორები ახდენს გავლენას მორალურ განვითარებაზე

მორალური მსჯელობის და ქცევის განვითარებაზე შემდეგი ფაქტორები ახდენს გავლენას: ზოგადი კოგნიტური განვითარება, ახსნა და დასაბუთება, მორალური საკითხები და დილემები და თვითშეგნება.

*ზოგადი კოგნიტური განვითარება* - დახვეწილი მორალური აზროვნება: გააზრებული მსჯელობა მორალური კანონების და ისეთი ცნებების შესახებ, როგორიც არის თანასწორუფლებიანობა, სამართლიანობა და ადამიანის უფლებები,—აბსტრაქტული იდეების ღრმად გააზრებას მოითხოვს. შესაბამისად, მორალური განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებულია კოგნიტურ განვითარებაზე. მაგალითად, ნიჭიერი ბავშვები ზოგადად უფრო მეტად ფიქრობენ მორალურ საკითხებზე და უფრო ხშირად ცდილობენ მათ გარშემო უსამართ-

ლობის აღმოფხვრას. თუმცა კოგნიტური განვითარება არ გვაძლევს მორალური განვითარების გარანტიას. სავსებით შესაძლებელია, რომ მოსწავლეს შეეძლოს აბსტრაქტულად აზროვნება აკადემიურ საგნებთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, ეგოისტურად, პრეკონვენციურ დონეზე აზროვნებდეს.

*ახსნა და დასაბუთება* - ბავშვების მორალური განვითარება წინ მიიწევს, როცა ისინი დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა ზიანი და ტკივილი მიაყენებს სხვებს და როგორ აწყენინებს მათ თავიანთი საქციელით. ინდუქცია, მორალური განვითარების მნიშვნელოვანი სტრატეგია, ბავშვების ყურადღებას სხვა ადამიანების პოზიციებზე ამახვილებს და მოიცავს იმის ახსნას და დასაბუთებას, რომ ზოგიერთი საქციელი მიუღებელია. ინდუქცია ფოკუსს აკეთებს დაზარალებულზე: ის ბავშვებს ეხმარება, დაფიქრდნენ სხვების წყენაზე და ტკივილზე და გააცნობიერონ, რომ ამის მიზეზი თვითონ არიან. ინდუქციის რეგულარულად გამოყენება ხელს უწყობს ბავშვებში თანაგრძნობის, გაგების და ალტრუიზმის (მოქმედება, რომელიც მოიცავს სხვა ადამიანის დახმარებას სარგებელის მოლოდინის გარეშე) განვითარებას. ინდუქცია განსაკუთრებით ეფექტურია, როცა მას თან ახლავს მსუბუქი სასჯელი, მაგალითად, მოთხოვნა იმისა, რომ ბავშვებმა გამოასწორონ თავიანთი ცუდი საქციელი.

*მორალური საკითხები და დილემები* - კოლბერგის აზრით, ბავშვთა მორალური განვითარება წინ მიიწევს, როცა ისინი ისეთი მორალური დილემების წინაშე აღმოჩნდებიან, რომელთა ადეკვატურად გადაჭრა არ შეუძლიათ. ყველა ბავშვი ერთნაირი თანმიმდევრობით გაივლის მორალური განვითარების სტადიებს. არც ერთ მათგანს არ შეუძლია, რომელიმე სტადია გამოტოვოს, ან ერთდროულად ორი სტადია გაიაროს. იმისათვის რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის მორალურ განვითარებას, მასწავლებელმა ჯერ უნდა შეაფასოს, მორალური აზროვნების რა სტადიაზე იმყოფება ბავშვი და შემდეგ დაეხმაროს ბავშვს მორალური დილემის გადაჭრაში მისი არსებული მორალური განვითარების დონის გათვალისწინებით.

მაგალითად, წარმოიდგინეთ მე-9 კლასელი ოთარი, რომლის ძირითადი საზრუნავი ის არის, რომ თანატოლების მოწონება დაიმსახუროს (მესამე სტადია: კარგი ბიჭი/კარგი გოგო). ოთარი ხშირად აძლევს მისგან დავალების გადაწერის უფლებას თანაკლასელ გოგონას, რომელიც მის კლასში დიდი პოპულარულობით სარგებლობს. მასწავლებელმა ოთარს უნდა აუხსნას, თუ რატომ არის მისი საქციელი არასწორი მეოთხე სტადიისთვის დამახასიათებელი (კანონი და წესრიგი) მსჯელობის გამოყენებით. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლე-

ბა შემდეგი არგუმენტი მოიყვანოს: რადგანაც საშინაო დავალების მთავარი მიზანი ის არის, რომ სწავლას ხელი შეუწყოს, თითოეულმა მოსწავლემ ის დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს. თუ მასწავლებლის მსჯელობა და არგუმენტები ბევრად აღემატება მოსწავლეთა არსებული მორალური აზროვნების დონეს, მაშინ ბავშვებს გაუჭირდებათ მათი ლოგიკის გაგება.

*ოვითშეგნება* - ბავშვები მორალურ საქციელს უფრო ხშირად მაშინ ამჟღავნებენ, როცა მათ სჯერათ, რომ რეალურად შეუძლიათ სხვა ადამიანებს დაეხმარონ. ბევრი ახალგაზრდა იწყებს მორალური ღირებულებების საკუთარი პიროვნების ცნობიერებაში ინტეგრირებას. ეს ადამიანები თავიანთ თავს ხედავენ, როგორც ზნეობრივ და მზრუნველ პიროვნებებს, რომელთათვის სხვა ადამიანების უფლებები და კეთილდღეობა მნიშვნელოვანია. მათი ალტრუიზმი და თანაგრძნობა არამარტო მათ მეგობრებზე და ნაცნობ ადამიანებზე, არამედ ზოგადად, საზოგადოებაზე ვრცელდება.

### **როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა მორალურ განვითარებას საკლასო ოთახში**

*ასხენით და დაასაბუთეთ, თუ რატომ არის ზოგიერთი საქციელი მიუღებელი.* მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს პასუხისმგებლობა დაეაქისროთ არაზნეობრივ და ანტისოციალურ საქციელზე. თუმცა სასჯელს ბავშვების ყურადღება, ძირითადად, მათ საკუთარ წყენაზე და ტკივილზე გადააქვს. იმისათვის, რომ ბავშვის მორალურ განვითარებას ხელი შეუწყოთ, მნიშვნელოვანია, სასჯელთან ერთად ინდუქციაც გამოვიყენოთ: მოსწავლეთა ყურადღება გადავიტანოთ იმ წყენაზე და ტკივილზე, რაც მათ სხვა ადამიანებს მიაყენეს. მაგალითად, შეგვიძლია ავუხსნათ მოსწავლეს, თუ რა ფიზიკურ ზიანს და ტკივილს აყენებს სხვა ადამიანს მისი საქციელი („მარის ძალიან ეტკინა, როცა შენ მას თმა მოქაჩე“); ან რა ემოციურ წყენას და ტკივილს იწვევს იგი („გეგას ძალიან სწყინს, როცა შენ მას ასეთი სიტყვებით მიმართავ“). ასევე, შეგვიძლია, ავუხსნათ და დავანახოთ მოსწავლეს, თუ როგორ შეაწუხა სხვა ადამიანები თავისი საქციელით („შენ რომ თათიას სკამზე დაუფიქრებლად საღეჭი რეზინა დაუდე, ამის გამო დედას მისთვის ახალი შარვლის ყიდვა მოუწევს“). კიდევ ერთი სტრატეგიაა, მოსწავლეებს ავუხსნათ და დავანახოთ სხვა ადამიანის შეხედულება, განზრახვა და მოტივი („ნახატი, რომელსაც შენ ასე დასცინე, შეიძლება ისე არაჩვეულებრივად არ არის შესრულებული, როგორც შენი, მაგრამ მე ვიცი, რომ თუამ დიდი დრო დახარჯა მასზე და ძალიან ამაცობს თავისი ნამუშევრით“).



*დაეხმარეთ მოსწავლეებს, სიტუაციებს სხვადასხვა ადამიანების პოზიციებიდან შეხედონ. წახალისეთ ისინი, რომ ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა და მეგობრული დამოკიდებულება გამოიჩინონ.*

**იხ. III - გვ. 90**

მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილზე შეიძლება მოსწავლეებს ვთხოვოთ, თავი სხვადასხვა გმირის ადგილზე წარმოიდგინონ. ისტორიის გაკვეთილზე შეიძლება დაგანახოთ ისეთი სიტუაციები (მაგალითად, ომი, შიმშილობა), სადაც სხვა ადამიანების მოთხოვნები ბევრად აღემატება მათ მოთხოვნებს. როცა მოსწავლეებს მათ შორის წარმოქმნილ კონფლიქტის მოგვარებაში ვეხმარებით, შეგვიძლია გავამხსნევოთ, რომ სიტუაციას თანაკლასელის პოზიციიდან შეხედონ და ერთად იმუშაონ პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტაზე.



*მიეცით მოსწავლეებს მორალური საქციელის ბევრი მაგალითი.* ბავშვები და მოზარდები ზნეობრივ და სოციალურ საქციელს მაშინ უფრო აველენენ, როცა ისინი მორალური საქციელის მაგალითს სხვა ადამიანებისგან (მათ შორის, მასწავლებლებისგან) ხედავენ. მაგალითად, როცა ბავშვები ხედავენ, რომ მათი თანატოლები და უფროსები სულგრძელობას და თანაგრძნობას იჩენენ სხვა ადამიანებისადმი, ისინიც, შესაბამისად, ასე იქცევიან. მორალური საქციელის მაგალითები, აგრეთვე, შეიძლება ლიტერატურიდან, ისტორიიდან და თანამედროვე ცხოვრებიდან მოვიყვანოთ.

*ჩართეთ მორალური საკითხები და დილემები საკლასო დისკუსიებში. გაამხნევეთ ბავშვები, ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი მორალური შეხედულებები.* აკადემიური მასალის განხილვის დროს ხშირად თავს იჩენს სოციალური და მორალური დილემები. ასეთ დილემებს ყოველთვის როდი აქვს ნათლად განსაზღვრული სწორი და არასწორი პასუხები. მასწავლებლებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა დისკუსიებს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. პირველი, ძალიან მნიშველოვანია საკლასო ოთახში სანდოდა უსაფრთხო გარემოს შექმნა, რათა მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებების გამოხატვა გაკიცხვისა და შერცხვენის შიშის გარეშე შეძლონ. მეორე, მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს, დაინახონ დილემის ყველა ასპექტი, მათ შორის, სხვადასხვა ადამიანის მოთხოვნები და შეხედულებები. და ბოლოს, მასწავლებლებმა უნდა გაამხნევონ ბავშვები, დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები და მორალური პრინციპები.

*აქტიურად ჩართეთ მოსწავლეები ისეთ პროექტებში, რომლებიც საზოგადოებისადმი სამსახურს მოითხოვს.* ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას და მათ საზოგადოებრივ სამსახურში ჩართვას. მოსწავლეებს შეუძლიათ დაბალი კლასის მოსწავლეები ამეცადინონ; უფროსებს და მოხუცებს დაეხმარონ; საავადმყოფოში ან საბავშვო ბაღში იმუშაონ; ქუჩები და პარკები გაწმინდონ და მოაწესრიგონ; ადგილობრივ პარკში სათამაშო მოედანი მოაწყონ; ბიბლიოთეკაში, საბავშვო ბაღში ან ბავშვთა სახლში ბავშვებს წიგნები წაუკითხონ და ა.შ. მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მსგავს საქმიანობებში, უფრო ექსტრავერტულები და თავდაჯერებულები არიან; უფრო კარგად იცნობენ საკუთარ თავს; უფრო მოტივირებულები ხდებიან და უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებასაც აღწევენ. ისინი სწავლობენ, რომ მათ აქვთ იმის უნარი და პასუხისმგებლობა, რომ სხვა ადამიანებს დაეხმარონ და მათი ქვეყანა და, ზოგადად, მსოფლიო უკეთესი გახადონ. ეს ყველაფერი მოსწავლეებს ეხმარება, რომ ზნეობრივ და მზრუნველ პიროვნებად და მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.



## პროგრესული განათლების პრინციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

სად და ვის მიერ ჩაეყარა საფუძველი პროგრესული განათლების მოძრაობას;

რას ნიშნავს გამოცდილებით სწავლება;

დიუის აზრით, რომელი ძირითადი ასპექტები განსაზღვრავს ნებისმიერი სახის გამოცდილებას;

როგორ იყო მოწოდებული და რა ძირითადი დანიშნულება ჰქონდა დიუის სკოლა-ლაბორატორიას.

\*\*\*\*\*

ამერიკელი განათლების ფილოსოფოსის, ჯონ დიუის სახელს უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში პროგრესული განათლების მოძრაობა, რომელსაც მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. მოძრაობის მთავარ პრინციპებს წარმოადგენდა გამოცდილებით სწავლება, სოციალური ინტერაქციითა და სწავლების საგანთან ინტერაქციით ცოდნის აგება. პროგრესული განათლება გულისხმობდა მოსწავლეზე ორიენტირებულ, მისი ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის მიერ წარმართულ სწავლების პროცესს. დიუი ცდილობდა, საკუთარი პრაქტიკით დაემტკიცებინა გამოცდილებით სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პოტენციალის უპირატესობა. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ კეთებით, საკუთარი გამოცდილებით, როცა ისინი თვითონ ქმნიან რამეს და როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ განათლების მნიშვნელობას.

დიუი არ უარყოფდა საფუძვლიანი ფაქტობრივი ცოდნის აუცილებლობას, მაგრამ, ამასთანავე, ამბობდა, რომ განათლების ამ ტრადიციული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, თუ იგი გადაინაცვლებდა მეორეხარისხოვან ადგილზე. განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტების სწავლებას; მთავარია, მოსწავლეებმა შეიძინონ ის უნარები და ცოდნა, რომლის გამოყენებასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძლებენ. დიუი და მისი განათლების ფილოსოფია ცოდნის პრაქტიკულობაზე იყო ორიენტირებული.

თავის ნაშრომებში დიუი ცდილობდა, დაემტკიცებინა, თუ რა მნიშვნელოვანია სკოლა დემოკრატიის განვითარებისა და სოციალური პროგრესისთვის. დიუის მიაჩნდა, რომ პროგრესული განათლება საუკეთესო საშუალება იყო ეფექტური დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც გულისხმობს ყველა მოქალაქის აქტიურ მონაწილეობას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ის გამოცდილება, რასაც ბავშვები სკოლაში იღებენ, მათ სოციალურ შეგნებას უნდა ამადლებდეს. ბავშვებმა, სხვებთან ერთად, წვლილი უნდა შეიტანონ ოჯახურ საქმიანობასა თუ მეურნეობაში. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა სკოლის დემოკრატიულ ცხოვრებაში. ეს კი გულისხმობდა მოსწავლეების ჯგუფურ მუშაობას საერთო პროექტებზე, წესების ერთობლივად შემუშავებას, საკლასო გარემოს გასაუმჯობესებლად იდეების გენერირებას, მათ შეფასებას და, რაც მთავარია, სწავლების მიზნების განსაზღვრაში მონაწილეობას.

## სკოლა-ლაბორატორია

1896 წელს ჯონ დიუიმ დაარსა ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებული პირველი ექსპერიმენტული დაწესებულება სკოლა (მოგვიანებით შეიქმნა საბაზო და საშუალო სკოლებიც), სადაც პროგრესული განათლების იდეების მიხედვით ასწავლიდნენ. ეს იყო საგანმანათლებლო იდეების გამოსაცდელი ერთგვარი სკოლა-ლაბორატორია. დიუი ამბობდა, რომ ეს ისეთივე სამეცნიერო ლაბორატორია იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ლაბორატორია. აქ განათლების ფაქულტეტის სტუდენტებს შეეძლოთ ჩატარებინათ ექსპერიმენტები, პრაქტიკაში გამოეცადათ გარკვეული თეორიები და იდეები.

დიუის სკოლაში თითქმის არ იყენებდნენ ისეთ ნაცად პედაგოგიურ ხერხებს, როგორიცაა გამეორება, ლექცია, საერთო საკლასო მუშაობა, სავარჯიშოების დაფასოვანი შესრულება და ა.შ. სამაგიეროდ, მიმართავდნენ ფართომასშტაბიან ჯგუფურ პროექტებს, რომელიც მოიცავდა დურგლობას, ქსოვას, სანთლის ამოვლებას, მზარეულობას. ასევე რეკომენდებული იყო, რომ მოსწავლეებს კლასის გარეთ გაეტარებინათ დრო: დაერგოთ, ეშენებინათ, ესეირნათ ბუნებაში, მოეწყოთ ექსკურსიე-

ბი. საგნები ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდებოდა: კულინარია, კერვა, ქსოვა, დურგლობა. სკოლა-ლაბორატორიაში ბავშვები ზრდიდნენ ხორბაღს, ფქვავდნენ და პურს აცხობდნენ. ცოტა უფრო დიდები მეტალის გადადნობასა და ღუმელის გაკეთებასაც სწავლობდნენ. სკოლა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მთელ სოციალურ გარემოსთან, ოჯახთან, ბუნებასთან, საზოგადოებასთან. მოსწავლეები მათემატიკას დურგლობასთან ერთად სწავლობდნენ; ქიმიას - კულინარიით, ისტორიას კი - იმის გააზრებით, თუ რა გავლენას ახდენდა იგი თანამედროვე ცხოვრებაზე. სასწავლო გეგმა მოიცავდა ადგილობრივი სახანძროს მონახულებას, იმის ნაცვლად, რომ ესწავლებინათ იტალიის ისტორიაში შემონახული დიდი ხანძრების შესახებ. მასწავლებლები იყვნენ გიდეები, და არა მასწავლებლები ტრადიციული გაგებით. ისინი ბავშვებს საჭირო მასაღას აძლევდნენ და მხოლოდ გზას უჩვენებდნენ, როგორ ემუშავათ. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხებოდა, თუ რისი სწავლა სურდათ და შემდეგ ცდილობდა, მიეწოდებინა შესაბამისი მასალები, რათა ბავშვებს დამოუკიდებლად ესწავლათ. სასწავლო გეგმას უნდა გაეთვალისწინებინა ბავშვი მთლიანობაში, ინტელექტუალური, მორალური, ინდივიდუალური და პროფესიული თვალსაზრისით.



დიუი ფიქრობდა, რომ სკოლამ უნდა უჩვენოს ბავშვებს თანამედროვე სამყაროს კომპლექსურობა. სანამ ტექნოლოგიები განვითარდებოდა, მიწათმოქმედების პირობებში ბავშვს აჩვენებდნენ მთლიან პროცესს, რაზეც ცხოვრებაა აკებული. თუ დღეს ბავშვი დილაკს ხელს დააჭერს და ასე რთავს შუქს, ადრე ცხოველი უნდა მოეკლათ, ქონი დაემუშავებინათ და სანთელი გაეკეთებინათ. ყოველივე ამის მოყოლით, ბავშვები, თუ მსგავს შრომას საკუთარ თავზე არ გამოცდიდნენ, მხოლოდ ზედაპირულ ცოდნას მიიღებდნენ.

პროგრესულ სკოლებში ძალდატანებასა და მკაცრ დისციპლინას ინდივიდუალურობის გამოხატვა და თავისუფალი მოქმედება უპირისპირდებოდა. თუმცა, დიუის აზრით, არასწორია ვიფიქროთ, რომ უფროსის მხრიდან ნებისმიერი მითითება ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფას ნიშნავს. ტექსტებითა და მასწავლებლების დახმარებით სწავლას აქ გამოცდილების მეშვეობით სწავლა ანაცვლებდა. მათი მოსწავლეები შორეული მიზნებისთვის კი არ ემზადებოდნენ, არამედ ყოველდღიურ სამყაროს ეცნობოდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა, რომ წარსულის ცოდნა უსარგებლო იყო.

### **გამოცდილების ძირითადი ასპექტები**

დიუი მიიჩნევდა, რომ ყველანაირი გამოცდილება არ უნდა მივიღოთ, როგორც განათლებისთვის სასარგებლო. ზოგიერთი სახის გამოცდილებამ შეიძლება ძალიან ცუდი გავლენა იქონიოს ბავშვის განათლებაზე. ბავშვები ტრადიციულ საკლასო ოთახებშიც იღებენ რაღაც გამოცდილებას, მაგრამ ეს შესაძლოა ისეთი გამოცდილება იყოს, რომ ბავშვს სრულიად დაუკარგოს სწავლის უნარი და მოტივაცია.

დიუი ამბობდა, რომ ნებისმიერი სახის გამოცდილებას ორი ასპექტი განსაზღვრავს. პირველი უკავშირდება განცდას, რომლის საშუალებითაც გამოცდილებას აღვიქვამთ, როგორც სასიამოვნოს, ან პირიქით - უსიამოვნოს. მეორე ასპექტი გულისხმობს კონკრეტული გამოცდილების გავლენას უფრო გვიანდელ გამოცდილებაზე. ის, რაც განცდას უკავშირდება, თვალსაჩინოა და მარტივად ასახსნელი. ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ რა შედეგს მოიტანს ეს გამოცდილება მომავალში, მისი წინასწარმეტყველება შედარებით რთულია. სწორედ აქ ჩნდება პედაგოგისთვის არც თუ ისე იოლად გადასატრელები ამოცანა: შექმნას ისეთი გამოცდილება, რომელიც მომავალში წაახალისებს და აქტიურად ჩააბამს მოსწავლეს სასწავლო პროცესში. დიუის მიაჩნდა, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია, პედაგოგმა შეძლოს სწორედ ასეთი გამოცდილების შექმნა, ვიდრე გამოცდილებისა, რომელიც მოსწავლეებს, უბრალოდ, სიამოვნებას მიანიჭებს.

დიუისთვის გამოცდილება არ არის მხოლოდ რამის პასიურად გამოცდა. ამ გამოცდილებას რაღაც მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ადამიანისთვის. იმისთვის რომ გამოცდილებით ვისწავლოთ, იგი უნდა დაშენდეს ადრინდელ გამოცდილებაზე. ამიტომ მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ თავიანთი მოსწავლეების ადრინდელი გამოცდილების შესახებ. საგანი უნდა მომზადდეს მოსწავლეთა მომზადების დონისა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, დიუის აზრით, აუცილებელი იყო ინტერაქცია მოსწავლეებსა და მათი შესწავლის საგანს შორის. როცა მოსწავლეები რაღაც მასალებს ეცნობიან მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის მისაღებად, კარგავენ სწავლის ინტერესს.

## სასწავლო გეგმა

დიუის სკოლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და სასწავლო გეგმის მორგებას მოსწავლეებზე. ენობრივად ნიჭიერ ბავშვებს არ ართმევდნენ შესაძლებლობას, ეკითხათ და ესწავლათ ტრადიციული მიდგომებით. მაგრამ იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იყვნენ ასე გაწაფულები, სასწავლო გეგმა სხვა საშუალებებს ითვალისწინებდა. თუკი მოსწავლეები შეძლებდნენ, რომ ანტიკური რომის ცოდნა გამოეხატათ რომის კოლიხეუმის მოდელის აგებით, იმის ნაცვლად, რომ დაეწერათ სემესტრის ბოლოს მოთხოვნილი თემა რომის ისტორიის შესახებ, მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ითვლებოდა.

ექსპერიმენტულ სკოლებში ტრადიციულ ტესტებს, როგორც საგნის ცოდნის ინდიკატორს, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო მოსწავლეების პროექტების შეფასებაზე იყო აქცენტი გადატანილი. მოსწავლეებიც საკმაოდ ჩართულები იყვნენ სასწავლო პროცესში, რადგან მათ არ აძალებდნენ გაეკეთებინათ ის, რისი გაკეთებაც არ სურდათ.

პროგრესულ სკოლებში სასწავლო გეგმა თანდათან ფართოვდებოდა. აქ ტრადიციულ საგნებზე ფიქრობდნენ, რომ იყო ხელოვნური და ვიწრო, ამდენად ლიმიტირებული და არაბუნებრივი. ბავშვები უფრო მეტს ისწავლიდნენ პირდაპირი გამოცდილებით. თუმცაღა, სასწავლო გეგმის გაფართოვება გულისხმობდა არა უფრო მეტ ხელობაზე ორიენტირებულ და პროფესიულ საგნებს, არამედ ტრადიციული საგნების რეორგანიზებას. რეორგანიზებისას გაქრა ისტორია და სახელწიფო მართვა, როგორც ცალკეული საგნები და გაჩნდა სოციალური მეცნიერებები. საბოლოოდ კი სოციალური მეცნიერებები დაჯგუფდა ინგლისურ ენასთან და შეადგინა „ძირითადი საგნების“ ნუსხა.

ერთი მხრივ, მოგეხვენებათ, რომ დიუის სასწავლო გეგმაში თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონოდა ხელოვნებას, სიმღერას, ცეკვას, მუსიკას, რადგან ეს ყველაფერი არ ჯდებოდა განათლების, როგორც სოციალ-

ური წვრთნის მიზანში. მაგრამ დიუი დაწყებით სკოლებში ხელოვნების სწავლებას აუცილებლობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ხელოვნებას აქვს განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც ადამიანის არსებობას აზრს სძენს. ადამიანებს გააჩნიათ ბუნებრივი მიდრეკილება, იმდროინდელ დახატონ და ა.შ. აქედან გამომდინარე, სასწავლო გეგმა მოიცავდა ხელოვნების ნიმუშების კეთებას, პიესების დადგმას და წარსული ცივილიზაციების ამსახველი მაკეტების აგებას.

## დიუის კრიტიკა და თანამედროვე პროგრესული სკოლები

დიუის მთელი სიცოცხლე უხდებოდა მისი თეორიის ახსნა-განმარტება. მთავარი, რისთვისაც დიუის და მის „გამოცდილებით სწავლებას“ აკრიტიკებდნენ, იყო ის, რომ იგი მოზარდებს აიძულებდა, ხელობა ესწავლათ და მათ უშუალოდ პროფესიული და სახელობო სწავლებისათვის ამზადებდა. თუმცა თავად დიუი მიიჩნევდა, რომ გამოცდილებით სწავლების ამგვარი გაგება ძალიან ვიწრო და ზერეფე იყო.

დიუი ამბობდა, რომ ხეზე და მეტალზე მუშაობა, ქსოვა, კერვა თუ კულინარია, განხილული უნდა იყოს, როგორც სწავლის ერთ-ერთი მეთოდი, და არა როგორც კონკრეტული საგანი. იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ბავშვმა უნდა შეიძინოს პრაქტიკული უნარები, მაშინაც თუ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აპირებს რომელიმე კონკრეტული უნარის ფულის გამომუშავების მიზნით გამოყენებას.

პროგრესულმა განათლებამ გასული საუკუნის 20-იან წლებში უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა და მეორე მსოფლიო ომის დასასრულისთვის განათლების ძირითად იდეოლოგიად იქცა. სკოლები, სადაც დიუის იდეების მიხედვით ასწავლიან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევ განაგრძობს არსებობას, თუმცადა, გარკვეულწილად, სახეცვლილი ფორმით. ამ სკოლებმა ვერ შეინარჩუნეს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - ექსპერიმენტულობა. ხშირად სვამენ კითხვას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ სკოლების უმრავლესობა ასეთი გამხდარიყო. დიუის სკოლაში იდეალური პირობები იყო შექმნილი: მოსწავლისა და მასწავლებლის შეფარდება ათი ერთთან. პროფესორ-მასწავლებლები, ძირითადად, განათლების სფეროს ინტელექტუალთა საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ. ძალიან დიდი დრო იხარჯებოდა პერსონალის დისკუსიებში იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა სკოლაში, რა ხარვეზები იყო და რა უნდა გაუმჯობესებულიყო. სკოლის ხარვეზები საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდებოდა. სკოლას, მართლაც რომ განსაკუთრებული გარემო ჰქონდა, ძალიან დიდი სივრცე ბაღებისთვის და სათამაშო მოედნებისთვის. სავარაუდოდ, სკოლა საშუალო ფენას ემსახურებოდა, რადგან სწავლა ფასიანი

იყო. ხშირად ის მასწავლებლები, რომლებიც სკოლას ათვალთვლებდნენ, აღნიშნავდნენ, რომ ზუსტად იმის გამო, რომ ეს განსაკუთრებული, ექსპერიმენტული სკოლაა და მასწავლებლები არ მუშაობენ იმავე პირობებში, რაშიც სხვები, შესაძლებელი იყო კარგი შედეგების მიღწევა. მართალია, დიუი აღიარებდა, რომ ექსპერიმენტებისთვის განსაკუთრებული რესურსები და სასარგებლო პირობებიაო საჭირო, თუმცა ეს პირობები რომ ჩვეულებრივ სკოლებშიც იქნებოდა აუცილებელი, ამის შესახებ ნაკლებად საუბრობდა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზიც, რომ დიუის იდეები უფრო მეტად აღფრთოვანებას იწვევს და ნაკლებად პრაქტიკაში დანერგვას.

მიუხედავად იმისა, რომ დიუის თანამედროვე სკოლები სახეცვლილია, მათ მაინც შეინარჩუნეს მისი იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ამ სკოლებს აერთიანებთ შემდეგი:

- სწავლება გამოცდილებით, ანუ კეთებით
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტულ თემებზეა ფოკუსირებული
- ჯგუფური მუშაობა და სოციალური უნარების განვითარება
- სწავლება არა გაზეპირებით, არამედ გაგებისათვის
- განათლება სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიისათვის
- კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება
- საგნის შინაარსის შერჩევა იმის მიხედვით, თუ რა უნარები გამოადგებათ მომავალში მოსწავლეებს
- სახელმძღვანელოების ნაკლები სიხშირით გამოყენება და უპირატესობის უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებისთვის მინიჭება
- უფრო მოქნილი, მოსწავლეების ინტერესებს მორგებული სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლები არიან მხოლოდ მრჩეველები, ფასილიტატორები, მაგრამ იყენებენ მრავალფეროვან მასალას ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევის წასახალისებლად
- მასწავლებლები ესმარებიან მოსწავლეებს, რომ ისწავლონ აღმოჩენით.



## სწავლება „თეორია ერთისა“ და „პანდორას კითხვების“ მიხედვით

ამერიკელი განათლების მკვლევარის, დევიდ პერკინსის აზრით, სკოლებისა და განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება.

ის, რომ საკონტროლო დავალების დაწერის დროს რაღაც ვიცი, მაგრამ არ გვახსოვს რამდენიმე თვის შემდეგ, ნიშნავს, რომ არ შეგვიძლია ცოდნის შენარჩუნება. თუ ვიცი ისტორიული მოვლენების და კონკრეტული ფაქტების შესახებ, მაგრამ ვერ ვიაზრებთ, როგორ და რატომ ვითარდებოდა მოვლენები ამ სახით, ესე იგი, ვერ ვიაზრებთ ჩვენს ცოდნას და, შესაბამისად, ვერ გავიაზრებთ და შევაფასებთ ვერც თანამედროვე რეალობას. რომც შეგვიძლოს ცოდნის გააზრება, თუკი არ შეგვიძლია მისი ცხოვრებაში გამოყენება, თუნდაც ყოველდღიური ადამიანური ურთიერთობების მოგვარების, ან სულაც მაღაზიაში სურსათის ყიდვის დროს, ესე იგი, ამ ცოდნის გამოყენება არ შეგვიძლია.

განათლების ამ სამი მიზნის მიღწევა მაშინაა შესაძლებელი, როცა მოსწავლეები ფიქრობენ იმაზე, რასაც სწავლობენ. ზოგადად, მიაჩნიათ, რომ მოსწავლეები ჯერ ცოდნას იძენენ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ფიქრს შექმნილი ცოდნის შესახებ. პერკინსის აზრით, სინამდვილეში პირიქით ხდება; ცოდნას ბავშვები მაშინ იღებენ, როცა სწავლის პროცესში შესაძენი ცოდნის არსზე ფიქრობენ. ამიტომ ცოდნაზე კი არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული, არამედ აზროვნებასა და ფიქრზე.



*იხ. გვ. 119*

პერკინსი გვთავაზობს „პანდორას კითხვებს“ და „თეორია ერთისა“, რომელიც გვეხმარება ეფექტიანი სწავლების ორგანიზებაში.

მნიშვნელოვანია, რომ დავსვათ 4 ძირითადი კითხვა, რომელსაც პერკინსმა მითიური ქალის, პანდორას კითხვები უწოდა.



## 1. რისი სწავლა ღირს

რა თემები უნდა ვისწავლოთ; უფრო ზუსტად კი, კონკრეტული თემების ირგვლივ რისი სწავლაა მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ ვიძენთ ცოდნას კონკრეტული თემის გარშემო, რაში ვხდებით უკეთესები ამ ცოდნის შექმნით?

## 2. რატომ არის რთული ამის სწავლა

რა არის პრობლემური, როგორ უნდა ავარიდოთ თავი ზედაპირული ცოდნის მიღებას; ცოდნის, რომელიც მალე დაგვაავიწყდება, რომელიც ტესტის ჩაბარებაში გვეხმარება, მაგრამ სხვაში არაფერში გვაძლგება.

## 3. ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ

რა როლი ეკისრება სწავლაში, ერთი მხრივ, მიწოდებულ მასალებსა და რესურსებს და, მეორე მხრივ, თავად მას, ვინც სწავლობს?

## 4. როგორ მიდის სწავლის პროცესი

შეუძლია თუ არა მოსწავლეს, არამარტო მასწავლებლისაგან, არამედ თანატოლებისაგანაც მიღებული შეფასებითა და სათანადო უკუგებით (კომენტარები, რჩევები), გააკონტროლოს და გააუმჯობესოს სწავლების პროცესი.


პერკინსს მიაჩნია, რომ ხშირად სკოლები ცდილობენ, ასწავლონ ყველაფერი დედამიწის ზურგზე. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ბავშვები საფუძვლიანად ვერაფერს სწავლობენ. მისი აზრით, სასწავლებლად უნდა ავირჩიოთ თემები, რომლებიც მოსწავლეს გამოადგება და აზროვნებას განუვითარებს.

პანდორას კითხვას, როგორ ვასწავლოთ საუკეთესოდ, პერკინსი „თეორია ერთით“ პასუხობს. ამ თეორიის მიხედვით, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა კარგად ისწავლონ, საჭიროა:

1. მივაწოდოთ ინფორმაცია ნათლად და გასაგებად;
2. გავაკეთებინოთ ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც მათ ამ ინფორმაციის კარგად გააზრების საშუალებას მისცემს;
3. რჩევებითა და კომენტარებით მივაწოდოთ ინფორმაციული შეფასება.
4. ვიზრუნოთ ბავშვის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე.

*იხ. II - გვ. 3*

გამოყენების უნარი და საშუალება



გამოყენების უნარი და საშუალება

პერკინსი მიიჩნევს, რომ განათლებისა და სწავლების ყველაზე დიდი ცოდვა ისაა, რომ ბავშვებს ვასწავლით „რადაციის შესახებ“. სინამდვილეში ამ ცოდნას კონკრეტული მიზანი უნდა დაეუხასხოს, მისი საშუალებით მოსწავლეებს რაღაც შესაძლებლობა უნდა დაეანახოს და რადაციის კეთებაში უკეთესები გახდნენ. შეიძლება ორ ადამიანს ერთნაირი ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ ერთს ამ ცოდნის გამოყენება შეეძლოს, ხოლო მეორეს - არა.

პერკინსი თავის თეორიას წარმოგვიდგენს არა როგორც სწავლების მეთოდს, არამედ როგორც იმ პრინციპების ერთობლიობას, რომელსაც ნებისმიერი კარგი სწავლების მეთოდი უნდა აკმაყოფილებდეს. პერკინსი თავისი თეორიის ჭრილში განიხილავს ამერიკელი ფილოსოფოსის, მორტიმერ ადლერის მიერ შემოთავაზებულ სწავლების სამ სხვადასხვა მეთოდს:

### **დიდაქტიკური სწავლება**

დიდაქტიკურ სწავლებაში ადლერი გულისხმობს მასწავლებლისა თუ ტექსტის საშუალებით მოსწავლისათვის ინფორმაციის ნათლად მიწოდებას, ახსნას. ამ პროცესის საშუალებით შეგვიძლია ვუპასუხოთ კითხვებს: რა, სად და რატომ.

კარგი ახსნისათვის აუცილებელია შემდეგი მთავარი კომპონენტები:

**მიზნის განსაზღვრა მოსწავლეებისათვის:** მასწავლებელმა დეტალურად უნდა გააცნოს მოსწავლეებს, რა არის გაკვეთილის მიზანი, რისი მნიშვნელობა უნდა გაიგონ მათ და რაში უნდა გამოიყენონ შესწავლის ობიექტი.

**პროგრესის მონიტორინგი ან მინიშნება პროგრესის შესახებ:** მასწავლებელი ხაზს უსვამს ახსნის პროცესში მოსწავლეთა მიგნებებს.

**სხვადასხვა მაგალითის მოყვანა:** მასწავლებელმა ბევრი მაგალითი უნდა მოიყვანოს იმისათვის, რომ ბავშვებმა კარგად გაიაზრონ და გაითავისონ ახსნილი მასალა.

**დემონსტრაცია:** მასწავლებელი ახდენს შესწავლილი მასალის რეპრეზენტაციას, მაგალითად ფილმის საშუალებით.

**ახალი მასალის დაკავშირება ძველ და უკვე კარგად ნაცნობ მასალასთან:** მასწავლებელი მოსწავლეებისათვის უცნობ ცნებებს მათთვის უკვე კარგად ნაცნობ ცნებებთან აკავშირებს.

**ახალი მასალის ლეგიტიმაცია,** რაც იმას გულისხმობს, რომ უკვე შექმნილი ცოდნისა და ლოგიკის საშუალებით, კიდევ ერთხელ დავარწმუნოთ მოსწავლეები, რომ ამ მასალის შესწავლა მართლაც სასარგებლო იყო.

## წვრთნა

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეებს ინფორმაციას მიწოდებს, იცვლება მისი როლი და იგი ხდება ერთგვარი მწვრთნელი. სპორტულ მწვრთნელთან მეტაფორა ტყუილად არ არის შერჩეული. იგი აკვირდება და მიმართულებას აძლევს თავის მოსწავლეებს; აღნიშნავს მათ სიძლიერეს, გამოავლენს სისუსტეებს, იცის, კონკრეტულად რა კუთხით სჭირდებათ უფრო მეტი ვარჯიში.

მაგალითად, თუ მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებმა თხზულების წერა უფრო შთამბეჭდავად დაიწყონ, შეიძლება ასეთი კომენტარი გააკეთოს:

„...ძალიან მომწონს თხზულების შენეული დასაწყისი: „როცა ორცხობილას კოლოფს ჩახხედე, ვნახე რომ ერთიღა დარჩენილიყო, მაგრამ ეს არ იყო ორცხობილა.“ თავიდან მართლაც საინტერესოდ იწყებ, ჩნდება რაღაცის გაგების სურვილი. მაგრამ საიდუმლოს ძალიან მალე ხსნი. ჯობდა, ცოტა მოგვიანებით დაგვემყოფილებინა მკითხველის ცნობისმოყვარეობა.“ (Perkins, 1992, p. 55).

წვრთნით სწავლების ამ კონკრეტულ მაგალითში, ძირითადად, გააზრებულ პრაქტიკასა და ინფორმაციულ კომენტარებზეა გამახვილებული ყურადღება.

## სოკრატული სწავლება

დიდაქტიკური სწავლებისას მოსწავლეებს ვეუბნებით, რა უნდა გააკეთონ, მათ გზასა და მიმართულებას ვუჩვენებთ. ამ შემთხვევაში ბავშვები კონკრეტულ კითხვებზე პასუხებს სწავლობენ.

სოკრატული სწავლების დროს კი მასწავლებელს არ აქვს მზა პასუხები, იგი პრობლემურ კითხვას სვამს და მოსწავლეებს სთხოვს, დაფიქრდნენ. კითხვები შეიძლება ზოგადი იყოს: რას ფიქრობთ ამ საკითხზე? როგორია თქვენი პოზიცია? მასწავლებელი ცდილობს, ისე გამოიყენოს კითხვების დასმის მეთოდი, რომ ბავშვები პრობლემის გადაწყვეტამდე თვითონ მივიდნენ.

უფრო კონკრეტულად, მასწავლებელი სვამს შეკითხვას; მოყავს დამხმარე და საწინააღმდეგო არგუმენტები; კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს; ცდილობს, მთელი კლასი ჩააბას დისკუსიაში; მოსწავლეს უბიძგებს, დააკავშიროს სხვადასხვა მასალიდან მიღებული ცოდნა და დასკვნა საკუთარ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანოს.

პერკინსი თავის წიგნში, „გონივრული სკოლები“, სოკრატული სწავლების ასეთ მაგალითს გვაძლევს:

**მასწავლებელი:** ნული რიცხვთა სისტემის ერთ-ერთი საუკეთესო გამოგონებაა. მოდით, დისკუსია გავმართოთ, და ვნახოთ, შესაძლებელია თუ არა მისი მნიშვნელობის უკეთ გააზრება. წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ ნულის მოწინააღმდეგეთა კლუბის წევრი და ვამბობ, რომ ნული არ გეჭირდება, ტყუილად იკავებს ადგილს. მაინტერესებს, რა არგუმენტები გექნებათ ამის საწინააღმდეგოდ.

**მოსწავლე:** კი მაგრამ, აბა, არაფერი როგორ დაეწეროთ?

**მასწავლებელი:** თუ არაფერია, მაშინ არაფერი დაწერო. ხომ არ დაწერ, 1, 2 და არაფერი.

**მოსწავლე:** მაგრამ თუ რაღაც არის და მერე ეს რაღაც გათავადება და გახდება არაფერი, მაგალითად, ბანკის ანგარიშზე არაფერი რომ არ გვრჩება, ეს როგორ დაეწეროთ?

**მასწავლებელი:** ცარიელი ადგილი დატოვე.


**სხვა მოსწავლე:** კი მაგრამ, საიდან უნდა იცოდეს, ცარიელი ადგილი იმიტომ დავტოვეთ, რომ არაფერი გვაქვს, თუ უბრალოდ დაგავიწყდა დაგვეწერა, რა გვაქვს?

**მასწავლებელი:** ძალიან კარგი შენიშვნაა.

**სხვა მოსწავლე:** ერთი წუთით, რომაულ რიცხვებში ნული სულ არ არის, და ალბათ მათ ჰქონდათ რაღაც, რომ არაფერი აღენიშნათ. ანუ, არ უნდა იყოს პრობლემა ნულის არარსებობა.

ამ შემთხვევაში აქცენტი, ძირითადად, ინფორმაციულ უკუგებასა და მოსწავლეების შინაგან მოტივაციაზე კეთდება.

როგორც ვხედავთ, „თეორია ერთი“ სწავლების ყველა მეთოდს შეგვიძლია მიუხსნადავით. ეს მათ უფრო შედეგიანს გახდის (*პერკინსის შესახებ ასევე შევიძლიათ წაიკითხოთ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში „როგორ ვასწავლოთ აზროვნება“, 2007, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის გამომცემლობა; ასევე, დევიდ პერკინსი „კონიერული სკოლები“, 2008, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა*).



## მონტესორის სწავლების მეთოდი

*ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:*

რას ითვალისწინებს მონტესორის სწავლების მეთოდი;

რა განასხვავებს მონტესორის სწავლების მეთოდს სწავლების ტრადიციული მეთოდისაგან;

მოსწავლეთა რა ასაკობრივ თავისებურებებს ითვალისწინებდა მონტესორის სასწავლო პროგრამა.

მონტესორის სკოლები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში და იტალიაში გვხვდება, იტალიელი ქალის, მარია მონტესორის სწავლების მეთოდს ეყრდნობა. მარია მონტესორიმ ვაჟთა სკოლაში მიიღო განათლება და პირველი ქალი იყო იტალიაში, რომელმაც მოახერხა მედიცინის დოქტორი გამხდარიყო. თუმცა ანტიფაშისტური იდეების გამო, საბოლოოდ, მუსოლინიმ იგი ქვეყნიდან განდევნა.

ქალების უფლებების დაცვის პარალელურად მონტესორი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობდა. იმისათვის რომ მათ დახმარებოდა გონებრივ განვითარებაში, მონტესორი იყენებდა მის მიერ შექმნილი საგნების კოლექციას, თითოეული საგანი ახდენდა სენსორული შთაბეჭდილების (ფერის, ხმის, ა.შ. ) განცალკევებას. მონტესორის სენსორული მასალა ძალიან ეხმარებოდა ბავშვებს, რომ ხმის, შეხების, ყნოსვის და მხედველობის მეშვეობით დაუფლებოდნენ აკადემიურ მასალას. საინტერესოა ის, რომ მონტესორიმ შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების აღზრდის მთავარი პრინციპები ჩვეულებრივ ბავშვებს მორგო. იგი მიმართავდა ფორმალურ წვრთნას ცალკეული სენსორული, მოტორული და გონებრივი შესაძლებლობების გასაავითარებლად. სენსორული სტიმულაციით სწავლა იმ პერიოდში ძნელად თუ წარმოედგინათ. ბავშვები მერხებთან

უნდა მსხდარიყვნენ და მთელი მასალა მასწავლებლის მონაყოლით შეესრუტათ. თუ ამას ვერ ახერხებდნენ, საუკეთესო გამოსავალი ცემა იყო.

## მონტესორის პირველი სკოლა

რომის ერთ-ერთ გარეუბანში მონტესორი სათავეში ჩაუდგა „ბავშვების სახლს“, სადაც ღარიბი, გაუნათლებელი და გავლურებული ბავშვებისთვის მოეყარათ თავი. მონტესორიმ თავისი უნიკალური მეთოდის გამოყენებით რამდენიმე თვეში სასწაული მოახდინა. ბავშვების აკადემიური მიღწევები და მათი ქცევა სამაგალითო გახდა. არათუ სხვები, არამედ თავად მონტესორიც განცვიფრებული იყო მიღწეული შედეგებით. რამდენიმე თვეში მონტესორის სკოლის ბავშვები დისციპლინებული, მოწესრიგებული ბავშვები გახდნენ, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ სწავლით. სკოლის მნახველები გაოცებას ვერ მაღავდნენ, როცა ნახულობდნენ, რომ ბავშვები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ველურები იყვნენ, უკვე წყნარად მუშაობდნენ და სწავლის ბუნებრივ სურვილს ამჟღავნებდნენ. ბავშვებს ერჩივნათ დაელაგებინათ, შინაური ცხოველებისთვის მოეგლოთ, ან ბაღში ემუშავათ, ვიდრე უსაქმურად ყოფილიყვნენ. მათი საკლასო ოთახიც სულ სუფთად გამოიყურებდა.

მონტესორის პედაგოგიური პრაქტიკა ბავშვს ეხმარებოდა, ყოფილიყო შემოქმედებითი, კრიტიკულად მოაზროვნე, ვსწავლა დროის მართვა, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება და ბუნების სიყვარული.

## თავისუფალი არჩევანი

მონტესორის მეთოდის მთავარი პრინციპი ბავშვებისათვის თავისუფლების მინიჭება იყო. იგი მიიჩნევდა, რომ მისი წარმატების საიდუმლო მოსწავლეების დაკვირვებასა და მათთვის ბუნებრივი განვითარების ხელშეწყობაში მდგომარეობდა. თავისუფლება არ ნიშნავდა იმას, რომ ბავშვებს ნებისმიერი რამის გაკეთება შეეძლოთ, თუმცა სოციალური შეზღუდვები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მოსწავლეებს თავიანთი ინდივიდუალური „კაპრიზები“ საერთო კეთილდღეობისთვის უნდა დაეთმოთ; ერთმანეთთან ჩხუბი და ხელის შეშლა ეკრძალებოდათ. ასევე, თითოეულს განსაზღვრული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. თუმცა მონტესორის სასკოლო გარემოში ყველა ბავშვი თანაბარუფლებიანი იყო, თანაბარი უფლებები გააჩნდათ უფროსების მიმართაც. უფროსები სკოლაში მოსწავლის თავისუფლებას თითქმის არ ზღუდავდნენ, მაშინ როცა სახლში ბავშვები მაინც დამოკიდებ-



უღლები არიან მათზე და უფროსების ნება-სურვილს ექვემდებარებიან.

სკოლაში მოსწავლეებს უამრავი აქტივობიდან თვითონ შეეძლოთ აერჩიათ სასურველი. მონტესორის მეთოდში მნიშვნელოვანი იყო სწავლის ინდივიდუალური არჩევანი და არა ჯგუფური გაკვეთილები. მონტესორისთვის მთავარი იყო ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობდა ადმოქნით სწავლებას. გარდა ამისა, ბავშვებს თვითონ შეეძლოთ აერჩიათ, რამდენ ხანს მოანდომებდნენ კონკრეტულ აქტივობას, როდის დაიწყებდნენ და დაამთავრებდნენ მას.

მარია ბავშვების ბუნებრივ სურვილებს აძლევდა გასაქანს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს ინტელექტუალური ზრდისთვის აუცილებელი გზა იყო. მისი აზრით, ბავშვები გარემოსთან ურთიერთობით სასიცოცხლო უნარებს თვითონვე იძენდნენ.

სკოლაში ყველა სასწავლო მასალა თვითგამოსწორების საშუალებას იძლეოდა, ანუ ბავშვებს თვითონვე შეეძლოთ, ეპოვათ თავიანთი შეცდომები და გამოესწორებინათ ისინი. სკოლაში არ იყო არც შეფასება, არც ნიშნები და არც ტესტები. თუმცა ბავშვები ხშირად მუშაობდნენ პრაქტიკულ პროექტებსა და კვლევებზე.

## ფიზიკური გარემო

მონტესორის სკოლაში ტიპური ოთახი ასე გამოიყურებოდა: კოპწია ოთახი ბავშვის ზომის ავეჯით; გარემო ძალიან ბუნებრივი და ბავშვისთვის ხელსაყრელი. მისი შეცვლა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ისეთნაირად, რომ ბავშვს თავისი პოტენციალი, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური თუ სულიერი თვალსაზრისით, მაქსიმალურად გამოეყვინა. სკოლა მოიცავდა ერთ მთავარ ოთახს სწავლისთვის და მრავალ პატარა ოთახს მის გარშემო. გარეთ, სადაც ბავშვებს ასევე შეეძლოთ მუშაობა, საკმაოდ დიდი სივრცე იყო. ბავშვების ირგვლივ მსუბუქი, მათი ზომის შესაფერისი ავეჯი ეწყო, რასაც ისინი თავიანთი სურვილის შესაბამისად უნაცვლებდნენ ადგილს და სიამოვნებით აწესრიგებდნენ, როცა საქმეს მორჩებოდნენ. კარადები, სადაც ბავშვებისთვის სასწავლო მასალას ინახავდნენ, დაბალი იყო, რომ მათთვის ადვილად მისაწვდომი ყოფილიყო. როდესაც სადილის დრო მოდიოდა, ისინი უფროსებს ეხმარებოდნენ მის მომზადებაში და, დასრულებისას, ალაგებდნენ კიდევაც. მონტესორის სკოლა განსაკუთრებული წესრიგით გამოირჩეოდა. საკლასო ოთახში ორგანიზებული ქაოსის შთაბეჭდილება შეგვექმნებოდათ, სადაც თითოეული ბავშვი თავისთვის წყნარად მუშაობდა მის მიერ არჩეულ დავალებასა თუ საკითხზე. ამ გარემოში ბავშვი თვითონ ირჩევდა, რას გააკეთებდა პირველად და რას - შემდგომ.

ბავშვებს პატივი უნდა ვცეთ და დიდების სამყარო ძალით არ

მოავახვით თავს. ისინი დაბადებიდანვე სპონტანურად იწყებენ სწავლას და სწავლის ინტენსივობის გაზრდა შესაძლებელია კარგად ორგანიზებული და მოწესრიგებული გარემოს საშუალებით.

## **მასწავლებლის და მშობლის როლი**

მასწავლებლის როლს წარმოადგენდა გარემოს კონტროლი და ბავშვების სწავლის პირდაპირი ჩარევის გარეშე წარმართვა. მონტესორის მეთოდის მიხედვით, მასწავლებელს ევალება, რომ დააკვირდეს ბავშვს, რომელიც თავისუფალ გარემოში იზრდება და სწავლობს. მასწავლებელმა უნდა უსმინოს ბავშვს ყურადღებით, და არა ბავშვმა - მასწავლებელს. მონტესორი ხშირად ახსენებდა მასწავლებლებს, რომელთაც წვრთნიდა, რომ თუ ისინი შეძლებდნენ ბავშვების ყურადღების კონტროლის საკითხის გადაჭრას, ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ, ზოგადად, განათლების პრობლემა გადაჭრეს. მასწავლებელი პირდაპირი ჩარევის გარეშე უნდა ცდილობდეს, ხელი შეუწყოს კარგს და არ წაახალისოს ცუდი ქცევა თუ იმპულსები. მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ თუ გარემო კარგად არის ორგანიზებული, მაშინ სწავლის პროცესი სპონტანური და სახალისოა. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ გარკვეული თავისუფლება, მაგრამ სტრუქტურირებული, რომელიც ბავშვს საფრთხეს არ შეუქმნის.

ამ სკოლაში მშობლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭებოდათ. მათი მოვალეობა იყო, რომ ბავშვებს სკოლაში არ დაეგვიანათ; სუფთა, მოწესრიგებული მოსულიყვნენ. ყველა მშობელი ვალდებული იყო, კვირაში ერთხელ სკოლის დირექტორთან შვილის ამბავი მოეკითხა. მარია თავად დადიოდა ბავშვების ოჯახში. მას სურდა, მშობლებს ეგრძნოთ, რომ სკოლა მათიც იყო და დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რათა მასწავლებლებთან ერთად სკოლის საერთო მიზნებისთვის მიეღწიათ. თუ მშობელი თანამშრომლობაზე არ თანხმდებოდა, მის შვილს სკოლიდან რიცხავდნენ მანამ, სანამ მშობელი თანამშრომლობის სურვილს არ გამოთქვამდა.

## **ბავშვის განვითარების პერიოდები**

მონტესორი გამოყოფდა ბავშვის განვითარების მგრძობიარე პერიოდებს. მისი აზრით, ბავშვის განათლება იწყება დაბადებიდანვე და მის განათლებაზე სამი წლიდან ზრუნვა უკვე დაგვიანებულია. მას ჰქონდა აღზრდის სპეციალური პროგრამა 0-3 წლამდე ბავშვებისთვის. პროგრამაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ ბავშვები ისრუტავენ ყველაფერს, რაც მათ გარშემოა, რომ მათი მოდელი არის მშობლები და მშობლებმა შვილებს თავიანთი ქცევებით უნდა ასწავლონ; კი არ უნდა უკარნახონ ბავშვებს, რომ მადლობა გადაიხადონ და

წესრიგიანად იყვნენ, არამედ თავად უნდა აძლევდნენ მაგალითს მადლობის თქმით, მათ თვალწინ საკუთარი ნივთებისა და გარემოს მოწესრიგებით. ავეჯი და სათამაშოები ხის უნდა ყოფილიყო, რომ ბავშვებს ბუნების სიყვარული ესწავლათ და ჯანმრთელები გაზრდილიყვნენ. კარგი იქნებოდა მათი ზომის ავეჯი და მათი თვალის ზომაზე ჩამოკიდებული სურათები.

თუკი მონტესორის თანამედროვენი თვლიდნენ, რომ ბავშვებს 6 წლამდე არ შეეძლოთ წერა, მარიას მოსწავლეები 4 წლის ასაკში უკვე წერდნენ. მარია მათ აძლევდა ანბანის გამოჭრილ ასოებს, რითაც ისინი თამაშობდნენ. სულ რაღაც სამ თვეში ბავშვებმა წერა დაიწყეს. ამის შემდეგ კი კითხვა. მალე ისინი შვიდი-რვა წლის ბავშვების დონეზე წერდნენ და კითხულობდნენ.



დაწყებითი კლასის ბავშვებისათვის მონტესორის სპეციალური პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. 6-12 წლის ბავშვები დამოუკიდებლად მუშაობდნენ, იმის ნაცვლად, რომ ჯგუფებში მასწავლებლის ხელმძღვანელობით ემუშავათ, თანაც ისინი წლოვანების მიხედვით არ იყვნენ დაყოფილი, ყველა ერთად სწავლობდა. სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთმანეთს ასწავლიდნენ და ასაკთან შედარებით უკეთეს შედეგებს აღწევდნენ. მარია ჩვეულებრივი სასწავლო გეგმის ადაპტირებას იმგვარად აკეთებდა, რომ ბავშვებს დამოუკიდებლად შეძლებოდათ ამ მასალების გამოყენება და თვითონ აღმოეჩინათ პასუხები

კითხვებზე.

12-15 წელი ის ასაკია, როცა ბავშვის ორგანიზმი სწრაფად იზრდება, ადგილი აქვს ჰორმონალურ ცვლილებებს და მოზარდს უფრო დიდხანს ძილი სჭირდება. ამიტომ მონტესორი ფიქრობდა, რომ ამ პერიოდში აზრი არ აქვს, მოზარდს დავაძალოთ ინტელექტუალურ სამუშაოზე კონცენტრაცია. მისი აზრით, ბავშვები ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ბუნებასთან, მიეღოთ სოფლის ახალი პროდუქტი და პრაქტიკული სამუშაოთი ყოფილიყვნენ დაკავებული. ინტელექტუალური სამუშაო კი, შეძლებისდაგვარად, დაუძალებლად უნდა ეკეთებინათ.

15-18 წელი უკვე ის პერიოდია, როცა სწრაფი ზრდა შენელებას იწყებს და მონტესორის მოსწავლეებიც უფრო დატვირთულ ინტელექტუალურ სამუშაოზე გადადიოდნენ. ეს სამუშაო აუცილებლად სოციალურ, პრაქტიკულ და რეალურ, უფროსების სამუშაოსთან იყო კომბინირებული.

### **განსხვავებული შეფასებები**

მონტესორის მეთოდს, მხარდამჭერთა გარდა, კრიტიკოსებიც გამოუჩნდა, მის მეთოდებს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი პატარა ბავშვებს აიძულებდა, მათი ასაკისთვის შეუფერებელი საქმიანობისთვის მოეკიდათ ხელი, წერა-კითხვა 4 წლის ასაკში ესწავლათ, მაშინ როცა 6 წლის ბავშვებისთვისაც არ იყო მისი სწავლა ადვილი.

აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ მოსწავლეები დროს კარგავდნენ ისეთ საქმიანობაში, როგორც მაგიდის წმენდაა, დავალებას არ აძლევდნენ და მოსწავლე თუ სხვა სკოლაში გადავიდოდა, ძალიან ძნელად შეეგუებოდა ახალ გარემოს. მონტესორის სკოლებს დიუიც აკრიტიკებდა. მისი აზრით, ამ სკოლებში არ ექცეოდა ყურადღება სოციალურ ინტერაქციას, რაც მისი განათლების ფილოსოფიის მთავარი პოსტულატი გახლდათ.

2006 წლის სექტემბერში ჟურნალ „მეცნიერებაში“ გამოქვეყნდა ამერიკაში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც დაადგინეს, რომ მონტესორის სკოლაში აღზრდილ ბავშვებს უკეთესი შედეგები აქვთ; ისინი უკეთესად კითხულობენ და წერენ ადრეულ ასაკში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კვლევის მიხედვით, მონტესორის სკოლის ბავშვები, სოციალური უნარ-ჩვევების თვალსაზრისით, გაცილებით წინ იყვნენ, ვიდრე ტრადიციული სკოლის მოსწავლეები.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, 2004წ.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). *მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი*. თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.(2007). *ეროვნული სასწავლო გეგმა*. თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). *როგორ გასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება* (1 ნაწ). თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). *განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის* (1 ნაწ). თბილისი.
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. (2005). *განათლების ფსიქოლოგია*. თბილისი.
- უზნაძე, დ. (2003). ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი:საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.
- Armstrong, T. (2000). *Multiple intelligences in the classroom* (2nd ed.). Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.
- Austrian, S. G. (Ed.).(2002). *Developmental theories through the life cycle*. New York: Columbia University Press.
- Baumrind, D. (1971). Current patterns of parental authority. *Developmental Psychology Monograph*, 4, 1-103.
- Baumrind, D. (1996). The discipline controversy revisited. *Family Relations*, 45, 405–414.
- Berk, L. E. (2002). *Infants, children, and adolescents* (4th ed.). Boston, MA: Allyn & Bacon.
- Bernstein, D. A. (2008). *Psychology* (8th ed.). Boston, MA: Houghton Mifflin.
- Damon, W. (Series Ed.), & Eisenberg N. (Vol. Ed.). (1998). *Handbook of child psychology: Vol. 3. Social, emotional, and personality development* (5th ed.). New York: Wiley.
- Dewey, J. (1938/1997). *Experience and education*. New York: Macmillan.
- Dewey, J. (1990). *The school and society. The child and the curriculum*. Chicago & London: The University Of Chicago Press.
- Dewey, J. (1916 /1944 ). *Democracy and education*. New York: Macmillan.
- Eggen, P. D. (2007). Educational psychology: *Windows on classrooms* (7th

ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson.

-Gardner, H. (2006). *Multiple intelligences: New horizons* (Rev. ed.). New York: Basic Books.

-Goleman, D. (1995). *Emotional intelligence*. New York: Bantam Books.

-Graham, P.A. (2005). *Schooling America. How the public schools meet the nation's changing needs*. Oxford University Press.

-Hoy, A. W. (2007). *Educational psychology* (10th ed.). Boston, MA: Allyn & Bacon.

-Kramer, Rita. (1976). *Maria Montessori*. New York: G.P. Putman's Sons.

-Lillard, A., & Else-Quest. (2008). *Evaluating Montessori education*.

Retrieved June 30, 2008 from <http://www.sciencemag.org>

-Montessori, M.(2002). *The montessori method* (5th ed.). Mineola, New York: Dover Publications, Inc.

-Myers, D. G. (2007). *Psychology* (8th ed.). New York: Worth.

-National Association for the Education of Young Children. (1966). *Montessori in perspective*. Washington: National Association for the Education of Young Children.

-Noddings, N. (2007). *Philosophy of Education*. Colorado: Westview Press.

-Ormrod, J. E. (2008a). *Educational psychology: Developing learners* (6th ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson.

-Ormrod, J. E. (2008b). *Essentials of educational psychology*. Upper Saddle River, NJ: Merrill.

-Ormrod, J. E. (2008c). *Human learning* (5th ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson.

-Patterson, C. H. (1977). *Foundations for a theory of instruction and educational psychology*. New York: Harper & Row.

-Perkins, D.(1992). *Smart schools. Better thinking and learning for every child*. New York: The Free Press.

-Perkins, D. (2007). T 540: Cognition and the art of instruction. Week 1-2 lecture notes.

-Rorty, A. (1998). *Philosophers on education: New historical perspectives*. London: Routledge.

-Santrock, J. W. (2001). *Child development* (9th ed.). Boston, MA: McGraw-Hill.

-Santrock, J. W. (2008). *Educational psychology* (3th ed.). Boston, MA : McGraw-Hill.

-Schunk, D. H. (2004). *Learning theories: An educational perspective*. Upper Saddle River, NJ: Pearson.

-Slavin, R. E. (2006). *Educational psychology: Theory and practice* (8th ed.). Boston, MA: Pearson.

## სარჩევი

შესავალი .....	3
ფიზიკური განვითარება (ნ. ჯანაშია) .....	5
კოგნიტური განვითარების თეორია (ნ. ჯანაშია) .....	13
სოციალური განვითარება (ნ. ჯანაშია) .....	34
სოციო-კულტურული თეორია (ნ. ჯანაშია) .....	55
განწყობის თეორია (ნ. იმედაძე) .....	64
ბიჰევიორიზმი (ნ. ჯანაშია) .....	71
სოციალური დასწავლის თეორია (ნ. ჯანაშია) .....	91
კონსტრუქტივიზმი (ნ. ჯანაშია) .....	107
მეტაკოგნიცია (ნ. ჯანაშია) .....	119
მრავალმხრივი ინტელექტის თეორია (ნ. ჯანაშია) .....	134
ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია (ნ. ჯანაშია) .....	145
ემოციური განვითარება (ნ. ჯანაშია) .....	151
ჰუმანისტური თეორია (ნ. ჯანაშია) .....	170
მორალური განვითარების თეორია (ნ. ჯანაშია) .....	182
პროგრესული განათლების პრინციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია (ს. გორგოძე) .....	194
სწავლება „თეორია ერთის“ და „პანდორას კითხვების“ მიხედვით (ს. გორგოძე) .....	201
მონტესორის სწავლების მეთოდი (ს. გორგოძე) .....	208
გამოყენებული ლიტერატურა .....	214

## შენიშვნებისთვის







